



არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება  
Besarion Jorbenadze Society

საენათმეცნიერო  
ძ ი გ ბ ა ნ ი

**XXXIII**

Linguistic  
P a p e r s

თბილისი 2011 Tbilisi

## „საენათმეცნიერო ძიებანის“

XXXIII წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

„Linguistic Papers“ volume 32 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

### სარედაქციო კოლეგია: EDITORIAL BOARD:

მ. ბერიძე, ქ. გაბუნია, **გ. გოგოლაშვილი** (მთავრი რედაქტორი), **ლ. გოქსაძე** (ინ-გლისური ნაწილის რედაქტორი), ნ. დარა-სელია, **ც. კვანტალიანი** (სწავლული მდი-ვანი), მ. კიკონიშვილი, რ. ლანდია, **ნ. ლო-ლაძე** (მთ. რედაქტორის მოადგილე), თ. ლომთაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე

M. Beridze, K. Gabunia, **G. Gogolashvili** (editor-in-chief), **L. Goksadze** (editor of the English part), N. Daraselia, **Ts. Kvantaliani** (scientific secretary), M. Kikonishvili, R. Landia, **N. Loladze** (deputy editor-in-chief), T. Lomtadze, Chumburidze, N. Jorbenadze

ინოლა აზაშიძე

სტუმარებისა და მომართებელის მიერთვის სამსახურის ამონის  
თეორიისთვის მიმართებით

ყოველდღიურ ყოფაში ადამიანი სხვადასხვა გრძნობას გამოხატავს მის გარშემო მყოფი ადამიანების მიმართ: გამოთქვამს სურ-ვილს, წუხილს, სიბრაზეს, იძლევა ბრძანებას და სხვა, ანუ ახორციელებს გარკვეულ სამეტყველო აქტებს. ოსტინი (ოსტინი, 1962) პირველმა აღმოჩინა, რომ განსაზღვრული სამეტყველო აქტების წარმოთქმა (მაგ., *I ask, I propose, I wish*) არ შეიძლება იყოს განხილული როგორც ჰეშმარიტი ან ყალბი, რადგან ისინი მიზნად ისახავენ არა ჰეშმარიტი ან ყალბი განცხადებების გაცემებას (ასეთ განცხადებებს ასტინი „კონსტატივებს“ უწოდებს), არამედ გარკვეული გამონათქვამის წარმოთქმის მეშვეობით განსაზღვრული მოქმედების შესრულებას, რასაც მან „პერფორმატივი“ დაარქვა და განაცხადა, რომ ასეთი სახის გამონათქვამი განსხვავდება სხვა გამონათქვამებისაგან. ოსტინის მიხედვით, პერფორმატივების ენობრივი მახასიათებლები შემდეგია: ისინი მოცემულია აწყვეტილი, მოქმედებით გვარში, პირველ პირში, მხოლოდით რიცხვში, და მათთან შესაძლებელია ზმინზედის „hereby“ გამოყენება. (მაგ.: *I (hereby) promise to come tomorrow* და არა „*He promised to come*“). პერფორმატივი ინგლისურ საქორწილო სადღეგრძელოში შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

“I hereby wish you a very happy future together”.<sup>1</sup>

ამავე დროს არსებობს ისეთი პერფორმატული გამონათქვამები, რომლებიც ვწევით გვარში და სხვა პირში გამოიყენება და ინგლისურ საქორწილო მიბატიურებაში გვხვდება ამისი ნათელი დადასტურება:

“You are cordially invited to celebrate the wedding of Rachel Williams and Robert Thomas Evans.....”.<sup>1</sup>

<sup>1</sup> პიტონი და სტრეჩი, 2004: 280

პერფორმატული შეიძლება იყოს ისეთი გამონათქვამიც, რომელშიც ზმნა გამოკვეთილი არ არის, როგორც მაგალითად „Guilty”, რაც სასამართლოში წარმოითქმის. მიმაჩნია, რომ ინგლისურ და ქართულ სუფრებზეც წარმოთქვამენ ამგვარ პერფორმატივებს, მაგ., ინგლისურ სუფრაზე ხშირია გამონათქვამის „Cheers” გამოყენება, რომლის პირდაპირი მნიშვნელობაა „I wish you all the best”, ხოლო ყოველ ქართულ სუფრაზე ამბობენ „ცავიმარჯოს“ (გისურვებ გამარჯვებას), „იცოცხლუ“ (გისურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს). მოგვიანებით ისტინი ასკნის, რომ არ არსებობს ის ლინგვისტური მახასიათებლები, რომლებიც მკაფიოდ განასხვავებენ პერფორმატულ გამონათქვამებს არაპერფორმატულისაგან, რადგან პერფორმატულ გამონათქვამიც შეიძლება ვნებით გაცარში და მრავლობით რიცხვში იყოს მოცემული. მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ პერფორმატული გამონათქვამები არ შეიძლება იყოს ჰეშმარიტი ან ყალბი, ისინი შეიძლება იყოს წარმატებული ან წარუმატებელი, და იმისათვის, რომ პერფორმატული გამონათქვამი წარუმატებელია „Felicity Conditions) დაცვა, რომელიც აგრეთვე ტერმინით „შესაბამისობის პირობები“ (Appropriateness Conditions) არის ცნობილი და მოიცავს შემდეგს:

(ა.1) უნდა არსებობდეს საყოველთაოდ მიღებული პირობითი პროცედურა, რომელსაც გარკვეული პირობითი ეფექტი აქვს. მოცემული პროცედურა უნდა მოიცავდეს გარკვეული სიტყვებს წარმოთქმას გარკვეული ადამიანების მიერ განსაზღვრულ გარემოში.

(ა.2) გარკვეული ადამიანები და პირობები შესაფერისი უნდა იყოს განსაზღვრული პროცედურის განსახორციელებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ სწორი და შესაფერისი სიტყვების წარმოთქმა არ არის საკმარისი წარმატებული სამეტყველო აქტის განსახორციელებლად, რადგან ეს სიტყვები შესაფერისი ადამიანების მიერ უნდა იყოს წარმოთქმული. ამავე დროს, შესაბამისი ადამიანების მიერ წარმოთქმული შესაფერისი სიტყვები წარუმატებელი იქნება შეუფერებელ პირობებში.

(ბ.1) პროცედურა ყველა მონაწილის მიერ უნდა შესრულდეს სწორად და

<sup>1</sup> <http://www.englishfolly.co.uk/wedding/wedding-invitation-wording.htm>

## (ბ.2) სრულად

- (გ.1) პროცედურის შესრულების დროს მონაწილეებს შესაფერისი გრძნობები და ფიქრები უნდა ამოძრავებდეთ და რეალურად უნდა სურდეთ განსაზღვრული მოქმედების განხორციელება.
- (გ.2) მონაწილეები შემდგომშიც შესაფერისად უნდა მოიქცნენ (ოსტინი, 1962, 35-36).

ამავე დროს, შეიძლება საჭმე გვქონდეს ისეთი სახის წარუმატებლობებთან, რომლებიც ხდება პირობითი პროცედურის, შესაფერისი მონაწილეებისა და პირობების არსებობის მიუხედავად. პრობლემები შესაძლებელია იყოს როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური, მაგალითად, საქორწილო ცერემონია „შეიცავს „დიახ/არა“ შეკითხვას, მაგრამ „დიახ“ ბასტის განცხადება არ არის საკმარისი საქორწილო აქტის სრულად განხორციელებისათვის და ცერემონიის შესრულების ზუსტი მომენტი არის თთიზე საქორწილო ბეჭდის გაკეთება შესაფერისი სიტყვების წარმოთქმის შემდეგ. ამის შეუსრულებლობა ან თთიზე ბეჭდის გაკეთება შეუფერებელ მომენტში საქორწილო პროცედურის ჩაშლას გამოიწვევს.

აუცილებელია აღნიშნოს ისიც, რომ ოსტინი საქმაოდ მნიშვნელოვნად ცვლის თავის აზრს სამეტყველო აქტებთან მიმართებით. როგორც უკვე ითქვა, თავდაპირველად ის სამეტყველო აქტებს კონსტატივებად და პერფორმატივებად ყოფს, შემდგომში ის აცხადებს, რომ სინამდვილეში ყველა გამონათქმა პერფორმატულია და რომ ამის თქმა არის გარკვეული მოქმედების განხორციელება. ოსტინი ასევე ასკნის, რომ გამონათქმამის წარმოთქმის დროს მოლაპარაკე შეუძლია ერთდროულად სამი აქტის შესრულება, როგორიცაა ლოკუციური, ილოკუციური და პერლოკუციური აქტები, მაგალითად, ინგლისურ საქორწილო სუფრაზე „I thank my beautiful Talev for being my wife“ სიტყვების წარმოთქმით, ნეფე ლოკუციურ აქტს ახორციელებს. როდესაც ნეფე ამბობს „I thank...“, ის მადლობის გადახდის ილოკუციურ აქტს ახორციელებს და სურს პატარძალში დადებითი შეგრძნებები გამოიწვიოს. ხოლო ნეფის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს დადებითი შეფასება მოჰყვება არა მხოლოდ პატარძლის, არამედ დამსწრე საზოგადოების მხრიდანაც, რაც პერლოკუციურ ეფექტს ქმნის.

ოსტინს მიაჩნია, რომ საუბრისას მოლაპარაკე ასრულებს არა ერთ-ერთს მოცემული აქტებისაგან, არამედ სამივე აქტს ერთდროუ-

ლად. ავტორი აგრეთვე თვლის, რომ ლოკუციური აქტის შესრულება არის ამავდროულად ილოკუციური აქტის განხორციელება. ლოკუციური აქტის ინტერპრეტაცია დაკავშირებულია მნიშვნელობასთან, ილოკუციური აქტის კი გარკვეულ ძალასთან. ამავე დროს, სერლი (სერლი, 1969) ამტკიცებს, რომ ლაპარაკია არა ორ სხვადასხვა აქტზე, არამედ ერთი აქტის ორ სხვადასხვა დასახელებაზე და არსებობს მხოლოდ ილოკუციური აქტები.

საგულისხმოა აგრეთვე ოსტინის მიერ შემოღებული ექსპლიციტური და იმპლიციტური პერფორმატივის ცნება. ექსპლიციტური (აშკარა) პერფორმატივები შეიცავენ ისეთ არაორაზროვან პერფორმატულ გამონათქვამებს, როგორიცაა, მაგალითად „გპირდები“ (*I promise*), ხოლო „დალიე!“ (*Drink!*) იმპლიციტური პერფორმატივის მაგალითია, რადგან ის შეიძლება იყოს შეთავაზება, ბრძანება, თხოვნა, ან მუდარა. ამდენად, გაურკვეველია, თუ რომელი სამეტყველო აქტია მოცემული და მისი მნიშვნელობა, ექსპლიციტური პერფორმატივისაგან განსხვავებით, კონტექსტზეა დამოკიდებული.

ოსტინი აგრეთვე გამოყოფს პერფორმატივების ხუთ ჯგუფს, რომელთა მაგალითები საქმაოდ ხშირად გვხვდება როგორც ინგლისურ და ქართულ საქორწილო მიპატიურებებსა და მათზე გაცემულ პასუხებში, ასევე საქორწილო სადლეგრძელოებშიც. ოსტინის პერფორმატული ზმნების ჯგუფები ასეთია:

1. ვერდიქტივები — მოცემული აქტები გამოიყენება ვერდიქტის, შეფასების გამოსახატავად და ამ ჯგუფს შემდეგი ზმნები მიეკუთვნება: **assess, reckon, estimate, rate, describe, warn**.

*“I describe Janet as a quiet person”.*<sup>1</sup>

მოცემულ პერფორმატულ გამონათქვამს წარმოთქვამს პატარქლის მამა ინგლისურ საქორწილო სუფრაზე და მიზნად ისახავს დადებითი შეფასება მისცეს თავისი ქალიშვილის პიროვნულ თვისებებს. ინგლისურ საქორწილო სადლეგრძელოებში შემხვდა ისეთი პერფორმატივები, როგორიცაა: **describe, reckon**.

2. ექზერსიტივები გამოხატავენ გადაწყვეტილების მიღებას ან გარკვეული მოქმედების განხორციელებისადმი ან მის საწინააღმდეგო პროპაგანდას. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ზმნები, როგორიცაა **appoint, dismiss, pray, dedicate, advise, warn** და სხვა. ინგლისური საქორწილო

ლო სადღეგრძელოების შესწავლისას დადგინდა შემდეგი ექზერსიტივები: **warn, advise, მაგ.:**

*“I warn John that in order to achieve a state of affairs as blissful as possible he should mend his bachelor ways”.*<sup>2</sup>

რაც ინგლისურ საქორწილო სუფრაზე ნეფის მეჯვარის მიერ იქნა წარმოთქმული.

3. კომისივების დანიშნულებაა დაავალდებულონ მოლაპარაკე შეასრულოს განსაზღვრული მოქმედება. კომისივების მაგალითებია: **promise, vow, intend, plan, engage, contract, bet, consent, agree, propose to**. ინგლისური საქორწილო სადღეგრძელოების განხილვისას დადგინდა შემდეგი კომისივები: **agree, propose to, promise, intend, მაგ.:**

*“I’d like to propose a toast, the first toast, to Michelle and Aaron, Mr and Mrs. Duke”.*<sup>3</sup>

ეს სიტყვები პატარქლის მამამ წარმოთქვა ინგლისურ საქორწილო სუფრაზე.

4. ბიპებიტივები გამოხატავენ ადამიანების რეაქციას სხვა ადამიანების ქცევაზე და ასევე წარმოადგენენ ადამიანის გრძნობების, აზრების გამოხატულებას. მოცემულ ჯგუფში შედის ისეთი ზმნები, როგორიცაა **thank, praise, console, congratulate, apologize, wish**. ინგლისურ საქორწილო სადლეგრძელოებში შემხვდა შემგეგი ბაპებიტივები: **congratulate, apologize, thank, wish** მაგ.:

*“I sincerely wish both of you all the good things in life that you both absolutely deserve”.*<sup>4</sup>

მოცემული სიტყვები ნეფის მეჯვარემ წარმოთქვა ინგლისურ საქორწილო სუფრაზე.

5. ექსპოზიტივები გამოიყენება მოსაზრების, არგუმენტების, მსჯელობის გამოსახატავად. ამ ჯგუფში შედის ისეთი ზმნები, როგორიცაა **affirm, deny, state, remark, answer, tell, ask, know**. ინგლისური საქორწილო სადლეგრძელოების შესწავლისას აღმოჩნდა შემდეგი ექსპოზიტივები: **remark, answer, tell, ask, know**.

მაგ.: *“I know that you are very happy to welcome Taley into our family”.*<sup>5</sup>

<sup>2</sup> პიტონი და სტრეჩი, 2004:267

<sup>3</sup> <http://www.youtube.com/watch?v=qWauseEELQ&future=related>

<sup>4</sup> <http://www.youtube.com/watch?v=linhW66L6Ks&feature=related>

<sup>5</sup> [http://www.youtube.com/watch?v=mPi\\_4neJCOM&feature=related](http://www.youtube.com/watch?v=mPi_4neJCOM&feature=related)

<sup>1</sup> პიტონი და სტრეჩი, 2004:197

ასეთი სიტყვებით ნეფემ მიმართა თავის მშობლებს.

როგორც ცნობილია, ოსტინის ტაქსონმია შემდგომ სერლმა განვითარა. სერლის (სერლი 1976) მტკიცებით, არ არსებობს ნათელი ან თანმიმდევრული პრინციპი (პრინციპების ჯუფი), რომლის საფუძველზეც აგებულია მოცემული ტაქსონმია. შედეგად, ზმნების დიდი რიცხვი არ ურთიერთსაწინააღმდეგო ჯუფშია მოხვედრილი, მაგ.: ოსტინი განიხილავს „ზმნას “describe”, როგორც ვერდიქტივს და ასევე ექსპოზიტივს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ოსტინი აღიარებდა, რომ მისი ტაქსონმია საბოლოო არ იყო და საჭიროებდა დახვეწის.

სერლის (სერლი 1976) ილოკუციური აქტების შემდეგი ხუთი ჯუფი აქვს გამოყოფილი:

1. რეპრეზენტატივები, რომლებიც აღწერენ საქმის ვითარებას დასკვნის გამოტანის ან განცხადების მეშვეობით. ამ ჯუფს შემდეგი ზმნები მიეკუთვნება: boast, complain, conclude, deduce.

2. დირექტივები გამოიყენება იმისათვის, რომ მსმენელმა შეასრულოს მოქმედება. ამ ჯუფს ისეთი ზმნები მიეკუთვნება, როგორიცაა, მაგ.: command, order, beg, request, ask.

3. კომისივები ავალდებულებენ მოლაპარაკეს შეასრულოს გარეული მოქმედება და შეიცავენ ისეთ ზმნებს, როგორიცაა, მაგ.: promise, vow.

4. ექსპრესივები ისეთი სამეტყველო აქტებია, რომლებიც გამოიყენება მოლაპარაკის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოსახატავად, მაგ.: thank, congratulate, apologize, condole, welcome.

5. დეკლარაციების გამოყენება კი ცვლილებებს იწვევს საქმის ვითარებაში, მაგ.: christen a baby, declare peace, fire an employee.

აღსანიშნავია, რომ ჩემ მიერ განხილული საქორწილო სადღეგრძელების უმეტესობა მოიცავს იმ პერფორმატულ ზმნებს, რომლებიც გაერთიანებულია სერლის ექსპრესივების ჯუფში.

ითვლება, რომ სერლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წვლილი სამეტყველო აქტების თეორიაში არის მის მიერ ოსტინისეული „იღბლანობის პირობების“ ცნების განვითარება. სერლი აცხადებს, რომ სამეტყველო აქტების განხორციელება (მაგალითად, დაპირების სამეტყველო აქტის განხორციელება) დამოიდებულია „იღბლიანობის პირობების“ ოთხ ტიპზე, კერძოდ, პროპოზიციული შინაარსის პირობა-

ზე, მოსამზადებელ პირობაზე, გულწრფელობის პირობაზე და აუცილებლობის პირობაზე. საგულისხმოა, რომ სერლი (სერლი, 1975, 61) ასევე განასხვავებს „პირველად“ (Primary) და „მეორად“ (Secondary) სამეტყველო აქტებს. როგორც ჩვენი მასალა ავლენს, მიპატიუქებთან მიმართებით „პირველად“ და „მეორადი“ სამეტყველო აქტები შემდეგნაირად გამოიხატება:<sup>1</sup>

- მაიკო, ჩემთან გელოდები კვირას დაბადების დღეზე. აუცილებლად მოდი, იცოდე!

- ნინი, კვირას რომ დასავლეთში მივდივარ ნათესავის ქორწილში. მაგრამ საჩუქარი ჩემზეა!

მოცემულ მაგალითში მეორე მოლაპარაკის გამონათქვამი ორ ილოკუციურ აქტს წარმოადგენს, სადაც „პირველადი“ აქტი არის ადრესატის მხრიდან უარის თქმა მასპინძელის შეთავაზებაზე, „მეორადი“ კი ადრესატის მტკიცება, რომ კვირას უნდა გაემგზავროს დასავლეთში.

სადღეგრძელების სოციო-პრაგმატიკული ანალიზისას, მიზანშეწონილად მიმაჩნია განვიხილო გაისის (გაისი 1995: 12-13) მიდგომა სამეტყველო აქტებთან დაკავშირებით. გაისი სამეტყველო აქტებს (რომელთაც ის აგრეთვე „ლინგვისტურ აქტებს“ უწოდებს), „საკომუნიკაციო ქმედებებს“ (Communicative Actions) უპირისპირებს, ამტკიცებს რა, რომ ისინი სოციალურია და, სამეტყველო აქტებისგან განსხვავდით, ბევრი ასეთი აქტი შეიძლება არავრბალურად იყოს გამოსატული. საკომუნიკაციო ქმედებები აგრეთვე შეიცავენ მოლაპარაკეთა შორის ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და დამოკიდებულების გამოხატვას არალინგვისტური საშუალებებით, ხოლო კონტექსტი უდიდეს როლს თამაშობს საკომუნიკაციო ქმედების განსაზღვრაში. გაისი უპირისპირება ისტინს (ისტინი 1962: 119), რომელიც აცხადებს, რომ ილოკუციური აქტების განხორციელება (მაგ., განცხადება, არგუმენტირება, განხილვა, მტკიცება) უცალებლად ვერბალურ აქტებს უნდა წარმოადგენდეს და შეუძლებელია ამგვარი აქტები განხორციელდეს მათი წარმოთქმის გარეშე. გაისი აგრეთვე მოჰყავს მაგალითი, სადაც ჭარისკაცი კაპიტნის შეკითხვაზე, თუ ვის სურს მოხალისედ მიიღოს მონაწილეობა სამხედრო მისიაში, წინ გადადმული ნაბიჭით პასუხობს დასმულ შეკითხვას, და ეს მოქმედება, აგტორის

<sup>1</sup> მაგალითი მოპოვებულია ლინგვისტური ასისტენტისგან.

მტკიცებით, იმავე აქტს წარმოადგენს, რასაც “I'll do it” ან “I volunteer” სიტყვიერად წარმოთქმა. გაისი აცხადებს, რომ, თუ მოქმედება აუცილებლად უნდა იყოს განხორციელებული გარკვეული ვერბალური აქტის მეშვეობით, მაშინ ჯარისკაცის მექრ წინ გადადგმულ ნაბიჯს მოხალისეობის სურვილის გამოხატვის ნიშნად, ილოკური ანუ სამეტყველო აქტს ვერ ვუწოდებთ. ამავე დროს, კაპიტნის პერსპექტივიდან ჯარისკაცი, რომელიც წინ გადადგამს ნაბიჯს, რათა გამოხატოს სურვილი მონაწილეობა მიიღოს მისიაში და ჯარისკაცი, რომელიც წარმოთქმას “I will” კაპიტნის მოწოდებაზე, ერთსა და იმავე აქტს ახორციელებს. შედეგად, გაისი თვლის, რომ სამეტყველო აქტების თეორეტიკოსებმა სამეტყველო აქტების განხილვისას აუცილებლად უნდა მიიღონ მხედველობაში საკომუნიკაციო ქმედების ფაქტორი. ვეთანხმები გაისის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არსებობს ისეთი აქტები, რომლებიც არა მხოლოდ ვერბალურად, არამედ არავერბალურადაც შეიძლება იყოს გამოხატული. მაგალითად, დღეგრძელობისას სუფრის წევრი შეიძლება უბრალოდ წამოიწიოს, გაულიმოს ადრესატს, ასწიოს ჭიქა და შესვას ღვინო, რაც იმას ნიშანავს რომ მან აღლებული ადრესატი.

უნდა ითქვას, რომ ოსტინისა და სერლის კრიტიკა (იხ. გაისი, 1995; ტომასი, 1995; მეი, 2001) ძალზე ხშირად მდგომარეობს იმაში, რომ მათ თავიანთი ნაშრომების საფულელად კონტექსტიდან იზოლირებული წინადაღებები განიხილეს. მე მხარს ვუჰქირ იმ პოზიციას, რომ კონტექსტი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს გამონათქვამების ინტერპრეტაციაში და, შესაბამისად, სამეტყველო აქტების განხილვა არ უნდა იყოს განხორციელებული იზოლირებული გამონათქვამების გამოყენებით, რადგან ერთსა და იმავე სამეტყველო აქტს სხვადასხვა კონტექსტში განსხვავდებული მნიშვნელობა ენიჭება.

ამგარად, ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დაგასკვნათ, რომ პერფორმატივი შეიძლება არა მხოლოდ მოქმედებით გვარში, პირველ პირში, მხოლობით რიცხვში, არამედ ვნებით გვარში, სხვა პირში და მრავლობით რიცხვშიც იყოს მოცემული ან სულაც ერთი სიტყვით იყოს გამოხატული. ასევე აღსანიშნავია, რომ ინგლისურ სა-ქორწილო სადღესასტურებული ხშირია ისეთი პერფორმატული ზმების გამოყენება, როგორცია thank, wish, congratulate, give, propose, invite, tell. მოცემულ ნაშრომში განხილულ იქნა სერლის მიერ შემოთავზებული განსხვავება „პირველად“ და „მეორად“ სამეტყველო აქ-

ტებს შორის ქართულ მიწვევაზე უარყოფითი პასუხის მაგალითზე. ასევე საცულისხმია, რომ არსებობს ისეთი აქტები, რომელთა განხორციელება შესაძლებელია არა მხოლოდ გარკვეული სიტყვების წარმოთქმით, არამედ არავრცალურადაც, რასაც გაისი საკომუნიკაციო ქმედებებს უწოდებს და ამგვარი საკომუნიკაციო ქმედებების დასტურია სადღეგრძელოს უსიტყვოდ წარმოთქმა.

ମୋହନ ପାତ୍ର

**ଓস্টিনো, ১৯৬২** — Austin, J. How To Do Things With Words. Oxford University Press, 1962

**გაიხმა, 1995** — Geis, M.L. Speech Acts and Conversational Interaction. Cambridge University Press, 1995

**ჰიტონი, სტრეჯი, 2004—** Heaton, V., and Stretch, G, The Complete Wedding Book, Clarion, 2004

**2001** — Mey, J.L. *Pragmatics. An Introduction*. Second Edition. Blackwell, 2001

**სერლი, 1969** — Searle, J. R. *Speech Acts: An Essay in the Philosophy of Language*. Cambridge University Press, 1969

**სერლი, 1975** — Searle, J. R. Indirect Speech Acts, in Cole, P., and Morgan, J. (eds.) Syntax and Semantics, Vol. 3: Speech Acts. New York. Academic Press, 1975

**ტომასი, 1995** — Thomas, J. Meaning in Interaction: An Introduction to Pragmatics. Longman, London and New York, 1995

Digitized by srujanika@gmail.com

<http://www.englishfolly.co.uk/wedding/wedding-invitation-wording.htm>  
<http://www.youtube.com/watch?v=qWauseEELQ&future=related>  
<http://www.youtube.com/watch?v=linhW66L6Ks&feature=related>  
[http://www.youtube.com/watch?v=mPi\\_4neJCOM&feature=related](http://www.youtube.com/watch?v=mPi_4neJCOM&feature=related)

## Hospitality Etiquette in Relation to Speech Act Theory Principles

### Summary

The paper is devoted to the analysis of speech act theory principles with reference to English and Georgian hospitality etiquette. It is presented in the paper that “performatives”, as introduced by John Austin (1962), can be given not only in the first person, singular and present tense, but also in the passive voice and the use of the first person is not obligatory. This statement is supported by the examples solicited from English and Georgian wedding invitations and toasts. Attention is also paid to the role of “felicity conditions” in performing a successful speech act as well as to the locutionary, illocutionary and perlocutionary speech acts, and a group of performatives as classified by Austin. The paper shows that the examples of Austin’s group of performatives can often be found in English and Georgian wedding invitations and toasts (e.g. toast, bless, request, ask, gepatijebit, gtxovt, glotsavt, gadghegrdzelebt, etc.). At the same time, the importance of John Searle’s works (1969, 1975, 1976) in the development of speech act theory is also acknowledged. The paper also considers the notion of “communicative actions” presented by Michael Geis (1995), who states that such actions are social, as opposed to speech acts (“linguistic acts”), and many of them can be performed non-verbally. Geis’s viewpoint concerning the existence of acts that can be equally expressed non-verbally is supported in this paper on the example of the act of toasting.

ციური ახლოდინი, ნობა რუსები

### ფრანგულ საენათოი ტერმინ-ფრაზეოლოგიზმის სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი

ლათინური ლექსიკით გამდიდრებულ ფრანგულ ენაში, ლათინური ენა დღემდე დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს სამეცნიერო ტერმინებისა და ფრაზეოლოგიზმებისათვის, მათ შორის, სამედიცინო სფეროშიც. მრავალ ფრაზეოლოგიურ ერთეულს საფუძვლად უდევს ძელი (ხშირად ცრულწმენითი) წარმოდგენა სხვადასხვა ავადმყოფობაზე, მათ გაჩენასა და მკურნალობის ხერხებზე; მაგალითად, prendre (ან reprendre) du poil de la bête „უბედურებისაგან თავის დაღწევა“ (სიტყვასიტყვით: „ცხოველის ბეჭვის აღება“) — შეიცავს ძველებურ ცრულწმენას, თითქვა ზოგიერთი ცხოველის ნაქენ ჭრილობას კურნავდეს ამავე ცხოველთა ბეჭვი. ფრაზეოლოგიური ერთეული se faire de la bile „გუნების, განწყობის წახდენა“ (სიტყვასიტყვით: „ნაღვლის გამოყოფა“) — შეიცავს აზრს, რომ ნებისმიერი აღელვება და გუნების გაფუჭება იწვევს ნაღვლის გამოყოფას. ხატოვანი შედარება mention comme un arracheur de dents „უღვთოდ ცრუობა“ — მომდინარეობს იმ პერიოდიდან, როდესაც კბილის მკურნალები არწმუნებდნენ თავიანთ პაციენტებს, რომ კბილის ამოლება არ მიაყენებდათ არავითარ ტკივილს; მაგრამ რადგან მათი დაპირება არასოდეს სრულდებოდა, ამიტომაც შეიქმნა ასეთი გამონათქვამი.

ამ ჯგუფის ფრაზეოლოგიზმებს მიეკუთვნება შემდეგი გამონათქვამებიც: saigner à blanc „გაკოტრება, დედიშობილა დარჩენა“ (სიტყვასიტყვით: „სისხლისგან დაცლა“); compte d’apothicare „გადაჭარბებული ანგარიში“ (სიტყვასიტყვით: „აფთიაქარის ანგარიში“) და მრავალი სხვ.

საინტერესოა ფრაზეოლოგიურ ერთეულთა არა მარტო ეტიმო-

ლოგია, არამედ მათი სემანტიკაც, რადგან მყარი ერთეული, ისევე როგორც სიტყვა, ფლობს ნომინატიურ ფუნქციას და აზრი, რომელიც ჩადებულია მყარ შეერთებაში, წარმოადგენს კომუნიკაციის აუცილებელ ელემენტს და კვლევის მნიშვნელოვან აბიექტს; ასევე არსებითია ფრაზეოლოგიური ერთეულებისათვის სემანტიკური ნიშნები; ამიტომაც ფრაზეოლოგიური ერთეულის აღწერა, მისი საერთო მნიშვნელობის მის კომპონენტთა მნიშვნელობებთან ურთიერთკავშირის თვალსაზრისით, ტრადიციული გახდა.

ისევე როგორც სიტყვა, ფრაზეოლოგიზმიც განიცდის სხვადასხვა სემანტიკურ ტრანსფორმაციას. შეინიშნება მის კომპონენტთა სრული ან ნაწილობრივი გარდაქმნა. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კომპინენტების ახლებურად გააზრება — მათი სემანტიკური გარდაქმნის ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა.

ფრანგული ენის ფრაზეოლოგიური ფონდის გამდიდრების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს **მეტაფორიზაცია**. მაგ., *chaise de poule*, „ხორკლიანი კანი“ — აქ გამოყენებულია მეტაფორა, რადგან კანი მართლა ქათმის კია არაა, არამედ ზოგიერთი მახასიათებლით ჰგავს მას. ასეთი ტიპის მსგავსება სხვადასხვაგვარია და ზოგჯერ რთულია მათი განსაზღვრა. გადატანითი მნიშვნელობები ყველაზე ხშირად ეფუძნება:

ქცევის, მოქმედების მსგავსებას — *angine de poitrine* „გულის ანგინა“; მდგომარეობის მსგავსებას — *toux humide* „სველი ჟველა“; გარევნული ფორმის მსგავსებას — *bec de lèvre* „კურდლისტუჩა, ტუჩგაპობილობა“; ფერის მსგავსებას — *délire tremens* „თეთრი ცხელება“.

**მეტონიზაცია**, მეტაფორიზაციასთან შედარებით, სემანტიკური გარდაქმნის ნაკლებად გავრცელებული ფორმაა; მაგ. *Abrikosov tumeur* „აბრიკოსოვის სენი“ — აქ გამოყენებულია მეტონიმია, რადგან სიტყვა „აბრიკოსოვი“ თვით მეცნიერს კი არ აღნიშნავს, არამედ მის მიერ აღმოჩენილ სენს.

მეტაფორაც და მეტონიმიაც, უპირველეს ყოვლისა, მეტყველების მექანიზმებია, ნომინაციის განსაკუთრებული ტიპებია; თუმც ისინი ასრულებენ სხვა ფუნქციასაც, რომელიც მნიშვნელოვანია არა მარტო

მეტყველებისათვის, არამედ ენისათვისაც — როგორც სისტემისათვის. ისინი გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობების შესაქმნელად.

სამედიცინო დისკურსის მეტაფორიზაციის პროცესი ასახავს ადამიანის ურთიერთქმედებას გარემომცველ სამყაროსთან, მის მიერ სინამდგილის შეცნობისა და გარდაქმნის პროცესს; ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასახავს ადამიანის ადგილისა და როლის გაცნობიერების პროცესს გარემომცველ სამყაროში — თავდაპირველად ადამიანისა და სამყაროს გაიგივებას, შემდეგ ადამიანის შეცნობას ამ სამყაროს ნაწილად და ბოლოს, ადამიანისა და გარემომცველი სამყაროს დაპირისპირებას, ადამიანის მიერ სამყაროს შეგნებული გარდაქმნის შესაძლებლობას.

სამედიცინო ლექსიკონის „Terminologia medica polyglotta“ მიხედვით, გამოვლინდა 172 ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელთაგან ნაწილი წარმოადგენს კალკებს, ნაწილი — ნახევარკალკებს და ნაწილი — უთარგმნელ ნახესხობებს (ა. ნაზარიანის კლასიფიკაციის მიხედვით); კალკებია: *abcès chaud* (ლათ. *abscessus calidus*) — ცხელი აბსცესი, ჩირქეროვა; *bronchite sèche* (ლათ. *bronchitis sicca*) — მშრალი ბრონქიტი; *artère carotide* (ლათ. *arteria carotis*) — საძილე არტერია და სხვ.

ნახევარკალკებია:

*acuité visuelle* (ლათ. *visus*) — მხედველობითი სიმახვილე ; *muscle biceps* (ლათ. *biceps*) — ორთავიანი კუნთი და სხვ.

უთარგმნელი ნახესხობებია:

*délirium mussitans* (ლათ. *delirium mussitans*) — თეთრი ცხელება (ლოთისა); *cutis marmorata vascularis* (ლათ. *cutis marmorata*) — მარმარილოს კანი და სხვ.

შეინიშნება საკუთრივ ფრანგული სიტყვაშეერთებებიც : *taille de guêpe* — ვიწრო წელი, *démarche de canard* — ბაჭბაჭით სიარული და სხვ.

თანამედროვე ფრანგული ენის ფრაზეოლოგიზმები, უპირვესულად, აგებულია თავისუფალ (ცვლად) სიტყვაშეერთებათა სინტაქსური მოდელების მიხედვით; ყველაზე მეტად ხშირია შემდეგი ტიპის შეერთებები:

**არსებითი სახელი + წინდებული (de) + არტიკლიანი არსებითი სახელი : hile du foie (ლათ. porta hepatis) — ღვიძლის კარი ; არს. სახ. + წინდ. (en) + არს. სახ. : thorax en careen (ლათ. pectus carinatum) — ქათმისებრი გულმკერდი ; არს. სახ. + წინდ. (de) + უარტიკლო არს. სახ. : bain de soleil (ლათ. balneum solis) — მზის აბაზანა, coup de soleil (ლათ. heliosis insolatio) — მზის დარტყმა ; არს. სახ.+ ზედს.სახ. : tumeur blanche (ლათ. tumor albus) თეთრი (ტუბერკულიოზური) სიმსივნე.**

სამედიცინო ტერმინ-ფრაზეოლოგიზმთა სემანტიკური ფუნქციის თვალსაზრისით ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყველა მათგანი მეტაფორულია თავისი არსით :

calcul biliaire (ლათ. calculus felileus) — ნაღვლის კენჭი, შირიმი; écorce cérébrale (ლათ. cortex cerebri) – ტვინის ქერქი.

ფრანგული სამედიცინო ტერმინ-ფრაზეოლოგიზმები ხასიათდებიან სიმყარით, სინტაქსური დაუნაწევრობით, სემანტიკური მთლიანობით, კალკირებული ხასიათით, მონოსემით. ზოგიერთი სამედიცინო ტერმინი, ნომინაციის ფუნქციასთან ერთად, შემთხვებელ ფუნქციასაც ასრულებს, ანუ ფრაზეოლოგიურ ერთეულთაგან განსხვავებით, ენის ლექსიკურ მარაგსაც ავსებს როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად.

#### ლიტერატურა

**კევაუვილიე, 2008** — Quevauvilliers J. Dictionnaire médical. Paris.

**მანიე, 2009** — Maniez F. Dictionnaire médical. Paris.

**ნაზარიანი, 1976** — . . .

TSIURI AKHVLEDIANI, NONA RUKHADZE

#### Structural and Semantic Peculiarities of French Phraseological Terms

##### Summary

The Latin language remains to be the principle source for French scientific terms and phraseological units, medical terminology being one of the spheres. Part of medical phraseological terms are translation loans, another part is the result of partial loan translation. However, semantically, the main means for enriching phraseological lexis is metaphor and metonymy. The following patterns are encountered in French phraseological units: Noun + Prep. (de) + Art. +Noun; Noun +Prep. (en) +Art. Noun; Noun + Prep. (de)+Noun ; Noun+ Adj.

Medical phraseological terms enrich the French language quantitatively as well as qualitatively.

## თინათინ გელიაზოლი

## სიგლები და აპრონიშები თანამედროვე ფრანგულ ენაში.

ნეოლოგიზმების შესწავლა განსაკუთრებული ინტერესის საგანია დღევანდელ დღეს. ეს ლექსიკური ერთეულები ყველაზე, ყველა დღიური ცხოვრების ყველა სფეროში თუ სპეციფიკურ ლექსიკაში, ყველა ქვეყნაში და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც თვალშისაცემია. ბოლო ოცი წლის მთელმა რიგმა ძვრებმა, იქნება ეს პოლიტიკური, თუ სოციალური, თუ ტექნოლოგიური, განსაკუთრებით დამახასიათებელია ფრანგული ენისათვის. მოგეხსენებათ, ენა არ არის რაღაც სტატიური რამ, ეს არის ცოცხალი ორგანიზმი. ამიტომ ეს პროცესი სრულიად ბუნებრივია ყოველი ენისათვის, რომელსაც კი აქვს პრეტენზია სიცოცხლისუნარიანობაზე.

„როგორც ყოველი ცოცხალი ორგანიზმი უწყვეტად გამოიმუშავებს წითელ ბურთულაკებს, ასევე ყოველი ცოცხალი ენა ქმნის უწყვეტად, სპონტანურად ახალ სიტყვებს. ეს განსაკუთრებით ეხება ფრანგულ ენას, რომელიც ამ სფეროში შთამბეჭდავ სიცოცხლისუნარიანობას ამჟღავნებს“ [ჟაკ სელარი, მიშელ სომანი, 1979].

უნდა აღინიშნოს, რომ თვით ნეოლოგიზმის აღმნიშვნელი ახალი ნეოლოგიზმიც კი გაჩნდა 70-იანი წლების ბოლოს. ეს არის სიტყვა ნეონიმი. აა, როგორ განმარტებას იძლევა ნეოლოგიზმების ლექსიკინი: „ნეონიმი, ახალი სიტყვა. არის ტენდენცია შეცვალოს უფრო ძველი და კლასიკური, მაგრამ ცალკე მდგომი ტერმინი ნეოლოგიზმი. ნეონიმი იკავებს ადგილს ძლიერ პროდუქტიულ სერიაში: სინონიმი, ომონიმი, პატრონიმი, ტოპონიმი და ა.შ.“ თუმცა თანამედროვე ენათმეცნიერულ ლიტერატურაში მან ვერ მოიკიდა ფეხი.

როდესაც საქმე ეხება ნეოლოგიზმებს, მაშინვე გვახსენდება ანგლო-ამერიკანიზმები, და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან დღეს

ინგლისური ენა ითვლება დომინანტ ენად მთელს მსოფლიოში. (*lingua franca*). მაგალითად: *suspense, high-tech, baby-sitting, buzzer, badge, teleshopping, glamour, burn-out* და მრავალი სხვა, რომელთაც მუდმივად ვაწყდებით ყველა ტიპის ფრანგულენოვან ტექსტებში. მაშასადამე, სამართლიანადაა ატეხილი განსაკუთრებული ხმაური ინგლისურიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულების ირგვლივ. თანაც ისინი უფრო თვალშისაცემია და ყველა სფეროში გვხვდება. მაგრამ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 25-35 წლის მანძილზე გაჩნდა უამრავი ფრანგული წარმოშობის ნეოლოგიზმი ენის შიდა რესურსების საშუალებით. ასეთებია მაგალითად : ***Abribus, n.m.*** (საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომხმარებელთა მოსაცდელი ადგილი, ***Adoptabilité, n.f.*** (კანონიერ კრიტერიუმთა ერთობლიობა, რომელიც ნებას აძლევენ წყვილს აიყვანონ ბავშვი), ***Caritatif, ve, adj.*** (საქველმოქმედო. სიტყვა არ არის ახალი, მაგრამ 70-იანი წლებში მოხდა მისი რეაქტუალიზაცია), ***Cartophile, n.m. et f.*** (ღია ბარათების კოლექციონერი, შექმნილია *bibliophile*-ის მოდელზე), ***Dictionnaire, n.m. et f.*** (ლექსიკონების რედაქტორი, ამ სიტყვას ჯერ კიდევ ლიტრე ათიქსირებს. ჩანს, რომ მოხდა მისი რეაქტუალიზაცია, მაგრამ ლექსიკოგრაფი უფრო ხშირად გამოიყენება) ***Saisonnalité, n. f.*** (რაიმე ფენომენის სეზონური ხასიათი, შექმნილია მოდელზე- *nationalité - nation*) და ა.შ.

შეუძლებელია მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა. პიერ ჟილ-ბერმა თავისი „*Dictionnaire des mots nouveaux*“-ში (Hachette-Tcouediteurs, 1971) აღნუსხა 1955-1970 წლებში გაჩნილი 5 500 ნეოლოგიზმი. მას შემდგომ ეს ნაკადი არ შენელებულა. პირიქით, გაძლიერდა კიდევაც. ელექტრონიკის, ინფორმატიკის, მედიცინის არახვეულებრივი განვითარების ტემპი, სსრკ-ს დაშლა, ევროკავშირის შექმნა, საზღვრების მოშლა, გლობალიზაციის მცდელობის პროცესი თავის ძლიერ კვალს ტოვებს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ასევე ძლიერ კვალს ტოვებს ენის ლექსიკაზე და არა მარტო ლექსიკაზე.

ფრანგული ნეოლოგიზმების დიდი ნაწილი საერთაშორისო ხმარების სიტყვაა. ზოგი მათგანი ბერძნული ელემენტების დახმარებითაა შექმნილი, ზოგი კი ფრანგული წარმოშობის სიტყვებია და

მიღებულია დერივაციის გზით. ეს საერთაშორისო სიტყვებია და შეადგენს მთელი მსოფლიოს მეცნიერთა და ტექნოკრატთათვის საერთო ენას. ძირითად შემთხვევაში ასეთი ლექსიკური ერთეულების არსებობას მხოლოდ მეცნიერთათვის აქვს მნიშვნელობა.

1970 წლიდან ფრანგული ენის საერთაშორისო საბჭოო Conseil international de la langue française დაიწყო სისტემატური აღნუსვა სამეცნიერო და ტექნიკურ პუბლიკაციებში გამოჩენილი ნეოლოგიზმებისა და სულ რაღაც 9 წელიწადში დააფიქსირა 10 000 ნეოლოგიზმი. ხოლო 2008 წელს კი Délégation générale à la langue française აღნუსხა ინგლისური ენიდან (ერთი წლის ფარგლებში) ნასესხები 3 000 სიტყვა.

ნეოლოგია ეს არის ახალი ლექსიკური ერთეულების, ანუ ნეოლოგიზმების შექმნის პროცესი. მაგრამ რა არის ცნება ახალი სიტყვები? როგორ უნდა გავიგოოთ ცნება „ახალი“: რას ეხება საქმე. არსებობს სხვადასხვა რიგის კრიტერიუმები, რის მიხედვითაც დაინდება, არის თუ არა ესა თუ ის სიტყვა ნეოლოგიზმი. მაგრამ ეს საკმაოდ ძნელად გადასაჭრელი საკითხია.

არსებობს სუბიექტური და ობიექტური ნეოლოგიზმები. სუბიექტური ნეოლოგიზმებია, მაგალითად, რომელიმე მწერლის, ან შემოქმედის მიერ სუბიექტურად, მისი სტილური თავისებურებისათვის შექმნილი სიტყვა. ძირითადად ასეთი სიტყვების ხმარების არეალი ძალიან შემოზღუდულია. სუბიექტური ნეოლოგიზმების მაგალითად ბორის ვიანის რომანი „დღეების ქაფიც“ კი საკმარისი იქნებოდა: phototropisme, un tue-flique, un lance-mort, antiquaire, senechal, un biglemoni, amerlaud და ა.შ. თუმცა არსებობს შემთხვევები, როცა ისინი ინერგებიან ენაში და არა მარტო ერთ ენაში, საერთაშორისო მნიშვნელობასაც იძნენ. მაგ. პაპარაცი, გილიოტინა, სენდვიჩი, მაკინტოში და სხვა მრავალი.

ობიექტური ნეოლოგიზმების გაჩენას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთელი რიგი მიზეზები განაპირობებენ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც არ არსებობს არავითარი ობიექტური აუცილებლობა ახალი სიტყვის გამოყენებისა, ვინაიდან ენის საკუთარი ლექსიკური მარაგი გვთავაზობს ამა თუ იმ რეალის, მოვლენის, ან საგნის აღმნიშვნელ სიტყვას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სნობიზმის,

თუ სიტყვის მომხმარებლის დაუკმაყოფილებლობის მიზეზით, ხანდახან ენის ჭირვეულობის გამო, ან ენის მომხმარებლის ჭირვეულობის გამოც, რადგან ყველა ადამიანს თავისი ლექსიკა აქვს და გარკვეულ სიტყვებს ყველაზე ხშირად ხმარობს, ზოგჯერ ეს ნერვული ტიკით შეიძლება აახსნას და ა.შ., ეს ახალი სიტყვა იჩენს თავს და იკავებს ხანდახან მტკიცე ადგილს, ხანდახან ხანგრძლივი დროით, ხანდახან შედარებით ხანმოკლე დროით, ენის ლექსიკურ შემადგენლობაში. ზოგჯერ კი ის სრულიად ეფუძნება.

არსებობს ფორმით ნეოლოგიზმები და მნიშვნელობით ნეოლოგიზმები. ორივე შემთხვევაში საქმე ეხება ახალი რეალობის დენოტაციას. ტექნიკური, ტექნოლოგიური პროცესის სიახლე, ახალი კონცეფცია, ახალი რეალიები საჭიროებენ სახელდებას. ფორმით ნეოლოგიზმები ეს არის სწორედ ახალი რეალის, აქამდე არარსებულის აღმნიშვნელი სიტყვები. ხოლო მნიშვნელობით ნეოლოგიზმები, კი უკვე არსებული ნიშნისათვის იმ ახალი შინაარსის მინიჭება, რაც მას აქამდე არ ჰქონია. ეს მნიშვნელობა ან კონცეპტუალურადაა ახალი, ან სხვა ნიშნით იყო აქამდე გამოხატული. ენის შიგნით მოქმედი მრავალრიცხოვნი პროცესი იძლევა ფორმით ნეოლოგიზმების წარმოების საშუალებას. ესაა დერივაცია: პრეფიქსაცია, სუფიქსაცია (mini-jupe, vietnamiser), პარასინთეტური წარმოება (პრეფიქს-სუფიქსი), ტრონკაცია (une mini), სიგლები (une UER) Unité d'Enseignement et de Recherche), იპოსტაზი. ამის მაგალითები უზვადაა ფრანგულ ენაში. მაგალითად boire (დალევა), manger (ჭიამა) გახდა le boire, le manger (სხმა, ჭამა, არს.სახ.), déjeuner, dîner (საუზმობა, სადილობა) – le déjeuner (საუზმე), le dîner (სადილი), doux (ტკბილი), amer (მწარე) – le doux , l'amer , და ა.შ.

საფიქტურებელია, რომ უცხო ენებიდან სესხებაც ასიმილირდება ფორმით ნეოლოგიასთან. ხშირად რამდენიმე პროცესის აკუმულირება ხდება. მაგალითად პრეფიქსი და დეფისი ერთდროულად იხმარება (mini-jupe), სიგლი და სუფიქსაცია (capessien მიღებულია სიგლზე CAPES სუფიქსის დართვით. Onusien – სიგლზე ONU ასევე სუფაქსის დართვით. მნიშვნელობით ნეოლოგიზმების წარმოშობის სათავე სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნეოლოგიზმების ერთ-ერთი სახეობაა

სიგლები. გასულ საუკუნეებში სიგლები უკვე არსებობდა, მაგრამ მათ ძალიან იშვიათად გამოიყენებდნენ. ანტიკურ რომში მათ იყენებდნენ ფუნქციონერთა სხვადასხვა თანამდებობების აღსანიშნავად. ისინი გვხვდება ამ ეპოქის სამხედრო დანიშნულების აბრებზე, საფლავების წარწერებზე, ფულის მონეტებზე. ზოგიერთი სიგლი გვხვდება ეპიგრაფებში ან ნუმიზმატიკაში. SPQR (Senatus Populusque Romanus. რომის სენატი და ხალხი), OM (Optimus Maximus. ძალიან კარგი და ძალიან დიდი) DD (Dat Dedicat. ჩუქნის და უძღვნის), DM (Dii Manibusque. ღმერთებსა და გარდაცვალებულთა სულებს). რომაული ეპიგრაფიული სტილი სრულიად ბუნებრივად გადავიდა პალეო-ქრისტიანულ წარწერებში, იმ ცვლილებებითურთ, რასაც მოითხოვდა ახალი თეოლოგია. უძველეს ქრისტიანულ სიგლთა შორისაა: DOM (Deo Optimo Maximo. სახიერ და უმაღლეს ღმერთს), OPN (Ora Pro nobis. ილოცეთ ჩენოვის), RIP (Requiescat in Pace. დაე, მშვიდობით განისვენოს). ჰუმანისტურმა რენესანსმა და ქრისტიანულ ძირებთან დაბრუნებამ მე-16, მე-17 საუკუნეებში გამოიწვია რომაული და ქრისტიანული წარწერების მიბაძვა. იმ ეკლესიების ფრონტონებზე, რომლებიც კარდინალის ან პაიონცის მიერ იყო აშენებული, გაჩნდა წარწერები DOM, DD (donat dedicat). ჭვარცმებზე გაჩნდა სიგლი titulus (INRI –Jesus Nazareus Rex Iudeorum- იესო ქრისტე იუდევლთა მეფე); ქრისტეს აღსანიშნავად გაჩნდა IHS (Jesus Homnium Salvator. იესო, ჩენი მხსნელი). ამას პოპულარიაზაციას უწევდნენ კარმელიტები და იეზუიტები. პაპს აღნიშნავდნენ რომაული სიგლით PONT. MAX (Pontifex maximus. უმაღლესი ქურუმი). ინიციალებს იყენებდნენ იმ წმინდანთა სახელების მოხსენიებისათვის, რომელთა სახელობისაც იყო ეს ეკლესიები. მაგალითად SG – Sainte Genevieve წმინდა უენევიევა (Sancta Genova). SL – Saint Louis, წმინდა ლუი. იქმნება სიგლები ღვთისშობლის მოსახსენიებლად SM (Sancta Maria), BMV (Beata Maria Virgo. ნეტარი ქალწული მარიამი). ასეა თუ ისე, როგორც ქრისტიანულმა ტრადიციებმა, ასევე ანტიკური რომის ტრადიციებმა მისცეს დასაბამი სიგლების თითქმის „იეროგლიფურ“ გამოყენებას. ასეთია მოკლე ისტორია სიგლების წარმოშობისა.

ყველაზე დიდი მოზღვავება სიგლებისა იწყება მე-20 საუკუნეში, კერძოდ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ. მე-19-მე-20 საუკუნეების

მიწნაზე უკვე ზოგიერთი პოლიტიკური თუ პროფესიული ორგანიზაციების სახელწოდებები მოიხსენიება სიგლებით (SFIO, CGT).

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოზღვავება იწყება 1920-1930-იანი წლებიდან. დღემდე ეს პროცესი არათუ იკლებს, არამედ ძლიერდება. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ზოგადად ნეოლიტიზმების სიუხვე დღევანდელ დღეს. ასევე საქმე სიგლებთან დაკავშირებითაც. ისინი გვხვდება ყველა სფეროში აღმინისტრაციულ, პოლიტიკურ ცხოვრებაში, საერთაშორისო ურთიერთობებში, კულტურის სფეროში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, ეკონომიკურ და ფინანსურ სფეროებში.

სიგლი ეს არის სიტყვათა პირველსაწყისი ასოებით შედგენილი სიტყვა, რომელიც გამოიყენება აბერეგიაციისათვის. დღეს, როდესაც ასე აჩქარებულია ტემბი, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ყველა ენაში და მათ შორის ფრანგულშიც, ეკონომიურობის თვალსაზრისით სიტყვის რაც შეიძლება სწრაფად წარმოთქმას. ამ თვალსაზრისით. ძალიან მნიშვნელოვანია სიგლებისა და აკრონიმების არსებობა.

თუ სიგლი წარმოითქმის როგორც ჩვეულებრივი სიტყვა მაგ. UNESCO, მაშინ ეს არის აკრონიმი. სხვა შემთხვევაში თითოეული ასო ამ სიტყვისა წარმოითქმის მისი ანბანური სახელწოდებით, დამარცვლით და მაშინ ეს სიტყვა არის სიგლი. მაგალითად SNCF [es, en, se, ef]. ამ შემთხვევაში ასოები ერთმანეთისაგან გამოყოფილია წერტილებით, აკრონიმების შემთხვევაში კი არა. თუმცა თანმედროვე ტენდენციაა, სიგლებშიც აღარ ვიმართო წერტილები.

ზოგიერთი ფართოდ გავრცელებული სიგლები თავის მხრივ იძლევიან დერივანტებს. მაგალითად cégétiste ( membre de CGT. CGT-ს ეს წევრი), cégepien (personne poursuivant des études dans CEGEP, ou CEGEP. ის ვინც სწავლობს CEGEP-ში), érémiste bénéficiant du RMI , ვინც იღებს RMI -ის დახმარებას ).

ზოგიერთი სიგლი იწერება ისე, როგორც წარმოითქმის და ამდენად ხდება საზოგადო არსებითი სახელი. ასეთ შემთხვევაში ის იღებს სქესისა და რიცხვის ნიშანს. მაგ. une bédé, des bédés (კომიქსი, კომიქსბი), un cédérom, des cédéroms (სიდი, სიდები), un pédégeé une pédégeée, des pédéges (პრეზიდენტი-გენერალური დირექტორი, პრეზიდენტები-გენერალური დირექტორები). საზოგადოდ ფრანგულ ენაში სიგლები უცვლელია და არ იღებენ მრავლობითი რიცხვის

ნიშანს. (განსახვავებით ანგლო-საქსონური ხმარებისაგან) მაგ. Des BD, des CD, des HLM .OTAN-ი წარმოითქმის როგორც ჩვეულებრივი სიტყვა და ამიტომ ის აკრონიმია, ხოლო H.L.M კი არის ნამდვილი სიგლი. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ დროს ტიპოგრაფიას. სწორედ ტიპოგრაფიული თავისებურებების გამო სიგლები და აკრონიმები ადვილი შესამჩნევია წერილობით ტექსტებში. ოღონდ, აუცილებელია სიგლების წარმოთქმისას გარკვეული წესების დაცვა. თუმცა ზეპირმეტყველებაშიც განდა ტენდენცია, ისინი წაკითხულ იქნას როგორც აკრონიმები, ისევ და ისევ ეკონომიურობისა და გამარტივების მიზნით. ფრანგულ ენაში სხვა ენებიდან შემოსული ზოგიერთი სიგლი, მათი ფართოდ გავრცელების გამო, არ განიცდის არანაირ ცვლილებას და რჩება ზუსტად ისეთი როგორიცაა წყარო ენაში. ასეთ დროს, ზოგჯერ, არასპეციალისტმა ფრანკოფონებმა არც კი იციან ხოლმე მისი თითოეული შემადგენელი სიტყვის მნიშვნელობა. ძირითადად ეს ეხება ინგლისური ენიდან შემოსულ სიტყვებს. მაგალითად MSN, SMS, IP, PC. ხანდახან წარმოთქმაც კი ინგლისურია შენარჩუნებული. ასეთებია FBI, MTV, BBC, VIP,. (ეს ორი უკანასკნელი ხანდახან ფრანგული დამარცვლით იკითხება). (ფეხბერ, ემტივი, ბიბისი, ვიპ.)

ხშირია შემთხვევა, როდესაც სიგლის ან აკრონიმის ერთ-ერთი შემოკლებულ სიტყვათაგანი განმეორებულია სიგლის ბუნების დასახასიათებლად. ამ დროს ეს უკანასკნელი გამოყენებულია როგორც აღნიშნული ობიექტის ან ცნების სახელშოდება. მოვლენა ძირითადად გვხვდება ინგლისურენოვან ქვეყნებში და მას ეწოდება RAS syndrom, syndrome SAR. SAR თავისთავად ნიშნავს „syndrome de l' acronyme redondant“ (იკრონიმის სიჭარბის სინდრომი) მაგალითად:

Le protocole IP წარმოითქმის hippé (Inernet Protocole - ინტერნეტ პროტოკოლი) ანუ ინტერნეტის ტიპის პროტოკოლი).

Le virus VIH წარმოითქმის „véhichâche“ (Human Immunodeficiency virus) ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი.

Le format PDF წარმოითქმის „Pédéeffe“ (პორტატული კომპიუტერის დოკუმენტის ფორმატი).

Un écran LCD წარმოითქმის „elcéde“ (Liquid Crsital Display). პლაზმური ეკრანი)

PCF წარმოითქმის „pécéef“ საფრანგეთის კომუნისტური პარტია).

ფრანგულ ენაში არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მეტნაკლებად ცნობილ პიროვნებათა სახელებისაგან შექმნილია სიგლები და აკრონიმები. თუმცა ასეთ შემთხვევაში საქმე ეხება უფრო ინიციალებს, ალბათ, ვიდრე სიგლებს. ზოგიერთმა ავტორმა ამგვარად შექმნა თავისი ფსევდონიმი. მაგალითად Hergé (R.G.-ს დერივანტი ფსევდონიმია ურბუ რემისა., BB - Brigitte Bardot, ბრიჯიტ ბარდო, BHL - Bernard Henri Levy, ბერნარ ანრი ლევი, DSK - Dominique Strauss-Kahn, დომინიკ სტრაუს-კანი, MAM - Michele Alliot Marie, მიშელ ალიო მარი. არის მხოლოდ სახელების ინიციალებიც: JB - ჟან ბატისტი, JC- ჟან- კლოდი, ან ჟან-შარლი ან ჟან-კრისტოფი, JF - ჟან-ფრანსუა და ა.შ. ამგვარადაა მიღებული არა მხოლოდ ადამიანთა სახელები. მაგ. PACA - Provence Alpes Côtes d'Azur. საფრანგეთის ერთ-ერთი რეგიონის სახელწოდება, ACF - action contre la faim- აქცია შიმშილის წინააღმდეგ, BENELUX — ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი. თვით სიტყვა acronymes-იც აკრონიმია, მიღებულია ბერძნულიდან akroc („უკიდურეს ბოლოში“) და onoma («სახელი»). დიდია მისი მსგავსება სიგლებთან. ეს არის სიტყვათა ჯგუფის შემოკლებით (აბრევიაციით) შექმნილი, ერთი ან რამდენიმე სიტყვის პირველ ასოთაგან შექმნილი სიტყვა. შედეგად მიღებული სიტყვა სახელად აკრონიმი წარმოითქმის როგორც ერთი ჩვეულებრივი სიტყვა. როდესაც აკრონიმის ხმარება იმდენად ხშირია, რომ ის განზოგადდება, მაშინ ლაპარაკია მის ლექსიკალიზაციაზე, ის არაფრით აღარ გამოირჩევა ჩვეულებრივი სიტყვისაგან და არ არის თავის პირველსაწყის მნიშვნელობასთან მიჯაჭვული. ზოგადი წესის მიხედვით აკრონიმი იწერება ან, როგორც საზოგადო არსებითი სახელი, ის ქცეულია ლექსიკურ ერთეულად და აღარ იწერება დიდი ასოებით. მაგალითად lazer (ლაზერი), ovni (უცხოპლანეტელი), radar (რადარი), sida (შიდისი), pacs (სოლიდარობის სამოქალაქო პაქტი), ან როგორც საკუთარი არსებითი სახელი. მაშინ მხოლოდ პირველი ასო იწერება დიდი ასოთი. მაგალითად, Nasa (ნასა), Otan (ნატო), Unesco (იუნესკო). მორის გრევისის „Le bon usage“-ის მიხედვით, ეს ხშირია, მაგრამ არამც და არამც არ უნდა ჩავთვალოთ მათი დაწერის

უტყუარ წესად. ზოგიერთი დაწესებულება სახელშოდებად იღებს გამოგონილ აკრონიმებს, რომლებიც ლამაზად „ულერენ“. ეს არის რეტროაკრონიმების განსაკუთრებული შემთხვევები. ყველაზე ცნობილი ამ რეტროაკრონიმთაგან არის ნეილონი — NYLON, რაც ნიშნავს Now You Loose Old Nippon. ასე უდრის ინგლისურად, ხოლო ფრანგულად ნიშნავს — Maintenant vous allez perdre vieux Nippons.(ახლა კი დამარცხდებით ბებერო იაპონელებო). ნეილონი არის ქიმიური ტექსტილური ბოჭკო შექმნილი ამერიკული ფირმის Du pont de Nemours-ის მიერ 1938 წელს. ეს საფირმო სახელშოდება გახდა საზოგადო არსებითი სახელი და მას გამოიყენებს მთელი მსოფლიო. თვით სიტყვის შინაარსი კი ნათელს ჰყვენს მის ისტორიას, ყოველ შემთხვევაში ასე ჰყვებიან, რომ ამ ახალი ბოჭკოს გამომგონებლები დარწმუნებულები იყვნენ, რომ იყი დიდ კონკურენციას გაუწევდა იაპონურ ბუნებრივ აბრეშუმს.

აკრონიმები მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებენ მრავლობითი რიცხვის ნიშანს, როდესაც ხდება მათი ლექსიკალიზაცია და ისინი ხდებიან საზოგადო არსებითი სახელები: des radars, des lasers. ასეთ შემთხვევაში ისინი თავის მხრივ ქმნიან დერივანტებს როგორიცაა smicard და onusien.

აკრონიმები, მას შემდეგ რაც განიცდიან ლექსიკალიზაციას, ქმნიან ახალ ერთეულებს, ტერმინებს სუფიქსებისა და პრეფიქსების დამატებით, დერივაციის გზით მაგ. cégétiste. ყოველივე ზემოთ თქმულთან ერთად არ შეიძლება, არ შევხეოთ აკრონიმთა ისეთ შემთხვევას, როგორიცაა რეტროაკრონიმია. რეტროაკრონიმია ეს არის ის შემთხვევა, როდესაც სიტყვა, რომელიც თავდაპირველად არ იყო აკრონიმი, განხილულია აკრონიმად, ან ეძღვევა ახალი მნიშვნელობა უკვე არსებულ აკრონიმს. მაგალითად ლოთარინგიის ქალაქი ნანსი ცნობილია თავისი სტანისლასის (Stanislas) სახელობის მოედნით. აქედან მიღებულია აკრონიმი STAN, რაც არის სახელშოდება სატრანსპორტო ქსელისა და STAN ამ შემთხვევაში ნიშნავს Société de transport de l'agglomération nancéienne. SOS ყველასათვის ცნობილი კატასტროფის მაუწყებელი ნიშანი აღებულია მორჩეს ანბანიდან, ვინაიდან ადვილი შესაცნობია. მოგვიანებით გაჩნდა მისი რამდენიმე ინტერაქტაცია, მაგალითად, Save Our Souls (sauvez nos âmes — გადაარ-

ჩინეთ ჩვენი სულები) ან Save Our Ship (გადაარჩინეთ ჩვენი გემი). ეს ძალიან გავრცელებული პრაქტიკა სხვადასხვა სფეროში: მედიცინაში ან სხვადასხვა ეპროპულ პროექტებში. მაგალითად: Concessus: Cooperative North Scandinavian Enalapril Survival Study.უამრავი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლებოდა. მათგან ყველაზე გავრცელებული ფორმულაა ჰაბსურგების დევიზი: A.E.I.O.U. (Ausratiae Est Imperare Orbi Universo — სამყაროს მბრძანებლობა ავსტრიას ეკუთვნის.

ასევეა საქმე მუსიკალური ჟარის აღმიშვნელ აკრონიმთან RAP. იგი ინგლისური წარმოშობისაა (a rap) და ნიშნავს ყრუ დარტყმას. მასაც აქვს სხვადასხვა ინტრაქტაცია, როგორიცაა: მაგ. Rythm And Poetry, ან Rock Against Police.

1849 წელს იტალიელი კომპოზიტორის ჯუზეპე ვერდის სახელი გახდა იტალიელ პატრიოტთა დაჯგუფების სახელშოდება „VIVAVERDI“. ძალიან საინტერესოა მისი ინტერაქტაცია. ეს სახელშოდება ნიშავდა „Viva Vittorion Emmanuele Re D'Italia“ — გაუმარჯოს იტალიის მეფე ვიქტორ-ემანუელეს. ეს ცოტაოდენ გასაკვირიც კი იყო, ვინაიდან, მიუხედავად მისა, რომ ვერდი პატრიოტი იყო, ის საზრდოობდა რესპუბლიკური იდეებით და არავითარი საერთო არ ჰქონდა ამ რეტროაკრონიმთან.

მაშ რეტროაკრონიმი ეს არის ახალი სიტყვა ან გამოთქმა, რომლითაც აღინიშნება ქველი საგანი, მოვლენა ან კონცეფცია, რომლის თავდაპირველი სახელშოდება სხვა საგნის აღმიშვნელი გახდა, ან ის აღარ არის ერთადერთი. რეტროაკრონიმების შექმნა ძირითადად ტექნოლოგიური პროგრესის შედეგია.

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

1) ზოგიერთი ერთეული ერთი და იმავე დროს სიგლიცაა და აკრონიმიც. მაგალითად

PACA — მდედრობითი სქესის ეს არსებითი სახელი რიცხვში უცვლელია და ერთი და იმავე დროს სიგლიცაა და აკრონიმიც. Provence-Alpes-Côtes d'Azur .

PAF — მამრობითი სქესის საკუთარი არსებითი სახელი სიგლია და ნიშნავს საფრანგეთის აუდიოვიზუალური პეიზაჟს — Paysage Audiovisuel Français, ხოლო როგორც აკრონიმი იგი ნიშნავს —

დანახარჯების გაზიარებას — participations aux frais.

RIP – მამრობითი სქესისაა, უცვლელი სიტყვაა, სიგლიცაა და აკრონიმიც. ლათინური ფორმულაა Resquiescat in pace. — დაე, განისვენოს მშვიდად. ეს წარწერა ხშირად გვხვდება ქრისტიანულ სამარხებში. მას გააჩნია ვარიანტი R.I.P. ასეთ შემთხვევაში ის მხოლოდ სიგლია და აქვს სამი სხვადასხვა მნიშვნელობა : 1) relevé d'identité postale. (საფოსტო ამონარიდი) 2) reconnu du ministère pédagogique. (აღიარებული პედაგოგური სამინისტროს მიერ) 3) régime interprofessionnel de prévoyance. (წინასწარი ინტერპროფესიონალური რეჟიმი)

SCOT – მამრობითი სქესის, უცვლელი. სიგლიცაა და აკრონიმიც. მიღებულია Schéma de conférence territoriale . წარმოადგენს სპეციალურ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ურბანისტული მოწყობის ორიენტაციებს.

URL – სიგლიცაა და აკრონიმიც. როდესაც წარმოითქმის [y er el] სიგლია, ხოლო, როდესაც აკრონიმია, წარმოითქმის [yrl]. მიღებულია ინგლისურიდან uniform resource locator. ეს სიგლი გაჩნდა ინტერნეტთან ერთად 1989 წელს. არის მამრობითი სქესისაც და მდედრობითი სქესისაც, რიცხვითი უცვლელია. უფრო ხშირად გვხვდება მდედრობით სქესში, თუმცა სქესი საბოლოოდ დადგენილი ჭერ არ არის. არსებობს ენათმეციერთა მიერ შემოთავაზებული შესაბმისი ფრანგული ტერმინები adresse réticulaire ან adresse universelle, (უნივერსალური მისამართი), მაგრამ მათ ჯერჯერობით ვერ მოიკიდეს ფეხი ფრანგულ ენაში.

2) როგორც ნეოლოგიზმების სხვა შემთხვევებში, აქაც ყველაზე უხადაა ინგლისური ენიდან შემოსული სიგლები და აკრონიმები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმრავლეს შემთხვევაში ამ სიტყვათა მომხმარებლებმა არც კი იციან მათი ცალკეული შემადგენლების მნიშვნელობა.

ASCIL – მამრობითი სქესის აკრონიმი, მიღებულია American Standard Code for information Interchange — ეს არის ინფორმაციათა გაცვლის ამერიკული სტანდარტის კოდი.

CD-ROM – მამრობითი სქესის სიტყვაა, ნასესხებია ინგლისური ენიდან Compact disc read only memory. (disque compact en lecture seule

ერთჯერადი წაკითხვის კომპაქტური დისკი)..

FIFO – ინგლისურიდან ნასესხები აკრონიმია. მიღებულია First in First Out-დან, ფრანგულად ნიშნავს premier entré, premier sorti .

MAC – მდედრობითი სქესის ინგლისური ენიდან ნასესხები აკრონიმია. მრავლობითი რიცხვის ნიშანს არ იჩენს. იხმარება მედიაში « access control adress », რაც ნიშნავს – adresse de contrôle d'accès au media .

MIDI – ინგლისური ენიდან ნასესხები აკრონიმია. მდედრობითი სქესის, მრავლობითი რიცხვის ნიშანს არ დაირთავს. იხმარება მუსიკისა და ელექტრონნიკის სფეროში. ნიშნავს «Protocole de communication et de commande permettant l'échange de données entre instruments de musique électroniques, un ou plusieurs de ces instruments pouvant être des ordinateurs. »

OLED – აკრონიმიცაა და სიგლიც. ნასესხებია ინგლისურიდან. საკუთარი არსებითი სახელია. მდედრობითი სქესის, იხმარება ელექტრონიკაში და ნიშნავს „Diode électroluminescente organique“. მისი ფრანგული ეკვივალენტი DELO თითქმის არასდროს არ იხმარება.

OSI – ინგლისურიდან ნასესხები აკრონიმია “Open Systems Interconnection.” ინფორმატიკის ტერმინია. წარმოითქმის [ozi] და ნიშნავს Modèle de référence en ce qui concerne les réseaux .

3) ზოგიერთი აკრონიმი თვითონ აძლევს დასაბამს დერივანტებს. მაგალითად: PACS - Pacte civil de solidarité. სოლიდარობის სამქალაქო პაქტი მისი დერივანტებია: pacsgage, pacse.

radar – მამრობითი სქესის აკრონიმია. წარმოიქმნა 1943 წელს. თავდაპირველად იყო RADAR – “Radio Detection And Ranging (Détection et télémétrie par radioactivité”). გვაძლევს დერივანტებს antiradar, gayradar, lidar, radarastronomie, radariste.

SIDA ან sida – მამრობითი სქესის აკრონიმია, რიცხვის ნიშანს არ დაირთავს. იხმარება მედიცინაში. (შიდსი). Syndrome humain caractéristique d'une ou de plusieurs maladies relevant d'un déficit immunitaire de l'organisme. მაგალითად « Je connais quelqu'un qui a le sida ». გვაძლევს დერივანტებს : antisida, sidaique (pej), sidaphobe, sidaphobie, sidastrose, sidateux, sidatique, sidatorium, sidéen, sideux, sidien (მოძველებული ფორმაა).

AMAP-ის დერივანტია amapien. MIDI – ამ აკრონიმის დერივანტია midmet. ONU – საკუთარი სახელის აღმნიშვნელი აკრონიმი, რაც ნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, Organisation des Nations Unies. მისი დერივანტებია APRONUC, FORPRONU, GONUL, ONUC, MONUC, ONUST, onusien და ა.შ.

Aabc — მამრობითი სქესის უცვლელი სიგლია. ნიშნავს petit livret contenant l'alphabet et la combinaison des lettres pour enseigner à lire (პატარა წიგნაკა, რომელიც შეიცავს ანბანსა და ასოთა კომბინაციას წერა-კითხვის სასწავლად). გადატანით მნიშვნელობით კი «principes élémentaires, commencement d'un art, d'une science» (ელემენტარული პრინციპები, ხელოვნების ან მეცნიერების დასტყისი).

მაგალითად «Il ignore l'abc du métier» (პროფესიის ელემენტარული პრინციპები არ იცის)

«Ce n'est là qu'un abc des mathématiques» (ეს ხომ მათემატიკის ანბანია), ხოლო მისი დერივანტია abécédaire (ანბანური). ზოგიერთი სიგლი და დერივანტი წარმოადგენს საკუთარ არსებით სახელებს. მაგალითად ASSEDIC – მდედრობითი სქესის არსებითი სახელია – association pour l'emploi. სფერო – ინდუსტრია და კომერცია. Benelux – საკუთარი სახელია. მიღებულია ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგის პირველი მარცვლებით. წარმოადგენს ამ ქვეყნების საბაჟო სისტემას. აღსანიშნავია, რომ აბრევიაციის ეს შემთხვევა, როდესაც სიტყვა მიღებულია არა პირველი ასოებით, არამედ სიტყვათა პირველი მარცვლების საშუალებით, განსაკუთრებული შემთხვევა. ეს უმეტესად გზგდება გერმანულ და სლავურ ენებში, ასეთებია მაგალითად GESTAPO და SOVNARKOM. ONU – საკუთარი არსებითი სახელებია. სიგლი AIT მამრობითი სქესის საკუთარი არსებითი სახელია და ნიშნავს Association Internationale des Travailleurs (შრომელთა საერთაშორისო ასოციაცია). თუმცა მედიცინაში ეს სიგლი საზოგადო არსებითი სახელია და ნიშნავს Accident Ischémique Transitoire . ასევე საკუთარი სახელია სიგლი AITA. წარმოითქმის [a i t e a] და ნიშნავს Association Internationale du Transport Aérien. გვაძლევს დერივანტს code AITA. AMF – საკუთარი არსებითი სახელია, მდედრობითი სქესის და ნიშნავს «Autorité des Marchés Financiers». ეს არის დაწესებულება, რომელსაც ევალება საფრანგეთში საფინანსო

ბაზრების ზედამხედველობა და რეგლამენტების დაწესება. სიგლი ATP გვაძლევს ორ მდედრობითი სქესის არსებით სახელს. ერთი საკუთარი არსებითი სახელია და ნიშნავს «Association des tennismen Professionnels» (პროფესიონალ ჩიგბურთელთა ასოციაცია), ხოლო მეორე საზოგადო არსებითი სახელია და ნიშნავს « adenosine triphosphate » (სამფოსფატოვანი ადენონინი). უფრო მეტი რაოდენობისაა საზოგადო არსებითი სახელები და სიტყვათშეთანხმებები. მაგალითად სიგლი-AVC- Accident vasculaire cérébral (ცერებრალური სისხლძარღვივანი შემთხვევა) სამედიცინო ტერმინია.

«Maîtriser ces facteurs, c'est réduire à la fois les risques d'AVC et les risques de récidive»

სიგლი BAU [b e a y] მდედრობითი სქესის საზოგადო არსებითი სახელია. გამოიყენება მხოლოდ წერილობით ტქმსტებში. ზეპირმეტყველებაში თითქმის არ იხმარება. ზეპირმეტყველებაში მას წარმოთქმენ მთლიანად «bande d'arrêt d'urgence».

ARN - საზოგადო არსებითი სახელია. გაჩნდა დაახლოებით 1960 წელს . ბიოქიმიური ტერმინია და აღინიშნავს Acide ribonucléique. ბიოქიმიასა და მედიცინაში გვხვდება მამრობთი სქესის სიგლი AZT – azidothymidine. ეს მედიკამენტი გამოიყენება შიდსის მჯურნალობისას. DAS – მამრობითი სქესის საზოგადო არსებითი სახელია, ნიშნავს Debit d'absorption spécifique . ხოლო მდედრობითი სქესის არსებითი სახელი კი აღნიშნავს Délégation aux affaires stratégiques.

C.R.S – მდედრობითი სქესის უცვლელი საზოგადო არსებითი სახელია Compagnies Républicaines de sécurité. ეს არის საზოგადოებრივი წერიგისა და უსაფრთხოების დაცვის მობილური ძალოვანი სტრუქტურა.

4) აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სიგლსა და აკრონიმს გააჩნია ორთოგრაფიული ვარიანტები. მაგალითად c.q.f.d. – ce qu'il fallait démontrer . მისი ორთოგრაფიული ვარიანტებია CQFD an C.Q.F.D. c'est-à – dire - მისი ორთოგრაფიული ვარიანტებია c- à -d, c.a.d. Assédic – მისი ორთოგრაფიული ვარიანტია ASSEDIC. CD-ROM- ს აქვს სხვადასხვა ორთოგრაფიული ვარიანტები, ესენია cd-rom, cédérom, cédérome .faf – აკრონიმი არსებობს 1968 წლიდან, ნიშნავს «France aux français » ფრანგი მემარჯვენების სლოვანი. მაგ. La rumeur

court que les fafs vont attaquer Nanterre . ორთოვრაფიული ვარიანტებია faffe, fafe.

ამგვარად, ჩვენ მიერ აქ განხილული აბრევიაციები: სიგლები და აკრონიმები წარმოადგენენ უმცირეს ნაწილს დღევანდელი ფრანგული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში არსებული შემთხვევებისა. მათი რაოდენობა იმდენად დიდია, რომ უორჯ იმელფარბი, ავტორი ლექსიკონისა «Sigles et acronymes» შიშობს, რომ მალე ჩვენ ვილაპარაკებთ ჰერბერტ ჭორჭ უელსის, ალდუს ჰაქსლისა და ჭორჭ უელსის მიერ აღწერილი სამყაროს ენით, აკრონიმებითა და გაუგებარი ლუდლულით. ამის დემონსტრირებისათვის მას თავისი ლექსიკონის შესვალ ნაწილში წამძღვარებული აქვს აკრონიმებითა და სიგლებით საგუე იუმორისტული ტექსტი, რომლის მცირე ნაწყვეტსაც ჩვენ გთავაზობთ.

« Le jour est-il proche où l'on déjeunera d'une TDB (tartine de beurre) et d'un DCCBB (double café-crème bien blanc) à moins de préférer un SJP (sandwich jambon de pays) accompagné d'un DPSFC (demi-pression sans faux-col) » (შორს ხომ არ არის ის დღე, როდესაც ვისაუზმებთ TDB-თი (კარაქიანი პურით) da DCCBB-თი (ორმაგი ძალით თეთრი რძიანი ყავა) იმ შემთხვევაში, თუ არ გვირჩევნა SJP (ლორიანი სენდვიჩი) და DPSFC (ნახევრად დაპრესილი ყავა)

ძნელია წინასწარ რამე გრძელვადიანი პრონოზების გაკეთება. ასეა თუ ისე, დღესდღეობით ისინი ისეთ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ფრანგულ და არა მარტო ფრანგულ ენაში. რომ ეს მოვლენა ნამდვილად იმსახურებს იყოს კვლევის საგანი.

#### ლიტერატურა

**სელარი, სომანი, 1979** — Jacques Cellard et Micheline Sommant, 500 mots définis et expliqués. Editions Duculot.

Paris Gembloux. 1979.

**იმელფარბი, 2022** — Georges Himelfarb , Sigles et acronymes .c Editions Belin. 2002.

René Budin , Ces êtres étranges. c Lacour-Editeur-MML.

[www.tv5.fr](http://www.tv5.fr) 26.03.2010. durée1,58. Découvrir les entretiens avec les lexicologues.

Alain Ray – Conseiller éditorial des Editions Le Robert.

Le Nouveau Petit Robert 2008.

Roland Eluerd , La lexicologie. C Presses Universitaires de France.

Pruvost J. et Sablayroles J.F. Les neologismes. Paris.Presses Universitaires de France 2003.

#### TINATIN BELIAHSHVILI

#### “Sigles” and Acronyms in Current French

##### Summary

As is known, neologisms are encountered in any living language. However, for the last decades drastic changes taking place in every sphere of man's activity (political, social, economic, technological) have increased the number of neologisms in different languages, French being no exception. The paper deals with certain types of neologism: the so-called “sigles” and acronyms. The analysis has revealed the following:

1. One and the same unit can be a sigle and an acronym at the same time.
2. Vast majority of sigles and acronyms are borrowings from English; quite often they retain their pronunciation.
3. Some acronyms and sigles are used as derivational bases.
4. Some of the lexical units in question have orthographic variants.

მარა გენის

აგელისა და კავნის ბიბლიური მითის სიმბოლიგა  
მ. ტურნის როგანში „ტყის მეფე“

ლიტერატურული ტექსტის ჰერმენევტიკული კვლევის დროს მნიშვნელოვანი როლი მის ნარატიულ სტრუქტურაში მოტივთა ანუ „პატერნების“ («pattern») გამოყოფას და ინტერპრეტაციას ენიჭება. როგორც ფ. რასტიე აღნიშნავს, ლიტერატურული ტექსტი არას-დროს ვითარდება სხვა ტექსტებისგან დამოუკიდებლად (რასტიე, 1997). ბიბლიური, მითოლოგიური, ფილოსოფიური თუ სხვა სახის მოტივები მუდმივად „მოგზაურობენ“ დროში და მათი ურთიერთგადაკვთა, „შეჯახება“ კონკრეტულ სოციო-კულტურულ კონტექსტში ყოველთვის ქმნის ახალ ტექსტუალურ სამყაროს. ამგვარი მოტივები შეიცავს როგორც ცვალებად ელემენტს, ასევე უცვლელ „სემანტიკურ ბირთვს“. ის მუდმივ მოძრაობაშია და მის ამ თვისებას უკავშირდება სწორედ ლ. სტეინბერგის „მოხეტიალე“ მოტივთა თეორია («migrating motifs»). თავად ტერმინი „მოტივი“ XIX საუკუნეში ჩნდება და ეს არის ერთგვარი რთული ტექსტუალური (მაკროსემანტიკური) სტრუქტურა, რომელიც შეიცავს როგორც თემატურ, ასევე დიალექტურ და დიალოგურ ელემენტებს. მისი მთავარი მახასიათებელი კი ერთი ვერბალური თუ არავერბალური სისტემიდან მეორეში გადასვლაა, რასაც თან ახლად ცვლილებები როგორც გამოხატვის (ფორმის), ასევე შინაარსის პლანში და რასაც უკავშირება ახალი სიმბოლიკის ჩამოყალიბება (სტეინბერგი, 1979).

ჩვენს კალევას საფუძვლად დავუდეთ რა უ ჟ. ჟენეტის ტრანსტექტუალობის თეორია, კალევის მიზანად დავისახეთ გვერცენებინა, თუ როგორ ვითარდება „კანისა და აბელის“ ბიბლიური მითის ეს „ინტერტექსტუალური მოგზაურობა“ მ. ტურნიეს ორმანში „ტყის მეფე“ და თუ რა საშუალებებით ქმნის მ. ტურნიე აბელის პერსონაჟის სრულიად ახალ, ინვერტირებულ სახეს; გაგვეანალიზებინა ტექსტში ბიბლიურ-მითოლოგიური ხასიათის რეფერენციები, ალუზიები, მოტი-

კები, რაც ქმნის ომანის დიალოგურ (პოლიფონიურ) ხასიათს. მ. ტურჩინიეს შემოქმედებაც ეს არის სხვადასხვა ბიბლიური, მითოლოგიურ მოტივებს შორის არსებული მუდმივი დიალოგის შედეგი. ტრადიციული ბაბლიური სიუჟეტების, თემატური პრიორტიებისა თუ არქეტიპულ სტრუქტურათა სრული ტრანსფორმაციის შედეგად, ტურჩი ქმნის ტრადიციული მითის სრულიად ახალ სემანტიკურ სტრუქტურას, ახდენს რა მის სრულ ინვერტირებას.

თავად ტერმინი ბიბლიური მითი ჟ. დურანისა და კ. ლევი სტრონისა თეორიათა საფუძველზე დამკვიდრდა როგორც ბიბლიური ტექსტების ანალიზის დროს ყველაზე ფართოდ გამოყენებული ტერმინი და თავად მ. ტურნიც ბიბლიური მითს უწოდეს მის მიერ გადამუშავებულ მითოლოგიურ თქმულებებს. კლოდ ლევი სტრონი განასხვავებს ბიბლიური მითის თეოლოგიურ და ლიტერატურულ მნიშვნელობას, ეყრდნობა რა ძირითადად „შითემის თეორიას“ და ბიბლიური მითის ტერმინოლოგიური ევოლუციის საკითხს: მითოსი-ფაბულა-მოტივი-მითოპრიტიკა. მითება, როგორც მითოლოგიური სტრუქტურის ერთ-ერთ ძირითადი ელემენტი, ბიბლიური მითის მინიმალური სინტაგმაა. მითების არსებობა განაპირობებს სწორედ ბიბლიური მითის ღია სტრუქტურის არსებობას მაშინ, როდესაც ტრადიციული მითის მინიმალურ ერთეულებად დაყოფა არ ხდება, რაც მისი დახურული სტრუქტურით არის განპირობებული (ლევი-სტრონი, 1971). როგორც მ. ელიადე აღნიშნავს, ბიბლიური მითი ეს არის „აღმნიშვნელის“ მუდმივად მცვავი (flottant) და ტრასფორმირებადი სისტემა, მ. ტურნიცსთვის კი იგი წარმოადგენს ცარიელ ნიშანს, ყალიბს, რომლის შევსებაც კონკრეტული კონტექსტის მიხევით კოლექტური თუ იდივიდუალური წარმოადგენს შედევად ხდება. ამრიგად, ბიბლიური მითი შეიძლება განხილულ იქნას როგორც „სემანტიკური მატრიცა“. ვ. სელიეს მოსაზრებით, ტერმინი „მითი“ არ უნდა იყოს გაიგივებული მის ტრადიციულ განმარტებასთან. ვუწოდებთ რა „ბიბლიურ მითს“ არღოვის ისტორიის ხასიათის თქმულებებს, ჩვენ იგი უნდა გავმიჯოთ „ლიტერატურული მითისგან“, რომლის დაბადება და განვითარებაც მხოლოდ ლიტერატურის ფარგლებში ხდება (სელიე, 1984). ნ. ფრეი, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ „ბიბლია“ არ შეიძლება განვიხილოთ როგორც წმინდა ლიტერატურული ნაწარმოები, რადგან იგი გაცილებთ უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ლიტერატურული ტექსტი. ჟ. დურანის მითოპრიტიკის თეორიის მიხევით კი ბიბლიუ-

რი მითის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი მისი დრო-სივრცული მახასიათებლებია, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მითის ინტერპრეტაციის დროს. იგი განსაზღვრავს მითის „ნარატიულობას“ და საფუძვლად უდევს „მითოლოგიურ არქეტიპთა“ მთელი კომპლექსი (დურანი, 1979).

მ. ტურნიეს რომანში, აბელ ტიფოუის როგორც მითოლოგიური არქეტიპის ნარატიული სტრუქტურა ეფუძნება ორ ძირითად მითოლოგიური მოტივს, რაც განაპირობებს პერსონაჟის ჰიბრიდულ სტრუქტურას. იგი, ერთი მხრივ, წარმოადგენს აბელისა და კაენის ბიბლიური მითის ტრანსპოზიციას და, მეორე მხრივ, იგი პირდაპირი რეფერენციაა გოეთეს ბალადისა „ტყის მეფე“ („Roi des Aulnes“). აბელ ტიფოუის პერსონაჟში მ. ტურნიე ერთიანებს სამ მითოლოგიურ ხაზს (სამმაგი ინტერტექსტუალობა): ბიბლიური ხაზი (პირდაპირი რეფერენცია ბიბლიური აბელის პერსონაჟთან), ანდროგინის მითი და ტყის მეფის სახე (Ogre, Erlkönig) გოეთეს ბალადიდან.

ამრიგად, მ. ტურნიეს რომანში „ტყის მეფე“, აბელ ტიფოუის პროტოგონისტის ჰიბრიდული, ავტორეფერენციული სტრუქტურა პირდაპირ უკავშირდება ნიშანთა „თამაში“, ანუ კავშირი აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის რთული და ზოგჯერ ბუნდოვანიც ხდება. ერთი აღმნიშვნელი — აბელი (როგორც სემიოტიკური ნიშანი) გამოხატავს ორ ან მეტ აღსანიშნს — აბელი და კაენი. ზედაპირული სტრუქტურა იქცება ახალი სემანტიკური ნიშნებით (Ogre, Androgyn), რაც ქმნის პერსონაჟის მოზაიკურ სტრუქტურას.

კაენისა და აბელის მითის მრავალი ლიტერატურული ვერსია არსებობს და შესაბამისად, აბელისა და კაენის პერსონაჟის სხვადასხვა მოდელი შეიქმნა. ხშირად ესაა ორი დაპირისპირებული, განსხვავებული პერსონაჟი, რომელიც ორ დამოუკიდებელ სახეს, ნარატიულ სისტემას ქმნის. ხშირად კი ეს ორი ნარატიული სისტემა ერთ პერსონაჟში ერთიანდება. თუმცა ორივე მოდელი ერთ საერთო პოსტულატს ეფუძნება: აბელის მკვლელობა — ეს არის ნაბიჭი გადადგმული შინაგანი თავისუფლებისკენ, დამოუკიდებლობისკენ, „სხვა“ ჭეშმარიტების ძიებისკენ. ესაა ერთგვარად წინააღმდეგობის დაძლევა საკუთარი თავი — კირკეგორი).

ამრიგად, აბელისა და კაენის ბიბლიური თქმულების სხვადასხვა ვარიანტის არსებობა (réécriture-”კვლავწერა“) XX საუკუნის ეპრობულ

ლიტერატურაში პირდაპირ უკავშირდება ”პიროვნების (სუბიექტის) და თანამედროვე ლირებულებათა კრიზისის“ საკითხს. აქვთილოგიური სისტემის თანახმად, იქმნება პერსონაჟის ე.წ. დუბლირებული სტრუქტურა (ბინარული მოდელი), რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს ორ (ბოროტებისა და სიკეთის) საწყისს, აბელისა და კაენის სახეს. ამიტომაც, მას ხშირად განიხილავენ როგორც ”personnage-puzzle“, ანუ პერსონაჟს, რომელსაც ავტორი და მკითხველი ერთობლივი ძალით ქმნის.

მ. ტურნიეც ერთ პერსონაჟში აერთიანებს ორ განასხვავებულ ინდივიდს, რომლებსაც საფუძვლად ბინარული ოპოზიცია უდევს: მატერიალური და სულიერი, სიკეთე და ბოროტება, სული და სხეული. ეს მ. ტურნიეს შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა (თხრობის დინამიკა). ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ელემენტის ერთმანეთთან დაპირისპირებით მ. ტურნიე ცდილობს ე.წ ტრანს-სუბიექტურობის მოდელის შექმნას, რომლის მიზანიც (კლოდ ლევი სტროსის განსაზღვრების თანახმად) წინააღმდეგობრიობის, განსხვავებულობის დაძლევა „ლოგიკური მოდელის“ შექმნით.

აბელ ტიფოუის ბიგალენტური სტრუქტურა ნაციზმთან მიმართებაში ვლინდება. ტიფოუი, დგება რა ნაციზმის სამსახურში, ამჩენებს, ამო ნაციზმის ძირითადი მსხვერპლი ებრაელი ხალხია, აბელის შთამომავლები, „ნომადები“, მათი ჯალათი კი თავადაა - კაენი (დუალიზმი).

აბელის, როგორ მსხვერპლისა და ჯალათის სახე, ლოგიკურად უკავშირდება ”კაციჭამიას“ (ტყის მეფის) მითს. აბელ ტიფოუი, რომელსაც ”კალტენბორნის კაციჭამიას უწოდებენ“, წარმოადგენს კაციჭამიას მითოლოგიურ პროტოტიპს: ”მე მიყვარს ხორცი, მიყვარს სისხლი. მე მიყვარს ხორცი, იმიტომ რომ მე მიყვარს ცხოველები და აქ მთავარი სიტყვა — სიყვარულია“, აცხადებს აბელი, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს სიცოცხლესა და სიკეთის, სიყვარულსა და ცესტრუქციას. ის ანადგურებს მათ, ვინც უყვარს (სამი მტრედის დახმცვის სცენა, ბავშვების სცენა სააბაზანოში, რომელსაც აბელი უზარმაზარ საქვაბეს ადარებს), და თავად კვდება მათთან ერთად, ცდილობს რა ამ გზით საკუთარი თავის მსხვერპლთან გაიგივებას. ტყის მეფის მითს მ. ტურნიე გოეთეს შემოქმედებიდან იღებს, თუმცა გოეთეს ბალადისგან განხვავებით, რომელიც თავადაც ქველ სკანდინავიურ თქმულებას ეფუძნება და სადაც ბავშვი ტყის მეფის მსხვერ-

პლია, მ. ტურნიე მითის სრულ ინვერტირებას ახდენს. ავტორი იყენებს რა წმინდა კრისტოფის თქმულების ძირითად მოტივებს, საკუთარ გმირს ბავშვთა მფარველად აქცევს. როგორც წმინდა კრისტოფი უარს აცხადებს ეშმაკის ბატონბაზე და კრისტეს სამსახურში დება, ასევე აბელ ტიფოუ ზურგს აქცევს ნაცისტურ დიქტატურას, ხდება რა ებრაელი ბავშვის დამცველი. გადაარჩენს რა ბავშვს, იგი გადაარჩენს საკუთარ თავს.

"ყველაფერი არის ნიშანი", — ამბობს აბელ ტიფოუ და მ. ტურნიე ამ "ნიშნების თამაშით" ქმნის სრულიად ახალ მითოლოგიურ სამყაროს. ეს არის ერთგვარი ტურნიესული ჰერმენევტიკა, სადაც საყოველთაოდ ცნობილი სიუკეტები, სახეები, მოტივები ინვერტირებული და სახეცვლილია. როგორც მ. ტურნიე აღნიშნავს, რომანი "ტყის მეფე" ეს არის ე.წ. "ცოდნის თეორია", სადაც ერთი მნიშვნელობის მიღმა იმაღლება მეორე მნიშვნელობა, რომელიც, თავის მხრივ, გასაღებია მესამე მნიშვნელობის აღმოსაჩენად და ასე გრძელდება უსასრულოდ.

ლიტერატურა

**ბართი, 1957** — Barthes R. «Mythologies», Seuil, Paris, 1957.

**კასპაროვი, 1996** — . « , , ;  
», .., 1996.

**დურანი, 1979** — Durand G., «Figures mythiques et visages de l'œuvre. De la mythocritique à la mythanalyse», Paris, 1979.

**ელიადე, 1988** — Eliade M., «Aspects du mythe», Gallimard, Paris, « Idées », 1963 ; rééd. « Folio essais », 1988.

**კინწურაშვილი, 2009** — მ. კინწურაშვილი, «ენა, ტექსტი, ინტერტექსტი», თბილისი, 2009.

**ლევი-სტროსი, 1968** — Lévi-Strauss C., «Du mythe au roman, L'origine des manières de table», Paris, 1968.

**ლევი-სტროსი, 1971** — Lévi-Strauss C., «Mythologiques», t. IV : L'Homme nu, Paris, Plon, 1971.

**გენეტი, 1982** — Genette G. «Palimpsestes», Le Seuil, coll. «Poétique», 1982.

**რასტიე, 1997** — Rastier F., «Herméneutique matérielle et sémantique

des textes », in Salanskis, 1997.

**სელიე, 1984** — Sellier Ph., «Qu'est-ce qu'un mythe littéraire?», Littérature, n°55, 1984.

**სტეინბერგი, 1979** — Steinberg L. « Introduction: The Glorious Compagny, Art about Art », Dutton, New York, 1979.

**ფრეი, 1984** — Frye N., «Le grand code», Seuil, Paris 1984.

MAYA BENIDZE

### Symbolism of the Biblical Myth of Abel and Cain in M.Tournier's Novel "The Erl-King"

#### Summary

In his novel "The Erl-King" Michel Tournier creates a novel, inverted symbolism on the basis of traditional plots and archetypal patterns. The narrative structure of "The Erl-King" is based on two main mythological motives and this determines the hybrid structure of the novel; on the one hand, it is a transposition of the Cain and Abel myth, and on the other hand, it implies a direct reference to Goethe's ballad "The Erl-King".

სიბრძნა  
გელაშვილი

### ფრანგულიდან ქართულად თარგმნის ზოგიერთი პრობლემა

როგორც უმშერტო ეკო ამბობს, ევროპის ენა თარგმანია. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ თარგმანი მსოფლიო ენაა დღევანდელი გლობალიზაციის კონტექსტში. ჩვენი აზრით, თარგმანს მართლაც უპირველესი როლი ეკუთვნის პლურილინგვიზმისა და პლურიკულტურულიზმის ვთარებაში. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ თარგმანმა ახლა შეიძინა ეს დატვირთვა, არამც და არამც, ის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, თარგმანის გარეშე კულტურული მსოფლიო ვერ გაიცნობდა ვერც ჰომეროსს, ვერც დანტეს, ვერც შექსპირს, ვერც მოლიერს... რომ არაფერი ვთქვათ ბიბლიაზე, რომელიც თითქმის მსოფლიოს ყველა ენაზე არსებობს, ერთი სიტყვით, ლიტერატურული თარგმანი თითქმის სულ არსებობს. თითოეული ჩვენგანი სხვადასხვა თარგმნილ ლიტერატურას იყენებს. პირადად ჩემთვის, დიდი მნიშვნელობა აქვს ფრანგული ლიტერატურის ქართულ და რუსულ თარგმანებს, ბოდლერის, ბალზაკის, ფლობერის, ჰიუგოს, სტენდალის, აპოლინერის, სელინის და სხვათა. გამომდინარე იქიდან, რომ ვარ ფრანგულიდან ქართულად მთარგმნელი, თარგმნის პროცესში ვაკვირდები ყველა იმ სირთულეს, ფრანგულიდან ქართულად თარგმნისას რომ წარმოჩნდება ხოლმე, რაც საესებით ბუნებრივია, რადგან ფრანგული და ქართული ენები სრულიად განსხვავებული სტრუქტურის ენებია, ქართული ეკუთვნის კავკასიურ ენათა ჯგუფს, ხოლო ფრანგული რომანული ენებისას. ფრანსუაზ გუიმარისა არ იყოს, „მსურს გაგიზიაროთ იმ ლინგვისტის მოსაზრება, რომელიც ყოველდღიურად ეწევა თარგმნას ერთი ენიდან მეორეზე, ანუ ერთი კულტურიდან მეორეზე და პირიქით“. თამაბად შემიძლია ვთქვა, რომ ფრანგული და ქართული კულტურის სამსახურში ვარ. აქვე დაგაზუსტოთ, რომ კულტურა ამ შემთხვევაში ფრართო გავებით არის გამოყენებული. ისევ ფრანსუაზ ვუიმარს თუ დავესესხებით, „კუველი ენა არის ბევრითი და

წერილობითი ავატარი კულტურისა, რომელიც მრავალი შრით არის წარმოდგენილი, რომელთაგან უველაზე ცხადად ჩანს გრამატიკა, ფონემები, ენის მელოდია, ხოლო უველაზე რთულად მისაგნებია იმპლიციტი, რაც კოლექტიური წარმოსახვის შედეგია, და ძალიან მეტყველი უესტების ენა, რაც საერთო კულტურულ და მენტალურ მიდგომას შეესაბამება“. ამგარად, ცხადია, რომ ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისას, მთარგმნელი ცდილობს სხვა ენაზე გადმოიტანოს ის კულტურა, რაც უცხოა სამიზნე ენისათვის. ასეთ დროს, ადგილი წარმოსადგენია, რა სირთულეები შეიძლება შეხვდეს მთარგმნელს თარგმნის პროცესის დროს. თარგმნილი ვერსია არასოდეს იქნება დედნის სწორი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ კარგი თარგმანები არსებობს. თუმცა აქც განსხვავებულია აზრები. ზოგი მიიჩნევს, რომ თარგმანში დაცული უნდა იყოს ყველა ის თავისებურება, რაც მიმღები ენისთვის არის დამახასიათებელი; სხვგბი თვლიან, რომ თარგმანი მაშინაა კარგი, როცა ის ერთგულად მისდეგს ორიგინალს. ცნობილი ფრანგი ტრადუქტოლოგიის თეორეტიკოსი ჟან-რენე ლადმირალი პირველი მოსაზრების მომხრეებს „სიბლისტებს“ უწოდებს (ლადმირალი 2002). ფრანგულად, la langue **cible** ნიშანას სამიზნე ენას, ანუ იმ ენას, რომელზეც უნდა თარგმნო, რომელიც მთარგმნელისათვის ერთგვარი მიზანია. სწორედ ასეთ მთარგმნელს უწოდებს ლადმირალი სიბლისტს, რომლის ქართული ეკვივალენტიც „მიზნისტია“. ამით აღმირალს იმის თქმა სურს, რომ მთარგმნელი დომინანტობას მიმღები ენის, ანუ სამიზნე ენის კულტურას ანიჭებს. ასეთ მთარგმნელს არ აინტერესებს წყარო ენის ნიუანსები და თავისებურებები, კოლორიტი. აქ არ შეიძლება არ გავგახსენდეს ქართველ მთარგმნელებს შორის არსებული დავა ეგზიუპერის ცნობილი მოთხოვნის სათაურზე, სიბლისტებს მაჩნით, რომ ქართულად უნდა იყოს „პატარა უფლისწული“, ხოლო მეორე მოსაზრების წარმომადგენლებს, რომლებსაც ანალოგით „სურსიერები“ (ანუ, „წყაროისტები“) შეიძლება ვუწოდოთ, მიიჩნიათ, რომ ქართულად უნდა იყოს „პატარა პრინცი“, რითაც წინ იქნება უკვე წამოწეული ფრანგული რეალობა და ცივილიზაცია. ერთგვარად სწორიც არის, რადგან ეს ნაწარმოები ფრანგულიდან ქართულად ითარგმნა, ანუ ფრანგული კულტურის წარმომადგენლების შემოსული სიტყვა აღბათ სასურველია, რომ შენარჩუნდეს. იგივე ითქმის ფრანგული მიმართვის შენარჩუნება-არშენარჩუნებაზე ქართულ თარგმანებში, სიბლისტები

ალბათ “ბატონი” და “მესიეს“ შორის არჩევანს “ბატონოზე“ გააკეთებენ, ხოლო სურსიერები პირიქით..

როდესაც საქმე ეხება ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნას, სირთულეები თავს იჩენს არა მარტო ენების ლინგვისტური თავისებურებებიდან გამომდინარე, არამედ იმ კულტურიდან გამომდინარეც, რომლის მატარებელიც ესა თუ ის ენაა. მაგალითად, მიჩნეულია, რომ ფრანგული ენა ნარცისული ენაა, რომლის გრამატიკაც ხასიათდება “მე“-ს დომინანტობით. (უილმანი, 2010.) ბევრი ენა უპირატესობას ზმნის ბასიურ ფორმას ანიჭებს, რომელშიც მოქმედი პირი წაშლილია, ზოგი ენა, ქვემდებარე-პირის ნაცვალსახელის გარეშეც მშვენივრად ახერხება თავისი ფუნქციის შესრულებას, მაგალითად, ქართული ენა. ადვილი წარმოსადგენია, რა სირთულებთან ექნება საქმე ფრანგულიდან ქართულად მთარგმნელს. განვიხილოთ დეკარტეს ცნობილი ფრაზა „**ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობა**“, მისი ლათინური შესატყვისია *cogito ergo sum*, ხოლო ფრანგული „**Je pense donc je suis**“. როგორც გხედავთ, ფრანგულ ვერსიაში ორჯერ არის გამოყენებული „მე“. სიტყვასიტყვით თუ ვთარგმნით, საშინელებას მივიღებთ, რაც ასე გამოიხატება „მე ვაზროვნებ, მაშასადამე მე ვარსებობა“. ზოგიერთის ინტერპრეტაციით, დეკარტემ იმიტომ მიმართა ლათინურ ფრაზას, რომ ქვეცნობიერად რცხვენოდა, ფრანგულად ორჯერ რომ იყო „მე“ გამოყენებული ამ ძალიან მოკლე ფრაზაშით. მაგრამ ჩვენ ვერ გავიზარებთ ამ მოსაზრებას, რადგან დეკარტე ლათინურადაც წერდა შრომებს, რადგან იმ ეპოქის საფრანგეთში ლათინური ძალზე მიღებული იყო, არც ის უნდა დაგვავიშვდეს, რომ ლათინური საფრანგეთის სახელმწიფო ენა იყო დიდხანს და ამ ენაზე წერა გასაკვირი ნამდვილად არ იყო. ინტერპრეტაციები მხედველობაში არ არის მისაღები, ხოლო უტყუარ ფაქტად უნდა ჩავთვალოთ ის, რომ ფრანგული ენა დიდი რაოდენობით იყენებს პირის ნაცვალსახელებს ქართულისან განსხვავებით. თუ ლადმირალისულ კლასიფიკაციას დაფუძრუნდებით, ის მთარგმნელები, რომლებიც ცდილობენ წყარო ენის კოლორიტის შენაჩიუნებას მიმღებ ენაში, შავ დღეში ჩავარდებიან და საშინალად უხეშად მოექცევიან მშობლიურ ენას. კარტეზიუსის ცნობილ ფრაზას რომ თავი დავანებოთ, სხვა უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის დასამტკიცებლად, რომ დედნის ბრძანებით ერთგულებას თარგმნისას აბსურდული შედეგი შეიძლება მოჰყვეს. ასეთ მაგალითად გამოგვადგება ლურ ფერდინან სელინის ცნო-

ბილი რომანის სათაური „**მოგზაურობა ლამის დასალიერში**“, რომელიც ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე შეირჩა, თორებ სელინის სათაური ბრძანებით რომ გადმოგვეღო იქნებოდა „**მოგზაურობა ლამის ბოლოში**“. აქვე შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითი მიმღები ენის დომინანტად წარმოჩენისა, წყარო ენასთან შედარებით. კამიუს ცნობილი ესს „*Noches à Tipasa*“ ქართულად ორჯერ ითარგმნა, ერთმა მთარგმნელმა ეს სათაური თარგმნა, როგორც „**ჯვრისწერა ტიპაზაში**“, მეორემ, როგორც „**ქორწილი ტიპაზაში**“. ჩვენ მივგაჩნია, რომ ფართო კონტექსტიდან გამომდინარე, ანუ, იმის გათვალისწინებით, რომ კამიუს ეს ესს ეხება ალექსის, ხოლო ალექსი რა სივრცეა, ყველასათვის კარგადაც ცნობილი, ჩვენი აზრით უფრო სწორია მეორე სათაური — „**ქორწილი ტიპაზაში**“. ხოლო, რაც შეეხება „**ჯვრისწერას ტიპაზაში**“, ეს სათაური ალბათ ქართულ სივრცეში მომხდარს უფრო შეესაბამებოდა. ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ „**დაიჩაგრა**“ წყარო ენა, ანუ ფრანგული, რომელიც ამ შემთხვევაში ალექსის კულტურის მატარებლად მოგველინა.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ტრადიუქტოლოგიაში ცნობილია ლიტერატურული თარგმნის ორი ტიპი, ერთი, რომელიც ერთგულია მიმღები ენისა, მეორე — დედნისა (ანუ სამიზნე ენისა და წყარო ენის ერთგული მთარგმნელები). ისმის კითხვა, როგორი უნდა იყოს თარგმანი, უნდა იყოს ის მშვენიერი, მაგრამ არაზუსტი, როგორც ეს სამიზნე ენის ერთგულ მთარგმნელებს სურთ და რასაც ჯერ კიდევ უორე მუნენი უსვამდა ხაზს (მუნენი, 1955), თუ, პირიქით, უშნო და ერთგული, როგორც წყარო ენის ერთგულ მთარგმნელებს ჰყონიათ? აქვე უნდა ითქვას, რომ ფრანგულ ენას, ისევე, როგორც მის არამნათესავე ქართულ ენას ყველაფრის გამოხატვა შეუძლია. მაგრამ, ჩაის ფასად... რა ლინგვისტური ეკვილიბრისტიკის შედეგად, რომელსაც ხან პერიფრაზებს და ხან არფორმულირებას ვუწოდებთ. თარგმნისას მჩავალი ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ, თუ გვინდა, რომ თარგმნილი ტექსტი იყოს ზუსტი და ლალად საკითხავიც. როგორც მატიგ გიდერი ამბობს, როცა მთარგმნელები ამ ურთულეს საქმეს შეუდგებიან ხოლმე, მათ უნდა ახსოვდეთ მჩავალი ფაქტორი, კულტურული, პოლიტიკური, ისტორიული, იდეოლოგიური და სხვ. (გიდერი, 2008.) უმბერტო ეკოსაც დაახლოებით იგივე მოსაზრება აქვს. იგი ამბობს, რომ „თარგმანი მარტო ლინგვისტურ კონტექსტზე არ არის დამოკიდებული, იგი უნდა ითვალისწინებდეს იმასაც, რაც

ტექსტის მიღმაა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ინფორმაციას სამყაროზე, ანუ ენციკლოპედიურ ინფორმაციას“ (ეკო, 2006.)

უორჯ მუნენის აზრით, თარგმნის პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არა ტექსტის შინაასტში, არამედ საკითხის გაგებაში მდგომარეობს. აქედან გამომდინარე, უნდა განვისხვავოთ არა მნიშვნელობის ტიპები, არამედ გაგების მრავალი დონე: “ტოტალური გაგება (კონცეპტთან დაკავშირებული ყველა ნიშნით წარმოდგენილი გამონათქვა), გადამწყვეტი გავება (მცირე რაოდენობის ნიშნებით წარმოდგენილი გამონათქვამი, რაც ორაზროვნების გარეშე გამოაჩევს ამ გამონათქვამს), იმპლიციტური გაგება (იმ ნიშნების საშუალებით, რომლებიც ექსპლიციტური ნიშნების დედუქციით მიიღება), დაბოლოს, სუბიექტური გაგება: ნიშანთა ერთობლიობა, რომელსაც წარმოშობს რაოდც ტერმინი ვინმეს გონებაში ან რაიმე ჯგუფის წევრთა უმრავლესობაში“ (მუნენი, 1963), მაგრამ გაგების ეს ტიპები ზოგჯერ არაეფუტურია, რის საილუსტრაციოდაც შევიძლია უან მიშელ ადამის მიერ ციტირებული ელუარის ცნობილი ლექსი მოვიყანოთ (ადამი, 2008). “რატომ ვარ ასეთი ლამაზი? იმიტომ რომ ჩემი პატრონი (პბანს) (მჩეცხავს). „Pourquoi suis-je si belle? Parce que mon maître me lave.., ფრანგულად ამ ლექსში გამოყენებული ზმნა ორი მნიშვნელობის მატარებელია, რომლის დადგენისაც ამ შემთხვევაში ფართო კონტექსტი სჭირდება. ცნობილია, რომ ელუარს ჰყავდა ძალია, რომელიც ძალიან უყარდა და რომელსაც ხშირად აბანავებდა. მკვლევართა აზრით, ეს ლექსი სწორედ ამ ძალის ეძღვება. მოგვინებით ელუარმა ეს ლექსი თეთშე ამოატვიფრინა და ლექსმაც ახალი მნიშვნელობა შეიძინა, რადგანაც შემთხვევაში ზმნამ გარეცხვის მნიშვნელობა მიიღო. უან-მიშელ ადამის აზრით, “ერთი მეორის მიყოლებით მომხდარი ტექსტულიზაციები, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ დისკურსული მასალის რეჟიმის ცვლილებას, მნიშვნელობის ადგილიდან დატრას იწვევენ“ (Op. cité, p.27).

ხოლო მიშელ ფუკოს აზრით, “ერთი და იმავე სიტყვებით შედგენილი, ერთი და იმავე მნიშვნელობით დატვირთული, სინტაქსური და სემანტიკური იდენტობაშენარჩუნებული ერთი და იგივე ფრაზა არ წარმოადგენს ერთსა და იმავე გამონათქვამს, როცა მას წარმოთქვამს ვინმე საუბრისას ან როცა ეს ფრაზა რომანშია დაბეჭდილი, ან როცა ის დაწერა საუკუნეების წინ და ახლა ზეპირი ფორმულირებით ითქმის. (ფუკო, 1969). ჩვენ აბსოლუტურად ვიზიარებთ ფუკოს ამ მოსაზრებების მიღმაა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ინფორმაციას სამყაროზე, ანუ ენციკლოპედიურ ინფორმაციას“ (ეკო, 2006.)

ბას და მიგვაჩნია, რომ უან-მიშელ ადამისა არ იყოს, **დისკურსული გასალის** ცვლილება იწვევს მნიშვნელობის ადგილიდან დატვრას (აქ აუცილებლად გაგვახსენდება ექსტრალინგვისტური ფაქტორები, კონტექსტები და კოტექსტები). თუმცა, არც მხოლოდ ეს მიდგომაა ამომწურავი. როგორც მატიე გიდერი მიიჩნევს, სხვადასხვა შიდგომა ერთობლივად უნდა გავითვალისწინოთ, რომ მივუახლოვდეთ ტექსტის ან სიტყვის ადეკვატურ მნიშვნელობას. (გიდერი, 2008). მაშასადამე, ჩვენ მიგვაჩნია, იმისათვის, რომ კარგად ვთარგმნოთ მხატვრული ტექსტი, საჭიროა მისი სწორად გაგება, რაშიც გვეხმარება როგორც ექსტრალინგვისტური ფაქტორები, ისე კონტექსტი, კოტექსტი და ენციკლოპედიური ინფორმაციაც, როგორც უმბერტო ეკო ამბობს.

ახლა, დავუბრუნდეთ ისევ ფრანგულიდან ქართულად თარგმნის ზოგიერთ სირთულეს. მაგალითად, როცა თარგმნიან ბოდლერის პოეზიას, მრავალ ფაქტორს უნდა მივაქციოთ ყურადღება. უნდა გვხსოვდეს, რომ ფრანგულთან შედარებით ქართული სიტყვები უფრო გრძელია, რაც ქართულში ალექსანდრიულ თორმეტმარცვლიან ლექსს 14 მარცვლიანი ლექსით ცვლის; ამას გარდა, როგორც პოეტური ისე პროზაული ტექსტების თარგმნისას ფრანგულიდან ქართულად, საჭიროა პირის ნაცვალსახელების იგნორირება, რადგან ქართულ ზმნას ალარ სჭირდება გრაფიკულად პირის ნაცვალსახელებით დატვირთვა. პოეტური ტექსტის თარგმნისას სავსებით შესაძლებელია რითმების შენარჩუნება და მყარი ფორმის ლექსთა სტრუქტურის შენარჩუნებაც, მაგრამ სირთულე წარმოიშობა ლექსიკის დონეზე, რასაც იწვევს პოლისემიური სიტყვები და თავისუფალი მეტაფორები. მაგალითისათვის მოვიყანოთ სიტყვის „maîtresse“, მნიშვნელობა ბოდლერის ლექსიდან „აივანი“ (ქართულ-ფრანგული ანთოლოგია, 127-131, 2004), ეს სიტყვა ნიშანავს : 1.მასწავლებელს, 2. დიასახლისს, 3.საყარელს. ამ სიტყვის არასწორი მნიშვნელობით ხმარებამ შეიძლება სრულიად შეცვალოს ლექსის შინაარსი. ანალიზისათვის გამოვიყენეთ ამ ლექსის სამი ქართული თარგმანი. პირველი მთარგმნელის აზრით, ლაპარაკია დიასახლისზე !!! ქალზე, რომელიც ოჯახითაა დაკავებული, დანარჩენი ორი მთარგმნელის აზრით, ლაპარაკია პოეტის საყარელზე. პირველი ვერსია აშკარად მცდარია, რადგან წარმოუდგენელია ლირიკულ ლექსში “დიასახლისო დიასახლისთა“, დიასახლისებს ლექსებს არავინ უძღვნის. თარგმანში შენარჩუნებული უნდა იყოს დედნისეული ტექსტის მნიშვნელობა, რასაც ხშირად უგულე-

ბელყოფენ ქართველი მთარგმნელები. მაგალითისათვის მოვიყვანთ ბოდლერის ცნობილი ლექსის “ალბატროსი” ბოლო სტროფს

*„Le poète est semblable au prince des nuées*

*Qui hante la tempête et se rit de l'archer;*

*Exilé sur le sol au milieu des huées,*

*Ses ailes de géant l'empêchent de marcher“.*

როგორც ლექსიდან ჩანს, სიტყვა-ნუკლეუსები აქ არის პოეტი, მსგავსი, გადასახლებული, ფრთები.

## I ვერსია

ა შენც პოეტო, რომ გაუძლო ვალივით გმართებს  
მიჰქერი, მიარღვევ ცას ღრუბლიანს და ქარიშხლიანს,  
მოგდებს ყიუინა, ბრბოთა რისხვა და ანათემა,  
მიწაზე ფრენას ბუქბერაზი ფრთები გიშლიან.

განვიხილოთ ამ სტროფის სამი სხვადასხვა თარგმანი. პირველ მათგანში ექსპლიციტური აზრი გაიმბლიციტურებულია. სიტყვა-ნუკლეუსები იგნორირებულია. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ითქვას, რომ პოეტი მიწაზე გადასახლებაშია და რომ მისი ადგილი ზეცაშია და რომ ამით ის ალბატროსს ჰგავს.

## II ვერსია

პოეტი მიჰქეავს ამ უფლისწულს ღრუბელთა მხარის  
ის ძმობს ქარიშხალს, ტყვია-ისრის არალჩამგდები,  
და როცა ტყვეა მიწისა და გნიას ხარხარის,  
მას სიარულში ხელს უშლიან ვეება ფრთები.

აქ თითქმის ყველა სიტყვა-ნუკლეუსი შენარჩუნებულია, მაგრამ ბოდლერული ატმოსფერო დარღვეულია სიტყვა “ტყვიის” გამოჩენით. აზრის ცვლილებას იწვევს სიტყვის “როცა” შემოტანა, რაც გვაფიქტებინებს, რომ პოეტი ხან ზეცაშია, ხან მიწაზე.

## III ვერსია

პოეტი მართლაც მოგვაგონებს ამ ზეცის მეფეს,  
ქარიშხლით ცხოვრობს და მასავით დასცინის მშვილდებს,  
მიწაზე ყოფნა, ეს კატორლა მთლად უცვლის ელფერს,  
დიდრონი ფრთები სიარულში ხელს უშლის მისებრ.  
ეს თარგმანი უფრო ადეკვატურია დედნისა, მაგრამ, ხაზგასმუ-

ლია, რომ პოეტს ალბატროსივით უჭირს მიწაზე სიარული და რომ მისი ადგილი ცაშია. ჩვენი აზრით, პოეტური ტექსტის თარგმნისას, უნდა ვეცადოთ არ შეინიბოს გლობალური აზრი, ან არ მოდიფიცირდეს რითმისა და რიტმის ხარჯზე. ჩვენ ათი წელი მოვანდომეთ “ბოროტების ყავავილების” თარგმნას და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულად პოეტური ტექსტის თარგმნა უფრო ძნელია, ვიდრე პროზაულის. იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ გამართული ქართული, ზოგიერთ ლექსიკური ხასიათის კომპრომისზე გვიწევს წასვლა. ასეთი ფაქტი შეინიშნება ალბატროსის მესამე ქართულ ვერსიაში, სადაც “ღრუბლების პრინცის” ნაცვლად გამოყენებულია “ღრუბლების მეფე”, ხოლო “ქარიშხალზე შემტევის ნაცვლად” “ქარიშხლით მცხოვრებია” შემოტანილი, მეითხველის დასამშვიდებლად ის შეიძლება ითქვას, რომ ქართულ თარგმანში სიტყვა ნუკლეუსების შენარჩუნებით, შენარჩუნებულია ბოდლერული სული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროზაული ტექსტის თარგმნა უფრო ადვილია, ვიდრე პოეტურისა, თუმცა ტექსტს გააჩნია! აქ უბირველეს ყოვლისა, გვახსნდება სელინის “მოგზაურობა ღამის დასალიერში”, რომლის სათარგმნელადაც საკმაო ხანს ვემზადებოდი. არაერთხელ წავიკითხე ეს ურთულესი რომანი, რომ დამეჭირა ის სელინური ტონალობა, რაც ამ რომანის შარმს ქმნის. რა თქმა უნდა, გავეცანი ამ ტექსტის ირგვლივ არსებულ ყველა მნიშვნელოვან კომენტარს, რომლებიც ახლავს პლიადის მიერ გამოცემულ სელინის ტექსტს. ამას გარდა, წილად მხედა ბედნიერება და მოვსმინე ცნობილ მსახიობს ლუკინის პარიზის გეტეს თეატრის სცენაზე, რომელიც კითხულობდა სელინის “მოგზაურობას ღამის დასალიერში”. დარბაზში იჯდა პუბლიკა, რომელმაც კარგად იცოდა სელინის შემოქმედება და კერძოდ, ეს რომანი. მონისპერტაკლის შემდეგ გაიმართა დისკუსია მსახიობსა და ჩვენ შორის. მოკლედ, ვეცადე, შეძლებისდაგვარად მივახლოებოდი ამ ურთულეს ტექსტს. პირველივე პრობლემას წიგნის სათაურთან შევეჯახე. სათაურს პასუხი უნდა გაეცა კითხვისათვის, მოგზაურობა სად? კარგი ქართულით გამოდიოდა სათაური, რომელიც პასუხობდა კითხვაზე, მოგზაურობა როდის? გამოდიოდა მოგზაურობა ღამის დასასრულს, რაც სრულიად შეუსაბამო იყო ფრანგული სათაურისა, რომელიც მკაფიოდ გამოხატავდა, რომ მოგზაურობა უნდა მომხდარიყო საღღაც, რაც გამოიხატა ქართულად, როგორც “მოგზაურობა ღამის დასალიერში”: ვისაც წაკითხული აქვს ეს რომანი, იცის, რომ

500-გვერდიანი ამ რომანის თითოეული თავი ცალკეულ დასრულებულ ნაწარმოებად შეიძლება ჩაითვალოს. რომანის ენა მთლიანად არგოტიზმებსა და სალაპარაკო სასაუბრო ენას ეყრდნობა, სწორედ ეს ქმნის სელინისეულ მუსიკას, რაც რომანის ექსპრესიული მხარეა. ქართულ თარგმანში არ უნდა დაკარგულიყო ეს ექსპრესიულობა! ფრანგული არგოტიზმების ქართული ეკვივალენტების მოძება იყო ძალიან სახალისო შრომა. არანაკლებ პრობლემური იყო საკუთარი სახელების გადმოტანა ქართულად. ასეთ დროს ლანგვისტური გაუგებრობები უნდა ავიცილოთ თავიდან, ასეთი იყო ერთერთი პერსონაჟის სახელი Bébert, რომელიც შევინარჩუნეთ ფრანგული ფონეტიკური გამოთქმით. რომ შევენარჩუნებინა არაგრასეიერებული წარმოთქმა, გამოვიდოდა “ბებერი”, რის ნაცვლადაც ჩვენ შემვიტანეთ ფონეტიკური “ბებერი”. საკუთარი სახელები რომ არ ითარგმნება, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ზოგი მთარგმნელი ამას არ ითვალისწინებს, მაგ. სელინის ამ რომანის რუსულ თარგმანში ყველა საკუთარი სახელი თარგმნილია, მაგალითად გამოდგება ერთ-ერთი პერსონაჟის ბ-ნ პუტას გვარი, რომელიც რუსმა მთარგმნელმა გადმოიტანა როგორც ბლოიდო !!!

როგორც უკვე აღნიშნეთ რომანის თითოეული თავი ცალკე დასრულებულ ნაწარმოებად შეიძლება ჩაითვალოს. თითოეული თავი შედგება მოზრდილი მონოლოგური დისკურსისაგან, რომელსაც მოსდევს დიალოგური დისკურსი და ბოლოს შემაჯამებელი ნაწილი. სათარგმნელად ყველაზე ძნელი აღმოჩნდა მონოლოგური ტექსტები ისევ და ისევ პირის ნაცვალსახელების სიჭარბის გამო, რადგან, როგორც ცნობილია, ქართული ენა პირის ნაცვალსახელებს ნაკლებად მოიხმარს და ცნობილი კარტეზიანული სენტენცია ლათინურად Cogito ergo sum, იმავე გრამატიკული სტრუქტურისა ქართულადაც “ვაზ-როვნებ, მაშასადამე ვარსებობ”, რაც პირის ნაცვალსახელების ჭარბი მატერიალური გამოსახულებით არის ფრანგულად: **Je pense donc je suis.**

როგორც ანალიზი გვიჩვნებს, ქართულად თარგმნისას უნდა გვახსოვდეს, უპირველეს ყოვლისა, რომ 1) ქართული ზმნა არ იყენებს პირის ნაცვალსახელებს ; 2) ქართული ენა უფრო ზმნის აქტიურ ფორმას (მოქმედებით გვარს) იყენებს, ვიდრე პასიურს, განსხვავებით ფრანგული ენისაგან. 3) ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგჯერ ორაზროვნება, განსაკუთრებით კი პოეტურ ტექსტში, ავტორის მიერ საგანგებოდ არის დაშვებული, ესთეტიკური მიზნის მისაღწევად. 4)

მაქსიმალურად უნდა შევინარჩუნოთ მიმღებ ენაში ის ელემენტები, რომელებიც ახალი კულტურის გადმოცემას ემსახურება, რადგან “გლობალიზაციისა და პლურიკულტურალიზმის ექიპაში თარგმანს მიმღები ენის გამდიდრების როლი ენიჭება“. იგივე ითქმის ქართულ ენაზეც, რომელიც მრავალი კულტურით არის გამდიდრებული, მათ შორის, ფრანგულითაც.

#### ლიტერატურა

**ადამი 2008** — Jean Michel Adam, *La linguistique textuelle*, 2008.

**გიდერი 2008** — Mathieu Guidère, *Introduction à la traductologie*, Paris 2008.

**ეკო 2006** — Umberto Eco, *Dire presque la même chose*, Paris, 2006.

**მუნენი 1963** — Georges Mounin, *Les problèmes théoriques de la traduction*, 1963

**უილმარი 2010** — Françoise Wuilmart *La traduction littéraire: source d'enrichissement de la langue d'accueil*. version web ; 2010.

**ფრანგულ-ქართული ანთოლოგია 2004** — Anthologie franco-géorgienne, Tbilissi 2004.

**ფუკუ 1969** — Michel Foucault, *Archéologie du savoir*, 1969 Paris, Gallimard.

#### SYBILA GUELADZE

#### Some Issues When Translating from French into Georgian

##### Summary

Translation is of particular importance in the period of plurilingualism and pluriculturalism. In the process of translation the translator tries to render the culture of the original into the translated version. As is known, a translation is never absolutely identical to the original.

The paper focuses on some difficulties connected with the translation from French into Georgian and illustrates them on the material from Baudelaire's poetry.

When translating pieces of French poetry into Georgian the length of the words should be taken into consideration: the Georgian words are longer, hence Alexandrine verse is replaced by 14 syllable verse in Georgian. When translating French poetry or fiction into Georgian, special attention should be paid to the personal pronouns. The main idea of a poetic work should not be distorted in translation because of the versification patterns.. Poetic works seem more difficult to be translated, however, some samples of fiction (like Celine's "Journey to the End of the Night" are no less difficult to translate.

სიბილა გვლაძე

### ეთოსი, პათოსი და ლოგოსი ფრანგულ და ქართულ

#### შედეგისძლები

(მოხსენება ეყრდნობა ფრანგულ და ქართულენოვან საგაზეთო  
და ტელედისკურსების ანალიზს)

დისკურსის განუყოფელი ნიშნებია ეთოსი, პათოსი და ლოგოსი. როგორც რიტორიკაში წერია, ეთოსი გამომდინარეობს ორატორის ზნეობრივი ხასიათიდან, პათოსი აუდიტორიის განწყობილებიდან და ლოგოსი თვითონ დისკურსიდან. კომუნიკაციური ლინგვისტიკის გადასახედიდან თუ ვიტყვით, ორატორი არის მოსაუბრე, ან ადრე-სანტი, ან მთავარი კომუნიკანტი, აუდიტორია არის მსმენელი, ან ად-აქსატი, ან მეორე კომუნიკანტი, ანუ საქმე ეხება მონოლოგურ მეტყველებას, რომელიც ფართო მასშტაბით მაინც დიალოგურია, რადგან თანამონაწილედ ჰყავს აუდიტორია.

- დღესდღეობით პრაგმატიკა ეთოსს განმარტავს, როგორც მოსაუბრის იმიჯს, რომელიც მისივე დისკურსში ჩანს. (გარიყი, 178, 2007.) იგივე ეთოსი არისტოტელეს რიტორიკაში მნიშვნელოვანი კომპონენტია სხვა ორთან ერთად, როგორებიცაა პათოსი და ლოგოსი. როგორც ვხედავთ, ისეთი თანამედროვე მეცნიერება, როგორიცაა პრაგმატიკა, რიტორიკიდან საზრდოობს, რადგან რიტორიკაც, ისევე, როგორც პრაგმატიკა, სამეტყველო აქტებს შეეხება. პრაგმატიკას შეიძლება თანამედროვე რიტორიკა ვუწოდოთ. თუმცა ეს გაზიადება იქნებოდა საკითხისა. რიტორიკასა და პრაგმატიკას შორის დიდი განსხვავებაა. ისტორიულად, რიტორიკა ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში მოევლინა ამ ქვეყანას, მაშინ, როდესაც პრაგმატიკა XX საუკუნის 50-იანი წლებიდან წყებს არსებობას. ამას გარდა, ორივე მეცნიერებას განსხვავებული ხედვა აქვს ენასთან დაკავშირებით. რი-

ტორიკა არის დარწმუნების ხელოვნება, ანუ პრაქსისი, რომელიც ორატორს ამარაგებს იმ ენობრივი საშუალებებით, რომელთა გამოყენებითაც მისი დისკურსი იქნება წარმატებული. რიტორიკა დაიბადა ზუსტ პოლიტიკურ კონტექსტში, V საუკუნის საბერძნეთში და ნაშილობრივ იურიდიულ ენასთან არის დაკავშირებული. რიტორიკის სტრატეგიები თავს იყრის მის სამ ძირითად ფუნქციასთან, ეს არის ხელოვნება მოაწონო თავი მსმენელს, დაარწმუნო მსმენელი და ააღლეო მსმენელი, ანუ ემოცია მოჰყერო მას. რაც შექმნება პრაგმატიკას, ის ლინგვისტიკის დარგია და დესკრიპტიული ხასიათი აქვთ და არა პრესკრიპტიული. საერთო ამ ორი დისკიპლინისათვის არის ის, რომ ორიენტი აინტერესებს ენის სტრუქტურები, რათა მათი საშუალებით მოახდინს სხვაზე ზემოქმედება, გავლენა, ზოგჯერ მანიპულაცია, ზოგჯერ კი იძულება, რომ მსმენელმა იმოქმედოს ან პასუხი გასცეს. რიტორიკა თუ აღრიცხავს შესაძლო სიტუაციებსა და დისკურსულ სტრატეგიებს, პრაგმატიკას უფრო აინტერესებს გამონათქმათა ინტერპრეტაციები პროფესიონების კონტექსტში. პრაგმატიკის ნაცვლად, დომინიკ მენგენო გვთავაზობს ტერმინს „ენონსიაციის თეორია“. ენონსიაცია, ჩვენი აზრით, ეს არის სოსიურისეული „მეტაკონსტრუქცია“, ანუ პრაგმატიკა შეისწავლის სამეტაკონსტრუქციო აქტებს. რიტორიკისა და პრაგმატიკის ნათესაობას შეკვეთ იქნიდან გამომდინარე, რომ პრაგმატიკა იყინებს რიტორიკიდან შეიმსულ ტერმინებს, ოღონდ სხვა დატვირთვას აძლევს მათ. მაგალითად, ეთოსის დღევანდელი დეფინიციებიდან გამჭრალია მორალური ელემენტი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ანტიკურ ხანაში. ეთოსის განმარტება დღესდღეობით შემოიფარგლება იმ იმიჯით, რასაც მოსაუბრე გვიშმის საკუთარ თავზე თავისიგა დისკურსის მეშვეობით. ეთოსი მონაწილეობს ენონსიაციურ მიზანსკვენაში და ის ეკუთვნის არა მოსაყბრეს, არა-მედ, დისკურსში მონაწილე ადამიანებს, რომლებიც ისეთ იმიჯს გვიშმიან მონაწილეებზე, როგორიც უნდათ, რომ ჰქონდეთ, გამომდინარე ლაპარაკის მანერიდან, რაც ემსახურება თხრობის მზანსკვენას. აქ უნდა განვასხვოთ **მოსაუბრე** და **ენონსიატორი**. ენონსიატორი არის ის, ვინც ირჩევს სასაუბრო მანერას სხვაზე დაყრდნობით, სხვის გათვალისწინებით, ანუ, მოსაუბრე ხდება ენონსიატორი აუდიტორის, მსმენელის გათვალისწინებით. ერთსა და იმავე მოსაუბრეს სხვადასხვა ეთოსი. ანუ, ერთი და იმავე მოსაუბრის შემთხვევაში ენონსიატორიც იქნება სხვადასხვა. მაგალითად, სტატიაში, რომელიც გამოაქვეყნა ლე ფიგარომ საქართველოს ომის შესახებ, (Russia : Sarkozy a failli quitter la table des discussions S.L. (lefigaro.fr) avec AFP 09/09/2008) უკრანისტი გვიყვაბა სარკოზი-მედიაფედის მოლაპარაკების შესახებ, თხრობის სტილი არის ნეიტრალური, ეგვენიზმიზებით სახსე, მოის ნაცვლად უკრანისტი ხმარობს სიტყვას – კონფლიქტი. უკრანისტის წასკვდა, რომ სარკოზიმ გადაწყვიტობა მოლაპარაკების დატოვება, რადგან თავი გერ შეიკავა რუსული უტიფრობის წინაშე. **მან თქვა:** „**წავედით, მოლაპარაკება შეუძლებელია, ჩვენ ვერ დაგვთანხმებით თავისუფალ ქვეყნაში სხვა ქვეყნის შემცრას**“. ამ შემთხვევაში სარკოზის ეთოსი ჩანს, როგორც გულწრფელი და კანონმორჩილი ადამიანი, თან ოდნავ ბრაზიანი. (იმპლიკიტურად) აქვთ უკრანისტის განაგრძობს, რომ რუსები წავიდნენ მედიაფედის მოსაძებნად, რომელმაც „**ყველას სიმშვიდისაკენ მოუწოდა**“. მედიაფედის მიერ სიმშვიდისაკენ მოწოდება ნამდვილად ორაზროვნების შემცველია, ანუ, აქ კინიკურ ირონიასთან გვაძეს საქმე. მოის წამომწყვეტი სიმშვიდისაკენ მოუწოდებს, ვის? სატრანგეთის პრეზიდენტს, ევროკავშირის პრეზიდენტს იმ მომენტში, რომელიც ჩამოსულია იმისათვის, რომ დაეხმაროს დახაგრულ ქვეყნას, საქართველოს. რა შეიძლება ითქვას მედიაფედის ეთოსზე მოვამულ სიტუაციაში? პრაგმატიკის მეორე დონეს თუ მოვიშველიერი, რომელიც იმპლიკიტურ შინაარსს სწავლობს დისკურსში, აქ კხადზე უცხადესია, რომ მედიაფედის ეთოსი არის კინიკოსი, უხეში ადამიანის შესაბამისი (Coup de sang : le chef de l'Etat se lève et dit „on s'en va. Ce n'est pas négociable, nous ne pouvons pas accepter l'invasion d'un pays indépendant“. Et d'ajouter : „les retrait des forces russes sur leurs positions du 7 août, c'est notre ligne rouge“) (La délégation russe retourne alors chercher Dmitri Medvedev, qui „appelle au calme“. La discussion peut reprendre. Et la délégation européenne annoncer à la fin de la nuit qu'elle a obtenu des Russes **l'engagement d'un retrait de leurs troupes de Géorgie d'ici un mois**. Elles resteront en revanche stationnées dans les provinces autonomistes géorgiennes d'Ossétie du Sud et d'Abkhazie.)

უურნალისტური დისკურსის ანალიზისას წინა პლანზე გამოდის მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად უურნალისტის ეთოსი, რომელიც გასდევს მთელ ლოგოსს, ანუ დისკურსს. მაგალითად, ჩვენ მიერ განხილულ სტატიებში, უურნალისტის მიერ შერბილებულია მოვლენის სიმძაფრე, რომელსაც ომი ჰქვია, იგი ამ მოვლენას ქართულ-რუსული კრიზისის ტერმინით მოიხსენიებს. უურნალისტის ეთოს მეტაკლებს მის გულგრილობაზე, რაც შეიძლება იყოს ხელოვნური, იმ მიზნით, რომ არ დაძაბოს მკითხველი. „ნამდვილმა შოკის ტალღამ გადაუარა კოფილ საბჭოთა სივრცეს **რუსულ-ქართული კონფლიქტის** დაწყიბის მომენტიდან... რუსული ოპერაციის ტრანსფორმაცია, რომელიც განკუთვნილი იყო იმისათვის, რომ „საქართველოსთვის ეიძღვებინათ მშვიდობა“ დას-ს ქვემნებისათვის გაკეთილია, რომელსაც ის ქვემნები კერ დაივიწყიბენ“ (C'est une véritable onde de choc qui parcourt l'ancien espace soviétique depuis le début de la **crise russo-géorgienne** du mois d'août. De la Biélorussie à l'Asie centrale, en passant par l'Azerbaïdjan et l'Arménie, pays directement voisins de la zone de conflit, tous ces anciens satellites de Moscou se sont mis à trembler en observant avec effarement l'entrée des chars russes sur le sol géorgien au nom de la défense de l'Ossétie du Sud et des minorités russophones qui y habitent. La transformation de l'opération russe destinée à „**forcer la Géorgie à la paix**“ après son attaque contre la capitale ossète, Tskhinvali, en occupation d'une large partie du territoire géorgien et en destruction de son potentiel économique et militaire, représente une leçon que les pays de la CEI ne sont pas près d'oublier. „Ils sont paniqués“, résumait récemment un diplomate européen basé à Bakou.) ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ აქაც, რუსეთის კონტექსტში თან ახლაც ირონია უურნალისტის მხრიდან. იგი ბრძალებით კიტირებს რუსების ფრაზას, „აიძღლო საქართველოს მშვიდობა“, ანუ, რუსეთი, როგორც არაერთხელ, ირეგა სხვის საქმეში და კალიგულასი არ იყოს, „პედაგოგობს“, ოღონდ არა საკუთარი ქვემნის შიგნით, არა-მედ, სხვა, დამოუკიდებელ ქვეყანაში. რა თქმა უნდა, უურნალისტის მხრიდან, ეს ირონის საგანი ხდება. როგორც უურნალისტურ დისკურსს შეეფერება, ჩვენ მიერ განხილული სტატიაც არის პოლიტონიური, აქ ისმის სარკმლის, მედგვიდეგის, უურნალისტისა და სხვათა ხმები. პოლიტონიური სტატიის შემცირებისას გადაიდობს, ანუ ეს იყო წმინდა შესაძლებელი დისკურსი. ამ დისკურსიდან გამომდინარე, ცხადი ხდება რა იყო უურნალისტის ინტენცია. მას სურდა მაქსიმალური ინფორმაცია მიეწოდებინა მკითხველებისათვის, ანუ აუდიტორიისათვის, საქართველოს ომის შესახებ, რასაც თან ახლდა იმპლიციტური ირონია რუსეთის მიმართ. პრაგმატიკიდან ცნობილია, რომ იმისათვის, რომ დისკურსული ინტენცია გასაგები იყოს აუდიტორიისათვის, ანუ მსმენელთათვის თუ მკითხველთათვის, საჭიროა არსებობდეს მთავარ კომუნიკაცია და სხვებს შორის კოოპერაცია, რომელიც წარმატებული იქნება მაშინ, როცა დისკურსს იქნება კალსახია და თავისუფალი იქნება ორაზროვნებისაგან. ამისათვის საუკეთესო პირობაა, როცა კომუნიკაციები ერთსა და იმავე დროსა და სივრცეში იმყოფებიან და მეორე, როცა ისინი ერთსა და იმავე კულტურას წარმოადგინენ, მაგალითად, როცა უურნალისტი ფრანგია და მისი მკითხველიც ფრანგია, აქ ლაპარაკი არ არის კულტურის დონეებზე. ინფორმაციული ხასიათის დისკურსები უფრო ექვემდებარება ინტერპრეტაციებს, რისი შედეგიც იქნება ორაზროვნება. მაგალითად, აგვისტოს იმზე ინფორმაციულმა სტატიებმა წალეკა როგორც ქართული, ისე უცხოური პრესა და შედეგად მოიტანა ის, რომ ეს მოვლენა ქართველებისათვის დარჩა მომად, ხოლო ზოგიერთი სხვა კულტურის წარმომადგენლთათვის ინკიდენტად თუ კონფლიქტად. ამ შემთხვევაში უურნალისტსა და მის აუდიტორიას შორის სრულყოფილ კოოპერაციას ხელს უშლის არა დრო და სივრცე, არამედ სხვათა კულტურათა შორის. მაგ., როგორც ამ ანალიზიდან ჩანს, რუსისათვის ტანკით დამოუკიდებელი ქვეყნის ტერიტორიაზე შეგრიალება არ ნიშნავს ომს, არამედ წესრიგის დამყარებას და სხვა არაფერს, მათივე სიტყვებით, რომ ვთქვათ, ეს „მშვიდობის იძულებაა“. ანუ ტანკი დგას მშვიდობის სამსახურში და ლამის მშვიდობის ერთადერთ სიმბოლოდ მიიჩნევა რუსულ ლოგოსში, ანუ უურნალისტურ დისკურსში. ასე რომ, თუ რუსული მედიადისკურსის ინტენციებს გავიზიარებთ, რაც არაერთხელ მომხდარა, მაშინ, ერთ მშვენიერ დღეს პიკასოს გერნიკა დაგარგავს თავის შინაარსს და მის ნაცვლად ტანკი შეიძლება მოგვევლინოს მშვიდობის სიმბოლოდ. ეს ირონიით, რა თქმა უნდა.

ერთ-ერთ მარკერად შეიძლება მივიჩნიოთ. მოკემული სტატია შეიხებოდა გარკვეულ მოვლენას, ოღონდ ანალიზის გარეშე, ანუ ეს იყო წმინდა შესაძლებელი დისკურსი. ამ დისკურსიდან გამომდინარე, ცხადი ხდება რა იყო უურნალისტის ინტენცია. მას სურდა მაქსიმალური ინფორმაცია მიეწოდებინა მკითხველებისათვის, ანუ აუდიტორიისათვის, საქართველოს ომის შესახებ, რასაც თან ახლდა იმპლიციტური ირონია რუსეთის მიმართ. პრაგმატიკიდან ცნობილია, რომ იმისათვის, რომ დისკურსული ინტენცია გასაგები იყოს აუდიტორიისათვის, ანუ მსმენელთათვის თუ მკითხველთათვის, საჭიროა არსებობდეს მთავარ კომუნიკაცია და სხვებს შორის კოოპერაცია, რომელიც წარმატებული იქნება მაშინ, როცა დისკურსს იქნება კალსახია და თავისუფალი იქნება ორაზროვნებისაგან. ამისათვის საუკეთესო პირობაა, როცა კომუნიკაციები ერთსა და იმავე დროსა და სივრცეში იმყოფებიან და მეორე, როცა ისინი ერთსა და იმავე კულტურას წარმოადგინენ, მაგალითად, როცა უურნალისტი ფრანგია და მისი მკითხველიც ფრანგია, აქ ლაპარაკი არ არის კულტურის დონეებზე. ინფორმაციული ხასიათის დისკურსები უფრო ექვემდებარება ინტერპრეტაციებს, რისი შედეგიც იქნება ორაზროვნება. მაგალითად, აგვისტოს იმზე ინფორმაციულმა სტატიებმა წალეკა როგორც ქართული, ისე უცხოური პრესა და შედეგად მოიტანა ის, რომ ეს მოვლენა ქართველებისათვის დარჩა მომად, ხოლო ზოგიერთი სხვა კულტურის წარმომადგენლთათვის ინკიდენტად თუ კონფლიქტად. ამ შემთხვევაში უურნალისტსა და მის აუდიტორიას შორის სრულყოფილ კოოპერაციას ხელს უშლის არა დრო და სივრცე, არამედ სხვათა კულტურათა შორის. მაგ., როგორც ამ ანალიზიდან ჩანს, რუსისათვის ტანკით დამოუკიდებელი ქვეყნის ტერიტორიაზე შეგრიალება არ ნიშნავს ომს, არამედ წესრიგის დამყარებას და სხვა არაფერს, მათივე სიტყვებით, რომ ვთქვათ, ეს „მშვიდობის იძულებაა“. ანუ ტანკი დგას მშვიდობის სამსახურში და ლამის მშვიდობის ერთადერთ სიმბოლოდ მიიჩნევა რუსულ ლოგოსში, ანუ უურნალისტურ დისკურსში. ასე რომ, თუ რუსული მედიადისკურსის ინტენციებს გავიზიარებთ, რაც არაერთხელ მომხდარა, მაშინ, ერთ მშვენიერ დღეს პიკასოს გერნიკა დაგარგავს თავის შინაარსს და მის ნაცვლად ტანკი შეიძლება მოგვევლინოს მშვიდობის სიმბოლოდ. ეს ირონიით, რა თქმა უნდა.

ჩვენს შემთხვევაში უურნალისტის ინტენცია იყო ინფორმაციის მიწოდება და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამას მოჰყვა სხვადასხვა ინტერპრეტაცია, რაც გამომდინარებს კულტურათა სხვაობიდან, დროისა და სიგრძის სხვაობიდან და ინტენციათა სხვაობიდან. უურნალისტის ინტენცია შეიძლება იყოს აგრეთვე საკუთარი აზრის მიწოდება სხვაბისთვის გარკვეულ მოვლენაზე, ასეთ დროს მისი დისკურსი იქნება არგუმენტული. უნდა ითქვას, რომ არგუმენტული დისკურსის ინტერპრეტაციისას უფრო ნაკლები შეიძლება იყოს ცდომილება განსხვავებული კულტურისა, დროისა და სიგრძის გამო, რადგან უურნალისტური დისკურსი არგუმენტებით იქნება გამაგრებული. არგუმენტული დისკურსით ხასიათდება უფრო ქრონიკული, რაც შეიძლება იყოს იგივე კრიტიკა, რომელთა ავტორიც გამოხატავს თავის საკუთარ გრძნობებსა და შეხედულებებს, ემოციას, მსჯელობას, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ნეგატიურ მომენტად, რადგან ამგვარ ენონსია-კიაში, ანუ დისკურსში, სუბიექტურობის გამოხატვა წესითა და რიგით მიღებულია. იმისდა მიხედვით თუ რაზე მსჯელობს კომუნიკატი, ჩვენს შემთხვევაში უურნალისტი, სხვადასხვა იქნება მისი ეთოსი, შესაბამისად, ლოგოსი და პათოსი. თუ ის მსჯელობს სამედიცინო საკითხები, მაგ. გრიბაზე, მისი ეთოსი იქნება შესაბამისი დისკურსისა, რადგან ეს მსჯელობა შეიძლება იყოს მეცნიერული და მაშინ ეთოსი იქნება სრულიად არაესპერისული, არამედ ზუსტი და კორექტული, მსჯელობა შეიძლება იყოს პოპულარულ ენაზე, ანუ განსხვავებული მოდალობით იმავე საკითხზე, მაშინ შეიძლება კომუნიკანტის ეთოსი წარმოჩნდეს, როგორც გააგრძელო ადამიანისა ან ცინიკოსისა, რომელსაც მედიცინის არ სჭრა და ა.შ. ჩვენი მსჯელობა ამ შემთხვევაში შეიქმნოდა ფრანგულ, წერილობით მედიადისკურსს. რაც შეეხება ქართულ მედიადისკურსს, მისი ინტენცია იყო შიშველი სიმართლის მიწოდება დანარჩენი მსოფლიოსათვის, რაც ხშირად აღწევდა მიზანს, მაგრამ კოველთვის არა, გერნიკას კონკურენტის დიდი დამსახურებით. აღსანიშნავია, რომ წერილობითი მედიადისკურსი სრულიად განსხვავდება ზეპირი მედიადისკურსისაგან, როგორც საფრანგეთში, ისე საქართველოში, თავის მხრივ, ერთი და იმავე უანრის მედიადისკურსები ამ არ ქვეყანასაც სრულიად განსხვავებული აქვს. ორივე ქვეყანაში ზეპირი მედიადისკურსი უფრო თამამია, რბილად რომ

გთქვათ, გიდრე წრილობითი მედიადისკურსი. ფრანგულ ტელესიგრაფიში ცნობილ უურნალისტ ტიერი არდრისონს მიჰყავდა გადაცემა, რომელშიც თვითონაც და მოწვეული სტუმრებიც უწმიტურ სიტყვებს ძალიან ლალად ხმარობდნენ. ეს იყო ეპატაუზი დამჟარებული გადაცემა, რომელსაც დიდი რაოდენობით მაყურებელი ჰყავდა, უურნალისტის ეთოსი, ლოგოსი და პათოსი, ალბათ სრულიად მიუღებელი იქნებოდა არისტოკრატების, რომელმაც საფუძვლი ჩაუყარა რიტორიკას. რაც შეეხება ქართულ ტელესიგრაფის, ჯერ უწმიტური გადაცემები არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით აქტებარდის უნებლიერ უწმატურობას სიტყვა “გაუიმდასთან“ დაკავშირებით, მაგრამ წერილობით მედიასთან შედარებით ზეპირი მედიადისკურსი ქართულ ტელესიგრაფიც უფრო გაბედულია. ეს განსაკუთრებით თოვემოუბეში კლინდება, რომლებშიც კომუნიკანტთა ინტენციები წინასწარაა ცნობილი. ავილამ იცის, რომ კაგვასის ინტენციაა ცუდად წარმოაჩინოს ხელისუფლება, ხოლო რუსთავი 2-ის ინტენციაა ცუდად ოპოზიცია წარმოაჩინოს. ასეთი მედიადისკურსი არასაინტერესო და მოსაწყინია. საინტერესოა შევადაროთ იდენტური გადაცემების დისკურსები ფრანგულ და ქართულ ტელე-მედიასიგრაფში. ასეთებია, „გის უნდა 20000,, და „სუსტი რგოლი“. პირველ გადაცემას ფრანგულად ეწოება „Comment gagner des millions“, რომელიც საფრანგეთში მიჰყავს უან-პიერ ფუკოს, სოლი-დური ასაკის მამაკაცს, რომელიც დინზი საუბრის მანერით გამოიტანება. მისი ეთოსი მეტაველებს დაღვინებულ და მშვიდ ადამიანზე. საქართველოში ეს გადაცემა დიდხანს მიჰყავდა დიმიტრი სხირტლაძეს, არავის დაავიტუდება ემოციების ფეიერვერკი, რომელიც ახლოს გადაცემას ახლდა. როგორი იყო წამყანის ეთოსი? ის მეტაველებდა წარმატებას დაწაფებულ ენერგიულ ახალგაზრდაზე, რომელსაც ძალიან უნდოდა მაყურებლის გული მოეგო და მან ამას მიაღწია კიდეც. მისი დისკურსი გაფერებული იყო არტისტული სკლებით, რაც ძალიან ამხარულებდა მაყურებელს და ზრდიდა გადაცემის რეიტინგს. უან-პიერ ფუკოს დისკურსი ძალიან მონოტონური ჩანს ამის გვერდით, თუმცა არც ამ გადაცემას ჰქოლია ნაკლები მაყურებელი. რატომ განსხვავდება ერთი და იმავე ტელეგადაცემის დისკურსები ასე რადიკალურად? მის საფუძვლიად არა მარტო ორი სხვადასხვა კულტურის არსებობა უნდა მივიჩნიოთ, არამედ წამყანათა ინდივიდუალიზმი.

ოღონდ ფრანგულ მედიასიგრაფიში უპირატესობა მიანიჭეს სოლიდური ასაკის თავშეკავებულ წამყვანს, ქართულში კი, ემოციურ, პათეტიკურ ახალგაზრდას. ანუ, მაინც კულტურიდან გამომდინარე მიდგომამდე და შეფასებამდე მივდიგართ. რაც შეეხება მეორე გადაცემას, “სუსტი რგოლი”, “Maillon faible” უნდა ითქვას, რომ აქაც დიდი განსხვავება იყო წამყვანთა თვალსაზრისით. ფრანგული გადაცემა მიჰყავდა სრულიად უემოციო, გარეგნობით ვულგარულ ქალს, რომელიც ხაზგასმით უბოლიშოდ ემშვიდობებოდა თამაშიდან გასულებს. სრულიად ფანტასტიკური იყო ქართველი წამყვანი ნინო ბურდული, ელეგანტური და გონებამახვილი, რომელსაც უბოლიშო საქციელის ნაკვლად ირონია ჰქონდა მომარჯვებული იარაღად. ფრანგი წამყვანის დისკურსი იყო ძუნწი, პირდაპირი და უემოციო, ქართველისა აგრეთვე ძუნწი, მაგრამ ირონიით გაჯერებული. იმ შემთხვევაშიც მსგავს მოვლენასთან გვაქმნა საქმე, როგორც ჩანს, ქართველების და ფრანგების შეფასების კრიტიკულები სრულიად განსხვავებულია, რისი საფუძვლიც ალბათ, ისეგ და ისეგ კულტურათა შორის სხვაობაა. ის, რაც ფრანგისთვისაა მისაღები, ქართველისათვის მიუღიბელი ჩანს. მაშასადამე, ეთოსის უბირველესი მარკერია ის კულტურა, რომლის მატარებელიც არის მოსაუბრე, ანუ ადრესანტი, თუმცა, ეთოსი, ამავე დროს, მოსაუბრის ინდივიდუალობითაც არის მარკირებული. უფრო ფართო მასშტაბით თუ გიმსელებთ, ინდივიდუალობაც იმ კულტურით საზრდოობს, რომლის მატარებელიც არის მოსაუბრე.

#### ლიტერატურა

- არმენგო, 2007** — Françoise Armengaud, La pragmatique, PUF, 2007
- გარიკი, 2007** — Nathalie Garric, Frédéric Calas, Introduction à la pragmatique, Hachette, 2007
- კურტო, 2007** — Joseph Courtès La sémiotique du langage, Armand Colin, 2007.
- მაზიორა, 2005** — Francine Mazière L'analyse du discours, PUF, 2005
- მეიერი, 2004** — Michel Meyer La rhétorique, PUF, 2004 .

#### Ethos, Pathos and Logos in French and Georgian Media Discourse

##### Summary

As is known, ethos, pathos and logos are essential elements of discourse. The aim of the paper is to study the given elements on material from French and Georgian media discourse (written as well as spoken). The paper stresses the differences in the interpretation of the notion of ethos in rhetoric and pragmatics. The empirical data comprises the copies of the French newspaper *Le Figaro*, the Georgian newspaper *Resonance*, French and Georgian talk shows devoted to the topic of Russian-Georgian war in 2008. The analysis has proved that the ethos of the speaker/reader is largely dependent on his/her cultural background.

მდგ ზოთიაშვილი

### კომპიუტერული სლექსის როლი კომპიუტერული ტერმინოლოგის ჩამოყალიბის საშუალების საშვაზი

კომპიუტერული კომუნიკაციის პროცესში ადამიანებს სჭირდებათ ინფორმაციის გაცვლა. ამ უკანასკნელისთვის კი აუცილებელია, შესაბამისი კოდის არსებობა. კოდის გამოყენება, თავის მხრივ, მოითხოვს კომუნიკაციურთაგან ცოდნის ფონობრიობას, როდესაც აღრესანტისა და ადრესატის სინფორმაციონ ბაზა ერთიან კოდს ეფუძნება. კომპიუტერულ კომუნიკაციაში არსებული ინგლისურენოვანი კოდი ქმნის ფონობრივ ინფორმაციულ ბაზას, რაც ქართულენოვანი კომპიუტერული კომუნიკაციის შინაარსობრივ საფუძველს წარმოადგენს. ქართული სამეტყველო გარემო მოითხოვს ურთიერთგავებისათვის აუცილებელ ფონობრივ ცოდნას, როდესაც კომუნიკაციებმა იციან, რაზეა საუბარი.

აღნაშნული თვალსაზრისით, განვიხილავთ კომპიუტერული ჟარგონის, ანუ სლენგის როლსა და ადგილს კომპიუტერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების საქმეში.

კომპიუტერული სლენგის ჩამოყალიბება, თავდაპირველად, დაკავშირებული იყო პროგრამისტების პროფესიულ ჟარგონთან. დროითა განმავლობაში, კომპიუტერის მნიშვნელობა გაცდა ვიწრო პროფესიული ურთიერთობის სფეროს და ფართო საზოგადოების ინტერესის ობიექტი გახდა. ამან, ბუნებრივია, გამოიწვია ის, რომ კომპიუტერთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისა და ინფორმაციის გაცვლის საშუალება მიეცა განსხვავებული სოციალური, ეთნიკური, სამართლებრივი, რელიგიური, გენდერული და სხვა სახის სტატუსის ქმნებისათვის. გრანიდან, კომპიუტერული სლენგი წარმოადგენს საცდელ პოლიგონს, სადაც ხდება პოტენციური კომპიუტერული ტერმინების რეალურ საკომუნიკაციო სიტუაციებში „გამოცდა“, საინტერესოა ამ სფეროში მიმდინარე პროცესებისა და ტენდენციების

გამოკვეთა და ანალიზი.

თავისი ხასიათით, კომპიუტერული სლენგი პროფესიული ჟარგონის ნაირსახეობას წარმოადგენს, რომლის ფორმირებაც, სპეციფიკურ პირობებში მიმდინარეობს. ამ უკანასკნელში სრულიად განსხვავებული სოციალური და სხვა სტატუსის მქონე ადამიანი ცდილობს „შეიქრას“ კომპიუტერული კომუნიკაციის სფეროში. სხვაგარად რომ ვთქვათ, კომპიუტერის მომხმარებელთა რაოდენობის განუხრელი ზრდა განაპირობებს კომპიუტერული სლენგის მატარებელთა ვიწრო პროფესიული კორპორაციული ურთიერთობების რღვევას. ვინაიდან, არაპროფესიულ კომუნიკაციებს, ანუ ჩვეულებრივ მომხმარებელს, თემატური ურთიერთობისას ისევ სჭირდება ობიექტისა და მოქმედებების დასახელება, როგორც კომპიუტერული სფეროს სპეციალისტს. ყოველივე ეს ქმნის იმის წინაპირობას, რომ კომპიუტერული ტერმინები ფართოდ გამოყენებოდეს და ენობრივი სტატუსი მოიპოვონ. ეს ფაქტი შესაძლებელია დაცვუკავშიროთ ახალ ენობრივ მოვლენებთან დაყავშირებულ კანონზომიერებას, როდესაც სამეტყველო ერთეული ამჟღვანებს ტენდენციას, სტანდარტულ სიტუაციაში მოგვევლინოს სტანდარტული ფორმით, ფსიქოლოგიურად ხდება ამ კავშირის ავტომატიზაცია, რომლის შედეგადაც, ეს მნიშვნელობა ხდება მიღებული ენობრივი კოლექტივის მიერ.

სწორედ ასეთი ავტომატიზაციის შედეგია ისეთი კომპიუტერული ტერმინების დამკაიდრება ენაში, როგორიცაა: „ჭოისთიქ“, „მესიქ“, „ონლაინ“, „ეთერმენტი“, „მეგაბაიტი“, „ჩიპი“, „ქოფი“, „ინსერთი“, „ინბორქსი“ და ა. შ. უნდა აღინიშნოს, რომ მოყვანილი სიტყვები უკვე მოსწყდა კომპიუტერული კომუნიკაციის ვიწრო პროფესიულ გარემოს და ფართოდ გამოიყენება ჩვეულებრივ სამეტყველო პრაქტიკაში, რომელიც არ არის დაკავშირებული პროფესიულ კომუნიკაციურთა ურთიერთობასთან. როგორც აღნიშნეთ, „დილეტანტური მასების“ ჩართვა კომპიუტერული კომუნიკაციის სფეროში, ხელს უწყობს ტერმინოლოგიზაციის პროცესის დაჩქარებასა და სამეტყველო ერთეულის გადაქცევას ენობრივ ერთეულად.

კომპიუტერული კომუნიკაციისა და კომპიუტერული სლენგის მჭიდრო კავშირი შესაძლებლობას გვაძლევს ტერმინთშემოქმედების პროცესს მივადევნოთ თვალი. ამ კუთხით ძალზე საინტერესოდ მიგვაჩნია ის კომპიუტერული პოლილოვები, რომლებიც იმართება კომპიუტერული „საფიხვნოს“ ფარგლებში. მოცემულ საიტზე ხდება კომ-

პიუტერული ტერმინოლოგიის ავ-კარგთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლა. კომუნიკანტები გვთავაზობენ ტერმინის საკუთარ ვარიანტებს, აკრიტიკებენ მათი თვალსაზრისით არასწორ და მიუღებელ ვარიანტებს, გამოთქვამენ ტერმინთშემოქმედებასთან დაკავშირებულ ვარაუდებს და იძლევიან კონკრეტულ ვერსიებს.

კომუნიკანტთა ურთიერთობის ენა, აღნიშნულ საიტზე, წარმოადგენს კომპიუტერული სლენგის გამოყენების უნიკალურ შემთხვევას, რომელზედაც დაკავშირებაშ შესაძლებლობა მოგვაც რამდენიმე საინტერესო ტენდენცია დაგვეფიქსირებინა. პირველ რიგში, ეს ეხება ინგლისურნოვანი კომპიუტერული ტერმინების „სლენგური“ ეკვივალენტების გამოყენებას. ისევე, როგორც კომპიუტერული ტერმინების გადმოცემის ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში, კომპიუტერულ სლენგზე ინგლისური ტერმინის კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში გამოყენებისას, ხდება კალკირება, ნახევრადგალკირება და საკუთრივ თარგმნის მეთოდების გამოყენება. ამასთანავე, კომპიუტერული სლენგისთვის სპეციფიკურია ფონეტიკური მიმეკრიის პრინციპის ფართო გამოყენება. აღნიშნული ხერხი დაკავშირებულია ტერმინის ფონეტიკურად მსგავს, მაგრამ შინაარსობრივად განსხვავებულ სიტყვასთან. ასეთი გამოყენება დაკავშირებულია კომიკურ ელფერთან, რასაც აღნიშნული ტიპის ფონეტიკური მიბაძვა (მიმეკრია) იწვევს. როგორც წესი, ასეთი ერთეული ტერმინოლოგიური ერთეულის დონზე არ მაღლდება, მაგრამ კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში, თავისუფლად ასრულებს „ტერმინის“ ფუნქციას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფონეტიკური მიმეკრიის შედეგად მიღებული ვარიანტი, გავრცლების არეალის თვალსაზრისით, საკმაოდ შეზღუდულია და არც გააჩნია პრეტენზია ენბაზრივ სტატუსზე.

მიღრეკილება კომიკური ეფექტისაჭერ კომპიუტერული ჟარგონის ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ტენდენციაა, რაც, ხშირად, სინონიმური ვარიანტების არსებობამიც ვლინდება. ასე მაგალითად, ინგლისური „mouse“-ს აღსანიშნავად, ქართულ კომპიუტერულ ჟარგონში გაგვაჩნია მთელი რიგი სამეტყველო ვარიანტები „თაგვა“, „ვირთხა“, „წრუწუნა“, „თაგუნა“, „მაუსი“. ასევე, მრავალი სამეტყველო ვარიანტითაა წარმოდგენილი ინგლისური ტერმინი „button“ — „ღილაკი“, „ბატონი“, „მუხრანი“, „ფუნთუშა“.

აღსანიშნავია, რომ „სინონიმური ვარიანტები“ არ მარტო არსებით სახელებს გააჩნიათ, არამედ ზმნური წარმოშობის კომპიუტე-

რულ ტერმინებს. ასე, მაგალითად, ტერმინი „click“ კომპიუტერულ სლენგში გვევლინება, როგორც „დაწლიქვა“, „ქლიქის მიცემა“, „მოხმობა“, ტერმინი „attack“ შემდეგ ვარიანტებში გვხვდება „მიერთება“, „შეტევა“, და ა.შ.

კომიკური ეფექტის შექმნის შეგნებული პროცესისაგან უნდა გაიმიჯნოს ის შემთხვევები, როდესაც ინგლისურნოვანი კომპიუტერული ტერმინების გადმოცემისას ხდება პიროვნების მიერ ტერმინის არასწორი წაკითხვა, რაც ენის არცოლნას უკავშირდება. მაგალითად, გავრცელებულია ტერმინი „mail“-ის „მაილად“, ხოლო „message“-ის „მასაგად“ გადმოცემა, რაც ბუნებრივია, კომიკურ ეფექტს იწვევს. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა კომუნიკანტმა შესაძლოა სპეციალურადაც დაამახინჯოს ტერმინი კომიკური ეფექტის შესაქმნელად. განსხვავებულ წაკითხვასთანაა დაკავშირებული სინონიმური რიგი, რომელიც ინგლისურნოვანი ტერმინის „keybord“-ის ქართულად გადმოცემასთანაა დაკავშირებული: „კეიბორდი“, „კებორდი“, „ქიბორდი“, „ქებორდი“.

უნდა აღინიშნოს, რომ ოდნავ ირონიული ელფერი თითქმის ყველა ახლადშემოტანილ სამეტყველო ვარიანტს ახლავს, რასაც პრაქტიკა ნათლად ადასტურებს. მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერულ ჟარგონში დაკვიდრდა მთელი რიგი ზმნური წარმონაქმნი „ინსტალირება“, „დაწყაპუნება“, „დამესიჩება“, საკმაოდ დიდია ანალიტიკური ფორმების გამოყენებაც. მაგალითად, „მიცემა“, „ჩართვა“, „ძიება“ და ა.შ. აღნიშნული მეთოდი, როგორც წესი, გამოიყენება უკავივალენტო ლექსიკური ერთეულის აღსანიშნავად, როდესაც ზმნა საშუალებას გვაძლევს ფორმა კონკრეტულ სამეტყველო აქტში გამოვიყენოთ. როგორც ცნობილია, ერთია სიტყვის მნიშვნელობის ცოდნა, ხოლო მეორე — მისი კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენება. ასე მაგალითად, ტერმინ „paste“-ს მნიშვნელობა უკავშირდება ჩასმას, შეწებებას. იმის გამო, რომ ეს მნიშვნელობა უკვე დაიწვევიდრა „insert“-მა, კომპიუტერულ ჟარგონში სიტყვა „paste“-ი კალკის სახით გვევლინება. სირთულეს ქმნის მისი ზმნური ფორმით გამოყენება კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში. ყველაზე მარტივ გამოსავალს, ამ შემთხვევაში, წარმოადგენს აღნიშნული ტერმინის ზმნური კომპონენტით გაძლიერება, რას შედეგადაც ვიღებთ „ფეისთის მიცემას“. ამავე მოდელზეა შექმნილი კონსტრუქციები: „rate“-ის განსაზღვრა, „pover“-ის გაზრდა, „overline“-ის გაფლება და ა.შ.

კომპიუტერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების ერთ-ერთი გზაა მომიჯნავე მეცნიერებების ტერმინოსისტემებიდან სიტყვის გადმოტანა. ამ დროს ხდება ტერმინის სპეციფიკაცია, ანუ მისი კომპიუტერული კომუნიკაციის სისტემაში ჩართვა, რის გამოც ახალ კონტექსტში სიტყვა დამატებით მნიშვნელობას იძნება. ასე მაგალითად, „იმპორტ“-ის ტრადიციული მნიშვნელობა საყოველთაოდაა ცნობილი, მაგრამ კომპიუტერულ სლენგში მან შეიძინა ახალი სემანტიკა — „ნაგულისხმევი აზრი“, „ნაგულისხმევი მნიშვნელობა“, რაც კომუნიკაციის თვალსაზრისით, გარკვეულ გაუგებრობას ქმნის, ვინაიდან, ქართულ ცნობიერებაში აღნიშნულ ტერმინს დამკვიდრებული მნიშვნელობა გააჩნია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპიუტერული სლენგი უშუალო კავშირშია კომპიუტერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებასთან. ის წარმოადგენს თავისებურ სამეტყველო გარემოს, რომლის ფარგლებში ხდება ამა თუ იმ სამეტყველო ერთეულის გამოცდა და დამკვიდრება. კომპიუტერული ტერმინოლოგიის შექმნის პროცესში ორი ურთიერთდაპირისპირებული და, ამავდროულად, ურთიერთშეპირობებული ტენდენციები ურთიერთქმედებენ. ერთი მხრივ, როგორც ნებისმიერი მეცნიერება, კომპიუტერული სფეროც მიისწავლის მკაცრად განსაზღვრული ადმინისტრაციული ტერმინოსისტემის შექმნისაკენ, მეორე მხრივ, კომპიუტერული კომუნიკაციის სფერო დილეტანტების ხარჯზე ფართვდება, რის შედეგადაც, სრული აკადემიურობა, პრაქტიკულად, მიუღწეველი ხდება. კომპიუტერული კომუნიკაცია არ არის მკაცრად რეგლამენტირებული პროფესიონალთა ურთიერთობით, რისი შედეგიცაა მრავალი, ტერმინოლოგიურად გაუმართავი სიტყვის გამოყენება ინფორმაციის გაცვლის კონკრეტულ შემთხვევებში.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი პრობლემა, რომელიც ქართული კომპიუტერული ტერმინოლოგიის შექმნასთანაა დაკავშირებული, მდგომარეობს იმ დისპროპორიულაში, რომელიც იქმნება დარგის უსწრაფესი განვითარებისა და კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმნისა და კონკრეტულ ენობრივ გარემოში დამკვიდრების ტემპებს შორის. უცხოენოგანი ტერმინის დამკვიდრების პირველ ეტაპზე ხდება მისი სემანტიზაცია, რათა პროფესიონალურ კომუნიკაციაში გამოსადეგი გახდეს, ხოლო შემდეგ კონვენციონალიზაცია, როდესაც პროფესიონალური კომუნიკაციის სფეროდან ის ენობრივი სისტემის ელემენტად გარდაიჭმნება და საზოგადოებრივ სანქციას

იღებს. სწორედ, კონვენციონალიზაციის პროცესი აგვირგვინებს პროფესიულ უარგონში პარობირებული სამეტყველო ერთეულის ტერმინად ჩამოყალიბებას. სამწუხაროდ, „ენობრივი გემოვნება“ ისევე, როგორც, ზოგადად, გემოვნება, ლოგიკურ საწყისზე არ არის დაფუძნებული, ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, საუკეთესო ტერმინოლოგიური ვარიანტი პრაქტიკულ კომუნიკაციაში მიუღებელი რჩება, მაშინ, როდესაც შედარებით მდარე ვარიანტი შეიძლება დამკვიდრდეს ენაში. ამ არჩევანში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან როლს კომპიუტერული უარგონი თამაშობს, რომლის წიაღშიც გარკვეულ კომუნიკაციურ ტესტირებას გადიან პერსპექტიული ტერმინები.

#### ლიტერატურა

**გოგიაშვილი, რაზმაძე, 1998** — ჭ. გოგიაშვილი, ს. რაზმაძე, პერსონალური კომპიუტერი თანამედროვე ოფისში., თბ., 1998

**სერგა 1983** — ვ. სერგა, ტექსტის ლინგვისტიკა., თბ., 1983

**ფანჯიკიძე 1995** — დ. ფანჯიკიძე, თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა., თბ., 1995

**წიბახაშვილი 2000** — გ. წიბახაშვილი, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები., თბ., 2000

Dictionary of Computing., Oxford, 2004

English-Georgian Dictionary of Computing Machinery and Data Processing., Tb., 1996

EKA GOTIASHVILI

**The Role of Computer Slang in the Formation of  
Computer Terminology**

Summary

As is known, computer slang is a specific area of language use which serves as a framework for testing and fixing certain lexical units. The paper maintains that in the process of formation of computer terminology two opposing and at the same time interdependent tendencies interact: on the one hand, similar to any scientific field, computer field reveals a tendency towards the coinage of strictly defined administrative terminology, on the other hand computer communication is enriched on the basis of amateur usage. As a result complete academism is practically impossible.; computer communication is regulated not only by professionals. As a result, numerous non-technical words are used for exchanging specific types of information. Hence computer slang plays an important role in the formation of computer terminology.

ირინ ღვამიშვილი

საუბარი ამინდის ზესახებ – სოციალური ურთიერთშევადების  
მძღვანელი ინსტრუმენტი  
(ინგლისური და ქართული ენების მასალაზე)

„გამყიდველმა გაიღიმა, მისი აზრით, სახიამოვნოდ. — ამინ-  
დი ხომ მშვენიერია! — განაგრძო ისეთი ტონით, გეგონებოდა  
მისი ნამოქმედარიათ.  
- წვიმა გვჭირია! — გააწყვეტინა მერი პოპინსმა.  
- მართალი ბრძანდებით! — სახწიაფოდ დაეთანხმა გამყიდ-  
ველი. გულითა და სულით ცდილობდა ეხიამოვნებინა. — რა  
ხშიბია წვიმა!  
- ძირიქით! — წაიძურტყუნა მერი პოპინსმა“.

პამელა ტრავერსი, „მერი პოპინსი“

ცნობილია, რომ ოსკარ უაილდმა გააკრიტიკა ის ხალხი, გინც ამინდს სასაუბრო თემად იყენებს და უწოდა ამინდს „წარ-  
მოსახვას მოკლებულთა საბოლოო თავშესაფარი“ (“last refuge of the  
unimaginative”). ტომას ფულერი კი ამბობდა: „Change of the weather  
is a discourse of fools“. მიუხედავად ამისა, კლეიტონ აჩვენა, რომ  
ყოველი 10 ბრიტანელიდან 6 ამინდს საუკეთესო სასაუბრო თე-  
მად მიიჩნევს. კლეიტონ ასევე გამოავლინა, რომ ბრიტანელების  
ნახევარზე მეტი ამინდზე საუბარს მიმართავს ყოველ ექვს საათ-  
ში ერთხელ. მიჩნეულია, რომ ამინდზე შესახებ საუბარი ურთიერ-  
თობის დამარების და „აუნიულის გალობრის“ საუკეთესო საშუალე-  
ბაა. როგორც კნობილი წიგნის „იტიკიტის“ ავტორი ემილი პოსტი  
აღნიშნავს, „ამინდის კაბლებადიბა თითქოს სპეციალურად იმისთვის  
გამოიგონა განგებამ, რომ ადამიანები სასაუბრო თემებით მოემარაგე-  
ბინა“ (პოსტი, 1922).

ზემომოყვანილის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ ფრაგმენტი ორი ინგლისელი ქალბატონის საუბრიდან, რომელიც მეგობრული საუბრის წარმართვის ტიპურ ნიმუშადაა მოკემლი ინგლისური ენის სახელმძღვანელოში:

- “Good morning, Mrs. Smith. What beautiful weather again!
- Yes, lovely! What a splendid summer we've had so far this year!”

ინტერნეტშემოყვანილის თანახმად, ბრიტანელები იმდენად შებყრდბილი არიან ამინდზე საუბრის სურვილით, რომ მათი 70% სპეციალურად ამ მიზნით ჰყოვლდღიურად ისმენს ამინდის პროგნოზს.

ინტერნეტგამოყითხვაში გამოივლინა გინდერული და ასაკობრივი განსხვავებები ამინდზე საუბართან მიმართებით. აღმოჩნდა, რომ მამაკავების საუბარი ამინდის შესახებ უფრო ასტრიმისტურია, ვიდრე ქალების, და, თუმცა მეტეოროლოგიური კლების თანახმად, ინგლისში წევიმიანი დღეების წლიური რაოდენობა არის 154<sup>1</sup>, მამაკავებს არ სჭრათ ამ მონაცემების. ასეთ პატიმიზმთან დაკავშირებით ო. მენენი აღნიშნავს: “თავსხმა წევმაში ინგლისელი იტარის: „Fine weather for the ducks”. თუ კივი ქარი უბერავს, ინგლისელი იტარის: “It's a bit parky”, თუ სეტავა და ჰიქა-ჰუბილი ერთ კაირას გასტანს, ინგლისელი იტარის: “Ah, mustn't grumble” (მენენი, 1977).

რაც შეიხება ასაკობრივ განსხვავებებს, ამინდით, როგორც სასაუბრო თემით დაინტერესება გამოვლინდა 55 წელს გადაკილებულთა 80%-ში და ახალგაზრდების მხოლოდ 42%-ში.

უკანონელები ხშირად აღნიშნავნ, რომ ბრიტანეთში ამინდის, როგორც საუბრის თემის, პოპულარობა აისწინება ცვალებადი და ნესტიანი კლიმატით, მაგრამ ეს მოსაზრება გაიზიარა გამოკითხულ ბრიტანელთა მხოლოდ 44%-მა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანელები ხშირად წუწუნებენ უამინდობაზე, უკანონელების მხრიდან მათი კლიმატის კრიტიკა მათში პატრიოტულ აგრესიას და თავდაცვის ძლიერ სურვილს იწვევს.

<sup>1</sup> აქვთ უნდა აღინიშნოს, რომ ხშირი წვემები საფუძლად დაედო ინგლისურ გამოთქმას „Save for a rainy day”, რომლის ქართული შესატყვისა „შავი დღისთვის გადანახვა“.

შეით დოქტის თანახმად, „ამინდი სოციალური ურთიერთქმედების შესანიშნავი საშუალებაა და მისი კვალებადობა მრავალფეროვანებას მატებს ამ სასაუბრო თემას“ (ფოქსი, 2004). ჭ. ბრაუნის და ჭ. იულის თანახმად, „როდესაც ორი უცნობი სიცივისგან კანკალებს აღტობუს გაჩერებაზე, ქრის კივი ქარი და ამ დროს ერთი მეორეს ეტაპის: „ღმერთო ჩემო, როგორ კივა“, მნელია წარმოიდგინო, რომ მისი განზრახვა ინფორმაციის გადაკვეთა. ადგილი მისახვდორია, რომ მოსაუბრე მსმენელს ამცნობს მის მზადყოფნას მეგობრული საუბრისთვის. ამდენად, ენა ასრულებს ინტერაქტურსონალურ და არა ტრანსაქტულ ფუნქციას“ (ჭ.ბრაუნი და ჭ. იული, 1992).

ანთროპოლოგმა ბ. მალინოვსკიმ შეიმუშავა ტერმინი „ფატიკური კომუნიკაცია“ ისეთი ერთი შეხედვით არაფრისმთქმელი საუბრის აღსანიშნავად, რომლის მიზანი არის არა ინფორმაციის გადაცემა, არა მედ კითილგანწყობილი ურთიერთობის დამყარება (მალინოვსკი, 1923). ანალოგიური ტერმინებია: small talk, waffle, gossip, chit-chat, sweet nothings, grooming talk და სხვა. საუბრადღებოა, რომ თითქმის აკელა წიგნსა თუ სამეცნიერო სტატიაში, რომლებშიც განხილულია ზემომოყვანილი ტერმინები, პირების გადალითად მოყვანილია გამნათქმი ამინდის შესახებ. მიჩნეულია, რომ ფატიკური კომუნიკაცია არის სოციალური ჟისტი, ადგიმიანების დაახლოების საშუალება, ხოლო ამინდზე საუბარი მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამინდზე ლაპარაკისას ხშირად ენის ინფორმატული ფუნქციაც სრულდება (მაგალითად მეტეოროლოგიურ პროგნოზში). მაგრამ აკვლიდ დაუშვებელია ამინდზე საუბრისას ენის ინფორმატული და ფატიკური ფუნქციების არეგა. ამის კარგი მაგალითია ბ. შოს „პიგმალიონი“:

- Mrs. Higgins: Will it rain, do you think?

- Liza: The shallow depression in the West of these islands is likely to move slowly in the easterly direction. There is no indication of any great change in the barometrical situation.

როგორც გხედავთ, ლაიზა, რომელიც ჯერ დაუთლებული არ არის სამეტაკილო ეტაპების ნორმებს, ერთმანეთში ურევს ენის ფატიკურ და ინფორმატულ ფუნქციებს.

ხაზასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამინდზე საუბრის პროცესში უდიდეს როლს თამაშობს ჭეფრი ლიჩის მიერ შემუშავებული „დათანხმების მაქსიმა“: „მინიმუმმდე დაიყვანე კამათი, მაქსიმალურად

ქცადეთ მიაღწიო თანხმობას შენსა და თანამოსაუბრეს შორის“ (ლიჩი, 1983). ბრაუნისა და ლეგინსონის „დადებითი თავაზიანობის“ მთავარი სტრუქტურებითა: „ეძიეთ თანხმობა“ და „აიკილე შეკამათება“ (ბრაუნი და ლეგინსონი, 2000). ზემომოყვანილი მაქსიმების გათვალისწინება აუკილებელია ამინდზე საუბრის პროცესში. ბრიტანულ კოფაში ყოვლად მიუღებელია შეკამათო თანამოსაუბრეს, რომც არ იზიარებდეთ მის შეხედოლებას ამინდთან დაკავშირებით. ამინდთან დაკავშირებული გამონათქმები უმეტესად გამყოფი კითხვების სახითაა წარმოდგენილი, ამდენად, მათი გრამატიკული სტრუქტურაც მიგვითოთებს, რომ აუკილებელია თანხმობის გამომხატველი პასუხი. საშინელი ამინდიც რომ იყოს, ასეთ შეკითხვაზე შეწინააღმდეგება ნიშნავს თავაზიანობის ეტიკეტის დარღვევას და სახის შემლახელი შედებაა. ქიეთ ფოქსის თანახმად, კომენტარები ამინდის შესახებ ინფორმაციას კი არ მოითხოვს, არამედ ატარებს შეკითხვის ფორმას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მსმენელის პასუხი ნიშნავს: „მზად გარ შენთან საუბარი გაგაბა“ შეკითხვა ამინდის შესახებ და მასზე დადებითი პასუხი ყრთიერობისალმების ფორმაა, ეს არის „ქორეოგრაფიული“ გაცვლა-გამოკვლა, რომელიც ხორციელდება დაუწერებული, ფარულად შესისხლხორცებული წესების თანახმად“ (ფოქსი, 2004). კანონია, ადგილია დაეთანხმო ფრაზას: “Fine Weather, isn’t it?” თბილ და მზიან ამინდში. წვიმიან და კივ ამინდში კი, თუ ერთ თანამოსაუბრეს ამინდი მოსწონს და მეორე ამ აზრს არ იზიარებს, ამ უკანასკნელს შეუძლია თემა შემდეგნაირად განავრცის: „Yes, the rain is good for the gardens“ ან “I like such weather because it feels more cosy indoors”.

ამინდი არის ნარატივი, რომელიც ადამიანების შემაკავშირებელ ფუნქციას ასრულებს. ამინდზე საუბრის მიღმა იკითხება თანაგრძნობა და ემოციების გაზიარება, მით უფრო, თუ ადამიანებმა ერთად გადაიტანეს ამინდით გამოწეული გასაჭირო: ქარიშხალი, დიდოთოვლობა და სხვა. ამინდი იმიტომაც არის შესანიშნავი და უსაფრთხო საუბრის თემა, რომ თანამოსაუბრებებს ამ შემთხვევაში „გაზიარებული ფონისეული ცოდნა“ აქვთ.

კლაუს შნაიდერის თანახმად, უკეთ ადამიანებს შორის წარმართული ფატიკური საუბარი მოიცავს ისეთ სეგმენტებს ანუ „ნაბიჯებს“, რომელთა წინასწარ განვიტრიტა ძალზე ადგილია. პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ისეთი, რომ აუცილებლად გამოიწვიოს თანამოსაუბ-

რის თანხმობა. სწორედ ასეთ შემთხვევებში უტაუარი საშუალებაა გამონათქმამი „Lovely weather, isn’t it?“ და სხვა მსგავსი ფრაზები.

მეორე ნაბიჯია თანამოსაუბრის პასუხი, რომელიც არა მარტო დადებითი უნდა იყოს, არამედ წამოჭრილი საუბრის თემა ოდნავ მაინდ უნდა განავრცის. მაგ. შეკითხვაზე „Lovely weather, isn’t it?“ დაუშეგველია გუბასუხოთ მხლოოდ „Yes“. აუკილებელია თემა განვაგრცოთ და კურიათ, მაგალითად, ისეთი ფრაზა, როგორიცაა: „Yes, very mild for the time of year“ (შენიდერი, 1988)

ამინდი იმდენად ხშირი და ბანალური სასაუბრი თემაა, რომ ბრიტანელების მისწრაფება ამინდზე საუბრისადმი თავად ბრიტანელთა დაცინგის საგნია. გერ კიდევ სემუელ კონსონი აღნიშნავდა, რომ „როდესაც არი ინგლისელი ერთმანეთს ხვდება, ისინი მაშინვე იწყებენ ამინდზე საუბარს და სულმოუთემელად ეუბნებიან ერთმანეთს იმას, რაც ისედაც იცინ. ორივენი ხომ მშეგნივრად ამჩნევინ ცივა თუ ცხელა, მზანი დარია თუ ორუბლიანი, ქარიანი ამინდია თუ წყნარი“.

ამინდთან დაკავშირებული მრავალი ინგლისური ანდაზა არსებობს, რომლებიც არა მარტო ამინდის წინასწარმეტაპენტების ხალხურ სიბრძნეს უკავშირდება, არამედ ხშირად გამოყენება ფატიკურ კომუნიკაციაში: “In like a lion, out like lamb,” “April showers bring May flowers,” “Red sky at night, sailor’s delight. Red sky in the morning, sailor take warning,” “Rain before seven, fine before eleven”, “Clear moon, frost soon” და სხვა.

ამინდის შესახებ საუბრები ხშირია ქართულ კოფაშიც, თუმცა მათ ნაკლები დრო ემთხობა, ვიდრე ინგლისში. ამინდის განხილვას ხშირად მოისმენთ ტრანსპორტში, გაჩერებაზე, კაფეში, ოფისსა თუ სხვა ადგილებში. მზიანი და თბილი კლიმატით განებივრებული ქართველები იშვიათად გამოხატავენ აღვრტოვანებას კარგი ამინდით, თუმცა მაინდ გაისმის ასეთი ფატიკური გამონათქმები: „რა ამინდია!“, „ვაიხედუ, რა კარგი ამინდია!“, „ისეთი ამინდია, რომ სურნობა მოგინდება“ და სხვა. სამაგიეროდ, ქართველები ბევრს წყუწუნებენ კუდ ამინდთან დაკავშირებით: „ეს რა უბედურებაა, როგორ გაფუჭდა ამინდი!“, „რა საშინლად თოვს!“, „ყულში ამომივიდა ეს წვიმა!“ და ა.შ.

ამასთან, ზემოაღნიშნული „თანხმობის“ მაქსიმის დაცვა აუკილებელი არ არის ამინდზე საუბრისას ქართულ კოფაში. ბრიტანელებისგან განსხვავებით, შეკამათება და ამინდთან დაკავშირებით გან-

სხვაგებული აზრის გამოთქმა ქართველ მსმენელში გაღიზიანებას არ იწევს.

ამინდი სხვადასხვა ქალაქებში მყოფი ადამიანების სატელეფონო საუბრის ხშირი თემაკად, ისინი უკითხებიან ერთმანეთს, როგორი ამინდია იქ, სადაც მათი ახლობელი იმყოფება. ეს არა მარტო ფატი-კური საყბრის ნაწილია, არამედ ზრუნვისა და თანაგრძნობის გამოსატევაც. მაგ. სატელეფონო ზარი თბილისიდან მოსკოვში:

- შეიძლო, როგორი ამინდია მანდ?

- ძალიან კვივ.

- გაიძე, თბილად ჩაიკვი, არ გაკვიდღე.

როგორც საგლონი კვლევამ აჩვენა, ზოგჯერ ასეთი საქალაქთაშორისო საუბრები მოიცავს ე.წ. „თეთრ შერსაც“. მაგ. ზარი მოსკოვიდან თბილისში:

- , ?

- . !

ზოგჯერ ასეთ საუბრებში გარკვეული „შეჭიბრის“ ელემენტებიც შეიმჩნევა. მაგ. ზარი ერევნიდან თბილისში:

- ?

- !

ამდენად, როგორც ზემომყვანილიდან ჩანს, ამინდზე საუბარი ენის ფატიკური და ინტერპერსონალური ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი და სოციალური ურთიერთშედების მძლავრი ინსტრუმენტია. ამინდზე საუბარი უკვეთ ადამიანებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის დამყარების საუკეთესო საშუალებაა. ამასთან, ეს არის საუბრის უსაფრთხო და მიუკერძოებელი თემა, რამდენადაც ამინდის „სიურპრიზებში“ ვერავის დავადანაშაულებთ.

ლიტერატურა

**ბრაუნი და ლევინსონი, 2000** — Brown P. and Levinson S.C. Politeness: Some Universals in Language Usage. Cambridge University Press, 2000

**ბრაუნი და იული, 1992** — Brown G, Yule, G. Teaching the Spoken Language. Cambridge Language Teaching Library. 1992

**ლიჩი, 1983** — Leech G. Principles of Pragmatics. London. 1983

**მალინკოვსკი, 1923** — Malinkwski B. The Problem of Meaning in Primitive Languages. Ogden and Richards, 1923

**მენენი, 1977** — Menen, A. London. Great Cities. Amsterdam. 1977

**პოსტი, 1922** — Post, Emily. Etiquette. 1922. HarperCollins. 17th Edition.

**ფოქსი, 2004** — Fox, K. Watching the English. Hodder. 2004

**შნაიდერი, 1988** — Schneider, K. (1988) Small Talk: Analyzing Phatic Discourse, PhD thesis, Philipps-Universität, Marburg, W. Germany

საილუსტრაციო მასალა:

პ. ტრავერსი. „მერი პოპინსი“. ნაკალული. თბილისი. 1974

Intermediate English Course. Linguaphone Institute. 1976

Shaw, G.B., Pygmalion. Penguin Books. 1967

ინტერნეტი

[www.thinkexist.com](http://www.thinkexist.com)

[www.brainyquote.com](http://www.brainyquote.com)

[www.talkweather.com](http://www.talkweather.com)

[www.wikipedia.org](http://www.wikipedia.org)

[www.books.google.com](http://www.books.google.com)

IRINA DEMETRADZE

### Weather Talk as a Powerful Tool of Social Interaction

#### Summary

The given paper is based on the data provided by linguistic literature, internet-sources and field research. Using English textbooks, proverbs, famous quotations and fiction literature, the author stresses that conversations about weather are a strong tool for successful interactions and serve the phatic and interpersonal functions of language. Comparison is given between British and Georgian cultures with regard to weather-related conversations based on the observation of everyday speech and long-distance telephone conversations.

## ლოლითა თაბუაზები

**ფრანგულ სიტყვა „ღვინოსთან“ (vin) და გამამურმაზული  
ფრაზეოლოგიზმები და გათი შესატყვისები**

ფრაზეოლოგიზმები, ენის მყარი გამონათქვამები, სემანტიკური თვალსაზრისით, სიტყვათა განსაკუთრებული შეერთებებია. ბუნებრივია, ენის ფრაზეოლოგიურ შემადგენლობას ბევრი რამ აქვს საერთო მის ლექსიკურ შემადგენლობასთან.

ფრაზეოლოგიას, ისე როგორც ლინგვისტიკის წებისმიერ სხვა ნაწილს, შესაძლებელია ჰქონდეს კერძო და ზოგადი ხასიათი; მაგრამ, როგორც ცნობილია, ზოგადი ფრაზეოლოგია ჩამოყალიბებული დისკიპლინის სახით დღესდღობით არ არსებობს.

სპეციალურ ლიტერატურაში ფრაზეოლოგიის შემადგენლობისა და მოცულობის შესახებ მრავალი განსხვავებული აზრი არსებობს. მეცნიერთა ერთი ნაწილი ფრაზეოლოგიაში გულისხმობს წებისმიერ მყარ სიტყვათშეხამებას; ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი გამოყოფს ფრაზეოლოგიზმების ოთხ ტიპს: 1. ფრაზეოლოგიური ბმანი; 2. ფრაზეოლოგიური მთლიანობანი; 3. ფრაზეოლოგიური სიტყვათშეხამებანი; 4. ფრაზეოლოგიური გამოთქმები.

არსებობს ტენდენცია, რომ ტერმინი „ფრაზეოლოგიზმი“ ეწოდოს მხოლოდ იდიომებს. იდიომატური გამოთქმები, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმების ერთადერთ თუ არა, ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ენათმეცნიერთა შორის ასევე შეუთანხმებლობაა იდიომათა ბუნებისა და არსის განსაზღვრის საკითხშიც. იდიომის ტრადიციული განსაზღვრება, როგორც ენის თავისებური, დაუშლელი გამონათქვამისა, რომლის მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელ სიტყვათა ჯმის, დიდი ხანია კრიტიკის საგანია. არც სხვა ენაზე თარგმნის შეუძლებლობა და არც სხვა სპეციფიკური თვისებები; კერძოდ: 1. მყარი სიტყვათგანლაგება; 2. სემანტიკური ფუძის სინონიმით შე-

ცვლის შეუძლებლობა; 3. არქაიზმების შენარჩუნება; 4. სინტაქსური კომპონენტების გაქვავებულობა; 5. იდიომებს შორის ომონიმური მიმართების არსებობა, არ გამოდგება იდიომის განსაზღვრების ამოსავალ კრიტერიუმად. ფრაზეოლოგიზმი — სტრუქტურულ-სემანტიკური, გრამატიკული, სტილისტიკური თუ ფუნქციური თვალსაზრისით, სიტყვისაგან განსხვავებული რთული ენობრივი ერთეულია. სინტაქსი არის ის სფერო, რომელშიც მიმდინარეობს ფრაზათა წარმოქმნის განუწყვეტელი პროცესი.

ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა, ემყარება რა შემადგენელი კომპონენტების გადატანით მნიშვნელობებს, სხვადასხვა ენაში სხვადასხვანაირად მოტივირდება. ფრაზეოლოგიზმების ზუსტი, სიტყვასიტყვითი თარგმანი შეუძლებელია, საჭიროა შესაბამის ენაში დაიძებნოს მათ შესატყვისი ეკვივალენტები.

ამჟამად ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა სიტყვა „ღვინის“ შემცველი ფრაზეოლოგიზმები, რომელშიც შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ქვეჯუფი:

1. ხარისხიანი ღვინების აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები; le vin d'une Oreille (სიტყვასიტყვით: „ცალყურა“) ანუ შესანიშნავი ღვინო; C'est un vrai vin de la comète — (სიტყვასიტყვით: „კომეტის ღვინო“,) ანუ კარგი ღვინო, (1811 წელს, როცა დიდი კომეტა გამოჩნდა, ღვინო განსაკუთრებით მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა); Jus de la treille/jus d'automne ტალავერის ღვინო; ხარისხიანი ღვინის აღსანიშნავი ფრაზეოლოგიზმებია ასევე: le vin distingué — გამორჩეული ღვინო; le vin limpide — კამკამა ღვინო; le jus de la vigne — ვაზის ნაური.

მაგარი ღვინის აღმნიშვნელი და მასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები: le vin qui donne sur le casaquin — ღვინო, რომელიც თავში ურტყამს, ანუ „მაგარი ღვინო“; le vin capiteux მათრობელა ღვინო, დიდი რაოდენობის ალკოჰოლის შემცველი; და პირიქით, le vin généreux ალკოჰოლის დიდი ოდენობის შემცველი, მაგრამ არ ათრობს; le vin ferme/ardent მძიმე ღვინო; le vin dur/fort — მაგარი ღვინო.

2. ფრანგულში სქელი ღვინოს აღმნიშვნელი გამოთქმებია: un vin charnu — ხორციანი ღვინო; le vin gras/onctueux — ცხიმიანი ღვინო; ხოლო თხელი ღვინოს აღმნიშვნელი გამოთქმებია: un vin decharnu

— უხორცო ღვინო; **un vin amaigrì** — გამხდარი, ანუ სუსტი ღვინო.

3. ალსანიშნავია ასევ უხარისხო ღვინის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები: **le vin à laver les pieds de chevaux** — ცხენის ფეხის საბანი ღვინო; **les vins à chasser les cousins** — სიტყვასიტყვით: „ბიძაშვილების გასაყრელი ღვინო“; **les vins de deux oreilles** — (სიტყვასიტყვით: „ორი ყურის ღვინო“) ანუ „გაფუჭებული ღვინო“; **le vin battu** — (სიტყვასიტყვით: „ნაცემი“), რომელიც „ცუდ ღვინოს“ აღნიშნავს.

4. სუსტი ღვინის ალსანიშნავდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითები: **le vin catholique** — კათოლიკური ღვინო; **votre vin est trop catholique** — ძალიან სუსტი ღვინო გაქვთ; **un vin petit /demi vin** — სუსტი ღვინო; **le vin mou** — ჩბილი, დუნე ღვინო; **le vin léger** — მსუბუქი ღვინო **le vin des dames** — ქალების (დასალევი) ღვინო.

5. წყალნარევი ღვინის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმებია: — **petit vin** სიტყვასიტყვით: „პატარა ღვინო“, ანუ ღვინო, რომელიც სავარაუდო წყლის დამატებითაა დაყენებული; **un vin arrosé** — (სიტყვასიტყვით: „ძორწყული ღვინო“ ანუ „წყალნარევი ღვინო“; ასევე ზნური ფრაზეოლოგიზმები — **tremper/couper le vin** — (ღვინის დალბობა / დაჭრა), რომელიც ასევე ღვინის წყლით გაზავებას გულისხმობს.

6. ღვინის ფერის აღმნიშვნელი გამოთქმებია: **vin bleu** — ლურჯი ღვინო, ანუ „საშინელი წითელი ღვინო“; **vin jaune** ყვითელი ღვინო; **vin rouge** — წითელი ღვინო; **vin ambré** — ქარვისფერი ღვინო; **vin rose** — ვარდისფერი ღვინო.

7. ღვინის გემოსა და სურნელის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმებია: **le vin aigrelet, aigre** — მომჟავო, მჟავე, მჟანე ღვინო; **vin qui fait danser les chèvres** — მჟავე ღვინო, ყვავს რომ დაახსავლებს; **le vin acre** — მწელარტე ღვინო; **le vin ayant goût de vert** — სიმწვანის გემოს მჟონე ღვინო, იგულისხმება ბალახისა და ფოთლების გემო; **le vin fruité** — ნაყოფის გემოშენარჩუნებული ღვინო, ყურძნის ან სხვა ხილის გემოს მჟონე; **goût de bock** — ტოლჩის გემო; **vin usé** — გაცვეთილი ღვინო; ანუ სიძველისგან გემოდაკარგული ღვინო; **vin muet, plat** — მუნჯი, გლუვი ღვინო, ანუ უგემური, ჩალასავით ღვინო; **goût de moisi** — ობის გემოს მჟონე ღვინო; **goût de rôti** — მწვადის გემოს მჟონე ღვინო, ანუ გადამწიფებული ყურძნის გემოს მჟონე.

8. ფრანგულ და ქართულ ენებში გვხდება იდენტური ლექსიკუ-

რი შედგენილობისა და სემანტიკის მქონე გამოთქმები: **le vin acqueux** — წყალწყალა ღვინო; **le vin baptisé** — ნათლობის ღვინო; **le vin d'opération/vin sophistique** — გაკეთებული ღვინო; **le vin de dépense** — სახარჯო ღვინო.

9. ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომელთა შემადგენლობაში ფიგურირებს სიტყვა ღვინო, მაგრამ სემანტიკურად არანაირად არაა კავშირში ღვინოსთან: **pot de vin** — ქრთამი; **s'enivrer de son vin** — თავის თავზე დიდი წარმოდგენის ქონა; **merchant de vin** — ავით ალუმეტი მარშან დე ვან — იყო ყბედი: **à bon vin, bon latin** — როგორც გინაზღაურდება, ისეც შრომობ; **à bon vin point de bouchon** — კარგ საქონელს ქება არ სჭირდება .

ამრიგად, ფრანგულ სიტყვა „ღვინოსთან“ დაკავშირებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში გამოიყო ქვეჯუფები: ხარისხიან ღვინოებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები, უხარისხო ღვინოებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები, ღვინის ფერთან, გემოსთან, სურნელთან, სისქესთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები; ასევე სიტყვა „ღვინოს“ შემცველი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც სემანტიკურად არ არიან კავშირში „ღვინოსთან“.

ლიტერატურა

**ნაზარიანი, 1976** — . . . , „ . . . ” 1976.

[www.vins-france.com](http://www.vins-france.com)

Dictionnaire plus de l'idée aux mots, 2002, selection du Reader's Digest, SA.

Larousse agricole, sous la direction Marcel Mazyer, Larousse/VUEF, 2002.

ABBYY Lingvo X3 ME.

## French Phraseological Units with the Word *vin* (wine) and their Georgian Equivalents

### Summary

As is known, the motivation and semantics of a particular phraseological unit is language-specific, its meaning being based on the metaphorical meanings of its constituents. Therefore literal translation of phraseological units is virtually impossible. On the basis of the study, the French phraseological units with the word *vin* were classified into the following groups: the discussed phraseological units may refer to: a. high quality wines, b. low quality wines. c to the aroma, colour, taste, thickness of wine. Some phraseological units containing *vin* are not semantically connected with the field of wine.

თავ თათებილი  
გაბილონის გოდოლის გიბლიური ეპიზოდი და ჭ. დერიდას  
დეპონსორულის თეორია

(ანუ ბაბილონის გოდოლის დერიდასეული ინტერპრეტაცია)

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიბლიაშ უზარმაზარი გავლენა მოახდინა მსოფლიო აზროვნებასა, ლიტერატურასა თუ ხელოვნებაზე. მის საფუძველზე შეიქმნა არაერთი მხატვრული, ფერწერული თუ მუსიკალური ნაწარმოები და ფილოსოფიური ესე.

ბიბლიის ერთ-ერთი ფუნდამენტური ეპიზოდია ბაბილონის გოდოლის მითი, რომლის მიხედვითაც ბაბილონის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს აეშენებინათ კოშკი, რომელიც ცას მისწვდებოდა, რამაც გამოიწვია ღმერთის რისხვა. ღმერთმა აურია მათი ენა და გაფანტა ისინი მთელ დედამიწაზე. დაუმთავრებელ ქალაქს ეწოდა ბაბილონი. სახელწოდება უკავშირდება ძველ ებრაულ სიტყვას (*Bâlal*) — რაც არევ/აღრევას ნიშნავს.

ბაბილონის გოდოლის მითი სხვადასხვა მწერალთან თუ შემოქმედთან სხვადასხვა მნიშვნელობას იქნეს. თუ თავდაპირველად იგი ატარებდა ღმერთის რისხვის, ადამიანის დასჯისა და ამათ შრომის ნეგატიურ კონოტაციას, თანდათანობით ხდება მისი მნიშვნელობის აქსიოლოგიური შებრუნება, ბაბილონის გოდოლი იქნეს მრავალკულტურული სამყაროს პოზიტიური მეტაფორის სახეს. ამ მითის საფუძვლზე იქმნება ახალი ტექსტები — ჰიპერტექსტები (ჟ. უნეტის ტერმინლოგიის მიხედვით), სადაც ხდება მითის ტრანსპოზიცია და მისი ახლებურად გააზრება (მაგ. კაფკას „ჩინეთის კედელი“, ბორხესის „ბაბელის ბიბლიოთეკა“). ეს ტექსტები თავად ქმნიან ხელახლა მითებს (წარმოადგენენ რა მითის გადამუშავებას — *re-fondations du mythe*). იქმნება ახალ მნიშვნელობათა ქსელი, აღსანიშნოა და აღმნიშვნელთა სიმრავლე, ხდება ახალ-ახალ მნიშვნელობათა გარიაცია

და კონსტრუირება, სემანტიკურ და სემიოტიკურ ელემენტებს შორის გადაკვეთა და თამაში. ამგარად, ბაბილონის ბიბლიური ეპიზოდი თავისი მნიშვნელობათა სიმრავლით ხდება „მრავალხმიანი“ - პოლიფონიური ტექსტი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელწოდება ბაბილონი უკავშირდება ქველ ებრაულ სიტყვას (*Bâlal*— რაც არევა/აღრევას ნიშნავს. პოსტრუქტურალიზმის ერაზე (პოსტმოდერნისტულ თეორიებში, ეს-თეტიკაში) ოღრება-გაფანტვა იგივეა, რაც დეკონსტრუქცია-დისემინაცია. გარდა სახელწოდებისა, ბაბილონის გოდოლის მითი ნიშნის ორივე (აღსანიშნისა და აღმნიშვნელის) დონეზე ამჟღანებს კაშირს დეკონსტრუქციის თეორიასთან. ჩვენი მიზანი სწორედ მათ შორის კაშირის დადგენაა. ჩვენ შევეცადეთ ბიბლიური სიუკეტი დაგვეკავშირებინა ჟ. დერიდას დეკონსტრუქციის თეორიასთან, მით უფრო, რომ თვით ჟ. დერიდამ არ აუარა გვერდი ამ მითს და დაწერა ესე „Des tours de Babel“. სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ ბაბილონის მითსა და ჟ. დერიდას თეორიას შორის კავშირის განხილვაზე, მოკლედ იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს დერიდას დეკონსტრუქციის თეორია.

უკავერიდას მიერ შემოთავაზებული დეკონსტრუქციის თეორია არის ტექსტთა „ლოგოცენტრიული“ ორგანიზაციის დემონტაჟისა და ცოდნის ახალი ტიპის მათრიგნიზებელი პრინციპი და სტრატეგია. იგი არ არის ნეგატიური პროცესი და არ ამოიწურება მხოლოდ ნგრევით, მას გააჩნია პოზიტიური, „ტექსტობრივი ველების“ მატრანსფორმირებელი და ახლებურად მაკონსტრუირებელი ფუნქციაც. დეკონსტრუქციის თეორიის არსი გულისხმობს ტექსტების საზრისეულ დეცენტრაციასა და დეკონსტრუქციას, ტექსტის პერიფერიაზე მოქცეული ნაწილების აქტუალიზაციას. დერიდას მიხედვით, ტექსტური კონსტრუქცია შედგება ბაზისური ელემენტებისგან — „კონსტრუქტებისაგან“, მათი ფარული მხარეების დეკოდირება ქმნის ხელახლი თავისუფალი კონსტრუირების შესაძლებლობებს, რაც ქვეტექსტთა რეკონსტრუქციის შედეგია. ამგარად, დეკონსტრუქციის თეორიის ძირითადი ამოცანა ევროპული კულტურის ძირითადი ტექსტების შინაგანი რეფორმაცია, რაც ახალი დისკურსების ფორმირებისათვის არის აუცილებელი. ჭ. კალერის თქმით „გარკვეული დისკურსის დე-

კონსტრუირება ნიშნავს აჩვენო ის, თუ როგორ შეიძლება დაშალო ამ დისკურსის მიერ დამკვიდრებული ფილოსოფია, ანდა ის იერარქიული ოპოზიციები, რომლებსაც იგი ეფუძნება“ (კალერი, 1983, 86). დეკონსტრუქცია თავდაყირა აუენებს მიზეზ/შედეგობრიობის სქემის იერარქიულ პპზიციას. ხდება ზედაპირული იერარქიის დაშლა და სიღრმისეული იერარქიების კონსტრუირება. ის ექცეს პირველ საწყისს, ზედაპირული და სიღრმისეული სტრუქტურების ერთმანეთთან მიმართებას, ტექსტში იმპლიკიტურად არსებული აზრის ექსპლიკირებას.

გარდა ამისა, დერიდას დეკონსტრუქციის თეორია უკავშირდება „მთარგმნელობით“ სემანტიკას, რომელიც სათარგმნი ტექსტის დეკონსტრუირებასა და მთარგმნელის ერაზე მის ხელახლა კონსტრუირებას გულისხმობს: როგორც თვით დერიდა აღნიშნავს, დეკონსტრუქცია ესაა „ჩანაცვლება, რომელსაც განიცდიან უცხო ენაზე დაწერილი წინადადების შემადგენელი სიტყვები. ასეთი ჩანაცვლების დროს ზემოქმედებას განიცდის ამ ენის სინტაქსი, რომელიც იმავარიოულად მთარგმნელის მშობლიური ენის სინტაქსს უხლოვდება, რათა კიდევ უკეთ მოიხელთოს საზრისი“ (ჟ.დერიდა). დერიდა თარგმანის პრობლემას უკავშირებს ბაბილონის გოდოლის მითს, რაც მითის ახლებური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

დერიდას ესეს „Des tours de Babel“ მიხედვით, ბაბილონის გოდოლი წარმოდგენილია არა მხოლოდ ენათა უსასრულო სიმრავლის სახედ და ფიგურად, არამედ როგორც დაუსრულებლობის, შესრულების შეუძლებლობის სიმბოლოდ. როცა ცდილობ ერთი სიტყვა მეორით განმარტო, რათა უკეთ თარგმნო, ამით უფრო მეტ სირთულეს ქმნი. ესაა მთარგმნელის „შეუძლებელი ამოცანა“ — შესრულების შეუძლებლობა. დერიდას აზრით, თარგმანი დედნის ტექსტთან მიმართებით არაა რაღაც მეორადი აქტი და მოვლენა. დეკონსტრუქციის თეორიის აზრიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ნებისმიერ ენას საშუალებას აძლევს თავისებურად გადაწერის ეს ტერმინი. დერიდასთვის სინელევს წარმოადგენს სიტყვა „ბაბილონის“ ერთდროულად როგორც საკუთარი და საზოგადო სახელის თარგმნის საკითხი. ხდება ბაბილონის როგორც საკუთრი და საზოგადო სახელის ერთმანეთში არევა. დერიდას მიხედვით, თარგმანის პროცესი სავსებით ჯდება ბაბილონის მითის არსის ლოგიკაში, ვინაიდან ენათა არევით

ღმერთი შლის ყველანაირ კოშკს და ხალხს სწირავს თარგმნისთვის, აუცილებელი და შეუძლებელი თარგმნისთვის. მისი აზრით, თარგმანი ხდება კანონი, ვალდებულება და ვალი, რომელსაც ვერასდროს გადაიხდის კაცობრიობა.

ამგვარად, უაკ დერიდას მიხედვით, კონსტრუქცია შეუძლებელია, დეკონსტრუქციის გარეშე. დეკონსტრუქციაში იგულისხმება კონსტრუქციაც და დესტრუქციაც, სწორედ ესაა ბაბილონის გოდოლის ლოგიკაც. ბაბილონის გოდოლი ესაა ენთა სვეტი, რომელიც ტრალებს თავისი ვერტიკალის გარშემო და ქსოვს და შლის ტექსტს და მის საზღვრებს. ერთი ენა იშლება მრავალ ენად, რაც, შესაბამისად, მრავალი კოშკის აგებას გულისხმობს. ბაბილონის გოდოლი "იშლება" იმისთვის, რომ შეიქმნას მრავალი კულტურა. როგორც ადამიანები, ისე ერები იძენენ ინდივიდუალურობას და ოვითმყოფადობას. იმსახურევა ის ჩაკეტილ წერ, რომელშიც ადამიანს ემუქრებოდა ყოფა.

უაკ დერიდას მიერ შემოთავაზებული დეკონსტრუქციის თეორიის მიხედვით არანაკლებ საინტერესოა ბაბილონის გოდოლის ბიბლიური ეპიზოდის იკონოგრაფიული რეპრეზენტაცია. ჩვენ შევეცადეთ ბაბელის იკონოგრაფიული რეპრეზენტაცია დაგვეკავშირებინა დერიდას დეკონსტრუქციის თეორიასთან. კერძოდ, საილუსტრაციოდ ავირჩიეთ, ბრეგელის ტილო "დიდი კოშკი" ("Grande tour") და უან კლოდ მენარდის ნამუშევარი „ბაბილონი“ ("Babel"). ბრეგელის ტილოზე გამოსახულია კოშკის ნგრევაც და შენებაც, კონსტრუქციაც და დეკონსტრუქციაც. დერიდა ბაბილონის გოდოლს ადარებს ლაბირინტს. ისევე როგორც ბრეგელის კოშკის სპირალისებრი ფორმა იწვევს ლაბირინთის ასოციაციას. (აღმნიშვნელის დონეზე). რაც შეეხება აღსანიშნის დონეზე კოშკის სპირალისებრ ფორმას ადამიანი მიჰყავს სიმაღლისკენ, ცისკენ, შემოდის ვერტიკალის არქეტიპი, რომელსაც კაცობრიობა მიჰყავს პროგრესისკენ. თუ ბრეგელთან აღმნიშვნელი იგივე სახით გვხვდება როგორც ბიბლიაში, აღსანიშნი იძენს ახალ მნიშვნელობას. თუმცა ის ფაქტიც უნდა აღინიშნოს, რომ ბრეგელთან ბაბილონის მითი პოლიტიკურ დატვირთვას იძენს და წარმოადგენს რეფორმებს, რომელმაც რომი აქცია ახალ ბაბილონად.



თუ ბრეგელთან გვხდება ბაბილონის გოდოლის ეპიზოდის რეალისტური გამომსახველობითი ტრანსპოზიცია, უან კლოდ მენარდთან ბაბილონის გოდოლი წარმოდგენილია აბსტრაქტული და კომპლექსური ფიგურებით. მენარი ბაბილონის კოშკის ასაშენებლად აგურების ნაცვლად ადამიანის სილუეტებს იყენებს. ის ხატავს ადმიანის სილუეტებს მოძრაობაში — სიარულში, უწონობის მდგომარეობაში, ეს მოსახულე ადამიანის სილუეტები შუქჩრილებში მონაცვლებით ემსგავსებიან დამწერლობის (წერის, ენის) ნიშნებს, და მრავლებიან ისე როგორ წერა. ადამიანები ხდებიან უსასრულო ფრაზები. თუ ბაბილონის ბიბლიური გოდოლი არის "დაშლილი" ენების მიხედვით, მენარდი ჩვენ მას გვიჩვენებს როგორც სიმბოლოს ადამიანების ჯაჭვისა, რომლებიც ერთიან ენას განეკუთვნებიან. უსასრულობის და ერთიანი ენის გადმოცემა მან შეძლო გეომეტრული ფრაქტალების საშუალებით, რაც ეფუძნება სხვადასხვა საფეხურზე ერთი და იმავე ფორმის ფიგურების გამეორებას და რასაც მივყავართ ქაოსის თეორიამდე.



ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ოფორტუ ბრეგელს ასევე მე-ნარდს აქვთ ბაბილონის გოდოლის მითის თავიანთი თვალთახევდა, მათ დაშალეს ბაბილონის გოდოლის მითის საწყისი საზრისი, ახლე-ბურად გაიაზრეს და შექმნეს თავთავიანთი „კოშკები“. რაც სავსე-ბით ეხმანება დერიდას დეკონსტრუქციის თეორიას — დაშალო, რა-თა შექმნა ახალი.

#### ლიტერატურა

- დერიდა 1967ა** — Derrida Jacques. De la Grammatologie Collection Critique. Paris: Minuit.
- დერიდა 1967ბ** — Derrida Jacques. L'écriture et la différence Collection Tel Quel. Paris: Seuil
- დერიდა 1972** — Derrida Jacques. La Dissémination. Collection Tel Quel. Paris: Seuil, 1972.
- დერიდა 1985** — Derrida Jacques. "Des Tours de Babel" dans Psyché: Inventions de l'autre Paris, Galilée (Laphilosophie en effet), 1987,
- კალერი 1983** — Culler Jonathan. On deconstruction: theory and criticism after structuralism. London: Routledge, 1983
- ლისოე 2005** — Lysøe Éric. Article: Babel ou la violence du Père : Bruegel, Poe, Borges. Colloque International La Tour de Babel et Ses Labyrinthes. en ligne : [http://hal.archives-ouvertes.fr/docs/00/38/10/33/PDF/Lysoe\\_Babel.pdf](http://hal.archives-ouvertes.fr/docs/00/38/10/33/PDF/Lysoe_Babel.pdf)

TEA TATESHVILI

#### The Biblical Episode of the Babel Tower and J.Derrida's Deconstruction Theory

(or Derrida's Interpretation of the Babel Tower)

#### Summary

According to Derrida the myth of the Tower of Babel reveals links with the deconstruction theory on both levels of the sign – the signified and the signifier. As is known, the notion of deconstruction implies deconstruction as well as construction. And this is the logic of the Babel Tower. The Tower of Babel is a pillar of languages which is deconstructed to multiple languages which implies the construction of different towers. The Babel Tower is deconstructed to construct a variety of cultures. The paper discusses Derrida's interpretation in reference to Bruegel's and Jean Clauen Manner's paintings on the topic in question.

თამარ თბალაძე

### პოლოტაციის კონსტრუქციულ-საშეტყველო ხასიათი

ლინგვისტების უმრავლესობისათვის კონტაციის მოვლენა წარმოდგენილია როგორც ჰეტეროგენული ენური წარმონაქმნი. ჩვეულებრივ განასხვავებენ მის ორ სახეობას: ინპერენტული კონტაცია, რომელიც შეადგენს „ენობრივი ერთეულის სტილისტიკური თვისების ძირითად ნაწილს“ და ადჰერენტული კონტაცია, „შექმნილი მოთხოვნილებით“ (ახმანოვა, 1972, 33). კონტაციურობის ცნების არაერთგვაროვნებაზე მეტყველებს მკვლევრთა აზრთა სხვადასხვაობა. მრავალი მკვლევარი თანაბრებს კონტაციას სიტყვის სტილისტიკურ მნიშვნელობასთან (ე. აზნაუროვა, ტ. ვინოკური). ვ. შახოვსკის მიაჩნია, რომ ენობრივი და სამეტყველო ემოციურობა (კონტაცია) წარმოადგენს სემასიოლოგიურ ფაქტორს და არა სტილისტიკურს.

სტატიის მიზანია სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებების განხილვა კონტაციის კონსტრუქციულ-სამეტყველო ხასიათის შესახებ და აღნიშვნულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი კონცეფციის ჩამოყალიბება.

კონტაციის განსაზღვრებას დიდ ადგილს უთმობს კ. დოლინინი (დოლინინი, 1978). ექ ინპერენტული კონტაცია წოდებულია „უზუალურ სტილისტიკურ მნიშვნელობად“ და შეთხხულია ემოციურ-შეფსებითი და სოციალურ-უანრობრივი კომპონენტებისაგან, ექსპრესიული მნიშვნელობის შესაბამისად. ავტორის წამყვან მოსაზრებას წარმოადგენს ამ ფენომენების პოტენციური ხასიათი, „აქედან მნიშვნელობის შესახებ, როგორიც არ უნდა იყოს იგი, საერთოდ საჭიროა ვისაუბროთ მხოლოდ განსაზღვრულ კონტექსტში“ (დოლინინი, 1978, 165). აქედან გამომდინარეობს, რომ დენტაციურობა და კონტაციურობა, მომავალში ენის მოვლენები, განსხვავდებიან თავისი პოტენციურობის თვისებით. ნამდვილ სტილისტიკურ მნიშვნელობას, უზუალური (პოტენციური) მნიშვნელობისაგან განსხვავდებით, წარმოადგენს

ოკაზიონალური: სემანტიკური კუთხით — ეს ინდივიდუალური სახესხვაობაა, მორფოლოგიურად — გრამატიკული ფორმების ვარიანტობა, ფონეტიკურით — სეგმენტური ვარიანტობა: მეტყველების ბგერები და სუპერსეგმენტური: ინტონაცია, მახვილი. უზუალური სტილისტიკური მნიშვნელობის განმარტებისას დოლინინის მისწრაფებაა, როგორც არ უნდა იყოს, შეინარჩუნოს სტილისტიკური მნიშვნელობა ენის ფარგლებში, თუმცი მის მიერ წარმოდგენილი მასალის ხასიათი აშკარად მოწმობს მისი სამეტყველო განმარტების სასაჩვებლოდ. თეორიისა და პრაქტიკის აშკარა წინააღმდეგობრიობის გამო, აქვს მცდელობა როგორმე მიჩქმალოს ეს განსხვავება და ჩნდება ცნობილი ე. წ. „მეთოდოლოგიური უკანდახევა“, რომელშიც კერძოდ ვითაულობთ შემდეგს: „მაგრამ თუ სტილისტიკური მნიშვნელობა წარმოიქმნება მხოლოდ მოცემული გამოთქმის მოცემულ დენტაციურ მნიშვნელობაში გამოყენებისას, ანუ ფაქტიურად მეტყველებაში, გარდა ამისა ენობრივ ერთეულს მიგწერით სტილისტიკური მნიშვნელობა კონტექსტთან შეუდარებლად, ჩვენ, მკაცრად რომ ვთქვათ, არა გვაძეს უფლება, თუ საბოლოოდ ვარიანტების შერჩევის სახით შესაძლებელია გამოვიდნენ არა მარტო სიტყვიერი ერთეულები, არამედ მთელი სიტყვათშერწყმები და წინადაღებებიც, — შეიძლება კი ამის შემდეგ ვისაუბროთ ენობრივ სტილისტიკურ მნიშვნელობაზე და საერთოდ ენის სტილისტიკაზე“ (დოლინინი, 1978, 164). აპელირებს იმაზეც, რომ „განამარტებით ლექსიკონში სიტყვის დენტაციური მნიშვნელობის აღწერა ხომ ასევე ასახავს... ტიპურ კონტექსტებს, რომლებშიც ეს სიტყვა ფიგურირებს მეტყველებაში“ (დოლინინი, 1978, 164) და რომ ეს არის „ენის ზოგიერთი კანონზომიერების გამოვლენა“ (დოლინინი, 1978, 165). და რომ „თუმც ენობრივი არა-კონტექსტური სტილისტიკური მნიშვნელობის კონსტექსტურში გადასვლისას, სრულიად შესაძლებელია გარკვეული წინსვლა ... სტილისტიკური (კონტაციური) მნიშვნელობანი პრინციპულად არ განსხვავდებიან დენტაციურიდან — უკანასკნელებს ხომ ასევე შეუძლიათ გადააზრებული იქნან მეტყველებაში (დოლინინი, 1978, 165). ავტორი მიდის დასკრინამდე, რომ „ლექსიკონებსა და გრამატიკაში დაფიქსირებული უზუალურად განპირობებული ჩვეულებრივ გამოყენებული მოცემული გამოთქმის სტილისტიკური მნიშვნელობაც ასევე უზუალურია, ასევე მიეკუთვნება ენას“ (დოლინინი, 1978, 166). მითითებულ მისწრაფებას, შევინარჩუნოთ უზუალური სტილისტიკური მნიშ-

ვნელობა ენის ფარგლებში, მივყავართ ექსპრესიულობისა და უზუალური სტილისტიკური მნიშვნელობის ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებასთან. ასე, ერთი მხრივ, მტკიცდება, რომ ექსპრესიულობა არ წარმოადგენს უზუალური სტილისტიკური მნიშვნელობის კომპონენტს, ანუ თითქოსდა მტკიცდება მისი სამეტყველო სტატუსი, რაზედაც არაორაზროვნად მეტყველებს ექსპრესიულობის მოყვანილი მაგალითები: გამოთქმის გამოყენება სიტუაციის შეფერილობის შესაბამოდ, უჩვეულო შერწყმა“ (დოლინინი, 1978, 121). მეორე მხრივ, მტკიცდება შესაძლებლობა, ექსპრესიულობა იყოს თვისება: „ნიშანდობლივი გამოთქმისათვის კონტექსტს გარეთაც“ (დოლინინი, 1978, 121) ერთი მხრივ, მტკიცდება, რომ „ექსპრესიულობა განისაზღვრება აღქმის თვისებით“ (დოლინინი, 1978, 121) ანუ თითქოსდა მტკიცდება ამ მოვლენის სამეტყველო ბუნება, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია შემდეგ მტკიცებულებებში: „ოკაზიონალური სიტყვების ექსპრესიულობა... იძდენად მეტია, რამდენადაც უჩვეულოა კომპონენტების, ძირისა და აფიქსის, შერწყმა“ (დოლინინი, 1978, 123). მეორე მხრივ, ხაზგასმულია უაღრესად ენობრივი თვისება „სტილისტიკურად მარკირებული სიტყვათწარმომქმნელი მოდელებისა“ (დოლინინი, 1978, 214-219).

ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და აღვნიშნავთ, რომ სიტყვაწარმოების ძირითადი მაორგანიზებელი ერთეული სიტყვათწარმოების მოდელია. ამ უკანასკნელს, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურის საშუალებით, ბევრ შემთხვევაში შეუძლია გამოხატოს ექსპრესია, ანუ გამონათქვამი ემოციურად უფრო დამტბრული და ხატოვანი განადოს. კომუნიკაციის პროცესში ამ ტიპის სიტყვები გამონათქვამის ექსპრესიულ ბირთვს ქმნიან. რა თქმა უნდა, ყოველ მოდელს არ ახასიათებს ინჰერენტული ექსპრესიულობა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამის კონტექსტში ნებისმიერი მოდელი, უფრო ზუსტად კი ამა თუ იმ მოდელის მიხედვით შექმნილი სიტყვა, შეიძლება გახდეს აღვერენტული ექსპრესიის გამოხატვის საშუალება.

ზემოთ აღნიშნულ მისწრაფებაში არ შეიძლება დავადანაშაულოთ მარტო დოლინინი, უფრო სწორია ვისაუბროთ ტენდენციაზე. ასე მაგალითად, უ. დიუბუა, ფ. პირი და ა. ტრინონი მეტაფორასა და მეტონომიას შორის განსხვავებას განიხილავნ მასში, რომ პირველი თავისი რეალიზაციისათვის იყენებს დენოტატებს, მეორე კი კონტატებს (რიტორიკა, 1986, 216) თუმც იმ პირობების ჩამოთვლი-

სას, რომლის დროსაც ინიცირდებიან მეტაფორებიც და მეტონიმებიც, მათ ფაქტიურად მოჰყავთ მითითებული ტროპებისა და კონტაციის სხვადასხვა სახეების წარმოშობის სამეტყველო მექანიზმების ნიმუშები (რიტორიკა, 1986, 217-219). კონოტაციის განმარტებისას ენისა და მეტყველების ანალოგური შერევა შეინიშნება ს. ულმანის ნაშრომში (ულმანი, 1971), სადაც საუბარია მნიშვნელობის ობერტონების შესახებ, თუმც ფაქტიურად აღწერილია მათი წარმოშობის მექანიზმები (ულმანი, 1971, 146). სხვა სიტყვებით აღწერილია პროცესი, საუბარი კი ამ პროცესის შედევრის შესახებაა. ასევე ნ. ვილარდის ნაშრომშიც [7 :51-52].

ვემხრობით რა დოლინინს, რომ „მეტყველებაში ექსპრესიული შეიძლება იყოს პრაქტიკულად ნებისმიერი გამონათქვამი თუ იგი მოულოდნელია, არ არის წინასწარგანზრახული“ (დოლინინი, 1978, 120) თავისთავად ისმება კითხვა, აქვს კი აზრი დავკავდეთ პოტენციური სტილისტიკური მნიშვნელობის ძებნით, იმის ნაცვლად, რომ გამოვიყვლით ენობრივი ერთეულებით რეალური ექსპრესიული თვისებების შექმნის მეთოდები სხვადასხვა კონტექსტის კონკრეტულ პირობებში, ამ პირობების შემდგომი განზოგადებისა და ტიპზეციის ცდებით, რითაც ჩვენი შეხედულებით, უნდა იყოს დაკავებული სპეციალური მეცნიერება ექსპრესიის შესახებ — ექსპრესოლოგია. შედარებით მართებულს წარმოადგენს სხვადასხვა დონის ერთეულების სამეტყველო გამოყენების იმ კანონზომიერებების მოძიება და აღწერა სტილისტიკის, ტერმინებში, რომლებიც ხელს უწყობენ შეუქმნან ამ ერთეულებს დამატებითი ექსპრესიული მნიშვნელობა ანუ კონოტაცია. ცხადია, ამ შემთხვევაში განაუბრობთ ადჰერენტული კონოტაციის შესახებ, და რომელიც წარმოადგენს ობიექტს ექსპრესოლოგიის, მეცნიერების ენობრივი ერთეულების მიერ ახალი, სისტემური დამოკიდებულებებით დაუგეგმავი, ექსპრესიული თვისებების შექმნის მეთოდებზე.

კონოტაციის სამეტყველო ხასიათზე მიუთითებს ვ. გოვერდოვსკი. კონოტაციის ცნების ისტორიის გამოკვლევისას იგი განასხვავებს მასში ორ ასპექტს: 1. კონკრეტული კონოტაცია ან კონკრეტული წარმოდგენა წარმოშობა მოსაუბრესა და მსმენელში სამეტყველო ურთიერთობის პროცესში. 2. კონოტაციის სფეროები არის ის არები, რომლებშიც ენობრივი საშუალებანი ერთიანდებიან ტიპური განსაზღვრების წარმოდგენითა და მგრძნობელობით. ამ სფეროების ანა-

ლიზისას, შეიძლება ითქვას, რომ პირველი არის კონტირების საგანი, ხოლო მეორე შინაარსობრივი არე, რომელშიც მიმდინარეობს კონტაქტი მეტყველებაში სიტყვის მასალასა და ამ სიტყვით გამოწვეულ წარმოდგენას შორის“ (გოვერდოვსკი, 1979, 85). მაგრამ შემდგომში ავტორი კონტაციის აშეარა სტილისტურ ხასიათს თავს ახვევს ენობრივ სტატუსს, ამტკიცებს, რა რომ: „ყველაფერი ეს თანაბარზომიერად მიეკუთვნება ო. ახმანოვს მიერ შემოთავაზებულ დაყოფას, ანუ კონტაციის დაყოფას, ენის ინდივიდუალურ და საერთო მატარებლებზე“, რაც, ავტორის აზრით, კონტაციის გამოკვლევისას ბუნებრივად ვარაუდობს „ტექსტის შემადგენლობის ემპირიულ შეფასებას და ინპერენტული და ადჰერენტული კონტაციის კონკრეტული სახეების მოძიებას“ (გოვერდოვსკი, 1979, 85). სხვა სტატიაში ჩამოყალიბებული პრინციპის ხელმძღვანელობით, იგივე ავტორი ცდილობს გამოიკვლიოს „ემოციურისა და რაციონალურის ურთიერთდამკიდებულება კონკრეტულ ენობრივ მასალაზე... ინგლისური ენის მორფებზე“ (გოვერდოვსკი, 1985, 71). გამოკვლევის საგანს წარმოადგენს სამსახურებრივი მორფების არა სუფთა დენოტირებული ფუნქციები, არამედ მხოლოდ ისეთები, რომელთა სემანტიკა ჩაირთავს „საგნობრივი“ და „მერძნობელობითი“ შინაარსის სხვადასხვა პროპორციებს. დენოტაციის ქვეშ იგულისხმება „ენობრივი ერთეულის ძირითადი ლოგიკო-ინფორმაციული შინაარსი,“ კონტაციის ქვეშ — „გამომსახულობა სამსახურებრივ მორფებში... ემოციურისა რაციონალური შინაარსის საბირისპიროდ, ჩართული სამსახურებრივ მორფებაში“ (გოვერდოვსკი, 1985, 71). ზედსართავის პრეფიქსში „არცთუ, („საკმაოდ“) ავტორი განიხილავს დენოტაციურ ასპექტს, წარმოდგენილს „ზომიერი, მაგრამ ნიშნის საკმარისი ხარისხით“ და კონტაციურ ასპექტს, წარმოდგენილი „პრეფიქსის აღმნიშვნელობის ეფექტების ტური მიმართულებით, როდესაც არ უნდათ პირდაპირ ისაუზრონ ადამიანის ზოგიერთი უნარის ან თვისების არ არსებობაზე, ამას კი გამოხატვენ სხვა ენობრივი მეთოდით, მაგრამ არ ამახინჯებენ ნაგულსხმევის დენოტაციურ მიმართულებას (გოვერდოვსკი, 1985, 72) ანუ „სამსახურებრივ მორფებას შეუძლია ზემოქმედება მოახდინს როგორც თვით ძირები მორფების მნიშვნელობაზე და წარმოქმნას ახალი დენოტატი, როგორც რაციონალური შინაარსის ელემენტი, ასევე აღმნიშვნელობაზე და წარმოქმნას ახალი კონტატი, აგრეთვე ისიც და მეორეც ერთდროულად: არცთუ უქნარა (სა-

ქმაოდ უქნარა), არცთუ მართებული, (საკმაოდ მართებული) არცთუ შეუბლალავი (საკმაოდ შეუბლალავი), არცთუ უანგარო (საკმაოდ უანგარო)“ (გოვერდოვსკი, 1985, 72) აქ შერეულია ენობრივი ხასიათის მოვლენები (იმის არსებობა, რასაც ავტორი არქევს პრეფიქსის დენოტაციურ მნიშვნელობას) და სამეტყველო — მნიშვნელობის ეფექტების ტური მიმართულება, რომელიც წარმოიშობა განსაზღვრულ კონტექსტში და განსაზღვრული პრაგმატული მდგომარეობის დროს.

სუფიქსებში „-ული /ინა“ ავტორი ხედავს დენოტაციურ ასპექტს: „ამ ჯგუფის სუფიქსებს შეიძლება ვუწოდოთ დენოტაციურად -შემამცირებელი. ფაქტიურად ისინი კონტაციას არ ქმნიან. ისინი მოდიფიცირებას უკეთებენ იგივე დენოტატს და კონტაციურ ასპექტს: „კონტაციურად-შემამცირებელი, ან მელიორაციული, რომელიც არ გამოხატავს საგნობრივად შემამცირებელს, ხოლო შეიცავს სუფთა მელიორაციულს: დანამცეცებული (ერთი ბეჭო), გამელოტებული (თმის გარეშე), ბაწაწინა (ბატარა ბავშვი) (გოვერდოვსკი, 1985, 72) თუ ავტორს დავთანხმებით და ვალიარებთ, რომ „სამსახურებრივი აფიქსის ამ (საგნობრივი და მგრძნობელობითი) შინაარსის აქტუალიზაცია მიმდინარეობს ფუძეულ აფიქსთან შერწყმით, რომლის ძალითაც გამოდის სამსახურებრივი მორფემისათვის თითქოს მინიმალური კონტექსტის სახით“ (გოვერდოვსკი, 1985, 71), მაშინ შეიძლება დავამტკიცოთ, რომ შემთხვევებში: გამელოტებული (უთმოთავის მშონე აღამინასაგან) და პაწაწინა (ბატარა ბავშვისაგან) შემამცირებელი-მოფერებითი მნიშვნელობას, არ გამოდის ძირითადი მნიშვნელობის საწინაღმდეგოდ პირველ შემთხვევებში და არაჩვეულებრივ შერწყმასთან დაკავშირებით მეორე შემთხვევაში, არა მარტო ამოდიფიცირებს მნიშვნელობას, არამედ ქმნის ამ მნიშვნელობის ადჰერენტულ კონტაციას. ამგვარად, ავტორი თავისთავად გვიჩვენებს ადჰერენტული კონტაციის წარმოქმნის კონსტრუქციულ ხასიათს მორფების დონეზე. შემდეგში ავტორი განიხილავს რა „კონტაციისა და დენოტაციის დიალექტიკას... ტერმინებისა და კონტირებული სუფიქსებით ტერმინიზირებული სიტყვების ურთიერთდამოკიდებულებაზე“, იგი წერს, რომ ტერმინოლოგიურ კონტექსტს გარეთ „პრესტიული“ სუფიქსით -ება, ისეთი ტერმინულად მსგავსი სიტყვების გამოყენება, როგორიცაა: სინთეზირება, ანესთეზირება და სხვა არატერმინოლოგიურ კონტექსტში, მაგალითად, სიტყვა „სინთეზირება“ სიტყვასთან „გამოცდილება“, ნებას გვრთავს, განვიხილოთ მათში

არატერმინოლოგიური შინაარსი, ხოლო მეტყველებაში — კონოტაცია, რომელიც გამომდინარეობს მათი, როგორც ტერმინის, პარალელური გამოყენებიდან“ (გოვერდოვსკი, 1985, 73). ავტორი მართალია, როდესაც ამტკიცებს კონოტაციის სამეტყველო ხასიათს, მაგრამ სუფოქსს -ება ამასთან არავითარი კავშირი არა აქვს. კონოტაცია წარმოიშობა ტერმინის არატერმინოლოგიურ ველში შეტანის ხარჯზე. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კონოტაცია წარმოიშობა როგორც მეტაფორის შედეგი, ანუ საუბარია კონოტაციის შექმნის საშუალებების სრულიად სხვა დონეზე გამოყენების შესახებ. თუმც ადჰერენტული კონოტაციის შექმნის პრინციპი, თავს მოახვიოს სემანტიკას მისთვის არადამახასიათებელი დამოკიდებულებები, რჩება უცვლელი, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ადჰერენტული კონოტაციის კონსტრუქციულ ხასიათზე.

ავტორის საერთო დასკვნა იმაზე, რომ „სიტყვის ყოველი მორფოლოგიური ცვლილებისას მიმდინარეობს მისი მნიშვნელობის თვისტობრივი ცვლილები — დენოტაციური და /ან კონოტაციური“ (გოვერდოვსკი, 1985, 77) მართებული იქნება მაშინ, როდესაც კონოტაციურობის წარმოიშობის პირობები მართებულად იქნება დიფერენცირებული მნიშვნელობის მოდიფიკაციის პირობებიდან, რაც საბოლოო ჯამში ნებას გვრთავს სინამდვილეში განვსაზღვროთ კონოტაციისა და დენოტაციის ურთიერთდამოკიდებულების დიალექტიკა, იმ სახით, როგორც ეს დამოკიდებულება წარმოგვიდგება ჩვეულებისამებრ, რის ჩვენებასაც ვცდილობთ სტატიაში, და კერძოდ: როგორც დამოკიდებულება რაციონალურისა (დენოტაციურისა) და ემოციურისა, შეფასების და სხვ., როგორლთა მიმართაც აღიარებენ კონოტაციურობის სტატუსს ერთეულის შინაარსში, აღებულს კონტექსტს გარეთ. იგი (ეს დამოკიდებულება) არ პასუხობს დენოტაციისა და კონოტაციის ურთიერთდამოკიდებულების ნამდვილ დიალექტიკას, რანდენადაც კონოტაცია გარაულობს ურთიერთქმედებას, გადასვლას ერთიდან მეორეში და ამავდროულად მათ ურთიერთდაშორებას.

ენის სისტემაში რაციონალურისა და ემოციურ-შეფასებითი-ექსპრესიულის ურთიერთდამოკიდებულების დიალექტიკა საუკეთესო სახით წარმოდგენილია ორი ურთიერთსაჭინააღმდეგო პოლუსის არსებობით: აბსოლუტური ემოციურობის პოლუსით — შორისდებულებით და აბსოლუტური რაციონალურობის პოლუსით — ტერმინოლოგიით. ამ პოლუსებს შორის განთავსებულია ერთეულების დიდი

ჯგუფი, რომელთა სემანტიკა შეიცავს როგორც ემოციურს, ასევე რაციონალურს დაუნაწევრებელი სახით. ამასთან, პოლუსებს შორის უხეში საზღვრები არ არსებობს და შესაძლებელია ურთიერთგადასვლები. რაციონალურისა და ემოციურის დანაწევრება ენობრივ ერთეულებში უდგენს ამ ერთეულებს როგორც სემანტიკურ, ისე ონომასიოლოგიურ პარამეტრებს, საზღვრავს მათ ადგილს სისტემაში. ამ დამყაიდებულებით რაციონალური და ემოციური სემები ერთეულების შემადგენლობაში თანაბარუფლებიანი არაან და არავითარი — არც თეორიული და არც პარაქტიკული — აზრი არა აქვს ვატაროთ ეს დაუნაწევრებელი ასეკეტები სხვადასხვა არეებზე, თუნდაც შეერთებული ცნებით. ეს მხოლოდ აერთიანებს მოცემულ არეებს.

ენის ერთეულებს ემოციური მუხტის ფლობისას შეუძლიათ გააძლიერონ იგი. პარადიგმულად მოცემული თვისებების გაძლიერებით დაკავებულია ფილოლოგის განსაკუთრებული დარგი — ექსპრესოლოგია, რომელიც ორიგნტირებულია ენაზე, თვითონ კი არსებობს მის გარეთ. მისი მექანიზმების დახმარებით კი წარმოიქმნება ის მოვლენა, როგორსაც აქ დავარქვით ადჰერენტული კონოტაცია, კერძოდ იმ ცნებით, როდესაც ენის ერთეულები დამატებით „გადამუშავდებიან“ ექსპრესოლოგის კატეგორიებით, ჩვენ ვსაუბრობთ ადჰერენტული კონოტაციის კონსტრუქციულ ხასიათზე.

#### ლიტერატურა

<b>ახმანოვა, 1972 —</b>	.. . . . .	:
— , 1972. ( . . . )		
<b>გოვერდოვსკი, 1979 —</b>	.. . . . .	
“ ” 1979. 2 .82-85		
<b>გოვერდოვსკი, 1985 —</b>	.. . . . .	
( ).“ ” 1985. 2. .71-79		
<b>დოლინინი, 1978 —</b>	.. . . . .	
“ ” 1978.		
<b>რიტორიკა, 1986 —</b>	.. . . . .	
		1986.-392 .

Cuaron B.G. „La connotacion: problemas del significado.“ El Colegio de Mexico, Mexico 1978.

Danes Fr. Gognition and Emotion in the Discourse Interaction. Berlin. 1985

Samuels M. L. Linguistic evolution with special reference to English. Cambridge. 1979.

**ულმანი, 1971** — Ullman S. „Stylistics and semantics // Literary style.“ L.; N.Y., 1971. p.133-152.

TAMAR TVALADZE

### Speech Constructive Character of Connotation

#### Summary

In scholarly literature the notion of connotation is considered controversial. The paper shares the viewpoint that connotation has a speech constructive ability. A particular stylistic meaning of a lexical unit is created on the basis of its denotative meaning in a particular speech event. Denotation and connotation as linguistic phenomena are context and pragmatic situation bound.

They are able to intensify the emotional implications of linguistic units. The paper also focuses on one of the fields of philology – expressology which studies the phenomenon of intensity. The notion of adherent connotation is also discussed.

ათინა თოიდე

### თანამედროვე ინგლისურენოვანი სარეპლაზო სლოგანების ზოგიერთი მნიშვნელოვანი თავისებულების შესახებ

ჩვენს ქვეყანაში სლოგანები თავდაპირველად ტელევიზიაში გამოჩნდა, სადაც ისინი სხვადასხვა სარეკლამო რგოლში იქნა გამოყენებული. დღეისათვის მისი გამოყენების სფერო ფართოდ ვრცელდება, ის აღწევს ყველაზო, სადაც კი შესაძლებელია სარეკლამო განცხადების განთავსება: სატელევიზიო სიგრცეში, რადიოსა და გაზეთებში, სხვადასხვა სახის საქონლის ფუთაზე ან გარეკანზე.

სლოგანთა მთავარი მიზანია — საქონლისადმი ყურადღების მიპყრობა, მომხმარებლის მიზიდვა.

სლოგანები ორი სახისაა: პრაგმატული და იკონური. **პრაგმატული სლოგანი** ხაზს უსვამს საქონლის რეალურ ხარისხს და მიმართულია მომხმარებლის გონიერისადმი. სლოგანებში რაციონალური ინფორმაციის გამოსახულება ეხება საქონლის მრავალფეროვან დახასიათებას. ეს შეიძლება იყოს: სარეკლამო ობიექტის ტიპი (Kitket-გნული კატების საკვები), საქონლის გამორჩეული თვისება („Indesit — დიდხანს მოგემსახურებათ“), პროდუქციის აღრესატი („Gillette — უკეთესი მმაკაცებისათვის არ არსებობს“), „Libero — პატარების სუკეთესო მეგობარი“), გამოყენების ეფექტურობა („Ariel — ტანსაცმლის უბალო გამომეტყველება“), საქონლის გამოყენების სარგებლიანობა („ხარისხი მისაღებ ფასებში“).

**იკონური სლოგანები** საინტერესოდ გამოიყურებან, მაგრამ ისინი უფრო მოგვითხრობენ საქონლის წარმოსახვით ხასიათზე, ვიდრე თვით საქონელზე. ისინი საქონელს მიაწერენ იმიჯურ ხასიათს და მიმართულია მომხმარებლის გრძნობაზე. მაგ: შ.კ.ს „Tegeta Motors“-ის სლოგანი — „დროა აირჩიო ხარისხი“ და „დროა შეაბიჭო სრულიად განსხვავებულ სამყაროში“.

სლოგანთა უმთავრესი მიზანი, სარეკლამო ობიექტისადმი ყურადღების მიპყრობა, ხორციელდება სარეკლამო ლოზუნგის ენობრივი ფორმის თვალსაჩინოების ხარჯზე. ამ უკანასკნელის შესაქმნელად გამოხატულების მთელი რიგი საშუალებები გამოიყენება. გამოხატვის საშუალებებში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სინტაქსის დინამიკურობა: „შემაგულიანებელი კონსტრუქციები: („Philips. — შეცვალეთ ცხოვრება უკეთესისკენ“), აღტაცებითი წინადადებები, არასრული წინადადებები („Whiskas — იმიტომ რომ კატი — თქვენ გენდობათ!“). ასევე პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების გამოყენება: („Wella — თქვენ შესანიშნავი ხართ“, „თქვენით ყველა აღფრთოვანებულია, თქვენ კი Maybelline-ით“, „L’Oreal — მე ხომ ამის ღირსი ვარ“, „უარგონული(სლენგი) ლექსიკა, „ნუ შეჩერდები, წაუსნიკერდეს“ (Sneakers).

ამას გარდა, თანამედროვე სარეკლამო სლოგანებში გამოიყენება სხვადასხვა მხატვრული ხერხი, როგორიცაა მეტაფორა, კალიმბური, გასულიერება, ფრაზეოლოგიზმები და სხვა. მაგალითად „Red Bull - ი აფრთიანებს!..“

განსაკუთრებულ როლს სლოგანი თამაშობს მასობრივ ონისძიებებში, როცა რეკლამირებული საქონლის დასახელებისას გამოიყენება უცხოური სიტყვები ღლაფიკით. ამ დროს სარეკლამო ლოზუნგის მუდმივი ერთადერთი თანმდევი ხდება თვით ეს უცხო სიტყვა, რომელსაც მოსდევს თარგმანი. მაგ:

„MaxFactor—პროფესიონალების კოსმეტიკა“



„Levante — იდეალური კოლჰოსტკებია“. გაუგებარი დასახელების კომენტირებისას, სლოგანები ხდებიან კომუნიკატიურად აუცილებელი ელემენტები. თუმცა თანამედროვე ეპოქაში უცხოური სლოგანები

ფართოდ გამოიყენება — სლოგანები, რომლებშიც არამხოლოდ ფირმის დასახელებაა, არამედ სარეკლამო ლოზუნგი მთლიანად უცხოენოვანია. მაგ: „Electrolux. Thinking of you“, „Sela. Feel the same“.


ჩატარდა გამოკითხვა რეკლამის შეფასებასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა 54% ხაზს უსვამს, რომ რეკლამა, რომელიც შეიცავს უცხოურ სლოგანს, უფრო მეტ ყურადღებას იქცევს სარეკლამო საქონლისადმი, ვიდრე ჩვეულებრივი რეკლამა, ხოლო 18%-ს მიაჩნია, რომ უცხოური სლოგანები უკეთესად აძახსოვრდებათ, ვიდრე ჩვეულებრივი რეკლამა.

იმისთვის რომ, განესაზღვრათ უცხოური სლოგანის დამახსოვრების ხარისხი, რესპონსიურული შესთავაზეს შემდეგი ამოცანა: — ჩაესვათ გამოტოვებული ფირმის დასახელებები შემდეგ სლოგანებში: ....The power of dreams., (Honda), .... Connecting people., (Nokia),



„... Life is good., (LG),

„...I'm loving it., (McDonald's),



**i'm lovin' it™**

„1 Now. 1...., (Nescafe).





**Nescafe. Open up. "Start the day with great taste" "Your cup of inspiration..." (for Nescafe Blend 43)**

გამოკვლევამ აჩვენა, რომ უცხოურ სარეკლამო სლოგანებს საკმაოდ კარგად იმახსოვრებს მომხმარებელი. მაგ. ნოკიას სლოგანი გამოკითხულთა 86% იცის, ხოლო 56%-მა მაკლონალდსის.

რესპონდენტებს დაუსვეს კიდევ ერთი კითხვა: რა ემოციებს იწვეს მათში უცხოური სლოგანები? 42% ნეიტრალურად ეკიდება უცხოურ რეკლამას, 26%-ში კი იგი იწვევს დადებით ემოციასა და ინტერესს. უცხოური რეკლამა მომხმარებელში ასოცირდება ხარისხთან, პრესტიულობასთან, ქვირფას საქონელთან. ამას გარდა რესპონტენტები აღნიშნავენ, რომ მათ მოსწონთ უცხოური რეკლამა, იმიტომ რომ ის სასიამოვნოა საყურებლად, საინტერესო სიუჟეტს შეიცავს, ან მუსიკალურად კარგადაა გაფორმებული, ან კარგი დადგმული, 11%-ში კი იგი უარყოფით ემოციებს იწვევს და აცხადებენ, რომ მათში ყველაფერი გაუგებარია და საჭიროა მათი თარგმნა მშობლიურ ენაზე.

რეკლამისტები ხშირად მიმართავენ უცხოური სლოგანების გარითმებას.

გამოკითხულთა 46% თვლის, რომ გარითმული სლოგანი უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს, ვიდრე ჩვეულებრივი რეკლამა. 80% თვლის, რომ გარითმულ რეკლამას უფრო იმახსოვრებს. Whiskas სლოგანი იცის 97%-მა, სლოგანი Gillette — 94%-მა, სლოგანი Milkyway — 94%-მა, სლოგანი Vanish — გამოკითხულთა 82%-მა, 52% პასუხობს, რომ გარითმული რეკლამა მათში იწვევს „დადებით ემოციებს, სისარულს, ინტერესს, ღიმილს, სიცილს“. გარითმული რეკლამის გაშვებისას ბევრი აპულება ან პარალელურად იმეორებს მას. რესპონტები ამბობენ, რომ პოეტური სლოგანები ძალიან მარტივია, ადგილად დასამახსოვრებელია, ხშირად მთელი დღის განმავლობაში „აპ-

ვიატებულია“. ზოგიერთი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მსგავსი რეკლამა აღძრავს ადამიანებში პოეზიის სიყვარულს. თუმცა ისინი ხაზს უსვამენ, რომ სარეკლამო ლექსები მაღლ პბეზრდებათ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აისახება საზოგადოებისა და ინდივიდის ყველა წინააღმდეგობა და უთანხმოება. ლ.ვ.ტრუბიცინა (ტრუბიცინა, 2002, 3) აღამიანზე ამ საშუალებების ზემოქმედების ტრაგმულ ხასიათსაც კი აღნიშნავს, როცა რადიოთი და ტელევიზიით გადმოსცემენ არასასიამოვნო სცენებს, ძალადობას, კატასტროფებს, რაიმე „ექსტრემალურს“ ან „საგანგებოს“. ეს საინფორმაციო ნეგატივი შეიწვება ადამიანის მიერ და ქვეცნობიერ დონეზე სტრესს იწვევს. ცხადია, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ მიზანშეუწონელია ტრაგედიის შესახებ საუბარი, მაგრამ, ამავე დროს არ შეიძლება გათვალისწინებულ არ იქნეს, რომ თაგს ზედმეტად მოხვეული დარწმუნება უკურავციას იწვევს, რომელიც ხშირად პროტესტს აღწევს.

მსგავს შემთხვევებში შეინიშნება დეტერმინაცია — აგრესიისა და ძალადობის განმეორება, რაც პარადოქსულია იმათვის, ვისაც ის აღაშფოთებს, ვინც ვერ ურიგდება ბოროტებასა და სისასტიკეს. შენარჩს, „რომელიც მკაფიო კონტრასტშია რეციპიენტის ფასეულობათა სისტემასთან, შეუძლია გამოიწვიოს ამ უკანასკნელში არა ასიმილაციური იდეა, რაც იმაში გამოიხატება, რომ სუბიექტი ძლიერდება იმ ცხოვრებისულ პაზიციათა, სამყაროს მოდელის და ფასეულობათა ორიენტირების მიუღებლობაში, რომელთაც მას თავს ახვევნ“ (პეტრენკო 2002: 20-21). მოცუმული შეუსაბამობა შესაძლოა ხდებოდეს არა მხოლოდ კოგნიტიურ, არამედ ემოციურ, შეფასებით დონეზეც, რამაც დიამეტრულად საპირისპირო შედეგი შეიძლება გამოიწოოს.

ურთიერთობის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად შესაძლებელია ნორმისაგან შეგნებული და მოტივირებული გადახვევა.

ნორმისაგან ნებისმიერი გადახვევა სიტუაციურად და სტილისტურად გამართლებული უნდა იყოს. ის უნდა ასახვდეს ენაში რეალურად არსებულ ენობრივი ფორმების ვარიანტებს (სასაუბრო, პროფესიული, დიალექტური და ა.შ.). ის არ უნდა იყოს მოსაუბრის თავისუფალი ნება-სურველი.

ერთი მხრივ, პროგრესი განაპირობებს დიდი რაოდენობით კომპიუტერული სლენგის წარმოქმნას (კომბი, გეიმერი, ჰაკერი, იუზერი, მაუსი და ა.შ.) (აბაევი 1973: 35), მეორე მხრივ კი, ნებისმიერი ნა-

სესხები სიტყვა ავიწროებს მშობლიური ენის სიტყვებს და მის შემდგომ განვითარებას ხელს უშლის. ამას გარდა, კომპიუტერული სლენგის მნიშვნელოვანი შრე, ახალმოდური სიტყვები, რომლებსაც დღეს მოსახლეობის ცალკეული ნაწილი იყენებს, კომუნიკაცითა შორის ურთიერთგაგების გარკვეულ სირთულეებს ქმნის. უცხოენოვანი ლექსიკის გამოყენება ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა სარეკლამო სლოგანში: „დეველოპერული, ფართი, პერტჰაუზი, ჭეოსტარი, დაიჯესტი, ბრენდი და სხვა, შესაძლებელია ფონეტიკურად ისინი საკმაოდ მიმზიდველია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მთლიანი აუდიტორია ფლობს უცხო ენას (ამ შემთხვევაში, ინგლისურს), იმდენად, რამდენადც მოცემული უცხოენობრივი ერთეული მნიშვნელობის მქონე უნდა იყოს, თითოეული პროდუქტი ორიენტირებულია თავის მყიდველზე და ეს არის ბაზარზე საქონლის გასაღების მთავარი პრინციპი, ხოლო თუკი საქონლი ორიენტირებულია ახალგაზრდა მომხმარებელზე, ამოსაცნობის მიზნით საჩეკლიმ სლოგანი შეიძლება იყოს სტილისტურად შეფერილი.

დღითიდღე რეკლამა სულ უფრო და უფრო იჭრება ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში, მეტყველებაში, ქვეცნობიერებაში. ხშირად სარეკლამო კლიშებით ლაპარაკსაც კი ვიწყებთ. ამ შემთხვევაში რეკლამას საქმაოდ სერიოზული მოთხოვნები ენიჭება. რეკლამა თითქოსდა თავს გახვევს საკუთარ ლექსიკას, რომელიც ყოველთვის არ პასუხობს სალიტერატურო ენის ნორმებს, საკუთარ ფორმებსა და სიტყვათვამოყენებისა და სიტყვათწყობების სახეებს, ტექსტების აგების საკუთარ პრინციპებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (მის) თანამედროვე ენა ხშირად არ პასუხობს საკანონმდებლო დოკუმენტებში ფიქ-სირებულ ნორმებსა და წესებს.

სიგარეტის მწარმებელი კომპანია **Salem**-ის სლოგანი შემდეგნაირად ქლერს – „**Salem – Feeling Free**“ (იგრძენი თავისუფლება). იაბონურ ენაზე გადათარგმნისას ამ სლოგანმა სულ სხვა მნიშვნელობა მიიღო – „**Salem**-ის სიგარეტის მოწევისას თქვენი გონება ხდება თავისუფალი და ცარიელი“ (2 სიტყვა გადაიქცა მთელ წინადაღებად).

„**Coke refreshes you like no other can.**“ მოცემულ სლოგანში სიტყვა **Can** შეიძლება იქნას ალქმული როგორც თუნუქის ქილა და მასში მოთავსებული ნებისმიერი ტიპის სასმელი, იქნება ეს გამაგრილებელი სასმელი თუ ლუდი ან როგორც მოდალური ზმა ( შეძლება), მაგ: **Coke refreshes you like no other can (can refreshes you)**, პირ-

დაპირი თარგმანით: **Coke** ისე გაგაგრილებს, როგორც ვერც ერთი თუნუქის ქილა. თუმცა სლოგანი გულისხმობდა **Coke refreshes you like no other (drinks) can (refreshes you)**, რომ **Coke** -ის მსგავსად ვერც ერთი სასმელი ვერ გაგაგრილებს.

**Drambuie**-ს რეკლამაში წარმოდგენილია მიმზიდველი ქალი ბურუსში, მამაკაცთან ერთად, რომელიც მის უკან დგას დერებაზში. სლოგანი შემდეგნაირად ქლერს: „Taste the Intrigue“. სლოგანი პარადოქსულია: ის შეიძლება იქნეს აღქმული როგორც „გასინჯე ინტრიგა“ პირდაპირი გაგებით, რაც აბსოლუტურად გაუგებარია, და ცდილობს გამოიწვიოს ერთგვარი შიშიც მაყურებელში, „ნუთუ ქალსაც აჩრდილად აქცევს ის აჩრდილი?“ ან შესაძლოა მაყურებელთა გარეული ჭგუფი დააინტრიგოს კიდეც ერთობ რომანტიკული ვითარების გამო.



სლოგანი იმდენად ირონიული და მნიშვნელობას მოკლებულია, რომ კაცი იფიქრებს მემკვიდრეს აცნობენ სახლს და ეუბნებიან – „შენ ცხოვრობ აქ“ ან კიდევ მესამე კლასელის თვალსაჩინოებას მოგვაგონებს, რომლის მიზანია ბავშვმა წარმოთქვას, რომ ეს არის „სახლი“. სინამდვილეში კი **Hilton**-ის კორპორაცია უბრალოდ ცდილობს შეგვახსენოს მოვზაურობის შესახებ და გვთავაზობს ინტერნეტის საშუალებით **Hilton**-ის ქსელში საუკეთესო ნომრის წინასწარ დაჯვანის.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ თანადეროვე სარეკლამო სლოგანები გამოირჩევიან მრავალფეროვნებით და გამოხატულებით, რაც იზიდავს მომხმარებელს და იწვევს მათ სწრაფ დამახსოვრებას. რეკლამის ფორმისა და შინაარსის ერთობლიობა მისი წარმატებული

თუნქუიონირების აუცილებელი პირობაა. ამ ცნებათა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ასოციაციათა დონეზე ორაზრივნებას ვაწყდებით. ხშირად სარეკლამო სლოგანი განკუთვნილია ახალგაზრდა მომხმარებლისათვის. მაგრამ საქონლის მომხმარებელია არა მხოლოდ ახალგაზრდა მოსახლეობა, არამედ სხვადასხვა ასაკის ადამიანები, რომლებიც იძულებული არიან უყურონ მათთვის გაუგებარ რეკლამას. დღეისათვის რეკლამაში პარადოქსების პრობლემა გაცილებით კაფიოდ დგება, ამიტომ სარეკლამო სლოგანების ანალიზი, მათი ეფექტურობისა და კანონზომიერების შესაბამისობა განსაზღვრავს თითოეული ინდივიდის შემდგომ ენობრივ ქმედებებს, მის ორიენტაციასა და პოზიტიურ სამეტყველო საქმიანობას.

ლიტერატურა

- კორობითვა 2009** — Воробьёва Ирина Владимировна, Дягилева Наталья Сергеевна  
**გარმინი 2004** — Кармин А.С. Психология рекламы. – СПб.: Изд. ДНК .  
**მატანცევი 2002** — Матанцев А.Н., Эффективность рекламы.- М. Российский государственный профессионально-педагогический уни-верситет  
By Rob Roberts. *The Daily News* July 22, 1991  
Google.com  
Google.ge  
ნიკურაძე ავთანდილ <http://businesscafe.wordpress.com/2010/02/17/>

## Some Linguistic Peculiarities of Advertisement Slogans in Current English

### Summary

The paper discusses instances of paradox in English advertisement slogans. Expressiveness and linguistic versatility of modern advertisement slogans make them attractive and easily memorable for consumers. The unity of form and content is an essential principle contributing to successful functioning of advertisements. The breach in this unity leads to ambiguity on associative level. The issue of advertisement paradox is burning these days. Hence for the efficient functioning and adequate comprehension of advertisement slogans it is relevant to state certain linguistic regularities for them.

## მჩა თოლურის

## მნა, დეიქსისი და პულტურული ძოლი

მე-20 საუკუნის ლინგვისტიკა აქტიურად შეისწავლის ენას, როგორც ერის კულტურულ კოდს და არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებას. სწორედ ამიტომ შეუძლებელია ლინგვისტიკის გარეშე კულტურის შესწავლა და პირიქით.

კულტურა ადამიანისა და საზოგადოების არსებით ნიშანს წარმოადგენს. ეს ნიშანი (მოვლენა) სხვაგარ გამოვლინებას პოულობს ერის მატერიალურ-ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებაში. ამასთან ენა ადამიანის და საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, წარმოადგენს რა ერის კულტურისა და მისი არსებობის მნიშვნელოვან ფორმას.

ენის ანთროპოცენტრიზმი საქვეყნოდ აღიარებული ცნებაა. ტრადიციულად გამოიყოფა სამი პარადიგმა — შედარებით-ისტორიული, სისტემურ-სტრუქტურული და ანთროპოცენტრისტული.

შედარებით-ანთოროპოცენტრისტული პარადიგმა პირველ სამეცნიერო პარადიგმას წარმოადგენდა ლინგვისტიკაში, რადგან ენის კვლევის პირველ მეთოდად ითვლებოდა.

სისტემურ-სტრუქტურულ პარადიგმას ყურადღება გადააჭირა საგანზე, ნივთზე, სახელზე. ამიტომ ყურადღების ცენტრში თვით სიტყვა იმყოფება.

ანთროპოცენტრისტული პარადიგმა კი წარმოადგენს ყურდღების გადატანას შემეცნების ობიექტიდან სუბიექტზე. ე.ი. ხდება პიროვნების ენაში კვლევა. ენა კი შესწავლილი და გაანალიზებულია პიროვნების მიერ.

სეპირის თანახმად, ენა სოციალური და კულტურული მოვლენაა და სწორედ ამგვარი განვითარების პროდუქტია. სეპირისვე აზრით, ენა არის კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ ადგილას მცხოვრები ერის კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი.

რა საერთო აქვს ენასა და კულტურას? პირველ რიგში როგორც

ენა, ასევე კულტურა ერის კონცეპტუალურ აპარატს წარმოადგენს. ამ ირ ფენომენს შორის სხვაობა სეპირმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: კულტურა შესაძლოა განვსაზღვროთ როგორც ის, რასაც მოცემული საზოგადოება აკეთებს ან ფიქრობს, ხოლო ენა არის ის, თუ როგორ ფიქრობენ ამა თუ იმ კულტურის წარმომადგენლები.

რაც შეეხება ენისა და კულტურის განვითარებას, ეს არ არის პარალელური პროცესი. კულტურული ცვლილებები უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე ენობრივი. მკვეთრი კულტურული ცვლილებები აჩქარებს ენობრივ განვითარებას. ლექსიკა, სეპირის მიხედვით, გარკვეულწილად გამოხატავს კულტურის დონეს. ლექსიკური ცვლილებები სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული, რომელთა უმაღლესობა კულტურული ხასიათისაა.

ყოველი ეპოქისა და კულტურის ადამიანი არსებობს დროში, მაგრამ თანამედროვე ინტერდისციპლინარული აზროვნება, რომელიც აუცილებლად გულისხმობს ფინანსობის, კულტუროლოგიის, სოციოლოგიისა და ისტორიულ მონაცემთა ინტერდისციპლინარულ სინთეზს, ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს შემდეგს: ეპოქისა და მისი კულტურული ხასიათის ცვლილებასთან ერთად იცვლება დროის (ტემპორალობის) ის ტიპიც, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის არსებობას და შეიძლება ითქვას, განსაზღვრავს კიდეც ამ არსებობას და მის ძირითად მომენტებს. თუ ეს ასეა, დროის ეს ტემპორალური ტრანსფორმაცია უნდა ახდენდეს გავლენას დეიქსისის ფენომენზე, რადგან ეს ტემპორალობასა და დეიქსისის შორის ღრმა შინაგან კავშირს და ურთიერთშესაბამისობას განსაზღვრავს. ამიტომ ბუნებრივია ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ დროის ტიპოლოგიურ ტრანსფორმაციას უნდა შეესაბამებოდეს დეიქსისის ტიპოლოგიური ტრანსფორმაციაც, რაც კონკრეტულად ნიშანავს შემდეგს: როგორც ცნობილია არ არსებობს გამონათქვამი შინაგანი დეიქტური სტრუქტურის გარეშე, მაგრამ ეს სტრუქტურა ვერ იქნება იდენტური განსხვავებულ კულტურულ ეპოქათა ფარგლებში.

დროის ტიპოლოგიური ტრანსფორმაცია შინაგანად უკავშირდება ადამიანის ტიპოლოგიურ ტრანსფორმაციას პიროვნულ დონეზე: ტემპორალურობის განსხვავებულ ტიპს შეესაბამება ადამიანის როგორც ინდივიდის განსხვავებული ტიპი. ბუნებრივია, თანამედროვე ლინგვისტიკის ამოცანაც ესაა, დაუქვემდებაროს ენობრივი სისტემის ხედვა და კვლევა ენობრივ პიროვნებას როგორც ლინგვისტურ მეტა-

ქატეგორიას.

ცნობილია, რომ დასავლური საზოგადოების ტემპორალიზაცია ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ ტრადიციული პრეინდუსტრიული საზოგადოება თანამედროვე ინდუსტრიულით შეიცვალა. ეს მრავალასპექტოვანი მოვლენაა. კონკრეტულ ენობრივ ინდივიდთან მიმართებაში, პირველ რიგში, ამ ინდივიდის კულტურულ ტრანსფორმაციას ნიშნავს. როგორც პ. გურევიში აღნიშნავს, „კულტურული ეპოქები უსასრულოდ ცვლიან ერთმანეთს. ახალი დროის, ახალი კულტურული სიტუაციის დასაწყისი ნიშნავდა იმას, რომ შეიცვლებოდა ლირებულებათა სასიცოცხლო და პრაქტიკული ორიენტირები“.

„რევოლუცია ცნობიერებაში“ ნიშნავდა იმას, რომ დაიბადა ახალი კულტურული ეპოქა, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ სოციალური ტრანსფორმაცია ერთდროულად ნიშნავდა რევოლუციას ცნობიერებაში და ახალი კულტურული ეპოქის დასაწყისს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინდუსტრიული საზოგადოების აღმოცენება ნიშნავდა ტრადიციული კულტურის ახალი კულტურით, ანუ „მოდერნის“ კულტურით შეცვლას.

თუ კულტურული ეპოქების ცვლა ნიშნავს „რევოლუციას“ ცნობიერებაში და ცნობიერება უპირველესად ინდივიდში არსებობს, მაშინ სენებულ რევოლუციას გარდაუვალად უნდა მოეცვა ადამიანთა ურთიერთობის ის სფეროც, რომელსაც კომუნიკაციის, პირველ რიგში კარგი დიალექტის სფერო ეწოდება.

რაში მდგომარეობს ცნობიერების ტრანსფორმაციის ის ასპექტი, რომელიც თან ახლდა ინდუსტრიული საზოგადოებისა და ერთდროულად ახალი კულტურის აღმოცენებას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდა დეიქსისის ტრანსფორმაციისას, ანუ დეიქსისის სრულიად ახალი (განახლებული) შიდა „მექანიზმის“ წარმოშობისას?

როგორც ვხედავთ დეიქსისის ფენომენის კვლევას ინტერდისციალინარული კვლევის აუცილებლობამდე მივყავრთ. დეიქსისის თანამედროვე ლინგვიკულტუროლოგიურ კვლევას ისევ მივყავრთ ენობრივ პიროვნებათა კულტურულ ტრანსფორმაციისთან, რაც შინაგანად და არსებითად ადამიანური ქმედების იმ შინაგან ტრანსფორმაციას უნდა დაგუკავშიროთ, რომელიც განპირობებულია თანამედროვე ანუ „მოდერნული“ კულტურის გენეზისით.

ტრადიციულ საზოგადოებაში პრაქტიკულად არ არსებობს

წარმოდგენა ინოვაციაზე. ადამიანი აქამდე ცხოვრობდა დროის სამ მოდუსში (წარსული, აწმყო და მომავალი). წარსული დომინირებდა და მუდამ ბრუნდებოდა რაღაც სახით. ახლა კი მომავალი გამოდის წინა პლანზე. „მომავალში თემის აღმოცენება უკავშირდება დროის შესახებ წარმოდგენის შეცვლას...ტრადიციული საზოგადოების ციკლური დრო — „წრე „დრო-ისრად“ იქცევა“.

დროის ეს ტრანსფორმაცია ხდება მთელი საზოგადოების ფარგლებში. მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ცნობიერების იმ ახალი სტრუქტურის ფორმირებას უნდა ჰქონდეს, რომელიც სოციალური დროის ხსნებულმა ტრანსფორმაციამ გამოიწვია. უნდა ჩავთვალოთ, რომ მთავარი და ვადამწყვეტი ამ თვალსაზრისით პირადი ბიოგრაფიის, როგორც პიროვნული ფსიქოლოგიის ცენტრალური კატეგორიის გენეზისი იყო: ადამიანს უჩნდება წარმოდგენა საკუთარ ცხოვრებაზე, როგორც ბიოგრაფიაზე, ინდივიდუალური ცხოვრება იგეგმება კარგირის ტრამინგბში. პიროვნების ცხოვრებისული ციკლი ხორციელდება იმ ეტაპების თანმიმდევრული ცვალებადობით, რომლებსაც უკვე არ გააჩნიათ რიტუალური ნიშნულები (მაგალითად — დღესასწაულები). გზამკვლევ ვარსკვლავად თავად სიცოცხლე იქცევა“

დეიქსისის ლინგვიკულტუროლოგიური კვლევისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ ფაქტს აქვს, რომ ბიოგრაფიის ეს ახლებურად სტრუქტურირებული ფენომენი განიცდის იმ შინაგან ტრანსფორმაციას, რომელიც პიროვნების მიერ საკუთარი „მე“-ს ახლებურ აღქმას უკავშირდება: ჩნდება „მე“, რომელიც ავტომატურად არ ენდობა არავის და არაფერს. ეს ენათმეცნიერებისათვის რადიკალურად შეცვლილ ენობრივ პიროვნებას ნიშნავს. შესაბამისად იცვლება ენობრივი კომუნიკაციის ყოველი აქტი თავისი დეიქტური ველით, რომელიც აუცილებელია დაექვემდებაროს ბიოგრაფიულ-პერსონალურ დროს ისე, რომ ფაქტობრივად მის შემადგენელ სტრუქტურულ ელემენტად იქცეს.

ლიტერატურა:

**ლეგბანიძე** — ლეგბანიძე გ., სიღრმეთა დიალოგი და „ტრადიციული ტრიადა“, თბ., გამომცემლობა „ენა და კულტურა“

**ლეგბანიძე 2004** — გ. ლეგბანიძე, კულტუროლოგის საფუძვლები, თბ., გამომცემლობა, „ენა და კულტურა“, 2004.

**ნიქაბაძე 2004** — მ. ნიქაბაძე, დეიქსისის ფენომენი ინტერდისციპლინარული კვლევის პერსპექტივაში, „ენა და კულტურა“, ფილოსოფიური სერია 1, 2004(1), 2004.

Campos Pardillos M., Deixis as a Reference to an Alleged Shared Situation in Persuasive Discourse . 'Revista Alicantina de Estudios Ingleses 8, 57-67.1995.

Gurhevich p., The Philosophy of Culture, Moscow, 1997.

Kozlova N., Social Philosophy, Moscow, 1997.

#### EKA TOPURIA

#### Language, Deixis and Cultural Code

##### Summary

The paper is devoted to the multidimensional study of deixis. As is known, the 20<sup>th</sup> century linguistics considered language not only a means of communication, but a nation-specific cultural code. The current linguocultural studies on deixis lead to the notion of cultural transformation of linguistic individuals. The given phenomenon is closely linked with inner transformations of man's activities that are caused by the peculiarities of modern culture. Hence the aim of modern linguistic thought is to subordinate linguistic outlooks and explorations to the meta category of linguistic individuals.

რუსულ კაპიტალიზაციი, ან ჯიზონაია

აპრონიმებისა და აბრევიატურების რამდენიმე  
თავისებურების უსახელ ინგლისურ მნაში

ალბათ ზედმეტია დღეს აბრევიატურების გამოყენების აქტუალობაზე საუბარი, რადგან ეს ყველასათვის თვალსაჩინო ფაქტია. აბრევიატურები თავიდან გვაცილებენ დასახელებების GAU (Georgian American University) D (David Aghmashenebeli University of Georgia); ცნებების -h for hour; მოვლენების UFO for Unidentified Flying Object; ან მთელი ფრაზების თავიდან გამოიჩებას Laser- (high amplification by stimulated emission of radiation). ფაქტობრივად ისინი ენაში მყარად დამკვიდრდნენ და გაშიფრული სახით აღარც კი ვასახელებთ ბევრ მათგანს.

აბრევიატურებისა და აკრონიმების უმრავლესობა ხანგრძლივი დროით რჩება ენაში, მაგ.: FBA, TV, gas, etc., თუმცა აქვე აღვინებავთ, რომ ზოგიერთი ნაკლებად სიცოცხლისუნარიანია და კარგავს რა აქტუალობას — იყარება, ქრება ენიდან. თანამედროვე ინგლისურის ნებისმიერ სფეროში (სამეცნიერო, საყოფაცხოვრებო, ბიზნესის, პოლიტიკისა და სხვა) მუდმივად იქნებიან და ფიქსირდებიან აბრევიატურული და აკრონიმული ფორმები, როგორც უაღრესად პროდუქტიული და ეკონომიკური ერთეულები, რომლებიც თავის თავში გაითავსებენ ხოლმე სიახლის ცნებებს. ხშირია, როცა ცნება აღარაა ახალი, მაგრამ ის ინარჩუნებს აქტუალობას და, შესაბამისად, ის სიცოცხლისუნარიანია, მაგ. SOS, BBC და ა.შ.ისინი ასევე საერთაშორისო ხსიათს ატარებენ.

რადგანაც ენების უმრავლესობა გაჯერებულია აბრევიატურული ფორმებით, ხშირია კალკისებური ფორმების არსებობა. კალკი ფორმები გადმოდის იმ ძირეული ენიდან, სადაც ეს მოვლენა თუ პროდუქტი შეიქმნა, მაგ.: FIAT- Fabrica Italiana Automobile. გაშიფრული ფორმა მიუთითებს აბრევიატურის ეტიმოლოგიაზე ანუ იტალიურზე; NASA- National Aeronautics and Space Administration- მოცემული აბრევიატურა ამერიკული ენობრივი ფორმაა და ბევრ ენაში კალკად

გადავიდა; BP- British Petroleum- გავრცელდა ყველა ენაში და მის ბრიტანულ წარმოშობაზე მეტყველებს. მსგავსი სახის აბრევიატურები დღეს განზოგადოებული სახით გვევლინება და ძირეული ენიდან ვრცელდება სხვა ენებში.

ვფიქრობთ, აბრევიატურულ ფორმებს თან სდევს ეფექტს ფაქტორიც, რაც კარგად ჩანს ზეპირმეტყველებაში. ისინი იმდენად დამკვიდრდნენ ენაში, რომ განმარტებას აღარც კი საჭიროებენ: NATO=North Atlantic Treaty Organization; PS=postscript; WA=Washington State; Jeep (JP)=general purpose car, GM= General Motors and so on. მაგრამ ენაში არის მაგალითები, რომლებიც მხოლოდ წერით ფორმას ახასიათებს: Mar.=March, LW=Long Wave, ps=post scriptum etc.

მაშასადამე, აბრევიატურებისა და აკრონიმების შემოტანას ენაში თან სდევს სიახლის ფაქტორი; ისინი ზოგად თვისებებს ატარებენ და თუ აქტუალობასაც ინარჩუნებენ, დიდი ხნით მკვიდრდებიან ენაში.

შემოქლებული ფორმების ძირითადი ფუნქცია, როგორც ცნობილია, არის მსმენელისა და მკითხველის ინფორმირება ექსპლიციტური გაშიფრის გარეშე. ამ ერთეულებიდან ზოგიერთი ემოციურად, ისტორიული მნიშვნელობით ან სხვა კუთხით დატვირთული ერთეულები შეიძლება იყოს, მაგ. PR=public relations, DJ=disk jokey, ABC Powers-Argentina, Brazil and Chile Coalition or ABC=American Broadcasting Corporation and so on. ზოგიერთი კი ნეიტრალურია: m=meter, LV=Luncheon Voucher; Radar=radio detection and ranging. თავის დროზე ნეიტრალური აბრევიატურების ჯგუფი სიახლის მატარებელი ცნებები იყო. თანამედროვე ინგლისურში ისინი სიახლეს აღარ წარმოადგენენ. მათი მთავარი დანიშნულება მოვლენების მოკლედ აღნიშვნა, განზოგადება და გავრცელება: e-mail, IT და ა.შ.

ჩვენ მოვიძეთ ისეთი მაგალითებიც, რომლებიც შეიქმნა სიყვარულით, გახდნენ ცნობადი და შემდეგ გავრცელდნენ უფრო ზეპირმეტყველებაში, მაგ. Marks and Spencer-ცნობილი ინგლისური სავჭრო ფირმა, რომელიც სხვადასხვა ფორმით მოიხსენიება: M&S; marks; marks and sporks; anda Coca-Cola or Cola. იქვე მინდა აღვნიშნო, რომ COLA, მთავრული ასოებით გამოსახული, სხვა მნიშვნელობასაც ატარებს, კერძოდ: cost of living adjustment in the US (gradual rise in the price of goods.) Pepsi-Cola-s anu Cola-s სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ინტერპრეტაცია აქვს და მას სიყვარულით ასე განმარტავენ (მ. მონთგომერი,

რი, კ. სტრატონი)

ჩინურში – make man's mouth happy

გერმანულში – for the people of today

ესპანურში – the drink of friendship

ბრიტანულში – pepsi pepsi you up

ყველა ენაში ის ინარჩუნებს ერთ ზოგად მნიშვნელობას — სასიამოვნო, დადებითი თვისების მატარებელი, გამამხნევებელი სასმელი.

ინგლისურ ენაში შეიძლება შეგვხვდეს ომონიმური აბრევიატული ფორმებიც, მაგ. 1.AA=Alcoholics Anonymous

2. AA=Automobile Association

3. AA=Associate of Arts

or PR=Public Relations

PR=Puerto Rico

or PTO=(Br.E)Please Turn Over

PTO=(Am.E.) Parent-Teacher Organization

მსგავს შემთხვევებში ხშირია გაურკვევლობის მომენტის არსებობა, კერძოდ, გაუგებარია, თუ რომელი მნიშვნელობა იგულისხმება, რომ არა კონტექსტის შემოყვანა; ამიტომ ასეთ შემთხვევებში აუცილებელია სიტუაციის შემოტანა გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, აბრევიატურები გავრცელებულია ჩვენი ყოფის ყველა სფეროში და მეცნიერების ყველა დარგში. მოვიყვანთ რამდენიმე შესაბამის მაგალითს მედიცინიდან:

Who=World Health Organization

AIDS=Acquired Immune Deficiency Syndrome.

გეოგრაფია N=North, Miss=the Mississippi, Man=Manchester, NY>New York, Jap=Japanese

ქიმიის, ფიზიის სფერო უსაზღვროა აბრევიატურების გამოყენების მხრივ:

Na=Natrium, amp=Ampere

ეკონომიკა-FY=Fiscal Year, GDP=Gross Domestic Product, a/c or acc=account;

ისტორია-BC=Before Christ; Di=Diana; Linc=Lincoln;

ბოლო ორი მაგალითი სიყვარულით, მოფერებით შექმნა საზოგადოებამ და დამკვიდრა უფრო მეტად ზეპირმეტყველებაში.

ცნობილია, რომ პოლიტიკის სფერო ყოველთვის გამოირჩეოდა აბრევიატურებისა და აკრონიმების გამოყენების სიჭარბით:

EU=European Union

NAW=National Organization of Women

KGB=Secret police of the former Soviet Union

PRO=Public Record Office and so on.

ამგვარად, დღეს ყველა სფერო (კოფითი, საზოგადოებრივი, სამცნოებრო და სხვა) ამჟღავნებს შემოქლებების გამოყენებისაკენ სწრაფვას. ისინი ფიქსირებული, ბუნებით მყარი ლექსიკური ერთეულებია, რომელთა სხვაგვარად გამოყენება ან თვითნებურად დაშლა დაუშვებელია. საზოგადოება იღებს მათ ძირითადად ერთი ფორმით და ამკიდრებს ენაში. ისინი შეიძლება იყოს ზოგადი ან სპეციალიზებული.

დროის ხანგრძლივობით თუ ვიმსჯელებთ, აკრონიმები უფრო მყარ ფორმებად გვეჩვნება, ვიდრე აბრევიატურები და ისინი ხშირად საერთაშორისო ხასიათს ატარებენ. რაოდენობრივად ისინი უფრო მცირეა, ვიდრე აბრევიატურები, მაგრამ ბევრი მათგანი გამოითქმება ან იწერება, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული: UNESCO, UNISEF და ა.შ.

ექვე მინდა შევჩერდეთ რამდენიმე ორთოგრაფიულ თავისებურებაზეც ინგლისურ ენაში. ცნობილია, რომ აბრევიატურები ჩვეულებრივ დანაყოფებით არის მოცუმული წერით ფორმებში, თუმცა შესაძლებელია მათი დაწერა დანაყოფების გარეშეც. ძირითადად ისინი მთავრული ასობით იწერება, მაგრამ არა გამორიცხული პატარა ასოთიც შეგვხდეს. ეს მოვლენა ტიპურია ინგლისურისათვის უკანასკნელ წლებში:

btu or BTU= British thermal unit.

ბევრი აბრევიატურა ბოლოში წერტილს იყენებს; ასეთ შემთხვევაში წინადადების დამასრულებელი წერტილის გამოყენება საჭირო აღარაა. სხვა სასვენი ნიშნები, მაგ. კითხვის ან ძალის ნიშანი ჩვეულებრივ დაისმის წინადადების ბოლოს.

ზოგიერთი აბრევიატურული ფორმა იყენებს აპოსტროფის ნიშანს (\*): Jack o'lantern, o' clock, 'flu and so on,

ზოგიერთი შეკვეცილი ფორმა არანაირ ნიშანს არ იყენებს:

ad-for advertisement, disco-for discotheque, phone-for telephone etc.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ინგლისურში შეიმჩნევა აბრევი-

ატურების სასვენი ნიშნების გარეშე დაწერის ტენდენცია, ადრე თუ the U.K. ფორმა წერტილებით გვხვდებოდა, დღეს გვაქვს UK ფორმა: J.D.-JD for Doctor of Jurisprudence.

მრავლობითობისა და კუთვნილებითი ფორმების გამოყენება ასევე დასაშვებია აბრევიატურებთან: Thousands of Ph.D's. ზოგიერთი ლინგვისტი კი მიუთითებს, რომ სჯობს შემოკლებული საკუთარი სახელები ცალ-ცალკე ჩამოვთვალოთ, მრავლობითობის გამოსახატავად, ხოლო კუთვნილებითი ბრუნვა 's-ით გამოვხატოთ: Fla's (Florida) environment. ზოგადად კი, აბრევიატურების უმრავლესობა არ იყენებს მრავლობითობის მაწარმოებელ სუფიქსს, რადგან ისინი კონკრეტული ცნებების აღმნიშვნელი ერთეულებია, რომლებსაც მრავლობითობა იშვიათად ახასიათებთ.

მაშასადამე, შევვიძლია დავასკვნათ, რომ აბრევიატურების გამოყენებას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა თავიდან ავიცილოთ გაუგებრობები, აქ იგულისხმება: ომნინიმური წყვილები, მრავლობითობის პრობლემა, ბუნქტუაცია და სხვა. ბევრი აბრევიატურა საერთაშორისო ბუნებით ხასიათდება და ზოგადი მნიშვნელობისაა, ზოგი კი სპეციფიკურია და ერთი სფეროს ფარგლებში გამოიყენება. აბრევიატურებისა და აკრონიმების, როგორც ეკონომიკური ერთეულების შემოტანას ენაში, თან სდევს სიახლის ფაქტორის არსებობა და აქტუალობასთან ერთად დიდი ხნით მკვიდრდებიან ენაში.

#### ლიტერატურა

The Writer's Hotline Handbook- M.Montgomery and J.Straton, NY 1981

Academic Writing for Graduate Students- J.Swales and CH. Fpeak; USA 1994

Longman Dictionary of English Language and Culture, 1998

RUSUDAN KAVTIASHVILI, ANN JICHONIAIA

**Some Features of Abbreviations and Acronyms  
in the English Language**

**Summary**

The paper deals with the useful short forms i.e. abbreviations and acronyms in the English Language. Some thematic groups and their peculiarities are singled out and discussed. It is stated that they are economical and practical lexical units avoiding unnecessary repetition of the name of an event. Some of them are of international nature, some carry general or specific meaning.

Certain information of their plural and possessive forms is given in the work but as it is accepted most of abbreviations refer to single objects and cannot be pluralized.

გვდება პიროვნეული

ძუნდული, გართობა, „სხვა“

მარტოობისა და კუნძულის თემა მეტად აქტუალურია ყველა ღრმის ლიტერატურულ ნაწარმოებებში. განსაკუთრებულ ფუნქციას კუნძული და მარტოობა თამაშობს ეგრეთ წოდებულ „რობინზონია-ფებში“. რობინზონის სახის კვლევა პოსტმოდერნისტულ რომანებში სრულიად ახალ მიდგომას მოითხოვს,. ამიტომ რობინზონიადის მთვარი მოქმედი სუბიექტის თემატური გაშუქება სამი საბაზო ელე-მენტის ჭრილში ხორციელდება — პარასკევა, კუნძული და ხომალდი. ამიტომ, წინამდებარე სტატიაში კვლევის კონცენტრირება ხდება არა რობინზონზე, როგორც ცალკე აღებულ კონკრეტულ ობიექტზე, არა-მედ იმ გლობალურ კატეგორიაზე, რომელსაც ის აღნიშნულ პროტა-გონისტებთან ერთად ქმნის. მაგალითად, თუკი დ. დეფოს რომანის მთავარი გმირი რობინზონ კრუზო, მ. ტურნიეს რომანში „პარასკევა ანუ წყნარი ოკეანის ლიმბები“ — რობინზონის კომპანიონი და მსა-ხური პარასკევაა, უ. ეკო კი — რომანში „კუნძული წინადღეს“ — ამ სტატუსს ანიჭებს, ერთი მხრივ, ხომალდს, როგორც რობინზონის ევროპულ ცივილიზაციასთან კავშირის სიმბოლოს და, მეორე მხრივ, **კუნძულის**, როგორც არქეტიპული ცნობიერების მნიშვნელოვან ფენო-მენს, რომელიც ამავდროულად, როგორც თითქმის ყველა რობინზო-ნიადაში, ის ადგილია, სადაც გარედან შემოსული ადამიანი მარტო ან იმ ადამიანებთან ერთად, რომელთაც მათი ცივილიზაცია არ შეხე-ბიათ, იწყებს მის (კუნძულის) გარდაქმნას თავის გონებაში არსებუ-ლი იდეალური პროექტის მიხედვით. კუნძული, წარმოადგენს რა წყალგამყოფს ჩვენსა და „სხვა“ სამყაროს შორის, როგორც „სხვისი სტრუქტურის“ სიმბოლო, წარმოსახვითი სამყაროს კატეგორიული გამოხატვის საშუალება, ლიტერატურულ ტექსტში მრავალ განსხვა-ვებულ სიმბოლურ დატვირთვას იძენს.

„კუნძული“ შესაძლებელია კაუზალური პრიზმის ჭრილში განვი-ნილოთ: როგორც თავშესაფარი (ჰენრი ბოსკო „ბავშვი და მდინარე“)

ან პირიქით, როგორც დასჭის ადგილი („რობინზონ კრუზოს“ ფინალური ეპიზოდი, უიულ ვერნის „კაპიტან გრანტის შვილები“). აქედან მომდინარეობს კუნძულის ორი, ანთროპოლოგიური და ასოციაციური, გაგება: სამყარო „სხვასთან“ ერთად ან მის გარეშე.

ამრიგად, კუნძული, თავისი მაიზოლირებელი ფუნქციის თანახმად, წარმოადგენს მარგინალურ ზონას, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს გადასვლა ერთი მდგომარეობიდან (მაგ. სოციალური) მეორეში. სწორედ აღნიშნულ კონცეფციას უკავშირდება კუნძულის, როგორც ინიციაციის, გამოცდის ადგილის ამგარი გაგება.

უ. დელეზი აღნიშნავს, რომ სწორედ მხატვრული შემოქმედების პრეროგატივა წარმოადგინო და ოწერი კუნძული როგორც „სხვა“ სამყარო, ასევე სამყარო „სხვის“ გარეშე. მაგალითად, მიშელ ტურნიეს რომანი „პარასკევა ანუ წყნარი ოკეანის ლიმბები“, რომელიც რობინზონ კრუზის თემის გარშემო შექმნილ ერთგვარ ვარიაციას წარმოადგენს, განიხილება ამავე დროს როგორც მოგზაურობა „სხვა“ რეალობის ზღვარზე (დელეზი 1969, 350-372)

როგორც მოგზაურობა გულისხმობს, პირველ რიგში, თავად მოგზაურის ცვლილების, ტრანსფორმაციის დასაწყისს, ასევე კუნძული თავისი გაგებით არის პიროვნების ერთი სულიერი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის წინაპირობა და განმსაზღვრული ფაქტორი — მოძრაობა/ცვლილების გარდამავალი ეტაპი. დინამიზმი, როგორც ნებისმიერი ცხოვრებისეული პრიცესის ძირითადი მახსიათებელი, გარკვეული გამონაკლისის გარდა (იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება უტობიურ მოგზაურობას კუნძულზე), საშუალებას იძლევა მაგალითის სახით ანალოგია გაივლოს მოძრაობასა და ადამიანის ცხოვრებას შორის — ამ შემთხვევაში კუნძულზე მოგზაურობასა და ნეიტრალურ ზონაში გადასვლას შორის, რომელსაც თან ახლავს პერსონის სტატუსის, მდგომარეობის, ასაკის ცვლილებაც კი. აქედან გამომდინარე კუნძულის არქეტიპული არის შესაძლოა შემდევნაირად ჩამოვაყალიბოთ: კუნძული როგორც ნეიტრალური ზონა, ანუ *rites de passage*: შესაბამისად, მოგზაური აღმოჩნდება ამ ზონაში (კუნძულზე) „სხვის“ სოციალიზაციისა თუ ანთროპოლოგიზაციის გათვალისწინებით — იცვლის, იძენს ან კარგავს საკუთარი სტრუქტურის გარკვეულ შტრიხებს.

ამრიგად, როგორც უ. დელეზი აღნიშნავს, კუნძული გლობალურ პლანში იმ ძირეული თპოზიციის ჩეპრეზენტაციაა, რომელიც ორ სა-

წყის ელემენტს — მიწასა და წყალს შორის არსებობს. ასოციაციათა დონეზე კი კუნძული ყველაფრის ნულიდან დაწყებას გულისხმობს, ესაა საწყისი, რადიკალური და აბსოლუტური, რომელიც კონცენტრირდება არა კუნძულზე, როგორც კონტინენტს მოწყვეტილ ობიექტზე, არამედ ინდივიდზე, რომლის არჩევანი სრული იზოლაციაა და, რომელიც კუნძულიდან ახალი სამყაროს შექმნას იწყებს.

ეგრძობულ ცივილიზაციაში „კუნძულის“ ორგაზო გაგება არსებობს: „სხვის“ სოციალიზაციის შემთხვევაში კუნძული წარმოგვიდგება როგორც გადაბრუნებული სამყაროს სახე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს არის მარტობის, იზოლაციის ადგილი.

მარტობის თემატიკა ლიტერატურულ შემოქმედებაში სხვადასხვა ეპოქაში განსხვავდებულ ინტერპრეტაციასა და მნიშვნელობას იქნება. ფილოსოფიაში „მარტობის“ ცნების თაობაზე მრავალი თეორია არსებობს, თუმცა თითოეული მათგანი აღიარებს, რომ „მარტობა“ არა მხოლოდ ფსიქოლოგიური, არამედ ონტოლოგიური კატეგორიაცაა.

მიუხედავად არსებული მრავალი მიდგომისა, გლობალურ პლანში გამოიყოფა „მარტობის“ ორი ძირითადი ასპექტი: დამანგრეველი და შემოქმედებითი. მარტობის შემოქმედებითი მხარე სრულ თემატურ თუ სიბილურ რეალიზაციას ეწ. „რობინზონიადებში“ პოვებს. აღნიშნული ციკლის ერთ-ერთი პოსტმოდერნისტული ნაწარმოებია, უ. ეკოს რომანი „კუნძული წინადაღლი“. თუ შეგადარებთ მას დ. დეფოს რომან „რობინზონ კრუზის“, აღმოვჩენთ თემატურ თუ სრუქტურულ მსგავსებასა და განსხვავებას და ეს ორი ნაწარმოები შესაძლებელია ერთ საერთო ციკლის საზღვრებში ან თუნდაც მის მიღმა აღმოჩნდეს.

თუმცა ანალოგიები აშენაა. ორივე რომანის გმირი გემის კატასტროფის შედეგად აღმოჩნდება უკაცრიელ კუნძულზე, მაგრამ თუკი დეფოს გმირი ახალი ჩეპრების შექმნას კუნძულზე იწყებს, ეკოს პერსონაჟი რჩება ხომალდზე და კუნძულზე გადასვლა მას ხშირად მიუწვდენელ ციცებადაც კი ესახება. ამავე დროს არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს ორივე გმირის სახელის მსგავსებამ: რობინზონ კრუზი დეფოსთან და რობერტ დე ლა გრივი უ. ეკოსთან. სახელი „რობინი“ თავის მხრივ „რობერტის“ კნინობითი ფორმაა და ინგლისურად „გრივის“, „შეშეს“ ნიშნავს. მისი იტალიური ვარიანტია „griva“. აქედან მოდის ეკოს რომანის გმირის გვარიც — გრი-

ვი. ამრიგად ეკოს პერსონაჟის სახელი და გვარი ერთ სემანტიკურ ველს განეცუთვნება. ორივე გმირს დაახლოებით მსგავსი წარსული, კერძოდ კი, ბავშვობა აქვთ: ორივე მათგანი ომგამოვლილია, ორივეს ჰყავს ძმა, თუნდაც ეს ძმა უ. ეკოსთან რობერტის წარმოსახვის ნაყოფა. ორივე მათგანი მარტობაში ცხოვრობს, თუმცა სოციუმიდან გამოყოფა თითოეულ მათგანში განსხვავებულ გამოძახილს პოვებს, მაგრამ ეფექტი მსგავსია — შემოქმედებითი. თუკი დეფოს რობინზონი საკუთარი ძალისხმევით იქმნის ნორმალური არსებობის პირობებს, ეკოს რობერტი მხოლოდ თავისი წარმოსახვაში ახდენს საკუთარი პიროვნების თვითრეალიზაციას. იგი წერს წიგნს ტყუპისცალ ძმაზე და მის სახეში აერთიანებს ყოველივე იმას, რისი განცდისა და ნახვის სურვილი საკუთარ თავში ჰქონდა. ის წერს რომანს, ანუ თავის გარშემო ქმნის ახალ რეალობას, მოტივი ცხადია — მარტობა.

დეფოს რობინზონიც აკეთებს ჩანაწერებს, თუმცა ეკოს პერსონაჟისები განსხვავებით, რომელიც ნამდვილი ფილოსოფოსი და მოაზროვნეა, იგი არაა მწერალი, მისი ქმედება სპონტანური, გაუაზრებელი და არსებული ვითარებითაა ნაკარნახები. უნდა აღნიშნოს, რომ უ. ეკოც და დადეფოც აღნიშნული ხერხით ცდილობენ მკითხველი ერთგვარ თამაში ჩაითრიონ. ყოველგვარი მცდელობა წერილობითი ფორმით ასახონ ის, რაც ხდება, რეალობის ილუზია, რაც ესოდენ დამახასიათებელია პოსტმოდერნისტული ეპოქისთვის და აღნიშნული „თამაში“ მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანია. იგულისხმება როგორც თამაში მკითხველსა და ავტორს შორის, ასევე თამაში ტექსტთან და თვით ტექსტში. მართალია, ეკო ძირითადად დეფოს რომანის არსებით ღრებს მიჰყვება, თუმცა თამაშის ელემენტები მის რომანში გაცილებით მეტია. ეს თამაში შესაძლოა გულისხმობდეს როგორც ისტორიულ-დოკუმენტურ იმიტაციას რომელიმე ნაკლებად ცნობილი პერსონისა, რომლის ვინაობის გადამოწმება ხშირად შეუძლებელიაცა, ასევე რემინისცენციებით თამაშს, რაც პოსტმოდერნიზმა თავის მხრივ წარმატებით განახორციელა. დეფო აქცენტს სწორედ რომ ისტორიულ ფაქტზე აკეთებს, რითაც ცდილობს თავიდან აიცილოს გამონაგონი სიუჟეტის მხატვრული გააზრება. იგი ამტკიცებს, რომ მის რომანში არაფერია გამოგონილი და ფანტაზიის ნაყოფი, თუმცა, რა თქმა უნდა, აღნიშნულ შემთხვევაში დოკუმენტურ ნაწარმოებზე საუბარიც არ შეიძლება. რეალობის შეგრძნებისთვის დეფოს ცდილობს გამოიყენოს მარტივი ენა, მარტივი

სიუჟეტი და რაც მთავარია, საკუთარი პერსონა, ანუ ავტორი მეორე პლანზე გადაიყვანოს და ხშირად გმირის სახეს ამოფარებული გააქროს კიდეც. ეკოც, თავის მხრივ, ცდილობს მონათხრობს რეალურობის ელფერი შესძინოს. ამისთვის იგი რომანის დასასრულს მოცემული კუნძულის ზუსტ ადგილმდებარეობას გვთავაზობს და ამავე დროს ასახელებს იმ ისტორიულ პიროვნებებს, რომლებიც აღნიშნულ მიდამოებში ექსპედიციებს აწყობდნენ.

ამრიგად, რეალობის ძიება დეფოს რომანის მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რის მიღწევასაც იგი სიუჟეტის სიმარტივით ცდილობს. აღნიშნული მიზანი ამოძრავებს ეკოსაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისი რომანის სიუჟეტი ნამდვილად არ შეიძლება შეფასდეს როგორც „მარტივი“, რადგან იგი ინტერტექსტუალურ თამაშთა რთულ კომპლექსს წარმოადგენს.

ამრიგად, ეკოს გმირი — რობერტი, დეფოს რობინზონისგან განსხვავებით, სწორედ თავის წარმოსახვაში ქმნის მისთვის ერთგვარ სასურველ საშეაროს და ამავე დროს, თუკი ბუბერის ტერმინოლოგიას გამოიყენებათ, „ვირტუალური დაბრკოლების“ სტატუსს არა რეალურ, არამედ ვირტუალურ პიროვნებას, მის წარმოდგენში არსებულ (წარმოსახვითი ტყუპისცალი) „სხვას“ ანიჭებს. ამიტომაც მათი შეხვედრა საბოლოო ჯამში შეუძლებელია. ის, რომ რობერტი ქმნის „სხვას“, რომელიც, თავის მხრივ, მისი ზუსტი ასლია, სრულიად ნორმალურია, ვინაიდან „მე“ ყოველთვის ეძებს „სხვაში“ საკუთარ ანარეკლს და განასხვავებს ე.წ. „quasi -მე“. ბუნებრივია ასევე ის, რომ რობერტი სხვა ადამიანის მომავალს წარმოიდგენს, ვინაიდან „სხვისი“ ცხოვრება ყოველთვის ამოცანად ჩება, ვარაუდების დონეზე განიხილება. „სხვის რეალობას“ ორტეგა-ი-გასეტი „მეორე ხარისხის“ რეალობას უწოდებს. ამგვარი ტიპის რეალობაა ის ინტერპრეტაცია ან თუნდაც ის წარმოდგენები, ვარაუდები, რომლებიც არსებულ ვითარებაზე, რეალობაზე გაგვაჩნია. ამ თვალისაზრისით, მარტობა ამ ორ გმირზე განსხვავებულ ზეგავლენას ახდენს. თუმცალა, ორივე მათგანისთვის მარტობის იდენტური გააზრება არსებობს — „სხვისია“ ძიება ეს მისწრაფებაა შეაგსო სოციუმის და აქედან გამომდინარე ურთიერთობის დეფოციტი. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მარტობა არ არის სასჯელი, იგი ზოგჯერ სასარგებლო და სასიამოვნოც ხდება (მაგ. დეფოს რობინზონთან). რაც შეეხება რობერტს, ისიც მარტია, თუმცა მას ესმის, რომ ნორმალურ ადამიანურ ეგზისტენციას სჭირ-

დება სხვა ადამიანთან ურთიერთობა. სწორედ ამ მიზნით იგი მის-თვის მისაწვდომი საშუალებებით (წარმოსახვა) ქმნის მისთვის მიუწვდომელი პიროვნების ხატს. ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ დეკარტეს სიტყვები, რომელიც მიიჩნევდა, რომ „არ არსებობს სხვა რეალობა, გარდა საკუთარი თავის“ — „მეს“ გარშემო არსებული იდეისა, ხოლო რაც შეეხება „მეს“, ეს არის მხოლოდ „მოაზროვნე სუბსტანცია“. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ არსებობს მხოლოდ „გონება, ცნობიერება“, სხვა დანარჩენი მხოლოდ ფანტასიაგორიაა, გონების ნაყოფი. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „მე“ ამ სამყაროში კი არაა წარმოდგენილი, არამედ სამყარო პოულობს რეალიზაციას „მე“-ში, რომელიც, თავის მხრივ, მხოლოდ „სხვასთან“ ურთიერთობის შედეგად ყალიბდება და ეს „სხვა“ მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს.

მარტოობას უდიდესი შემოქმედებითი პოტენციალი და ძალა გააჩნია. თუმცა ადამიანური ცხოვრების არსი ამით არ ამოწურება. როგორი კი მაყოფილიც უნდა იყოს რობინზონი კუნძულზე ცხოვრებით, იგი მუდმივად ისწრაფვის სოციუმისკენ და პირველივე შესაძლებლობისს ტოვებს კუნძულს, სადაც მას ე.წ. სამეფოს ერთვარი მოდელიც კი აქვს შექმნილი ყველა თავისი ატრიბუტით. თუმცა რობინზონს რეალურ საზოგადოებაში სურს ცხოვრება და არა ყაობ, სიმულაკრულ სოციუმში, მის უნიჭო ანარეკლში. გარკვეულ ეტაპზე მისთვის ხსნა კუნძულიდან წასვლაა, მაშინ როდესაც რობერტისთვის მთავარი ამ კუნძულობრივ მისვლაა.

ამრიგად „მარტოობის“ ფენომენს ორი მხარე აქვს: შემოქმედებითი (ბუბერი) და დამანგრეველი. როდესაც მარტოობა აუტანელი ხდება, სუბიექტი განიცდის „სხვის“ არ არსებობას და ისწრაფვის სოციუმისკენ (ლაკანი, ლევინსი, ორტეგა-ი-გასეტი, სალეკლი). თუმცა ე. ფრომი თავისებურად ხსნის ადამიანის თანდაყოლილი და გარდაუალი მარტოობის მოტივს, ეხება რა ადამიანური ბუნების თავისებურებას. „ადამიანური არსებობის პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი ერთდროულად ექებს სიახლოესა და დამოუკიდებლობას, სურს სოციუმში ყოფნა და ამავე დროს საკუთარი უნიკალურობისა და განსაკუთრებულობის შენარჩუნება. „მესა“ და „სხვას“, ორივეს საკუთარი ადგილი აქვს ამ სამყაროში და მათი თანხვედრა არასდროს ხდება, ვინაიდან „მე“ საკუთარ და „სხვა“ თავის განზომილებაში აგრძელებს არსებობას. თითოეული მათგანი მეორე, საპირისპირო

ობიექტში პოულობს საკუთარი არსებობის გამართლებას და მასთან მიმართებაში აყალიბებს საკუთარ სახეს.

#### ლიტერატურა

- ბუბერი 1993** — . . . . . 1993. — C. 152 – 153  
**დეფო 2003** — . . . . . 2003. — . 240  
**დელეზი 1969** — Deleuze G., *Logique du sens*, Paris, 1969,  
p. 350-372 ;  
**ექო 1994** — Eco U. *l'île du jour d'avant*, Paris, 1994  
**ლევინსი 1972** — . . . . .  
. . . . . 1998. — .  
**ორტეგა-გასსეტი 1991** — . . . . .  
. . . . . 1991. — . 308.  
**რიკორი 1990** — Ricœur P. *Soi-même comme un autre* Paris, 1990

MEDEA KINTSURASHVILI

#### Island, Loneliness, the Other

##### Summary

The phenomenon of loneliness has two sides: creative and deconstructive. When loneliness becomes unbearable the individual experiences the lack of the other and longs towards socius. However, E Fromm interprets the motive of man's inevitable loneliness in a peculiar way; according to him, paradoxically an individual simultaneously seeks independence and closeness to people, s/he wishes to be in socius and at the same time claims his/her uniqueness. The dimensions of Self and the Other never coincide, however, the justification of Self is in the existence of the Other and vice versa.

## დარჩან პირთამ

ისტორიული ზარსული და ღლევანდელობა პირის სახელთა  
გამოცემების თვალსაზრისით 7-X სს-ის ქართული  
ორიგინალური აზიოზრაფიული ქებლებისა  
და საისტორიო წყაროების მიხედვით

სახელების წარმოშობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ბევრითი მეტყველების განვითარების ადრინდელ საფეხურზე გაჩნდა ადამიანების ერთმანეთისაგან გასარჩევად მათვის სახელების დარქმევის საჭიროება. შემდგომში, საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ადამიანთა სახელები იცვლებოდნენ. ძველი სახელები ადგილს უთმობდნენ ახალს და ისინი სულ უფრო მეტად ხდებოდნენ გარკვეული შინაარსისა და მნიშვნელობის მატარებელი. იცვლებოდა თვით სახელის დარქმევის წეს-ჩვეულებანი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს უძველესი ღროიდანვე ჰქონდათ შემუშავებული საკუთარ სახელთა მწყობრი სისტემა, პირის სახელთა უმრავლესობა დაკარგულია. ამის მიზეზი ისაა, რომ ქართული წარმოშობის სახელების არე დიდი ხნის წინათ დავიწროვდა და მათი ადგილი უცხოურიმა ანთროპონიმებმა დაიკავა. ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ქრისტიანული რელიგიის გავრცელებამ, რის შედეგადაც სახელის დარქმევის რიტუალი შეიცვალა და იგი სამღვდელოების ხელში გადავიდა, რასაც, ბუნებრივია, თან მოჰყვა ქართული წარმართული სახელების განდევნა და ქრისტიანული კალენდრის სახელების დამკვიდრება. მონათვლის დროს, ეკლესიის მოთხოვნით, ბავშვისათვის აუცილებლად ქრისტიანული სახელი უნდა შეერჩიათ. ასეთი სახელები უნდა ყოფილიყო წმინდანად შერაცხული პიროვნებისა, რომელიც საეკლესიო კალენდრში იყო შეტანილი. სწორედ ასეთი, ბიზანტიაში შედგენილი კალენდრის გზით, ქართული წარმოშობის სახელების გვერდით, საყოველთაოდ გავრცელდა საქართველოში ბერძნული, ებრაული, ლათინური, სპარსული, არაბული და

სხვა ევროპული ენიდან ნასესხები სახელები.

აგიოგრაფიულ ძეგლებსა და საისტორიო წყაროებში დადასტურებული პირის სახელები, როგორც კვლევამ გვიჩვენა, ძირითადად, ძველი ებრაული (// ებრაული), ძველი ბერძნული (// ბერძნული), ძველი ირანული (// ირანული), ძველი სპარსული (// სპარსული), არაბული, არაბულ-სპარსული, ლათინური, არამეული და ქართული წარმოშობისაა. უფრო პროდუქტიულია ძველი ებრაული, ბერძნული და ირანული წარმოშობის ადამიანთა სახელები. ისტორიულ საქართველოში გავრცელებული პირის სახელები იმავე ფორმით დაგადასტურეთ თანამედროვე საქართველოში 92, ხოლო სახეცვლილი ფორმით 43 შემთხვევამდე.

ქვემოთ წარმოვადგენთ ძეგლ ქართულ ძეგლებში აღნუსხულ პირის სახელებს და პარალელურად ვუჩვენებთ თანამედროვე საქართველოში დაფიქსირებულ იმავე ან სახეცვლილ ფორმებს მათი გავრცელების მიხედვით.

## ვაჟის სახელები\*

## ა

აბდილა(?)	აბდულა(382)
აბელი(ებრ.)	აბელი(770)
აბიბოს//აბიბოსი(ძვ.ბერძ.)	აბიბო(54)
აბო//პაბო(არაბ.)	აბო(116)
აბრაამი//აბრაამი(ძვ.ებრ.)	აბრაამი(926)
ადამი(ძვ.ებრ.)	ადამი(355)
ალი(?)	ალი(1242)
ანასტასი(ბერძ.)	ანასტასი(273)
ანატოლი//ანატოლე(ბერძ.)	ანატოლი(3117) // ანატოლი(52)
ანდრია(ბერძ.)	ანდრია(406)
ანტონი(ბერძ.)	ანტონი(1924)
აპოლონიარი(ბერძ.)	აპოლონი(705) // აპოლონი(768)
არევი(?)	არევი(103)

\* საზიარო სახელების გათვალისწინებით.

არსენი(ბერძ.)	არსენი(3708)	დარჩილი(სპ.)	დარჩო(200)
არტავაზი(ძვ.სპ.)	არტავაზი(97)	დაჩი(ქართ.)	დაჩი(289)
არშაკი(?)	არშაკი(688)	დემეტრე//დიმიტრი(ბერძ.)	დემეტრე(128//დიმიტრი(12833)
არჩილი(ირან.)	არჩილი(11331)	დოდო(ქართ.)	დოდო(6693)*
ასიმი(?)	ასიმი(65)	დომნისი(ბერძ.)	დომნა(663)
აშოტი(?)	აშოტი(2047)		

## ბ

ბაბილა(?)	ბაბილა(147)	ეგსტათი(ბერძ.)	ესტატე(506)
ბაგრატი(სპ.)	ბაგრატი(2093)	ევტიქიოსი(ბერძ.)	ევტიხი(275)
ბაკური(სპ.)	ბაკური(1481)	ელია(ძვ.ებრ.)	ელია(76)
ბართლომე(ძვ.ებრ.)	ბართლომე(137)	ელისე(ძვ.ებრ.)	ელისე(55)
ბასილი(ბერძ.)	ვასილი(14890)	ენუქი(?)	ენუქი(126)
ბაქარი(ქართ.)	ბაქარი(859)	ერაკლე(ბერძ.)	ერეკლე(1324)
ბესარიონი(ბერძ.)	ბესარიონი(2768)	ეფთვიმი//ეფთვიმე(ბერძ.)	ეჭვიმე(91)
ბუბაქრი(?)	ბუბა(119)		

## გ

გაბრიელი	გაბრიელი(1419)	ვაზგენი(?)	ვაზგენი(496)
გაგიკი(?)	გაგიკი(777)	ვარდანი(ირან.)	ვარდანი(582)
გერასიმე(ძვ.ებრ.)	გერასიმე(489)	ვახტანგი(სპ.)	ვახტანგი(24578)
გოდერძი(ირან.)	გოდერძი(5235)		
გრიგოლი(ბერძ.)	გრიგოლი(11554)	ზაქარია(ძვ.ებრ.)	ზაქარია(4506)
გუარამი(არაბ.-სპ.)	გურამი(28550)	ზენონი(ბერძ.)	ზენო(57)
გურგენი(ირან.)	გურგენი(2009)		

## ჰ

დავითი(ძვ.ებრ.)	დავითი(76051)	თადეოსი(ასურ.)	თადეოზი(101)
დამიანე//დამიანოსი(ბერძ.)	დამიანე(102)	თეოდორე//თევდორე(ბერძ.)	თევდორე(496)
დანიელი(ძვ.ებრ.)	დანიელი(699)	თეოფანე(ბერძ.)	// თედორე(852)

## ჯ

ეგსტათი(ბერძ.)	ესტატე(506)
ევტიქიოსი(ბერძ.)	ევტიხი(275)
ელია(ძვ.ებრ.)	ელია(76)
ელისე(ძვ.ებრ.)	ელისე(55)
ენუქი(?)	ენუქი(126)
ერაკლე(ბერძ.)	ერეკლე(1324)
ეფთვიმი//ეფთვიმე(ბერძ.)	ეჭვიმე(91)

## ჸ

ვაზგენი(?)	ვაზგენი(496)
ვარდანი(ირან.)	ვარდანი(582)
ვახტანგი(სპ.)	ვახტანგი(24578)
ზაქარია(ძვ.ებრ.)	ზაქარია(4506)
ზენონი(ბერძ.)	ზენო(57)

## თ

თადეოსი(ასურ.)	თადეოზი(101)
თეოდორე//თევდორე(ბერძ.)	თევდორე(496)
თეოფანე(ბერძ.)	// თედორე(852)

თეოფილაკტე(ბერძ.)	თეოფილე(98)		<b>გ</b>
თორნიკე(?)	თორნიკე(7377)		
			<b>გ</b>
ია(?)	ია(13363)*	მაგრიკი(?)	მაგრა(731)* * *
იაკობი(ძვ.ებრ.)	იაკობი(2413)	მაკარი(ბერძ.)	მაკარი(362)
ივნე(ძვ.ებრ.)	ივნე(18374)	მელქისედეკი(ძვ.ებრ.)	მელქისედეკი(118)
ივლიანე(ლათ.)	ივლიანე(339)	მირი/მირი(?)	მირა(136) // მირო(255)
ილარიონი(ბერძ.)	ილარიონი(612)	მირიანი(სპ.)	მირიანი(3540)
იოანე//იოვანე(ძვ.ებრ.)	იოანე(51)	მიქელი/მიქელი(ძვ.ებრ.)	მიქელი(265)
იონა(ძვ.ებრ.)	იონა(678)	მომაღი(?)	მემედი(494)
იოსები(ძვ.ებრ.)	იოსები(14807)	მოსე(ძვ.ებრ.)	მოსე(628)
ისააკი(ძვ.ებრ.)	ისაკი(1047)	მურვანი(?)	მურმანი(8988)
ისე(?)	ისე(195)		
ისიდორე(ბერძ.)	ისიდორე(366)	<b>ნ</b>	
ისმაილი//ისმაელი(ძვ.ებრ.)	ისმაილი(891)	ნერსე(?)	ნერსესი(221)
იუსტინიანე//იუსტინიანოს(ლათ.)	იუსტინე(147)	ნოე//ნოვე(ძვ.ებრ.)	ნოე(1900) // ნოვე(129)
			<b>ო</b>
		ომარი(არაბ.)	ომარი(12365)
კახა(ქართ.)	კახა(10540)		<b>პ</b>
კონსტანტინე//კოსტანტინე//	კონსტანტინე(9010)		
კოსტანტი(ლათ.)		პავლე(ლათ.)	პავლე(6145)
		პალეკარპოსი(?)	პალიკო(310)
		პეტრე(ბერძ.)	პეტრე(4039)
			<b>რ</b>
ლეონი(ლათ.)	ლეონი(291)		
ლიპარიტი(ქართ.)	ლიპარიტი(85)	რაჟდენი(?)	რაჟდენი(1689)
ლუკიანე(ლათ.)	ლუკა(1075)	რატი(ირან.)	რატი(1629)

\* საზიარო სახელების გათვალისწინებით.

\* მავრიკი — კაცის სახელი; მაგრა — ქალის.

რევი(ირან.)	რევაზი(17030)		შ
	ს	ჯაფარი(?) ჯიბლა//ჯიბლუ(?) ჯუანშერი(სპ.)	ჯაფარი(66) ჯიბლ(189) ჯუანშერი(283)
სააკი(?) საბა(არამ.) // (ძვ.ებრ.) სამოელი(ძვ.ებრ.) სერაპონი(ბერდ.) სვიმეონი//სვიმონი(ძვ.ებრ.) სოლომონი(ძვ.ებრ.) სოფრონი(ბერდ.) სტეფანე//სტეფანოზი//სტეფანოსი (ბერდ.) სუმბატი(?)	სააკი(184) საბა(950) სამოელი(79) სერაპონი(254) სვიმეონი(71) // სიმონი(6669) სოლომონი(2819) სოფრონი(95) სტეფანე(2516) სუმბათი(124)	ჰერაკლე(ბერდ.) ანა//ანნა(ძვ.ბერდ.)	ერეკლე(1324) ქალის სახელები ა
			გ
ტიმოთე(ბერდ.)	ტიმოთე(62)	გუარანდუხტი//გურანდუხტი(სპ.)	გურანდა(1317)
	ც		ჩ
ფილიპე(ბერდ.)	ფილიპე(266)	დინარი(?)	დინარა(1326) // დინა(694)
	ვ		ვ
შიო(ირან.)	შიო(600)	ევა(ძვ.ებრ.) ელენე(ბერდ.) ეფროსინე(ბერდ.)	ევა(1896) ელენე(21920) ეფროსინე(364)
	ბ		თ
ხალილი(?) ხარალამპისი(ბერდ.)	ხალილი(151) ხარლამპი(234)	თექლა(ბერდ.) თეოდორა(ძვ.ბერდ.)	თექლე(946) თეოდორა(57)

ლატავრი(სპ.)	ლატავრა(297)
მარიამი(ძვ.ებრ.) მირანდუხტი(ირან.)	მარიამი(43698) მირანდა(3456)
ნინო(?)	ნინო(92937)
სარა(ქვ.ბერძ.)	სარა(1209)
ფებრონია(?)	თებრონე(404)
შუშანი(ებრ.) შუშანიკი(ებრ.)	შუშანი (126) შუშანი(1710)
ზემოთ ჩამოთვლილ პირის სახელებზე დაკვირვების შედეგად შე- გვძლია დავასკვნათ, რომ ისტორიულ საქართველოში გაფრცელებულ პირის სახელთაგან თანამედროვე საქართველოში ყველაზე მეტად გა- ვრცელებული სახელები ყოფილა: გიორგი-14745, ნინო-92937, ღავი- თა-76051, მარიამი-43698, ანა-37180, ვახტანგი-24578, ელენე-21920, ივანე-18374, ოოსტა-14807, ია-13363, დიმიტრი-12833, ომარი- 12365, გრიგორი-11554, არჩილი-11331, კახა-10540; ნაკლებად გა- ვრცელებული: ოონე-51, ელისე-55, თეოდორა-57, ტიმოთე-62, ასიმი- 65, თეოფანე-66, კაფარი-66, სვიმონი-71, ვარაზი-72, ელია-76, ლიპა- რიტა-85, თეოდორე-87, არტავაზი-97.	

ମୁଦ୍ରଣ ତଥା ପ୍ରକାଶକ

**ანდრონიკაშვილი, 1966; 1986** — მ. ანდრონიკაშვილი, ნარქევ-  
ვები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. 1, თბ.,  
1966; ტ. 2, 1986.

შსოფლით გარეთლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კანონდარი, თბ., 2001.

**სილაგაძე, თოთაძე 1997** — ა. სილაგაძე, ა.თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997.

**ଲୋକତ୍ତମ, 1986** — ଅଲ. ଲୋକତ୍ତମ, ପ୍ରାରତ୍ୟେଲ୍ଲାରି ସାହୁତାରି ସାହେବିଦୀ(ଅନ୍ତରୀଳକଣ୍ଠିମତୀ ଲ୍ୟାଙ୍କ୍‌ସିଗ୍ନନ୍ଦ), ପତ୍ର, 1986.

**ჭუმბურიძე, 2003** — გ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 2003

## କ୍ଷାପଣୀ ପରିକାଳିତ ଲାଗଟିକାତମିକରା

ქართლის ცხოვრება, ტ.1, თბ., „სახელგამი“, 1955.

DAREJAN KIRTADZE

## **Historical Past and Present of Personal Pronouns on the Basis of their Distribution in the 5-10 Century Original Hagiographic Works and Historical Sources**

## Summary

The paper examines the personal pronouns encountered in the literary and historical works of the 5-10<sup>th</sup> centuries that are still evidenced in Georgian.. It has been stated that the personal pronouns under discussion in most cases have preserved their form (92), 43 instances of altered variants have been testified.

შარიაშ პოზიცია

### უძაგვირო რთული ქვეწყობილი წინადაღებისათვის ფრონტს ხეობის ქართლურში

საენათოეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში გაერთიანება ხდება როგორც კავშირის საშუალებით, ასევე უკავშიროდ. გამოიყენება მაქვემდებარებელი (სუბორდინაციული) კავშირები. უკავშირო შეერთება კი ამ შემთხვევაში გულისხმობს იმას, რომ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში კავშირი ჩავარდნილია (გამოტოვებულია), მაგრამ ყოველთვის იგულისხმება (განსხვავებით პარატაქსული კონსტრუქციებისაგან) (ჭორბენაძე, 1995, 287).

ფრონტს ხეობის ქართლურში უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადაღება ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორიც სალიტერატურო ენასა და ქართული ენის სხვა დიალექტებში, შეიძლება ითქვას, რომ ხმარების სიხშირით არ ჩამოუვარდება კავშირიან რთულ ქვეწყობილ წინადაღებას. პირიქით, ზოგან ჭარბობს კიდეც (კობერიძე, 2011, 138).

ამ ტიპის რთული წინადაღების ნაწილების დაკავშირება, მართალია, გარეგნულად არ არის გამოხატული, მაგრამ მათი ურთიერთიმართება აზრობრივად და სტრუქტურულად ისეთივეა, როგორიც კავშირიანი რთული ქვეწყობილი წინადაღებისა, სადაც თავისი ფუნქციით ერთი მთავარია, მეორე — დამოკიდებული (კვაჭაძე, 1988, 405).

ფრონტს ხეობის ქართლურში უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადაღების რამდენიმე შემთხვევა დასტურდება:

1. მთავარ წინადაღებაში მოიპოვება მისათითებელი სიტყვა, რომელიც გვავარაუდებინებს გარკვეული სახის დამოკიდებულ წინადაღებას. ეს წინადაღები ფუნქციის მიხედვით შეიძლება იყოს დამტებითი, გარემოებითი, განსაზღვრებითი. დამოკიდებულ წინადაღებაში გამოტოვებულია მაქვემდებარებელი კავშირი, ან წევრ-კავშირი.

მაგ.: „ვაჟი ისეთი ლამაზია, სახენწიფოში ყველა მაცხოვრებელ სალხს იზიდავს“. მთავარი წინადაღების მისათითებელი სიტყვა „ისეთი“ (განსაზღვრება) გვავარაუდებინებს განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადაღებას, სადაც აღდგება კავშირი „რომ“: „ვაჟი ისეთი ლამაზია, რომ ყველა მაცხოვრებელ სალხს იზიდავს“.

„მეზობლის ქალს, დიდი ხანი არ ვუნახივარ, ისე გაეხარდა, გადამკოცა“. ამ წინადაღებაში ორი დამოკიდებული წინადაღებაა. პირველი დამოკიდებული წინადაღება— დიდი ხანია არ ვუნახივარ“— ფუნქციის მიხედვით განსაზღვრებითია, მეორე დამოკიდებული „გადამკოცა“ — ვითარების გარემოებითი. აღნიშნულ დამოკიდებულ წინადაღებას გვავარაუდებინებს მთავარი წინადაღების მისათითებელი სიტყვა „ისე“ (გარემოება). დამოკიდებულ წინადაღებებში „რომელსაც“ წევრ-კავშირისა და „რომ“ მაქვემდებარებელი კავშირის აღდგენის შემდეგ რთული ქვეწყობილი წინადაღება ასეთ სახეს მიიღებს: „მეზობლის ქალს, რომელსაც დიდი ხანი არ ვუნახივარ, ისე გადამკოცა“.

„ცოლ-ქმარი იმნაირები გახდნენ, ყველა გააკვირვეს“. დამოკიდებული წინადაღება მიემართება მთავარი წინადაღების მისათითებელ სიტყვას „იმნაირები“ (განსაზღვრება), რომელიც განსაზღვრების ფუნქციითა და აზუსტებს მის მნიშვნელობას. აღდგება კავშირი „რომ“: „ცოლ-ქმარი იმნაირები გახდნენ, რომ ყველა გააკვირვეს“.

2. მთავარ წინადაღებაში არ გვხვდება მისათითებელი სიტყვა, დამოკიდებულში კი — მაქვემდებარებელი კავშირი, მაგრამ მომდევნო წინადაღება აზრობრივად და სტრუქტურულად უკავშირდება მთავარს და გვაძლევს რომელიმე წევრის მნიშვნელობის ახსნა-განმარტებას, ან ასრულებს ნაკლული წევრის ფუნქციას მთავარ წინადაღებაში. მაგ.: „ბოსლი კარებთან დავეცი, სული გამიმწარდა, ნეკნი ჩამიგარდა“. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია „ისე“ (ვითარების გარემოება) მისათითებელი ნაცვალსახელისა და „რომ“ მაქვემდებარებელი კავშირის აღდგენა: „ბოსლი კარებთან ისე დავეცი, რომ სული გამიმწარდა, ნეკნი ჩამიგარდა. დამოკიდებული წინადაღება ვითარების გარემოების ფუნქციას ასრულებს.

„ქალმა მოისმინა ეს ამბავი, ისე წავიდა, არავინ იკითხა“. პირველი დამოკიდებული წინადება „ქალმა მოისმინა ეს ამბავი“ დროის გარემოების ფუნქციას ასრულებს. აქ შეგვიძლია აღვადგინოთ „როდესაც“ წევრ-კავშირი, მთავარში კი — „მაშინ“ მისათითებელი

სიტყვა. მეორე დამოკიდებულ წინადადებას (გითარების გარემოებით) გვაგარაუდებინებს მთავარში არსებული მისათითებელი სიტყვა „ისე“. აღდგება „რომ“ კავშირი. რთული ქვეწყობილი წინადადება ასეთ სახეს მიიღებს: „ქალმა როდესაც მოისმინა ეს ამბავი, მაშინ ისე წავიდა, რომ არავინ იყითხა“.

„ვაჭართა უფროსი დაიბნა, სიმართლე ტყუილში აერია“. მთავარ წინადადებაში აღდგება „ისე“ მისათითებელი სიტყვა, დამოკიდებულში — „რომ“ კავშირი: „ვაჭართა უფროსი ისე დაიბნა, რომ სიმართლე ტყუილში აერია“. დამოკიდებული წინადადება ვითარების გარემოებითა.

ფრონები ხეობის ქართლურში უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ხშირად გამოტოვებულია „რომ“ კავშირი. „თუ“ კავშირის გამოტოვება შეინიშნება კითხვითსიტყვიან დამოკიდებულ წინადადებაში. მაგ.: „ქალმა არ იცოდა, როგორ მოემზადებინა ვაუ“. მისათითებელ სიტყვად ივარაუდება „ის“ (პირდაპირი დამატება). შეგვიძლია ოღვადგინოთ „თუ“ კავშირი: „ქალმა არ იცოდა ის, თუ როგორ მოემზადებინა ვაუ“. დამოკიდებული წინადადება ფუნქციის მიხედვით პირდაპირდამატებითა.

3. დამოკიდებულ წინადადებაში შეიძლება გამოტოვებული იყოს კავშირთან ერთად ზმნა-შემასმენელიც: „იქვე ვიდეტი, იქვე, მეზობელმა, ისეთი გლახა ყანს თამილას, ისეთი გლახაო“. ადვილად შეიძლება ზმნა-შემასმენლისა და „რომ“ კავშირის აღდგენა: „იქვე ვიდეტი, იქვე, მეზობელმა რომ თქვა, ისეთი გლახა ყანს თამილასა, ისეთი გლახაო“. დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითა.

4. უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარ წინადადებაში შეიძლება გამოტოვებული იყოს ზმნა-შემასმენელი, რომელიც კონტექსტით ივარაუდება. მაგ.: „ჩვენ ქალაქში ერთი ამბავი მოხთა, იმაზე ვწუხვარ, იმაზე“ შეგვიძლია დამოკიდებულ წინადადებაში აღვადგინოთ „რომ“ კავშირი, მთავარში ზმნა — შემასმენელი: „ჩვენ ქალაქში ერთი ამბავი რომ მოხთა, იმაზე ვწუხვარ, იმაზე ვტირიო“. დამოკიდებული წინადადება უბრალო დამატებითა.

„ამ გოგომ — არ მომეწონება ეგ ბიჭიო“. მთავარ წინადადებაში შეგვიძლია აღვადგინოთ „თქვა“ ზმნა-შემასმენელთან ერთად მისათითებელი სიტყვა „ის“, დამოკიდებულში — „რომ“ კავშირი: „ამ გოგომა თქვა ის, რომ არ მომეწონება ეგ ბიჭიო“. დამოკიდებული წინადადება პირდაპირდამატებითა.

ეს მოვლენა დამახასიათებელია ქართული ენის სხვა კილოებისათვისაც. მაგ.: „ერთი ბებერი გამოჩნდა — მე დავიჭერ იმ შეეცსაო“ (მთიულ.); „გაძამგზავნა ჩემმა მძამა — მიხედე თიკნუკაებსაო“ (რაჭ.,) (ი. გიგინეაშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961); „გამოვარდა ვახრაკა იმ წყაროდან — რა გინდა, კაცო, რა გული გამიშვალეო“ (ქსინის ხეობ.) (ვ. სომხიშვილი, 1999, გვ. 135).

5. უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ზოგჯერ შეიძლება გამორდეს ბოლო სიტყვა ან ფრაზა. განსაკუთრებით ხშირია ზმნა-შემასმენლის გამორება, რაც აძლიერებს აზრის გამოხატვის ექსპრესიულობას ან მოქმედების ხანგრძლივობას. მაგ.: „არა ვსვანთ, არა ვსვანთ იმ ჭის წყალსა, ღვრიეა“. მთავარ წინადადებაში მეორდება ზმნა-შემასმენელი „არა ვსვანთ“. აღდგება „რომ“ კავშირი. „არა ვსვანთ, არა ვსვანთ იმ ჭის წყალსა, რომელიც ღვრიეა“. დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითა.

„მოდი, მოდი, მოხედე აქა, ვედრა გაინსო, ვერა ხედან?“. მთავარ წინადადებაში მეორდება ზმნა-შემასმენელი „მოდი“, რომელსაც მრავალგზისობის ნიუანსი შექვს. აღდგება „რომ“ კავშირი: „მოდი, მოდი, მოხედე აქა, ვედრა რომ გაიგსო, ვერა ხედან?“. დამოკიდებული წინადადება პირდაპირდამატებითა.

წინადადების რომელიმე წევრი შეიძლება გამორდეს დამოკიდებულ წინადადებაშიც:

„წუხელი ისეთი მაგარი თვრალი ვიყა, ტელეფონი გაქანებული რეკანს, რეკანს და ვერა ვპილობა“. დამოკიდებულ წინადადებაში მეორდება ზმნა-შემასმენელი „რეკანს“. შესაძლებელია აღდგეს რომ კავშირი: „წუხელი ისეთი თვრალი ვიყა, რომ ტელეფონი გაქანებული რეკანს, რეკანს და ვერა ვპილობა“. დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითა.

„მყანს მეცა კაცი რა, მაგისთანა კაცის ყოლასა არაყოლა ჭობიან, უველავერზი უკანა მტონს, უველავერზი..“ შეგვიძლია აღვადგინოთ „რომელიც“ წევრ-კავშირი: „მყანს მეცა კაცი რა, მაგისთანა კაცის ყოლასა არაყოლა ჭობიან, რომელიც უველავერზი უკანა მტონს, უველავერზი..“ დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითა. დამოკიდებულ წინადადებაში მეორდება უბრალო დამატება „უველავერზი..“

ქართული ენის დიალექტებში გამეორება შენიშნული აქვს დ. ჩხეუბიანიშვილს (ჩხეუბიანიშვილი, 1991, 117), ვ. სომხიშვილს (სომხ.

ხიშვილი, 1998, 31; 1999, 134), ანალოგიურ ვითარებაზე ზანურისა და ქართულის შერწყმულ წინადაღებაში მიუთითებს ბ. ლემონჯავა (ლემონჯავა, 1996).

როგორც ცნობილია, გამეორების ყველაზე სპეციფიკური მომენტები ხალხურ ეპოში დასტურდება. მსატვრული გამეორება თავდაპირველად დამუშავებული ხალხურ მეტყველებაში, იქნება შეუთვისებია წერილობით ლიტერატურას (ლონტი, 1975, 22). მიხეილ ჭავახიშვილი ხშირად იყენებს ამ მეტად ორიგინალურ ხერხს, რომელიც ამბის თხრობას ქართული ზღაპრის სტილთან ახლოებს, უკეთ რომ ვთქვათ, ეს არის ხალხური მეტყველების სტილი, რომელიც კარგად ჩანს ზღაპარში (ჭუმბურიძე, 1956, 92).

განსაკუთრებით ხშირია წინადაღების წევრთა გამეორება დაილოგში. მაგ.: „**მშვიდობა, მშვიდობა** შენ გამოჩენასა, **ახალი მთვარესავით გამოჩენები ხოლმე**“. მთავარ წინადაღებაში შეგვიძლია აღვადგინოთ ზმნა-შემასმენელი „**გუთხრათ**“ და მისათითებელი სიტყვა „**იმიტომ**“. მთავარ წინადაღებაში მეორდება პირდაპირი დამატება „**მშვიდობა**“. დამოკიდებული წინადაღება მიზეზის გარემოებითა.

„— **მიდი, მიდი** ღორის საჭმელი გამომიტანე, **მანდ დენს დახლზედა**“. მთავარ წინადაღებაში მეორდება ზმნა — შემასმენელი „**მიდი**“. მთავარში აღდგენილი მისათითებელი სიტყვა „**ის** (განსაზღვრება) გვაგარაუდებინებს განსაზღვრებით დამიკიდებულ წინადაღებას. დამოკიდებულ წინადაღებაში აღვილად აღდგება წევრ-კავშირი „**რომელიც**“: „— **მიდი, მიდი** ღორის საჭმელი გამომიტანე, რომელიც **მანდ დენს დახლზედა**“.

უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადაღების ნაწილებს შორის გარკვეული მიმართების დასამყარებლად მნიშვნელობა აქვს ღროისა და მწკრივის ფორმათა გამოყენებას.

ფრონტის ხეობის ქართლურში უკავშირო რთულ ქვეწყობილი წინადაღების მთავარსა და დამოკიდებულ წინადაღებაში ერთი და იმავე მწკრივის ფორმებია გამოყენებული. მაგ.:

„**აწმეო — აწმეო**: „**მოყანთ, ჰო, ხბო ბლავის, ვერა ხედავ?**“.

მყოფადი ~ მყოფადი: „**მოვალთ ციტა ხანს, მივკრანთ ~ მოვრანთ ხელსა, გავიხურანთ კარებსა, დავკეტანთ**, ჰა ნახევარი საათი“.

წევეტილი — წევეტილი: „**მამამ შვილს სევდიანობა შენიშნა,**

**მთიწვია** ექიმები და მკურნალობა **დაუწეულ**“.

მთავარსა და დამოკიდებულ წინადაღებაში სხვადასხვა მწკრივის ფორმებია გამოყენებული. მაგ.: **აწმეო — წევეტილი:** „ჩვენ პატარა ხბო გყვან, თებლონე დავარქვით“.

**აწმეო ~ მყოფადი:** „**მეც ეგრე ვარ, ქალო, წავიკითხან** ორ-სამ ხაზსა, მერე თვალები მტკივა“.

**მყოფადი ~ აწმეო:** „ პატარა სუფრა გავშალოთ, იქ ნამცხვრები ჩანს, იქ აჩმა, შევჭანთ, ჩვენც წამოვალოთ“.

| **თურმებითი — მყოფადი ~ აწმეო:** „ამ ჩემ რძალს უთქვია, კომში გაყიდა და ფული აქო“.

**წევეტილი — მყოფადი:** „**გადავწუვიტე, წავიდე** სხვა სახენწიფოში და გვიგრო“

ამრიგად, ფრონტის ხეობის ქართლური უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადაღებაში წინადაღების ნაწილებს შორის გარკვეული მიმართების დასამყარებლად მნიშვნელობა აქვს ღროისა და მწკრივის ფორმათა გამოყენებას. მთავარი და დამოკიდებული შეიძლება გადმოიცეს ერთი და იმავე მწკრივის ან სხვადასხვა მწკრივის ფორმებით.

ლიტერატურა

**გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961** — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1961.

**კვაჭაძე, 1988** — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1988.

**კობერიძე, 2011** — მ. კობერიძე, რთული ქვეწყობილი წინადაღების ზოგიერთი თავისებურებისათვის ფრონტის ხეობის ქართლურში: ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, თბ., 2011.

**ლემონჯავა, 1966** — ბ. ლემონჯავა, სიტყვის გამეორება ზანური ენის შერწყმულ წინადაღებაში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., 1966.

**სომხიშვილი, 1998** — ვ. სომხიშვილი, უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადაღების შემთხვევისათვის ქართულ დიალექტებში: XVIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მოხსენიერები.

ნებათა თეზისები, თბ., 1998.

**სომხიშვილი, 1999** — ვ. სომხიშვილი, უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადების ზოგიერთი შემთხვევისათვის ლიახვისა და ქართულში, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომათა კრებული, გორი, 1999.

**ღლონტი, 1975** — ალ. ღლონტი, ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, 1975.

**ჩხუბანიშვილი, 1991** — დ. ჩხუბანიშვილი, გამეორება დიალექტურ მეტყველებაში: დიალექტური კრებული, თბ., 1991.

**ჭუმბურიძე, 1956** — ზ. ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956.

**ჯორბენაძე, 1995** — ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995.

გარისა პოგვრიდე

ზნათა, გასდართა და მიმღეობათა წარმომადის  
საპითხისათვის ფრონტს ხეობის შაროლურში

როგორც ცნობილია, ქართველურ ენებში ზმნის ფორმა შესაძლოა იწარმოოს როგორც საკუთრივ ზმნური, ასევე სახელად ფუძისაგან. ორივე შემთხვევაში წარმოება ხდება უპირატესად აგლუტინაციის, ზოგჯერ აბლუტის (გახმოვანების) გზით. წარმოების ზოგადი პრინციპი რამდენიმე მოდიფიკაციით არის დადასტურებული არა მხოლოდ სხვადასხვა დიალექტში, არამედ ხშირად ერთი და იმავე დიალექტის (აგრეთვე ქართული სალიტერატურო ენის) ფარგლებშიც (ჯორბენაძე, 1995, 217).

ამ მხრივ ერთგაროვანი არც ქართლური დიალექტია. ზმნათა, მასდართა და მიმღეობათა წარმოება გვაძლევს არა მარტო კილოკურ ნაირსახეობას, არამედ ხეობებსა და სოფლებს შორისაც შეინშება მსგავსი და განსხვავებული ფორმები, მაგრამ წარმოების წესი ისეთივე, როგორც ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებში.

ფრონტს ხეობის ქართლურში შეინიშნება ზმნათა, მასდართა და მიმღეობათა წარმოების რამდენიმე შემთხვევა:

ზმნის ფუძისაგან იწარმოება მასდარი, რომლისაგანც ნაწარმოებია ზმნის ახალი ფუძე. მაგ.: **ჭობს→ჭობნა→დაჭობნის.** „მაგას ის უფრო აღნებს, მაზლიცოლი რო დაჭობნის“.

**თაქაგს** — 1. წყევლის. „კარგად ამოთაქაგს ხოლმე ოჯახიანად“;  
2. თავში ჩაარტყამს. „ჩაუთაქაგს თავში და გაუშვებს ისე“. **თაქაგს→თაქვა ~ ჩათაქვა; თაქაგს→თაქუნი→ჩაუთაქუნებს.**

ამ ტიპის წარმოებაში შემოდის ისეთი ზმნები, რომელთაც არ აქვთ საწყისი. საჭიროების შემთხვევაში საწყისის მაგივრობას მათ თვით ის სახელი უწევს, რომლისაგან ნაწარმოებია ეს ზმნები (შანიძე, 1980, 565). მაგ.: **ემუქრება→მუქარა — მუქრობა→მუქრობს.**

MARIAM KOBERIDZE

### Asyndetic Complex Subordinate Sentences in the Prone Valley Kartlian

#### Summary

In the Prone Valley Kartlian the following types of asyndetic complex subordinate sentences are evidenced:

1. The main clause contains a demonstrative word implying the existence of a particular type of a subordinate clause, whereas the subordinate clause has no subordinator or a member-conjunction.

2. The main clause has no demonstrative word and the subordinate clause has neither a subordinator nor a member conjunction.

3. In sentences of such type the verb-predicate can also be omitted.

In sentences with no conjunction the sentences are bound by means of specific tense and mtskrixi forms.

„ერთი დაანახა, როგორა მუქობს“. **ბრაზდება→ბრაზი→ბრაზობს.** „ქეთო რასა **ბრაზობს** და იმასა, რომ ქმარი არ ჩიმოუვიდა“.

ზოგჯერ ფრონეს ხეობის ქართლურში მიმღეობა საყრდენად იღებს მასდარის ფუქსის, რომლისაგანაც იწარმოება ახალი ფუქს. მაგ.: **თაქვა→ამთაქული→ამთაქულა; ბრაზი→გაბრაზებული→გა-ბრაზებულა; დამუქრება→დამუქრებული→დამუქრება.**

ზმნის ახალი ფუქსის საწარმოებლად გამოყენებულია აბლაუტის პრინციპი, როცა ზმნის ფუქსები განსხვავებულია გახმოვნების სპონტანური ცვლით (ჭორბენაძე, 1995, 218). მაგ.: **ცხოვრობს ~ აცხოვ-რებს.** „ეგ რასა **ცხოვრობს**, და **აცხოვრებს** მაგასა“. **სახლობს ~ ასახლებს→გადმოსახლებულა.** „აემ ადგილას ხალხი **სახლობდა**, მორიელს შეუშინებია და მდინარე ფრონის გამოლმა **გადმოსახლე-ბულა**“.

ზმნის ახალი ფუქს უშუალოდ იწარმოება ზმნის ფუქსისაგან. ასეთი წარმოებისას შუალობითი კონტაქტის ფორმები. მაგ.: „მიღი, ცი-ცო, ბაბოს უთხარი და **დაგალეინებს**“ (←ლევს); „მოიცა, სულე, **აგა-წეინეც** (←წევს) შეშასა“; „ციცოსა ერთი ჭიქა არაყი **დაალეინე** (←ლევს) და ის იქნება“.

ზმნის ახალი ფუქსის წარმოებაში მონაწილეობს ვნებითი გვარის მაწარმოებელი აფიქსები. ფრონეს ხეობის ქართლურში საინტერესო მოვლენას წარმოადგენს ვნებითის ორმაგი ნიშნით წარმოება: ზმნაში ერთდროულად **ე-** პრეფიქსისა და **-დ** სუფიქსის დადასტურება. ეს მოვლენა უმეტესად ენიანი ვნებითისათვის არის დამახასიათებელი. მაგ.: „ძა **დენიზლავდება** (=დაერიძლავება), მე ასეთი და არ მყავ-სო“; „მე **გამეცინდება** (=გამეცინება) და ვცდილობ ეს სიტყვები კარ-გათ დავიმახსოვრო“; „**ამეტირდება** (=ამეტირება) და ვეღარ მაჩერე-ბენ“ (კობერიძე, 2008, 122). სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოვლენა ახსნილია კონტამინაციით (შანიძე, 1980, 302).

ფრონეს ხეობის მეტყველებაში დასტურდება ვნებითის წარმოების ერთი ტიპიდან მეორეში გადასვლის შემთხვევები. ენიანი ვნებითის ფორმები დროინდებით არის შეცვლილი || სერიის მწყრივებში. მაგ.: „ძაან **დაშურდა** (=დაეშურა) ამ ცხოვრებას“; „გული მწუხარე-ბით **დაწურდა** (=დაეწურა) (კობერიძე, 2008, 122).

ანალოგიური მოვლენა ქართლური დიალექტის (იმნაიშვილი,

1974, 230, 231) გარდა შენიშვნულია კახურსა (მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956, 110, 111) და ჭავახურში (ბერიძე, 1988, 123, 124).

ფრონეს ხეობის ქართლურში ყურადღებას იქცევს სახელთა ფუ-ქებისაგან ზმნათა წარმოება. ბ. ჭორბენაძის აზრით: „სახელის ფუქის გამოყენება ზმნურ ფორმათა წარმოებისას ფაქტობრივად შეუზღუდავია, რაიმე ამკრძალავი წესი აქ არ მოქმედებს (იგულისხმება სიტყვა-წარმოების თვალსაზრისით) და თუ რომელიმე სახელის ფუქს ზმნურ ფორმაში არ არის გამოყენებული, ამის მიზეზია არა წარმოების შეუძლებლობა, არამედ საჭიროების უქონლობა“ (ჭორბენაძე, 1980, 45).

ფრონეს ხეობის ქართლურში, მსგავსად ქართული სალიტერა-ტურო ენისა და სხვა დიალექტებისა, ზმნის ფუქსებ გამოყენებულ მარტივ სახელებს დაერთვის ზმნური აფიქსები. მაგ.: **ქოხი→ქოხავ** – პატარა სახლის ნაუცხადევად აშენება. „პატარას მოქოხავს რაღა-ცას და შევა“.

**ბლობი** (ბევრი, დიდი) → **ბლომდება** (გაბევრდება, გადიდდება, გაფართოვდება). „ხარშვაში ახალი ხორცი **გაბლომდება**“.

**ნახევარი** → **ნახევრობს** (ნახევრდება). „რას ხედავს ჩემი თვა-ლები, ჩემი ქონება თვალსა და შუა **ნახევრობს**“.

**დედა** → **ადედებს** (რძის შედედება ყველის ამოსაყვანად). „ახა-ლი დედა რძეს მალე ადედებს“.

**შრატი** (ყველის ამოღების შემდეგ დარჩენილი სითხე) → **აშრატ-დება**. „დიღის რძე მალე **აშრატდება**“. აქედან ნაწარმოებია მასდარი – **აშრატგა // აშრატება**; წარსულდროინდენი —ულ სუფიქსიანი ვნებითი გვარის მიმღება – **აშრატებული // აშრატული**. „აშრატული რძე რა მოხელეა, გაიქნიე და გადააქციო“.

**თუთქი** (სველი ნაცარი) → **შემოთუთქავს** (ცელ თონეს ძირში თუთქს შემოაყრის, პური რომ არ დაიწვას). „ისე **შემოთუთქავს** ძირს, რომ პური არ დაუკუტდება“. ერთმანეთის პარალელურად იხ-მარება „**შემოთუთქული**“ და „**შემოთითქილი**“. „ისე კოხტათ ჰქონდა **შემოთითქილი**, რომ გესიამოვნებოდა“.

ზმნის ფუქსებ გამოყენებულ ფუქეგაორკეცებულ სახელებს დაერთვის ზმნური აფიქსები. **უელი→აუელუელავდება**. „ეგ ისე **აუელუ-ლავდება** (საჩხუბრად გაემზადება) ხოლმე, ცემას გამოკრავს ხელსა“.

**სელი→სელდახელდება.** „ამაზე ნუ იდარდებ, ეს საქმე სასწრაფოდ დახელდახელდება“ (დასრულდება, მალე გაკეთდება).

**ჩუმი → ჩუმჩუმაობა.** „ისე ჩუმჩუმაობა, რომ გაიკეთებს რაც უნდა“.

ყურადღებას იქცევს ზმინისწინების გამოყენება განსხვავებული სემანტიკური ჯუჯების საწარმოებლად. მაგ.: **ცხვირი→ 1. ა-ი-ცხვირ-ება** (განაწყენდება რაიმეზე). „ეგ ისე აიცხვირა, კარგა ხანს გულს არ მოიბრუნებს ჩვენკვენა“; 2. **და-ი-ცხვირ-ება** (მოჭრილი ხების დამზადება სამასალედ). „შეშა მოიჭრება და დაიცხვირება ზაფხულში“.

**სალისი → 1. წა-ახალის-ებ-ს** (ახარებს). „ეს მათ წაახალისებდა“; 2. **გადა-ახალის-ებ-ს** (ერბოს, ქონს მეორედ გადაადნობს გამჭენდის მიზნით). „ცხიმეული რომ დაგვიძელდება, ხელახლა გადავადნობთ, გადავახალისებთ“.

**ახალი → 1. ა-ახლ-ებ-ს** (მიართმევს რამეს). „მაგას სანამ ქირფას არ აახლებს, გულს ვერ გამოუკეთებს“; 2. **გა-ახლ-ებ-ს** (პურის ცომს გაადიდებს). „პურის ცომს ყოველ გამოცხობაზე გაახლებს“.

ფრონეს ხეობის ქართლურში ზმინს ფუქედ გამოყენებული ფონეტიკური ვარიანტები ერთმანეთის პარალელურად იხმარება ტერიტორიულად მოსაზღვრე სოფლებში. მაგ.: სოფლებში ბრეთსა და წვერში ბრუხი ნიშნავს უკმერ, უკმაყოფილო ადამიანს. მისგან ნაწამოებია ზმინა — **აებრუხება** (უკმაყოფილო გახდება, გაუჭავრდება). „დედამთილს რო აებრუხება, მერე არავინ აღარ უნდა“. დასტურდება: **მრუხი→აემრუხება.** „ქმარს აემრუხება და საშობლოში (მშობლების სახლში) გაიქცევა“.

ნასახელარი ზმები ინარჩუნებენ საყრდენი სახელის სემანტიკას. მაგ.: **ჭოში** (ასაკი) → **დაიჭოშა** (ასაკი შეემჩნა). „ეს ჩემი მეზობელი ისე დაიჭოშა, რო ვეღარ ვიცანი“.

**მცენარე → გამომცენარდა** (თესლი მიწაში გალოჭდება, ფესვს გაიდგამს). „წვიმებზე თესლი მალე გამომცენარდა“.

**ჩურჩი** (ლობიოს პარკი) → ჩურჩავს (ლობიოს პარკიდან ლობიოს გამოცლა). „დაჭდება და თავისთვის ჩურჩის“.

ზოგჯერ ნასახელარი ზმინისა და საყრდენი სახელის სემანტიკა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მაგ.: ბიჭი → გაბიჭება (აყვავების გამო ბოსტნეული, მხალეული გაუხეშდება). „ნაცარქათამა სანამ გა-

**ბიჭება,** მხალად მაშინ არის კარგი“.

**ჭონჭოლი → დაიჭონჭლება** (ბევრს დაისხავს). „ეს ხეჭეჭური ისე დაიჭონჭლება, კრეფას ვერ ავდივართ“.

საყურადღებოა მასდართა და მიმღეობათა წარმოება როგორც ამოსავალი ფუძის, ისე სადერივაციო ელემენტების ფუნქციური სემანტიკის გამოკვეთის ნაირგვარობის თვალსაზრისით.

ფრონეს ხეობის ქართლურში მასდართა საწარმოებლად ზმინს ფუქე იყენებს -ა სუფიქსს. ასეთ შემთხვევაში გამოყენებულია ზმინს მარტივი, თემისნიშნიანი ან უთემისნიშნი ფუქე. ხშირად გამოიყენება **-ოლ**, **-ულ** სუფიქსიანი წარსულდროიანი ვნებითი გვარის მიმღეობიანი ფორმები. მაგ.: **ახვევს** (ვაზის ყლორტების აკვრა სარჩე) → **შე-ხვევა** (საწყისი). „ვაზის შეხვევა კარგია ყვავილობამდე“. **-ულ** სუფიქსიანი მიმღეობის ...**შეხვეულის**“ პარალელურად იხმარება „**შე-ხვევილი**“. „ერთი დახეთ როგორაა **შეხვევილი**“; „კარგად **შეხვეული** ვაზი ყლორტებს გაიძლიერებს“.

**ბარცხნის** (←გარცხნის) → **ბარცხნა** (საწყისი) → **დაბარცხნილი** (მიმღეობა). „ისეა დაწმენდილი და **დაბარცხნილი**, იტყვი, ნეტავთვალი მომცა და მაყურებინაო“.

**ჭიფხას** (მძიმე ტვირთის აკიდება) → **დაჭიფხევა** (საწყისი) → **დაჭიფხეული ~ დაჭიფხეილი** (მიმღეობა). „ავად გახდება, მთელი ზაფხული **დაჭიფხეულმა** (ტვირთაკიდებულმა) იარა, მარა იქნება“. „**დაჭიფხეილმა** (ტვირთით დამძიმებულმა) გაატარა თავისი წუთისოფლი“.

**ნა-ილ** პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოებია მიმღეობა **„დანამუნილი“**, **რომლისთვისაც** ამოსავალი უნდა იყოს ზმინა „**ა-მუნ-ი-ს**“ „**კარქი დანამუნილი** მალე აიყრის ყლორტებს“.

**„დამუნეველი“** (ყბადაღებული, სალაპარაკოდ გამხდარი) ნაწარმოებია **აყბევებს** (←**ყბა**) ზმინისაგან (←**და-მ-ყბ-ევ-ელ-ი**): „ეს საშემებელი ისეთი დამუნეველი გახდა, რომ არაფერი გამოვა“.

**მოუარშიებელი** -- მოუქნელი, გაუზრდელი. ამ მიმღეობის ამოსავალია ზმინური ფორმა **„არშიობს“** (ეგუება, ეთვისება).

**მოლოკილი** -- 1. მარტოდმარტო დარჩენილი. „ეგ ისეა **მოლოკილი**, მის ბარობაზე არავინ დადის“. 2. კარგად მოწმენდილი საჭმელი. ამოსავალი ფორმა ზმინა — ლოკატს. „მისი ჯამი ისეა **მოლოკილი**“.

**ლი,** სულთა გეგონება“.

**ნადირობს** → **განადირება** (საწყისი — „ნეფის გასვლა წინაპართა საფლავებზე ქორწილის მეორე დღეს“) → **განადირებული** (მიმღება).

**.განადირება** რომ დაიწყებოდა ცეკვა-თამაშით, **განადირებული** ნეფე საღმომდე ქეიფს არ მორჩებოდა მაყრიონთან“.

ამრიგად, გაანალიზებული მასალიდან ჩანს, რომ ფრონტს ხეობის ქართლურში ზმნათა, მასდართა და მიმღებიბათა წარმოებისას შეინიშნება ხეობებსა და სოფლებს შორის მსგავსი და განსხვავებული ფორმები, მაგრამ წარმოების წესი ისეთივეა, როგორც ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებში.

ლიტერატურა

**იმნაიშვილი, 1974** — გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974.

**ბერიძე, 1988** — მ. ბერიძე, ქართული ენის ჭავახური დიალექტი, თბ., 1988.

**კობერიძე, 2008** — მ. კობერიძე, ენებითი გვარის წარმოებისა და ფუნქციისათვის ფრონტს ხეობის ქართლურში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXVII, თბ., 2008.

**მარტიროსვით, იმნაიშვილი, 1956** — ა. მარტიროსვით, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.

**შანიძე, 1980** — ა. შანიძე, თხზ. ტ. III, 1980.

**ჯორბენაძე, 1995** — ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995.

**ჯორბენაძე, 1980** — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.

MARIAM KOBERIDZE

## Verb and Adverb Forms in the Prone Valley Kartlian Dialect of Georgian

### Summary

The verb and adverb forms in the Kartlian dialect spoken in the villages of the Prone Valley reveal similarities as well as differences. However, the principles of verb and adverb formation are similar to those evidenced in Standard Georgian and in its other dialects. For the formation of a new verb stem the masdar and the participle of verbal origin are used. The nominal formation of verbs is of particular interest; sometimes the semantics of the verb and the initial nominal base differ. The phonetic variants of verb stems are encountered in adjacent villages.

შპრა ლაბარტყაბა

### გეოგრაფიულ იზიდაში აღმიშვნელი სახელები კომპოზიტებსა და შესიტყვებები

კომპოზიცია, როგორც სიტყვაწარმოების ერთ-ერთი საშუალება, ხშირად გვხდება გეოგრაფიულ იზიდებით სახელებში: „თხზული სახელის შედენა (კომპოზიცია) სხვადასხვა საშუალებით ხდება ქართულში. ფუძის გაორკეცებით: **თავ-თავი, ძერ-ძერ-უკ-ი;** ორი სხვადასხვა ფუძის შეერთებით: **თავ(ხ)-მკდომარე, თავის-უფალ-ი;** ორზე მეტი სხვადასხვა სიტყვის ან ფუძის შეერთებით: (ა) **თ-ერთ-მეტი, ოც-და-ხამ-ი, თავ(ხ)-ქუდ-მოგლეჭილი, გულ(ხ)-ხელ-დაკრეცილი**“ (შანიძე, 1973).

გეოგრაფიულ იზიდებით სახელები მიიღება სხვადასხვა სახის კომპოზიციით:

1. საკმაოდ ხშირია **არსებითი + არსებითი** სტრუქტურის კომპოზიტები: **მთა-ბარი** „მთა და ბარი“; **მთა-ველი** „მთა და ველი“; **მთა-ლრე** „მთა და ლრე“; **კლდე-ლრე** „კლდე და ლრე“; **ლრე-კლდე** „ლრე და კლდე“; **მთა-გორა** „მთა და გორა“; **მინდორ-ველი** „მინდორი და ველი“; **ტყე-ველი** „ტყე და ველი“; **მიწა-მამული** „მშობლიური ქვეყანა“; **ველ-მიდამო** „ველი და მიდამო“; **მინდორ-ტყე** „მინდორი და ტყე“; **მინდორ-ყანა** „მინდორი და ყანა“, **მინდორ-ჟალა** „მინდორი და ჟალა“; **ტყე-მინდორი** „ტყე და მინდორი“; **მინდორ-ყანა** „მინდორი და ყანა“; **ტყე-ლრე** „ტყე და ლრე“; **მიწა-წყალი** „სახნავსათესი მწარი, აღილ-მამული“; **ტყე-მინდორ-ველი** „ტყე, მინდორი და ველი“; **ლელეხევი** „ლელე და ხევი“; **წყარო-ფშა** „წყარო და ფშა“; **ლელე-გორაები** „ლელები და გორაები“; **წყალ-ჟალა** „წყალი და ჟალა“; **ზღვა-ხმელეთი** „ზღვა და ხმელეთი“. მეგრულში **წყარბიჯი** „წყლის პირი“.

ზოგჯერ კომპოზიტების 1 ნაწილი, არსებითი სახელი, რამე ნიშნით განსაზღვრავს მომდევნო კომპონენტს: **კლდე-გული** „კლდოვანი გული“; **კლდე-კაცი** „კლდესავით მტკიცე კაცი“; **ვაკე-ხეობა** „გავაკებუ-

ლი“; **ვაკე-მინდორი** „სწორი, გაშლილი მინდორი“; **ვაკე-თაღი** „სწორი თაღი“; **ზღვა-ქვეყანა** „ზღვასავით დიდი ქვეყანა“; **ზღვა უდაბნო** „ზღვასავით დიდი უდაბნო“; **ზღვა-სიმფონია** „ზღვასავით დიდი სიმფონია“.

განვდება გაორკეცების გზით მიღებული ფორმებიც (როცა შენაცვლებულია ხმოვანი): **ხევ-ხუფი** „ხევები“. დასტურდება საწყისი მარცვლის შენაცვლებით მიღებული კომპოზიტებიც: **აღმართ-დამართი** „აღმართი და დამართი“.

2. ფუძის გაორკეცების გზით მიიღება ზმინისართებიც, ასეთებია: **მთა-მთა** „მთებით, მთის გაყოლებით“; **ხევ-ხევ** „ხევებით, ხევის გაყოლებით“; **დაღმართ-დაღმართ** „დაღმართისკენ, დაღმართის დაყოლებით“; **აღმართ-აღმართ** „აღმართისკენ, აღმართის აყოლებით“; **ტყე-ტყე** „ტყეზე გავლით“; **ყანა-ყანა** „ყანებზე გავლით“; **მინდორ-მინდორ** „მინდორებზე გავლით“; **ნაბირ-ნაბირ** „ნაპირის გაყოლებით“; **დელე-დელე** „დელის გაყოლებით“; **წყალ-წყალ** „წყლის გაყოლებით“; **გზა-გზა** „გზის გავლით“; **შარა-შარა** „შარაზე გავლით“; **დაბა-დაბა** „დაბის გავლით“; **სოფელ-სოფელ** „სოფლის გავლით“; **ქალაქ-ქალაქ** „ქალაქის გავლით“; **მეგრი** „წყარ დო წყარ“, **წყალდაწყალ** „წყარ დო წყარ“, **ტყე-ტყე** „ტყედატყე“; დუს იბრა ტყე დო ტყაშა „თას წავიღებ ტყედატყე“ (ქაჯაია, III, 42); **გოლა და გოლათ** „მთადამთა“; მოლართუ გოლა დო გოლათ „წამოვიდა მთა-მთა“ (ქაჯაია, III, 375); **გრძელ-გრძელ** „გრძელები“; კარდეკარდე მესხაპუნა ქარიუალი ერსკემეფი „კლდე-კლდე“ მიხტუნავენ რქააშვერილი ქურციკები (ქაჯაია, II, 176); **შარა დო შარას** „იგივეა, რაც შარა-შარა, გზადაგზა“; **შარა-შარას** ჟევინჯა წიცვილუუ „გზადაგზა ცოტა ნადირი მოკლა“ (ქაჯაია, II, 241).

3. ზოგჯერ ორი არსებითი სახელისავან შედგენილი კომპოზიტები ॥ ნაწილი (არსებითი სახელი) წარმოქმნილია. ყველაზე ხშირად ეს უკანასკნელი - ა სუფიქსიანი ფორმაა: **წყალ-წყალა** „წყალივით თხელი“.

ზოგჯერ მეორე კომპონენტი აბსტრაქტული სახელია: **მთამსვლელობა** „ტურისტული ასვლა“; **წყალდიდობა** „მდინარეების წყლის ადიდება“; **წყალბარაქიანობა** „წყალუხვობა“; **წყალგმტარობა** „წყლის გატარების უნარი“.

4. ხშირად დასტურდება **არსებითი სახელი + ზედამთავი სახელი** სტრუქტურის კომპოზიტები: **წვეთანკარა** „რასაც ანკარა წვე-

თი აქვს“; **წყალწმინდა** „წმინდა წყალი“; **ლილოჭრელი** „იგივეა, რაც ლილი“; **ტყემცირე** „ადგილი, სადაც ტყის ნაკლებობაა“.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა კომპოზიტის მეორე ნაწილი წარმოქმნილი ზედსართავი სახელია (მქონებლობის): **მთაგორაკიანი** „ადგილი, სადაც მთები და გორაკებია“; **წყალბარაქიანი** „წყალუხვიანი“; **ვაკე-ზურგიანი** „ვაკე ზურგის მქონე“; **ოლროჩოლორიანი** „ოლროჩოლორ ზედაპირის მქონე“; **ტყეველიანი** „ტყენარევი ველიანი“.

5. გამოიყოფა **არსებითი სახელი + მიმღება** ტიპის მოდელიც. ასეთებია: **გზამკვლევი** „გზის გამკვლევი“; **მთამსვლელი**, **კლდემცო-ცავი** „ვინც კლდეებზე ცოცავს“; **მიწათმხმარებელი** „მიწათმოქმედი“; **მიწა მწვარა** (ქართლ.) „გვალვისაგან დამწვარი მიწა“; **მიწამთხრე-ლი** „ექსკვარტორი“; **ნიადაგმცოდნე** „ნიადაგთმცოდნე“; **წყალგამჯდა-რი** „ტენიანი, რასაც წყალი აქვს გამჯდარი“; **წყალჩამდგარი** „რაშიც წყალი არის ჩამდგარი“; **ტალლეზომი** (სპეც.) „ტალლის სიგრძის გა-საზომი ხელსაწყო“; **ნიადაგრაგამტარებელი** „ნაეებობა ნიაღვრის მი-სალებად“; **წყალგამტარი** „წყლის გამტარი“; **წყალგმყვანი** „წყლის გასაყვანად საჭირო“; **წყალგამჟოფი** „მთა ან ამაღლებული ადგილი, რომელიც თიშავს მდინარეთა ნაპირებს“; **წყალგამყრელი** „წყალ-გამყრფი“; **წყალგამშვები** „წყალგასაშვები“; **წყალგამძლე** „რაც წყალს უძლებს“; **წყალგამშემნდი** „წყლის გასაწმენდი მოწყობილო-ბა“; **გზააბნეული** „დაბნეული, გზას ამცდარი“; **ფეხმოუკიდებელი** „ციცაბო“; **მიწაყრილი** „მიწისაგან შემაღლებული ადგილი“; **მიწაჭ-ჩილი** „სპეციალური დანიშნულების ჭრილი, ორმო“; **წყალწალებუ-ლი** „ვინც ან რაც წყალმა წაიღო“; **წყალგადასხმული** „ვისაც ან რა-საც წყალი გადასხეს“; **წყალგამოვლებული** „რასაც წყალი გამოავ-ლეს“; **წყალგარეული** „რაშიც წყალია გარეული“; **წყალშე-მორცუმული** „რასაც წყალი აქვს შემორტყმული“; **მიწანარევი**; **ტყესაცავი** „ხელოვნურად გადაშენებული ტყე“; **ტყესარგავი** „ხეგბის დასარგავი მანქანა“, იყენებენ ტყის ხელოვნურად გაშენებისათვის“; **ტყესათესი** „ხის თესლის სათესი მანქანა, იყენებენ ტყის ხელოვნუ-რად გაშენებისათვის“; **მინდორსაცავი** „ხელოვნურად გაშენებული ტყის ზოლი“; **ნიაღვარსაშვები** „ნაეებობა ნიაღვრის წყლების გასაშ-ვებად“; **ნიადაგსახმარი** „ყოველდღიურად სახმარი“; **ნიადაგსაცავი** „ნიადაგის საცავი“; **მიწადასაყრელი** „მოსასპობი, დასაღუპავი“; **წყალგადასაშვები** „იგივეა, რაც წყალგადასაგდები“; **წყალსალები** „წყლის ამოსალებად მოწყობილი“. მეგრულში: **წყარმოძინელი**

„წყალმომატებული“; **წყარკათაფილი** „წყალშერეული“; **წყარხვილი** „წყალდაგუბებული“.

6. დასტურდება **არსებითი + მახდარი** სტრუქტურის კომპოზი-ტებიც (**მთასელია**, „სამთო ტურიზმი“).

7. გვაქვს **არსებითი + ზმნისართი** ტიპის მოდელიც: **წყალ-გალმა** „წყლის იქითა მხარეს“, მეგრ. „წყარმელე“; **წყალგამომლა** „წყლის დაწების საბირისპირო მიმართულებით“, მეგრ. **წყარუილო** „წყალზევით“; **ზღვასაღმა** „ზღვის იქითა მხარისა“.

8. ზოგჯერ კომპოზიტის | ნაწილი ზედსართავი სახელია (**ზედ-სართავი სახელი + არსებითი** სტრუქტურის კომპოზიტი): **შუაწე-ლი** „მთის შუა ნაწილი“.

9. დასტურდება **ზედსართავი სახელი + ზედსართავი სახელი** ტიპის მოდელიც. აღსანიშნავია, რომ ორივე კომპონენტი (მაშასადა-მე, კოპოზიტის პირველი ნაწილიცა და მეორეც) წარმოქმნილია: **კლდიან-რიყიანი** „ადგილი, სადაც კლდები და რიყებია“; **გელიან-ჭალიანი** „ველიანი და ჭალიანი აღვილი“.

10. გამოიყო იმ ტიპის კომპოზიტებიც, რომელთა პირველი ნაწი-ლი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი:

ა) მხოლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმო-დგენილი **არსებითი სახელი + არსებითი სახელი: გელისბირი** „ვე-ლის ნაპირი, კლდე“; **ზღვისკარი** „ზღვასა და კარს შორის მდებარე ვიწრო გასასვლელ“; **ზღვისბირა** „ზღვის ნაპირას“.

ბ) მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი **არსებითი სახელი + არსებითი სახელი: მიწა-თატრინი** „მიწათმფლობელი“.

გ) მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი **არსებითი სახელი + აბსტრაქტული სახელი: მი-წათქირანობა** „მიწის ქირანობით დამუშავება“; **მიწათსარგებლობა** „მიწით სარგებლობა“; **მიწათსაკუთრება** „მიწის საკუთრება“; **მიწათ-მფლობელობა** „მიწის ფლობა, მიწის საკუთრება“; **ქვეყანათმცოდ-ნეობა** „გეოგრაფია“; **წყაროთმცოდნეობა** „სტორიის დამხმარე დარგი, რომელიც წყაროებს სწავლობს“.

დ) მხოლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი **არსებითი სახელი + წარმოქმნილი სახელი: ზღვისბირეთი** „ზღვის პირას მდებარე მხარე“, **ზღვისბირული** „ზღვის პირის დამხასიათებელი“.

ე) მრავლობითი ოცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი არსებითი სახელი + მიმღება: მიწათმფლობელი „მიწის კერძო მესაკუთრე“; მიწათმოქმედი „მიწის დამმუშავებელი“; მიწათმომწყობი „მიწათმოწყობაზე მომუშავე“; ნიადაგმცოდნე „ნიადაგმცოდნეობის სპეციალისტი“.

გეოგრაფიულ ობიექტთა სახელები დასტურდება შესიტყვებებშიც. ყველაზე ხშირად აღნიშნული ტიპის სახელები გრხვდება მცენარეთა სახელშროებებში. ასეთებია: მთის ბარისბირა, ქართლ. ნაბადა: მთიულ. ბაბუნა უვავილი; თუშ. ფუტკრის დედა სვან. ბარამჩაი (მაყაშვილი, 1991, 49); მთის ბოკვი, მთის ნეკერჩხალი, რაჭ. თეკერა, სვან. თეკრა (მაყაშვილი, 1991, 49); მთის იალღუნი (მაყაშვილი, 1991, 49); მთის მოცხარი, თუშ., ხევს. ალუდა, თუშ. კლდის დუნი, რაჭ., ლეჩხ. დათვი მოცხარი, აჭარ. მერცხალი (მაყაშვილი); მთის ბიტნა, აჭარ. კაბლიბალახა, ნანეთი: მთის სამუჯრა (მაყაშვილი, 1991, 49); მთის სვინტრი, მოხ. ჩალისხილა; მთიულ., რაჭ. შაქართაფლა; მთის ტუნგი (მაყაშვილი, 1991, 50); მთის ლოლო, თუშ. ჭირტალი; ხევს. სამოგა, საგუგა, სვან. ტელეფი; მთის შროშანი. ქიშ. თარიში, ფშავ. კიტრა; მოხ. ჩუკოკიტრა; მთიულ. კიტრანა; თუშ. დათვისკიტრა; ხევს. ბარის კიტრა; რაჭ., ლეჩხ. თიორში, თიოში; ზმიმ. თიოშა, აჭარ. შროშანი, ჩირიში, სვან. ლახეგშ კენტრი (მაყაშვილი, 1991, 50); კლდისდუმა „ერთვაროვანი მცენარე, ბალახოვანი ხე“; კლდისგაშლა, მოხევ. კლდისსორცა; თუშ. ფხიგა, ხიგა, ხაგე. მესს. კლდის ჭოჭო; აჭარ. უქდავა, მეგრ. ცენაშე (მაყაშვილი, 1991, 39); კლდის იასამანი, ქართლ. კლდის უვავილი; კლდის მოცხარი, ფშავ. ხევს., თუშ. ალუდა; მთიულ. მაცხარი ჟვ. ქართ. არახილი; კლდის ქოთანა; კლდის ხახვი; კლდის ნიორი; მიწავაშლა, გურ. მიწის ვაშლი; ჭან. დიხა უშქური, მეგრ. დიხაში უშქური სვან. გიმიშ ვისგ, მიწავაშ(ლ); მიწამყვალა „ბალახმყვალა“; მიწაყარა; მიწის ბარდა; მიწის ვარსკვლავა; მიწის ნუში (მაყაშვილი, 1991, 50); ეწრის გვიძრა, აჭარ., გურ. ეწრი, იმერ., რაჭ., ლეჩხ., გურ. გუმბრა, ჭან. ლიმხონა, ლიმხუნა, მეგრ. გვიძრა, გვიმბრა, სვან. ჩაუვერ გვიმორი, ხოლა გვიძორ (მაყაშვილი, 1991, 25); ყანის ბაია ქართლ. წალიგა, რაჭ., ლეჩხ. კევრა, წილობა (მაყაშვილი, 1991, 76); ყანის მსხალი (კახ.) „შაგჩხობა“; ყანის ნიორი „ბოლქვიანი მცენარე ყანებში გავრცელებული“ (ჟეგლ.); ტყის ბოლოკა; ტყის თივაქასრა; კახ. წერილა,

თუშ. წერულა; ტყის მრავალძარღვა; ტყის მიხაკი; ტყის პიტნა, კახ. პიტნურა; ქართლ. ცხენის პიტნა; ქართლ., ზემო იმერ. ვირი-პიტნა, ქვემო იმერ. ცხენიბიტნა; აჭარ. ტენცო; მეგრ. ცვალმითა, ცვალმითა; სვან. მინთვ, მინთორ, ტყბრ მინთვ (მაყაშვილი, 1991, 66); ტყის უუეურუკი; ტყის სამუჯრა; ტყის სანთელა; ტყისურა; ქვეყნისგული „წვიმის სოკოს ერთ-ერთი სახეობა“ (ჟეგლ); მედლოს თივაქასრა; მდელოს მატკარცანა, ზემო იმერ. ირემა; ოკრიბ. უვავისფრჩხილა, რაჭ. მატკარლაცანა; მდელოს მელაკუდა; მდელოს შვრიანა; მდელოს წიგანა, ფშავ. შალაფი (მაყაშვილი, 1991, 48); წყლის ბაია; წყალიკრეფია; წყლის ბამბა; წყლის დვალურა (მაყაშვილი, 1991, 93); წყლის ვაზი; წყლის ვარსკვლავა; წყლის ზამბახი; გურ. სატევარა, მეგრ. არკოთა; წყლის იელი; წყლის კაკა „ჭუღუმბური“, მეგრ. ოხოხია; წყლის მანანა; წყლის მარწყვა; წყლის მრავალძარღვა; წყლის წიწმატი, კახ. ჩალან დარი, აჭარ. კუბუურა, ჭან. კუბური, მეგრ. მექიშერებული; წყლის სამყურა; წყლის სუმბული; წყლის ფურისულა; წყლის წიბლი; წყარო ბირი (აჭარ.) „მსხლისჭიში“; ზღვის სალათა; ზღვის შროშანი, ზღვის ხახვი; ზღვისბირა ფიჭვი (მაყაშვილი, 1991, 29).

როგორც ჩანს, კომპოზიციის გზით მიღებული ჩვენთვის საინტერესო ფორმები ორი სახისა (მინარსის თვალსაზრისით): ერთ შემთხვევაში კომპოზიტი გეოგრაფიულ ობიექტთა აღმნიშვნელი სახელია (მთა-ბარი, მინდორ-ველი ტიპისა), ხოლო სხვა შემთხვევაში (როცა კომპოზიტის მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია გეოგრაფიულ ობიექტთა აღმნიშვნელი სახელი) მიიღება განსხვავებული შინაარსის ქონე სახელი (მიწათმფლობელი, ზღვისკაცი, მთის მოცხარი და სხვა) ან ზმინსართი (გეოგრაფიულ ობიექტთა სახელების ფუძის გაორკეცებით): სოფელ-სოფელ, მთა-მთა და სხვა.

#### ლიტერატურა

**მაყაშვილი, 1991** — ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1991.

**ფოჩხუა, 1987** — ბ. ფოჩხუა, თანამედროვე ქართული ენის

იდეოგრაფიული ლექსიკონი.

**ქახაია, 2002** — ო. ქახაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2002.

**ქეგლ** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

**შანიძე, 1978** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1978.

სათუნა გამამარიანი

### მხატვრული ტექსტის ნარატოლოგიური ასპექტები

(ჭ. ქარჩხაძის „განზომილების“ მიხედვით)

MAKA LABARTKAVA

### Nouns Denoting Geographical Objects in Compounds and Idioms

#### Summary

According to their content compounds containing nouns denoting geographical objects are of two types: 1. both components of a compound are names denoting geographical objects, as a result the compound itself signifies a geographical object.; 2a. only one of the components of a compound denotes a geographical object, hence the compound has a different semantics. 2b compound adverbs formed by means of reduplication of a noun stem denoting a geographical object

მხატვრული შემოქმედება არის პროცესი, რომელიც მოიცავს რამდენიმე ნარატიულ დონეს: ინფორმაციის გამტვანი (ავტორი), კომუნიკაციი (ლიტერატურული ტექსტი) და ინფორმაციის მიმღები (მკითხველი).<sup>1</sup> მხატვრული კომუნიკაციის მნიშვნელოვანი თვისებაა პრაგმატული ინტენციის ესთეტიზაცია. ზემოთ ნახსენებ დონებში „ზემოქმედება“ წარმოადგენს ერთ-ერთ გარდამავალ რგოლს, რომელიც განაპირობებს ადრესანტის მიერ მხატვრული ინფორმაციის სილრმისეულ გაებას. მხატვრული ფუნქციური სტილის დამახასიათებელ ნიშანად კი ითვლება ის, რომ სილრმისეული გაგება მხატვრული ინფორმაციისა არის არა მხოლოდ ვერბალური დონის აღქმა, არამედ ამ ინფორმაციის გადაყვანა სხვა საფეხურზე, ინფორმაციის ესთეტიკის სფეროში, სადაც ხდება მხატვრული სახის კონსტრუირება (ენუქიძე, გვ. 28-29).

რა საშუალებებით აღწევს მწერალი ინფორმაციის ესთეტიზაციას, როგორია მისი „პოეტური თავისუფლების“ ხარისხი და რამდენად ქმნის იმპულსებს ენის შესაძლებლობათა ასამოქმედებლად — ყოველივე ეს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკურ ღირებულებას. მაგრამ ერთია ნაწარმოების ესთე-

<sup>1</sup> ნარატოლოგია, როგორც დისციპლინა, ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში. დღესათვის ვანიხილება „როგორც ტრანსფორმირებული ნაირსახეობა სტრუქტურალიზმისა, რომლის დამარსებლადაც ითვლებიან დანიელი მეცნიერები ვ. ბრენდალი, ხ. ულდლი და ლ. ელმილევი. ისინი მიელტვოდნენ ენის მკაფრ (თითქმის მათემატიკურ) ფორმალურ აღწერას, ფორმალიზებული მეთოდებით, რომლებსაც უწოდებენ „ენის ალგებრას“. სტრუქტურალიზმის ძირითადი ნაირსახეობი წარმდგენილია პარიზის, კოპენჰაგენისა და ლონდონის ლინგვისტური სკოლებისა და ამერიკული სტრუქტურალიზმის მიერ.( გვ.626).

ტიკური ლირებულება და მეორეა მკითხველის მიერ მისი აღქმა.

ჭ. ქარჩხაძის ნაწარმოებებთან პირველი შეხებისთანავე გამოცდილი მკითხველი უთუოდ შეამჩნევს, რომ ცოცხალი კომუნიკაციური პროცესის მონაწილე ხდება. პროცესისა, რომლის არსი რეალიზებულია სტილისტიკურ ინდივიდუალობასა და ლექსიკურ თავისებურებებში. ბუნებრივია, მხატვრული კომუნიკაციის დროს აღრესატზე ორიენტაცია ნაწარმოების სტილისტიკურ თავისებურებებსაც მეტწილად განსაზღვრავს. მხატვრული ნაწარმოების შექმნის პროცესში მკითხველზე ფიქრი გარევულ ზეგავლენას ახდენს შემოქმედების ნაყოფზე. არიან მწერლები, რომლებიც შემოქმედებით პროცესში მკითხველის არსებობას (ნებისმიერ ფორმით) უარყოფენ. მაგალითად, როდესაც ულიამ ფოლკნერს ერთ-ერთ შეხვედრაზე ჰქითხეს, თუ როგორ მკითხველსა და აუდიტორიას ითვალისწინებდა წერის დროს, მან უპასუხა: „ჩემი დღე და მისწრება ისე ვიყავი გართული წერით, ისე თავდავიწყებით ეწერდი, რომ დრო არ მრჩებოდა, შეგჩერებულიყვავი და მეფიქრა, ვინ წაიკითხავს და მოწონება თუ არა-მეტქი... მხოლოდ მას მერე, რაც მოგხუცდი, დავძაბუნდი, გავიგე, რომ არსებობს ხალხი, ვინც წიგნებს კითხულობს“ (ფოლკნერი, გვ. 68). საინტერესოა ნობელის პრემიის ლაურეატის ი. ბროდსკის მოსაზრებაც: „რომანი ან ლექსი მონოლოგი კი არ არის, არამედ მწერლის საუბარია მკითხველთან — უკიდურესად კერძო საუბარი, რომელიც სხვებს გამორიცხავს. ამ საუბრისას მწერალი მკითხველის ტოლია ისევ, როგორც პირიქით... რომანი ან ლექსი მწერლისა და მკითხველის ურთიერთმარტობის პროდუქტია“ (კვარაცხელია, 129, 1995).

თუ მკითხველის რეაქცია წინასწარ არ იქნა განჭვრეტილი შემოქმედების პროცესში, ლოგიკურ-მხატვრული დამაჯერებლობა არ ექნება ხელვნების ქმნილებას, ყველაზე ზოგადი მიზანი კი, რომელიც შეიძლება პერნედეს მხატვრულ კომუნიკაციას, აღრესატზე გავლენის მოხდენაა, მისი დარწმუნება, რაც მხატვრულ თხზულებაში სხვაზე მეტადაა შენიდული. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ნებისმიერი ვრცელებური კომუნიკაციის მიზანი ამ კომუნიკაციის ფარგლებს გარეთაა, ხოლო შედეგი — ნაწარმოები — ამ მიზნის განხორციელების საშუალებაა, მაშინ ცხადი გახდება, რომ ლაპარაკი მწერლის შემოქმედების მონოლოგურ ხასიათზე არ არის კორექტული (კვარაცხელია, იქვე).

რომანი „განზომილება“ მკითხველთან ურთიერთობის გამორჩეუ-

ლი მაგალითია. პროლოგი, რომელსაც მწერალმა „დასაბამი სიტყვა“ უწოდა, შედგება ოთხი მიმართვისაგან: ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი მიმართვა — „მკითხველთა მიმართ“ — მკითხველისადმია. თავისი შინაარსით აღნიშნული ქვეთავი წარმოადგენს ერთგვარ წინასწარ მოლაპარაკებას, გარიგებას თუ შეთანხმებას მკითხველთან, ფორმით კი გაბმული ტექსტის სამეტყველო ნაკადის დისკრეტულ სეგმენტს მოგაგონებს.

ნარატილოგიური დონეების ურთიერთზემოქმედების განხილვისას წინა პლანზე გამოდის ისეთი ექსტრალინგვისტური ფაქტორები, როგორიცაა: მეტყველების დამაჯერებლობა, დარწმუნების ტაქტიკა, წარმოსახვითი „შენ“ ანუ ადრესატი, რომლის როლი აუცილებლად უნდა განისაზღვროს და ის ენობრივი საშუალებები, რომელებიც ავტორისული ინტენციის სრულყოფას ემსახურება.

მეტყველების დამაჯერებლობა ჭ. ქარჩხაძის რომანში „განზომილება“ მიიღწევა როგორც ლოგიკურ-რაციონალური, ისე ფსიქოლოგიურ-ემოციური თხრობით, შეიძლება ითქვას, მათი შენაცვლებით. რაც შეეხება ადრესატს, მკითხველს, შემოქმედებით პროცესში იგი უფრო პარტნიორია — შემფასებელიც და დამფასებელიც. თავად მწერალს მიაჩნია, რომ კარგი მკითხველი ის არის, ვინც ნდობით მოეკიდება ავტორს და საკუთარ მსოფლმხედველობას კითხვის დროს გვერდზე გადადებს (ქარჩხაძე, 14, 2005). მკითხველისა და ავტორის ურთიერთდამოკიდებულებას ის შემდეგნაირად აფასებს: „ვფიქრობ, ყოველ ნაწარმოებს მოექცნება ისეთი მკითხველი, რომელსაც ეს ნაწარმოები ავტორზე უკეთ ესმის. ავტორი ბოლომდე ვერასოდეს დააღწევს თავს სუბიექტურობის მაგნიტურ არეს, მკითხველი კი ამ ნაკლისაგან თავისუფალია და თუ იგი ასევე თავისუფალია სხვა დანარჩენი ნაკლისაგანც; ეჭვი არ მეპარება, ავტორზე უფრო სწორად გაიგებს ნაწარმოებს“. სწორედ ამგვარი ინდივიდუალიზაცია ბალებს საშუალებას მკითხველმა თავად „აღმოაჩინის ტექსტი“.

მწერალი მიმართავს დარწმუნების საკმაოდ ექსპრესიულ, ემოციურ ფორმას. მკითხველი, როგორც დაინტერესების ობიექტი, ყველაზე წინ არის დაყენებული, შეიძლება ითქვას, უპირატეს მდგომარეობაშია. მკითხველის ავანსცენაზე გამოყვანით მწერალი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მისთვის ადრესატი არის ნარატიული პროცესის ბირთვი, აქტიური პერსონა, რომელსაც ტექსტის ბოლომდე ესაუბრება. აშკარაა, რომ ეს არ არის მეორეხარისხოვანი დიალოგი. აღნიშ-

ნულ ქვეთავში დარწმუნების ტაქტიკა ეყარება არგუმენტაციასა და თანმიმდევრულ მსჯელობას. აქცენტირებულია ისეთი გრძნობებით, როგორიცაა: ღირსება, სიამაყე, პატიოსნება, ურთიერთნდობა, პატრიოტიზმი და ერთსულოვნება. ტექსტს გამსჭვალავს ორი ძირითადი მიმართულება: ლოგიკურ-რაციონალური ანუ ინფორმაციული მოტივაცია, რომელიც გონიერისადმია მიმართული და ფსიქოლოგიურ-ემოციური მოტივაცია, რომელიც მკითხველზე ზემოქმედებისთვისაა გამიზნული, ანუ, მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, მკითხველის „დანამუსებისკენ“ უფრო მიმართული.

თუ ტექსტი ლინგვისტიკის კუთხით განვიხილავთ, ჩვენ წინაშეა მსჯელობითი ხასიათის უაღრესად მოდალური ტექსტი — გამოკვეთილი, კოდირებული აბზაცებითა და შეითხველზე ზემოქმედებისათვის გამიზნული სათეზისო წინადადებებით, რომლებიც აზრობრივად ერთმანეთისგან გამომდინარებს და ხსნის მწერლის მთავარ ჩანაფიქრს. მათი ამგვარი განლაგება კიდევ უფრო გამოკვეთს ინფორმაციის ღირებულებას ტექსტის ფარგლებში — მთლიანი ნაწარმოებისათვის ერთი კონკრეტული ხასიათის მიმართვა ასრულებს ერთგვარი ძრავის ფუნქციას და შემოაქვს ქმედითი მუხტი, რაც იმთავითვე განაპირობებს ტექსტის დინამიკას.

საყურადღებოა, რომ ავტორის მიერ ამავე მიმართვაში განსაზღვრულია ნაწარმოების სტილიც — საქმე გვაქვს „სერიოზულ მხატვრულ-შემეცნებით ექსპედიციასთან“, რომლის წიაღმი იკვეთება ქარჩხაძისეული ხედვა სამყაროში ადამიანების პრობლემებისა. სამყარო, მწერლის წარმოდგენით, არის ისეთი საარსებო სივრცე, სადაც შესაძლებელია ჩვენი არსებობაც და თანაარსებობაც. ასეთია „მწერლისეული კონცეფციის“ არის — მოყვასის ცნება არის ერთ-ერთი უმთავრესი ცნება, რომლის სათანადო გაუაზრებლობა ხელს გვიშლის თანაცხოვრებაში<sup>1</sup>, რადგან სწორედ აქ არის ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების საწყისი.

„განზომილება“ ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებია და განკუთვნილია ინტელექტუალური მკითხველისათვის. მწერალი სამარ-

<sup>1</sup> „როცა პირი ჩვენი ღალადებს „არა იპარო“, ხელი ჩვენი მოყვასის ჭიბეშია ჩატურებული“ („განზომილება“, გვ. 45). „გადარჩენისთვის აუცილებელია — რა იდეალიზმადაც უნდა მოგჩრენოთ — ადამიანი ისევე ზრუნავდეს სხვის სულზე, როგორც საკუთარ სულზე ზრუნავს, რადგან საკუთარი და სხვის არსებითად ერთი და იგივე“ (ჭ. ქარჩხაძე, პუბლიცისტიკა, გვ. 54).

თლიანად თვლის, რომ შესაძლოა ამ „ექსპედიციას“ ბოლომდე ვერ შერჩეს ყველა მკითხველი (ტექსტის ინტერარეტაციის პრობლემების გამო)<sup>2</sup>. ამიტომ ეს მიმართვა „ მკითხველთა მიმართ“ განსაკუთრებით ეკუთვნის მას, ვინც ასეთ სიტუაციაში პირველად მოხვდა. (საინტერესოა, რომ ნაწარმოების დიალოგების გმირებიც სწორედ ამგვარი ადამიანები არიან — ვინც მსგავს „მოგზაურობაში“ ან საერთოდ არ ყოფილა, ან ერთხელ მოხვდა და ისიც წარუმატებლად დამთავრდა).

მიმართვაში „მკითხველის მიმართ“ დასხელებულია სამი ძირითადი თეზზა:

**პირველი:** „ის, რაც გვაჩქარებს და გვაფაციულებს, ჩვენი წიაღის კეთილ ნაწილში არ არის აღმოცენებული“.

**მეორე:** „აჩქარება ქვეყანას ანგრევს, აუჩქარებლობა კი მშვიდობიანად აღმოვცს“.

**მესამე:** „ვაცალოთ ქვეყანას დაბერება“.

ყოველი შემდგომი მოსაზრება ლოგიკურად გამომდინარებს წინასაგან და გამყარებულია არგუმენტებით (მწერალი იმოწმებს ანდაზებს). ყოველი თეზის შემდგომ მსჯელობა გრძელდება საწინააღმდეგოს დაშვებით. ენობრივ პლანში ექსპრესიულ-ემოციურ ფონს ქმნის: ანათორა, რეპრიზა (გამორჩები), კონტაქტური განლაგება ნაცვალსახელებისა და ზმნისა, გრადაცია (სიტყვათა სემანტიკურ ველში ექსპრესიულობის თანდათანობითი გაძლიერება), რიტორიკული შეითხვები და სხვ.

„... ვთქვათ ავჩქარდით, სათემელი მიგჩმალეთ (მივაჩუმათეთ, მივაფუჩქეთ, მივახუხაფათეთ) და საშოვარზე წავედით. ვთქვათ, ვიშოვეთ. ვთქვათ, ბეგრი ვიშოვეთ. ვთქვათ, ყველაფერი ვიშოვეთ. ვთქვათ, იმდენი ვიშოვეთ, აღარ ვიცით რა ვუყოთ. მერე? რა ვუყოთ იმას, რასაც აღარ ვიცით რა ვუყოთ? ანდა, ყველაფერს რომ ვიშოვთ, დანარჩენი სადღა ვიშოვოთ? გულს

<sup>2</sup> ვეთანბებით სამეცნიერო წრებში არსებულ მოსაზრებს იმის შესახებ, რომ ურთიერთია ავტორი-მკითხველი მხატვრულ სფეროში გარკვეული სახის დაცლისას წარმოადგენს. მხატვრული ტექსტი ხასიათდება სპეციფიკურობით, რაც ვლინდება ენაბრივი რეალობისა და პოტენციის, ვირტუალურისა და აქტუალურის. არსებულ ენაბრივ ვარიაციაზე ამორჩევის შესაძლებლობამ (გ. კურაზეგლავაგვ. 101). ამდენად, მხატვრული კომუნიკაციისას ლიტერატურული ტექსტის ინტერარეტაციის საკითხი ყველობის დეგა. მწერალს შეუძლია იფიქროს ან არ იფიქროს მკითხველზე, მიეხმაროს ან არ მიეხმაროს მას ნაწარმოების გაგებაში, თუმცა მკითხველის იგორირებას ნამდვილად ვერ შეძლებს ( ეს არც უნდა იყოს აგტორის მიზანი).

ხომ ვერ ამოგყორავთ! გული ხომ ღნავის და ითხოვს! ანდაზებსაც რომ მოვეშვათ, ვინც კაცობრიობის გრძელსა და, ცოტა არ იყოს, გაჭიანურებულ ისტორიას გასცნობია (რაც თავისთავად ფრიად საქებარი საქმეა), განა არ იცის, რომ უბედურება, როგორც მყისიერი და ერთჯერადი აქტი, იქ ხდება, სადაც ზედმეტად ჩქარობები? აჩქარება ქვეყანას ანგრევს, აუზქარებლობა კი შეგიძლიანად არღვეს. დარღვევა ხანგრძლივი, ბუნებრივი და, თუ კარგად დავუკირდებით, საამური პროცესია, როგორც სიკვდილის ზომიერი მიზიდულობა, როცა სიცოცხლის უჯრედები სიბერის ძალით იხოცებიან. მაშვაცოლო ქვეყანას დაბერება, ნუ ვკრავთ ხელს თავდაღმართში, ამოვიყაროთ გულიდან მატერიალური კატალიზატორები ( დაე, გარაუებიც თახვებმა აშენონ), დავმშვიდოთ ამღვრეული სახეები, ჩავიცხოთ ამღვრეული ვნებები, გადავიყაროთ ბინდი, გავერიდოთ ყაყანს, დავიმორჩილოთ საკუთარი გული და დავიმორჩილოთ საკუთარი ნაბიჯი, ვიაროთ მშვიდად და ნება-ნება ვიმასლათთო. მერწმუნეთ, ასე უფრო ჩქარა მივალთ, სადაც უნდა მივიდეთ. და თუ ჩქარა ვერ მივალთ, რა გვეჩქარება! ღმერთი ხომ არსად გაგვეჩვევა!“ (ქარჩაძე, 2008, გვ. 8).

მყითხველთან პირდაპირი კომუნიკაციისას ჭ. ქარჩაძე იყენებს რეტროსპექტიულ სამეტყველო ხერხს — წინა თემებთან მიბრუნებისა და ხელახალი გააზრების გზით დღის სინათლეზე გამოაქვს ახალი ფაქტები. ყურადღება გამახვილებულია აქტუალური შეტყობინების ცალკეულ ფრაგმენტებზე. მწერალი იყენებს ისეთ ენობრივ კონსტრუქციებს, როგორიცაა: როგორც გვახსოვს... ; როგორც შესავალში გახსენეთ... ; ხედავთ, არა, ხედავთ?! ; როგორც ნახეთ... ; რაც გინდათ, ის იფიქრეთ... ; გახსოვთ ალბათ... ; წინამავალი ეპიზოდები ამ მხრივ ცოტა თავისებური გამოდგა... ; ახლა კი, ვიდრე ამბავს განვაგრძობ, მინდა შენდობა ვთხოვთ მკითხველთა ნაწილს... ; გულახდილად რომ ვთქვა... ; მინდა ვისარგებლო პაუზით და ყველას (განსაკუთრებით ზოგიერთს) ვურჩიო... ; ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მინდა დაგარწმუნოთ... ; როგორც გითხარით... ; ისე არ გაიგოთ, თითქოს... და სხვ.

ჭ. ქარჩაძის რომანი „განზომილება“ მყითხველზე ორიენტაციით შექმნილი ნაწარმოებია. ნარატოლოგიურ ჭრილში მისი განხილვა სწორედ ამან განაპირობა. ავტორის მიერ გამოყენებული ენობრივი საშუალებები მყითხველთან დაახლოებისა და მასზე ზემოქმედების სტრატეგიას ემსახურება. ნაწარმოების ენობრივ ქსოვილში თანაბრა-

დაა წარმოდგენილი ლოგიკურ-რაციონალური და ფსიქოლოგიურ ემოციური ასპექტები. რაც შეეხება ჭ. ქარჩაძის ენობრივ სამყაროს და მის ულამაზეს შემოქმედებას, აღნიშნული სტატია მასთან მიახლოების მოკრძალებული მცდელობაა, რაც ვფაქტობ, მნიშვნელოვანი სტიმული გახდება მომავალი კვლევებისათვის.

#### ლიტერატურა

**ენუქიძე, 1990** — რ. ენუქიძე, ლინგვისტური პრაგმატიკა და მხატვრული ტექსტის პროცესუალობა, თბ., 1990.

**კვარაცხელია, 1995** — გ. კვარაცხელია, მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები, თბ., 1995.

**სერგია, 1989** — ვ. სერგია, ტექსტის ლინგვისტიკა, თბილისი, 1989.

**სტარიჩნოკი, 2008** — В. Д. Стариченок, Большой Лингвистический Словарь, Ростов-на-Дону, „Феникс“, 2008.

**ფოლკნერი, 1999** — უ. ფოლკნერი, გულის ჭიდილი საკუთარ თავთან, თბ., 1999.

**ქარჩაძე, 2005** — ჭ. ქარჩაძე, პუბლიცისტიკა, თბ., 2005.

**ჯორბენაძე, 1983** — ბ. ჯორბენაძე, მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის ზოგიერთი საკითხისათვის, ქსკ, ჭ. V, თბ., 1983.

#### წყარო

**ქარჩაძე, 2008** — ჭ. ქარჩაძე, განზომილება, თბ., 2008.

KHATUNA MACHAVARIANİ

**Narratological Aspects of a Literary Text**

(on the material of J.Karchkhadze's novel "Dimension")

**Summary**

The paper discusses the issue of interrelation between the idea/problem and its linguistic realization in a literary text on the material of J.Karchkhadze's novel "Dimension". The depth of the main idea as well as the aesthetic aspect of the novel in question is highly evaluated. The paper focuses upon the specific linguistic means the author of the novel employs for the purpose of persuading and involving the reader.

ლელა გახვილაშვილი

**სალხური ეთიმოლოგია – ენობრივი ცვლილების  
საეპიზიდური ფენომენი (ტერმანული ენის მასალაზე)**

ენობრივი მოვლენა, რომელიც ენათმეცნიერებაში ცნობილია "ხალხური ეტიმოლოგია" ("Volksetymologie") სახელით, განვითარდა ეტიმონის გაბუნდოვნებასთან დაკავშირებით. ეს ტერმინი 1852 წელს ენათმეცნიერებაში დაამკიდრა ერნსტ ვილჰელმ ფორსტემანმა (Ernst Wilhelm Förstemann) (იხ. ჰილტი 1921, 356; ჰენცენი 1965, 256), რომელიც შემდგომ სხვა ენებშიც გამოიყენეს (შდრ. ინგლ. folk, popular etymology, ფრ. étymologie populaire) (მლშპ., 1993, 683-684). ენობრივი მოვლენა ცნობილია სხვა ტერმინებითაც: "ფსევდოეტიმოლოგია", "მცდარი ეტიმოლოგია", "შეორეული მოტივაცია" და მისთ. ("Pseudo- etymologie", "Fehl etymologie", "sekundäre Motivation" (იხ. პოლენცი 1980, 171; მლშპ., იქვე; ისკოსი/ლენკოვა 1963, 23; ფლაიშერი/ბარცი 2007, 18)<sup>1</sup>, თუმცა ენათმეცნიერებაში "ხალხური ეტიმოლოგია" ერთგვარი გამაერთიანებელი ცნება გახდა (პ. ოლშანსკი (2004) თავის წიგნში "Täuschende Wörter. Kleines Lexikon der Volksetymologien" გამოიყენებს ამ ცნება-ტერმინს).

ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენა ისტორიული პროცესია. ეტიმოლოგიურმა ანალიზმა გამოივლინა, რომ ზოგიერთმა სემანტიკურად გაუშევირვალე ელემენტმა<sup>2</sup> ენობრივი განვითარების პროცესში განიცად ფორმობრივი /ბეგრითი და/ან შინაარსობრივი სახეცვლილე-

<sup>1</sup>ქართულ ლექსიკოლოგიაში გამოიყენებენ ტერმინ "ხალხურ ეტიმოლოგიას" (იხ. ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, გ. ახვლეთიანის რედ., 1972, 156-157; უოჩხურა, გ. ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ. უნივერს. გამოც., 1974, 118).

<sup>2</sup> იხ. ტერმინოლოგია: უნიკალური/ბლოკირებული მორფები, ფსევდომორფები, კაზიმორფები, ნარჩენი ელემენტები და მისთ. (იხ. ფლაიშერი/ბარცი 2007, 33-34; H. Günther, "Unikales Morphem" წიგნშ.: მლშპ., 1993, 664; B. Schaefer, "Quasimorphem" იქვე, 494; და სხვ.).

ბა. ეტიმოლოგიურად გაუმჭვირვალე ელემენტი ("ზოგჯერ მთელი სიტყვაც) ან უცხო ენიდან შემოსული ზოგიერთი გაუგებარი სიტყვა ენის მატარებელმა ახსნის მიზნით მიამსგავსა მსგავსი მნიშვნელობის და/ან მსგავსი უღერადობის სიტყვას, რომელსაც ხელს უწყობდა ფონეტიკური მსგავსება და ასოციაციური წარმოდგენა. ამდენად, ამ მოვლენით ენის მატარებელმა მისთვის გაუგებარი სიტყვები ან სიტყვის ნაწილები თავისი ნაცნობი და გასაგები ლექსიკური მარაგიდან (ე.ი. ნაცნობთან და გასაგებთან მიმსგავსებით) სხვაგარად (არაისტორიულად) ახსნა. ასეთი სიტყვების უმეტესი ნაწილი სასაუბრო ენასა და დიალექტებში გვაქვს და აქედან შემოაღწია სალიტერატურო ენაში.

ვ. ჰენცენი თვითონ ტერმინ "ხალხურ ეტიმოლოგიას" ძირითადად არ თვლის მიუღებლად, თუმცა მიაჩნია, რომ ის ხანდახან საკამათოა, რადგან ენობრივი მოვლენის შინაარსს მკაფიოდ ვერ გამოხატავს (იხ. ჰენცენი 1965, 256). იგი ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენის არს ხსნის როგორც "სიტყვის განმარტების საჭიროებით თუ ხალისით გამოწვეულ ასიმილაციის პროცესს"<sup>1</sup> და განიხილავს ენობრივი მოვლენის სხვადასხვა სახეს, მათ შორის ისეთ შემთხვევებსაც, სადაც სიტყვა თითქმის არ იცვლება, მაგ.: *Vormund, weissagen* (< w *zag* n) (იქვე). ავტორები ა. ისკონი და ა. ლენქოვა ფორსტემანის მიერ შემოთავაზებულ ტერმინს თვლიან არაზუსტად და უფრო მისაღებად მიაჩნიათ ტერმინი "მცდარი/არასწორი ეტიმოლოგია" ("Fehlytymologie") გამომდინარე იქიდან, რომ "მოვლენა ეფუძნება სიტყვის არასწორ ეტიმოლოგიურ განმარტებას, ანუ სიტყვის არცონას ან მიისი თავდაპირველი ფორმის ვრცელებას და სურვილს, სიტყვა გასაგები გახდოს". ამიტომ ენის მატარებელს "ლოგიკური ასოციაციით ნაცნობსა და გასაგებზე მიმსგავსებით სიტყვაში შეაქვს ახალი ეტიმოლოგია" (ისკონი/ლენქოვა 1963, 23-24).

გ. შედერის დეფინიციით "ხალხური ეტიმოლოგია (ასევე: ფსევდოეტიმოლოგია) არის ეტიმოლოგიის გულუბრყვილო ფორმა, რომლის საშუალებითაც წარმოშობით გაუმჭვირვალე ლექსები შინაარსობრივად აიხსნება (განიმარტება) და/ან რომელიმე მსგავსი ფორმის და/ან მნიშვნელობის ლექსებასთან მიმსგავსებით შეიცვლის სახეს, როგორც მაგალითად, ძვ.ზგ. *mülwerfo* "Haufenwerfer" ("გროვის ამოყ-

<sup>1</sup> "Die Volksetymologie ist jedenfalls ein Assimilationsvorgang, entsprungen letzten Endes dem Bedürfnis oder der Freude zu verdeutlichen".

რელი") > საშ.ზგ. *moltwerk/ mülwerk/ mülwurf "Erdwerfer"* ("მიწის ამოყრელი", შდრ. საშ.ზგ. *molt[e]* "მიწა, მტვერი") ბოლოს ამ მოვლენით იღებს ახალ განმარტებას და ახალ სახეს: "Maulwurf" "თხუნელა"<sup>2</sup> (B. Schaefer წიგნში: მლშ., 1993, 683-684, "Volksetymologie", ნიმუში წიგნიდანაა; იხ. ასევე: შმიდტი 2008, 142). შედერი გარკვევით განსაზღვრავს ენობრივი მოვლენის არს. ვფიქრობთ, იგი გულისხმობდა ეტიმოლოგიურად გაუმჭვირვალე ლექსებას, რომელმაც სემანტიკური გამჭვირვალობა დაკარგა ენის განვითარების რომელიმე ეტაპზე გარკვეული მიზეზებით.

ენობრივი მოვლენის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე სიტყვის ეტიმოლოგიურ ანალიზს:

არსებითი სახელის *"Sintflut / Sündflut"* ბიბლ. "შსოფლიო წარღვნა" თავდაპირველი ფორმებია: საშ. ზგ. *sin(t)vluot*, ძვ. ზგ. *sin(t)fluot* (სიტყვაში გვაქვს ე.წ. "ჩართული -t-" "Gleitlaut"-t-, ძუ., 676; კლ., 850); შდრ. სხვაგარად ახსნილი ფორმები: *sinflycht, seinflycht, sintvluoh, süntfluot, sintvluZ* (ლექს., 195), ძვ.ზგ. *sinfluot, sint-* "წარღვნა, წყალდიდობა" (შუტც., 252). ისტორიული რთული სიტყვა შედგენილია საერთო-გერმ. ელემენტით, რომელსაც შესაბამება: საშ. ზგ. *sin[e] -, ძვ. ზგ, sin[a] -, გუთ. sin-, ძვ. ინგლ. sin[e] -, ძვ. ისლ. s -* მნიშვნელობით: "გამუდმებით, მუდამ, ყოველთვის, ძლიერად" და არსებითი სახელი *"Flut"-ის "წყალდიდობა"* შესაბამისი ფორმით. ენიდან შესატყვისათვისფალი მოჩვენების დაკარგვის შემდეგ სიტყვის გაუგებარ პირველ კომპონენტს ახსნის მიზნით (ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენით) გვინდელ საშუალ ზემოგერმანულ პერიოდში შეუცვალეს ფორმა *süntfluot -a-d* ("die Strafe für die sündige Menschheit"). შემდეგ განვითარდა და თანამედროვე ფორმა: *Sündflut* (ძუ., კლ., იქვე).

უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი ცვლილება გამოწვეული იყო როგორც ფონეტიკური მსგავსებით *"Sünde"-სთან "ცოდვები"*, ასევე იმ მოტივით, რომ ბიბლიის მიხედვით მსოფლიო წარღვნა მოვლენილი იყო კაცობრიობის ცოდვების გამო. სიტყვამ მიიღო ახალი ფორმა და შინაარსი, კერძოდ - "წარღვნა ცოდვების გამო". როგორც ნიმუშიდან

<sup>2</sup> "Naive Form der Etymologie, durch die ein in seiner Herkunft undurchsichtiges Lexem inhaltlich gedeutet und/oder nach dem Vorbild eines Lexems mit ähnlicher Form und/oder Bedeutung umgeformt wird, wie z.B. ahd. *mülwerfo* "Haufenwerfer" > mhd. *moltwerk/ mülwerk/ mülwurf "Erdwerfer"*" wird schließl. volksetymolog. umgedeutet und umgeformt zu "Maulwurf".

ჩანს, ენობრივი მოვლენა გამოწვეულია არა მარტო ფონეტიკური, არამედ ლოგიკური ასოციაციითაც. მე-20 საუკუნეში სიტყვის ძველი ფორმა აღდგა და დღეს ენაში ფუნქციონირებს ორივე სიტყვა.

გნოიხილოთ სხვა შემთხვები:

არსებითი სახელის "Friedhof" "სასაფლაო" ძველი ფორმებია: საშ. ზგ. vît-hof "ტაძრის წინა ეზო; ეკლესის გარშემო შემოლობილი, არე (ლექს., 298), ქვ. ზგ. fr thorf, frit- "წინა ეზო; თავშესაფარი" (შუტც., 141). ეკლესის კურთხევით ეზო გახდა სასაფლაო. სიტყვის პირველი უშუალო შემადგენელი (უ.შ.) ხალხური ეტიმოლოგის ზეგავლენით მიამსგავსეს Friede[n]-ს "მშვიდობა; სიმშვიდე, სიწყნარე", რადგან სასაფლაო აღიქვეს როგორც მშვიდობიანი ადგილი. ფაქტობრივად მას შეესაბამება ქვ. ზგ. vr ten "დაცვა, დაფარვა, მოფრთხილება, პატრიონიბა" ("hegen"), გუთ. freidjan "დაცვა, მოვლა, დანდობა, გაფრთხილება" (დუ., 205). ჩანს, რომ ამ სიტყვაშიც ენობრივი მოვლენა ეფუძნება როგორც შინაარსობრივ, ისე ფონეტიკურ ასოციაციას.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც აღნიშნულ მოვლენას მხოლოდ შინაარსობრივი, ან მხოლოდ ფონეტიკური ასოციაცია უდევს საფუძვლად. მაგალითად, არსებითი სახელი "Murmeltier" "ვირზაზუნა" ტავტოლოგიური რთული სიტყვაა. მისი პირველი კომპონენტი მოდის ქვ. ზგ. murmunto, murmunt n -იდან, რომელიც ნასესხებია ლათ. mus montis -საგან "მთის თაგვი". მას შემდეგ, რაც სიტყვის პირველი უ.შ. გახდა გაუგებარი, იგი ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენით მიამსგავსეს ზმნა murmeln-ს "ბუტბუტი, ლულულული" (დუ., 474). როგორც ვხედავთ, სიტყვის ცვლილება ეფუძნება წმინდა ფონეტიკურ ასოციაციას.

მაგრამ სიტყვა "Ohnmacht" "გულყრა, ცნობიერების დაკარგვა, კომა" (ადრ. ახ. გ. onmacht) განვითარდა საშ. ზგ. maht-იდან თანამედროვე ohne-ს "გარეშე" შესაბამის ძველ ფორმასთან მიმსგავსებით. სახელადი პრეფიქსი ქვ. ზგ., საშ. ზგ. " - "შორს, იქთ, უქონლობა, არარსებობა; უკუ-, შექცეული, შებრუნებითი" ძველი ზემოგერმანული დროიდან არაპროდუქტიულია, დღეს გვხვდება მხოლოდ სიტყვაში "Ameise" (დუ. 496). " - " ელემენტმა დაკარგა რა მნიშვნელობა და სიტყვაში "maht" წარმოადგენდა გაუგებარ ნაწილს, იგი ახსნეს მსგავსი მნიშვნელობის სიტყვით. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სიტყვას მიეცა შინაარსიდან გამომდინარე განმარტება.

ამდენად, ჩვენ არ ვეთანხმებით იმ ენათმეცნიერებს, რომლებსაც

მიაჩნიათ, რომ ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენა ეფუძნება მხოლოდ შემთხვევით ბერით მსგავსებას, ე.ი. მხოლოდ ფონეტიკურ ასოციაციას (შდრ. O. Meisinger, G. Vandries წიგნში: ისკოსი/ლენკოვა 1963, 24). ჩვენ ვიზიარებთ იმ ლინგვისტების აზრს, რომლებიც ამ ენობრივ პროცესში აღიარებენ ფონეტიკურთან ერთად შინაარსობრივი, სემანტიკური კომპონენტის არსებობას (შმიდტი 2008, 142; ბ. შედერი — იხ. ზემოთ).

"Meerrettich" "ბირშუშხა" (ქვ. ზგ. m[r]il tich, საშ. ზგ. merretich): სიტყვის პირველი უ.შ. უკავშირდება "mehr"-ით გადმოცემულ სიტყვას და ნიშანების "მოზრდილ ბოლოკუ" ("größerer Rettich"). მოგვიანებით მცენარის სახელმა მიიღო სხვა ინტერპრეტაცია, კერძოდ: "ბოლოკი, რომელიც ზღვით შემოიტანეს", შდრ. Meer (დუ., 449). სიტყვის ახალი ფორმა ეფუძნება როგორც ფონეტიკურ, ისე ლოგიკურ ასოციაციას.

"Flitterwochen" "თაფლობის თვე" უკავშირდება ზმნას vittern "ჩურჩული, ხითხითი, მოფერება", ასევე: ქვ. ზგ. flitarezzen "პირფერობა ამება (ამებს);" არსებითი სახელი დაუკავშირებს სიტყვა Flitter'-ს "არალირებული, უმნიშვნელო; უბრალო მორთულობა" (დუ., 195).

"Bockbier"-ს "მაგარი, მაღალი ხარისხის ლუდი": სიტყვის პირველ უ.შ. ეტიმოლოგიურად არაფერი არა აქვს საერთო Bock-თან ("მამალი თხა, ბოტი; ცხვარი, ყოჩი"). მე-19 საუკუნეში ბავარიული სიტყვები: Aimbock, Oambock შემოკლდა Bock-ად, შდრ. "Ain-, Eim-, Einbeckisch Bier" (დუ., 90). Einbeck' ქალაქია ქვემო საქსონიაში, ე.ი. "აანბეკური ლუდი".

"Essigmutter" "ნალექი ძმარში, ძმრისდედა": სიტყვის მეორე უ.შ. უნდა იყოს არსებითი სახელი "Moder" (შუაგ., გვ. საშ. ზგ. moder) "ნალექი, თხლე, დურდო" (დუ., 165, 464). სიტყვას მოგვიანებით ხალხური ეტიმოლოგიის გავლენით შეუცვალეს ფორმა და განმარტეს როგორც "Mutter" "დედა". როგორც ნიმუშიდან ჩანს, სიტყვამ ფორმა შეიცვალა მსგავსი უღერადობის სიტყვასთან მიმსგავსებით, მაგრამ, ვფიქრობთ, აქ გვაქვს შინაარსობრივი ასოციაციაც. ღვინოს ხშირად ჩამატებენ ხოლმე ნალექიან ძველ ძმარში, რომ უფრო სწრაფად დამარტებს.

"Hagestolz" "უცოლო, ბერბიჭა" განვითარდა ფორმებიდან: საშ. ზგ. hage-stalt მნიშვნელობით - "Hagbesitzer" "შემოლობილი არაძირითადი მამულის მფლობელი" (ძირითადი მამულის მფლობელის საპირისპიროდ, ე.ი. "დაუქორწინებელი, რომელიც ჯერ არ დასახლებულა") (ლექს., 79), ქვ. ზგ. hagustalt "Hagbesitzer". ისტორიული რთული

სიტყვა შედგება ქვ. ზგ. *hac*, *hages*-სა "შემოლობილი მიწის ნაკვეთი" და *-stalt* გერმ. წარმოშობის ელემენტისაგან ("შდრ. გუთ. *staldan* "ფლობს") (დუ., 263). იმის გამო, რომ მეორე კომპონენტი ენიდან დამოუკიდებელი ხმარებიდან დაიკარგა და შესაბამისად სიტყვა ეტი-მოლოგიურად გაუმჯობელებულე გახდა, განმარტების მიზნით მიამსგავსეს მსგავსი უღერადობის სიტყვას: საშ. ზგ. *stolz* "განუსჯელი, თამამი, ლალი, თავისული; ამაყი". ენობრივი მოვლენა გამოწვეულია ფონეტიკურა ასოციაციით.

ზოგ შემთხვევაში სიტყვის ეტიმოლოგია მეტ-ნაკლებად ბუნდოვანია. მაგალითად, არსებითი სახელის *"Lebkuchen"* "თაფლის ნამცხვარი" (საშ. ზგ. *leb[e]kuoche*) პირველი წევრის წარმოშობა ბუნდოვანია. მკვლევრების ვარაუდით აქ საქმე გვაქვს *Laib*-ის შესაბამისი სიტყვის აბლაუტურ ფორმასთან. ასეთ შემთხვევაში *"Lebkuchen"* აიხნება როგორც *"Brotkuchen"* (დუ., 409]. ვარაუდობენ, რომ ძველი საერთო გერმ. სიტყვა საშ. ზგ. *leip*, ქვ. ზგ. [h]leib, გუთ. *hlaifs*, ქვ. ინგლ. *hl f*, ქვ. ისლ. *hleifr* ალნიშნავდა გაუფუებელ პურს (*ჩმიადი*), მაშინ როდესაც *"Brot"*-ის შესაბამისი ფორმით ალნიშნავდნენ გაფუებულ პურს. გერმანიკული *hlaibā-* ("გაუფუებელი") პური<sup>1</sup>, რომლის უფრო ძველი წარმოშობა ბუნდოვანია, ბევრ ეროვნულ ენაში გავრცელდა (შდრ. სლავ., კერძოდ, რუს. " "). მე-17 საუკუნიდან სიტყვას წერენ *"ai"* დიფორმირებით *Leib*-ის *"სხეული"* საპირისპიროდ (დუ., 401). შმიდტსაც მიაჩნია, რომ სიტყვის პირველი უ.შ. - ელუენტი *"leb"* უკავშირდება არა *Leben*-ს "ცხოვრება", არამედ *Laib*-ს - "პურის" ძველ სახელწოდებას (შმიდტი 1982, 134).

ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენა განსაკუთრებით ხშირია უცხო სიტყვებთან. შმიდტის აზრით (2008, 142), ისინი გაუგებარი და ძნელად დასახსომებელია; მათ ხშირად ამსგავსებენ მსგავსი უღერადობის შმობლიურ სიტყვებთან და მანამდე უცლიან ბეგრით ფორმას, ვიდრე ისინი გასაგები და ამასთან ადგილად წარმოსათქმელი არ გახდება.

მაგალითად, *"Armburst"* - "არბალეტი, კონდახიანი მშვილდი" მოდის საშ. ზგ. *armbrust*-იდან, წარმოიშვა საშ. ლათ. *arbalista* -სა ქვ. პროვანსული (*altprovenzalisch*) *arbalesta*-დან და ხალხური ეტიმოლოგიური გარდასახვის შედეგად *"Arm"*-ად *"შკლავი"* და *"Brust"*-ად *"შეკრდი"*. თვითონ საშ. ლათ. ფორმა მოდის ლათ. *arcuballista*-დან, რომელი სიტყვა შედგება ლათ. *arcus*-ის *"რკალი, მშვილდი"* ("Bogen")

და ლათ. *ballista*-საგან "მანქანა, რომელიც ისვრის" ("Wurfmaschine") (დუ., 45). როგორც ჩანს, სიტყვას მისცეს შინაარსიდან გამომდინარე განმარტება.

სიტყვა *Hängematte* "ჰამაკი" გერმანულ ენაში შეინიშნება მე-17 საუკუნიდან, ნასესხებია იმავე მნიშვნელობის ნიდერ. *hangmat* -იდან (*უფრო ძველი ფორმა: hangmak*). თვითონ ნიდერლანდურ სიტყვას ძველად არაფერი პერნდა საერთო არც ზმასთან *hängen'* (ნიდერ. *hangen*) და არც არსებით სახელთან *'Matte'* (ნიდერ. *mat*). იგი მოდის ფრ. *hamac*, ესპ. *hamaca*-ს გავლით ჰაიტურიდან (ცენტრ. ამერიკა), კერძოდ, [h]amaca-დან "ჰამაკი" (დუ., 268). გაუგებარი უცხო სიტყვა მეორეული მოტივაციით განმარტა როგორც *"hängen"* და "Matte", ე.ი. "უხეში მოქანოვილი ქვეშაგები, რომელიც ჰკიდია".

სიტყვა *"blümern"* — "თავბრუ, თაგბრუდამხვევი, სუსტი, უღონო, მოღუნებული, დაუცლურებული" ("schwindelig, flau") (საუბრ.) ნასესხებია ფრანგულიდან: "*bleu mourant*" - "შკვდრისფერი, ფერმიხდილი, ფერმკრთალი ცისფერი" ("sterbendes (=blasses) Blau"). სიტყვის მნიშვნელობა განვითარდა გამოთქმიდან: "*blümern vor den Augen*" - "თვალების დაბრულება, თაგბრუ, თაგბრუდახვევა" (დუ., 89). "*bleu mourant*" იყო რა გაუგებარი ენის მატარებლისათვის, მას შეუცალეს ფორმა მსგავსი უღერადობის სიტყვასთან მიმსგავსებით (შდრ. "Blume" - "ყვავილი"). აქ ფონეტიკურთან ერთად მაინც არის შინაარსობრივი, ლოგიკური ასოციაცია, რადგან არეული, ბუნდოვანი ფერები ყვავილებთან ასოცირდება!

ანალიზიდან ჩანს, რომ ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენა სიტყვის დემოტივაციის შემდგომი პროცესია, მაგრამ არა სავალდებულო (დემოტივირებული ლექსემების ჩამოყალიბების პროცესის შესახებ იხ. მახვილაძე, 2008). ჩვენ შემოვიტანეთ ისტორიული ფსევდომორფების ცნება. ე.ი. ფსევდომორფებიმა, რომელმაც მოგვიანებით ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენის ზემოქმედებით განიცადა ფორმობრივი და/ან შინაარსობრივი სახეცვლილება, მიგვაჩნია განვიხილოთ როგორც ისტორიული ფსევდომორფები, მაგ.: *vrít* საშ. ზგ. ფორმაში: *vrít-hof* (იქვე, 155).

<sup>1</sup> ამ პროცესზე ჸ. გლუკი ლაპარაკობს როგორც "მორფების საზღვრების გადწევაზე" ("Morphengrenzenverschiebung") და შესაბამისად მისი მორფოლოგიური სტრუქტურის დაშლისა და ახალი მორფების შედგენაზე (H.Gluck, წიგნში: მლშ., 1993, 388, "Metanalyse")

დასკვნისათვის ვიტყვით, რომ ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენა გამოწვეულია სემინტიკურად გაუმჭვირვალე ისტორიული რთული ან ნაწარმოები სიტყვის, ან ენაში სხვა ენიდან შემოსული გაუგებარი სიტყვის განმარტების სურვილით და/ან საჭიროებით. გაბუნდოვნებული ელემენტების გაჩენა კი, თავის მხრივ, უკავშირდება ძირითადად ენიდან დამოუკიდებელი ხმარებიდან სიტყვების გაქრობას და შესაბამისი დაკავშირებული ელემენტის ლექსიკური მნიშვნელობის დაკარგას, ასევე ისტორიული რთული სიტყვის კომპონენტის ფონეტიკური ფორმის შეცვლას და ლექსიკური მნიშვნელობის გაბუნდოვნებას. ენის განვითარების რომელიმე ეტაპზე კი ასეთ სიტყვებში გაუგებარი წევრები სხვაგვარად ახსნეს. სიტყვას მისცეს ხელახლი ინტერპრეტაცია. როგორც თ. შიბანი აღნიშნავს, ენის მატარებელი ცდილობს "ეტიმოლოგიურად გაუმჭვირვალე ან უკვე აღარ გამჭვირვალე სიტყვები თავის სიტყვათა მარაგში ჩართოს" [...] და "ჟლერადობით და - როგორც მას მიაჩნია - აზრობრივად მსგავს ლექსიტებს დაუკავშიროს" (შიბანი 2002, 44). როგორც დაგინახეთ, ხშირ შემთხვევაში ასეთი განმარტებები და ვარაუდები არ არის შესაბამისი. ეტიმოლოგიური კვლევის მიზანია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საშუალებით გარკვეულწილად გამოკვეთოს სიტყვის ისტორიული გზა ენის განვითარების პროცესში და, შესაბამისად, მისცეს მას მეცნიერული კვალიფიკაცია.

### **შემოკლებათა განმარტებანი:**

ადრ. ახ. გ. — ადრეული ახალი გერმანული

გერმ. — გერმანიკული

გვ. საშ. ზგ. — გვიანდელი საშუალი ზემოგერმანული

გუთ. — გუთური

ესპ. — ესპანური

ლათ. — ლათინური

საერთო-გერმ. — საერთო-გერმანიკული

საშ. ზგ. — საშუალი ზემოგერმანული

საშ. ლათ. — საშუალი ლათინური

ფრ. — ფრანგული

შუაგ. — შუაგერმანული

ქვ. ზვ. — ქველი ზემოგერმანული  
ქვ. ინგლ. — ქველი ინგლისური  
ქვ. ისლ. — ქველი ისლანდიური

ლიტერატურა

**დუ., 1989** — Duden (1989): Das Herkunftswörterbuch. Etymologie der deutschen Sprache. 2., völlig neu bearb. und erweiterte Auflage von Günther Drosdowski. B.7. Dudenverlag. Mannheim, Leipzig, Wien, Zürich.

**ისკოსი ლენკოვა, 1963** — Iskos, A., Lenkowa, A. (1963): Deutsche Lexikologie. 2. Auflage. Leningrad.

**კლ., 1989** — Kluge, Fr. (1989): Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache. 22. Auflage unter Mithilfe von M. Bürgisser und B. Gregor völlig neu bearb. von E. Seebold. Berlin, New York.

**ლექ., 1992** — Lexer, M. (1992): Mittelhochdeutsches Taschenwörterbuch. Mit den Nachträgen von Ulrich Pretzel. 38., unveränd. Auflage. S. Hirzel Verlag. Stuttgart.

**მახვილაძე, 2008** — მახვილაძე, ლ. (2008): დემოტივირებული ლექსიმების ჩამოყალიბების პროცესი გერმანულ ენაში (დემოტივაცია, ხალხური ეტიმოლოგია, იდიომატიზაცია). არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საენათმეცნიერო ძიებანი, XXVII (ISSN 1987-6653), თბ., გვ. 148-159.

**მლშ., 1993** — Metzler Lexikon Sprache (1993): Hrsg. von Helmut Glück. Verlag J.B. Metzler. Stuttgart, Weimar.

**ოლშანსკი, 2004** — Olschansky, H. (2004): Täuschende Wörter. Kleines Lexikon der Volksetymologien. Philipp Reclam, Stuttgart

**ბოლენცი, 1980** — Polenz, P. von (1980): Wortbildung. In: Althaus, Hans Peter/Henne, Helmut/Wiegand, Herbert Ernst (Hg.): Lexikon der Germanistischen Linguistik. 2., vollst. neu bearb. u. erweit. Auflage. Max Niemeyer Verlag. Tübingen, S. 169-180.

**ფლაიშერი ბარცი, 2007** — Fleischer, W./Barz, I. (1995): Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. Unter Mitarbeit von M. Schröder. 3., durchges. und erg. Aufl., Tübingen

**შიბანი, 2002** — Schippan, Th. (2002): Lexikologie der deutschen Gegenwartssprache. Max Niemeyer Verlag, Tübingen.

**შეიდტი, 2008** — Schmidt, W. (2008): Deutsche Sprachkunde. 8. Auflage. IFB Verlag. Paderborn.

**შუტც., 1995** — Schütz. = Schützeichel, R. (1995): Althochdeutsches Wörterbuch. 5., überarbeitete und erweiterte Auflage. Max Niemeyer Verlag. Tübingen.

**ჟენცენი, 1965** — Henzen, W. (1965): Deutsche Wortbildung. 3, durchges. u. ergänzte Aufl. Tübingen.

**ჰირტი, 1921** — Hirt, H. (1921): Etymologie der neuhochdeutschen Sprache. Darstellung des deutschen Wortschatzes in seiner geschichtlichen Entwicklung. 2., verbesserte und vermehrte Auflage. München.

LELA MAKHVILADZE

### Folk Etymology – A Specific Phenomenon of Language Change

#### Summary

The paper examines some instances of folk etymology on material from German. By means of the etymological analysis the changes in the inner form of certain words caused by popular etymology have been revealed. Special emphasis has been placed upon the interrelation between the processes of demotivation and folk etymology. Throughout the historical development of German some semantically non-transparent lexical units underwent formal and /or semantic changes. They were reshaped to resemble other forms or sequence of forms already in the language. As a result, the lexical units in question were reshaped as well as re-interpreted. The paper examines different instances of folk etymology caused by phonetic resemblance or logical associations. In the case of compounds either one or both of the constituents are re-motivated.

არმაზ გელაძე

მთარგმნელისა და თარგმნის პოზიცია ახსნისა და გაგების  
კლასიკური ალტერნატივის შრიღვი

თარგმანის აუცილებლობა და მისი არსებობა განაპირობა ოდით-განვე კულტურათა გაცნობის, შეხვედრისა და დაახლოების ფაქტო-ტებმა; აქედან გამომდინარე, თარგმანის ოლოი არის ის რომ არსებობდეს გაგებინების შესაძლებლობა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე და სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანთა შორის. თარგმანი ვიწრო გაგებით შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ენობრივი ქმედება — პროცესი, სადაც მთარგმნელი, რომელიც, ჩემი აზრით, ისევე როგორც ადრესატები, ტექსტის მიმღებთა და აღმქმელთა წრეს ეკუთვნის. ჩემთვის გაუგებარია ზოგიერთი ენათმეცნიერის დასაბუთება, რომელთა აზრითაც მთარგმნელს ბევრი რამ საერთო არ გააჩნია ამოსავალი ანუ სათარგმნელი ტექსტის აღრესატებთან. ჩემი აზრით, მთარგმნელი რეციპიენტია, რომელიც იგებს შეტყობინებას და „ისაკუთრებს“ მას, რათა შემდგომ სხვას გადააწოდოს. ამოსავალი ტექსტი ამით იღებს მნიშვნელობას, რომელსაც გაგების პროცესში იკვლევს მკითხველი, ამ შემთხვევაში მთარგმნელი.

დღეისათვის ჰერმენევტიკაში უკვე არსებობს კლასიკური ოეორია გაგებისა, რომელიც თეოლოგიურ, იურიდიულ და ფილოლოგიურ განმარტებებში მეთოდურად ხშირად გამოიყენება. შლაიერმახერის ე.წ. „ფსიქოლოგიურ“ გაგებასთან დამოკიდებულებასა და ვილჰელმ დილტის „ისტორიულ“ გაგებასთან დაკავშირებით, რომლებიც იკვლევდნენ ტექსტის მნიშვნელობას, ობიექტურად არის წარმოდგენილი ტექსტის აზრი-მნიშვნელობა, თანამედროვე ჰერმენევტიკაში კი გადამერთან, ჰაბერმასა და ლიკორთან ტექსტის გაგება სხვა ნიუანსს იძენს. განვითარდა ისტორიულ-საზოგადოებრივი პროცესი, რომელიც უკავშირდება ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ გაგებინებას და რომელიც ორიენტირებულია ისეთი საკითხების განხილვაზე, როგორც

რიცაა კულტურულ-სპეციფიკური საკითხები, კონვენციები, ტრადიციები და ა.შ.

თანამედროვე ჰერმენევტიკაში გაგების ცნება გულისხმობს არა მარტო ენას, როგორც მედიუმს ყოველი გაგება-გაგებინების პროცესისას, არამედ გაგებულის ინდივიდუალურ გადამუშავება-გამოყენებას. გამომდინარე აქედან, ტექსტის გაგება არის უწყვეტი ისტორიული პროცესი პროპაზიციულ გაგებასთან მიმართებით ისეთ ლინგვისტურ კატეგორიებთან, როგორიცაა თემატიკა, სემანტიკა და ლექსიკა.

ამასთან, თანამედროვე ჰერმენევტიკაში გაგების უმაღლეს საფეხურს ანაგოგს (anagoge) უწოდებენ. გამომდინარე იქნან, რომ რელიგიურ კ.წ. წმიდა ტექსტებში გამოყენებული სიტყვები არ არიან პირდაპირი მნიშვნელობით წარმოდგენილი, მათი გაგება შესაძლებელია მხოლოდ ცნობიერებით, რომელშიც ასახულია „სულიშმიდა“ და მხოლოდ მისი საშუალებით აგრძელებს არსებობას. ჩვეულებრივი გაგებისაგან განსხვავებით, ანაგოგი, როგორც გაგება წმიდა სიტყვებისა, წარმოადგენს ისტორიული და ლიტერატურული აზრის განმარტებას. ანაგოგური მნიშვნელობა სულიერი, სპირიტული მნიშვნელობაა.

კულტურის ანალიტიკოსები გამოთქვამენ მზადყოფნას, შეეხონ ისეთ საკითხებს, როგორიცაა პრაქტიკული კონტრაქტის ფორმები განსხვავებული კულტურის წარმომადგენელთა შორის, როგორც თარგმნის პრაქტიკის ერთ-ერთი სახე.

არსებობს საკმარისი მტკიცებულებები იმისა, რომ კულტურული ეგოცენტრიზმი საკმაოდ გაგრცობილი და გაფართოებულია, რომელიც მხოლოდ უცხოელებს უქმნის გაგებინების სირთულეებს სხვადასხვა შემთხვევის დროს. სხვა მხრივ საპირისპირო კულტურული ზეგავლენის მომხდენი ინტერპრეტაციები გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა კულტურის ექსპლიციტური გაგებიდან გამომდინარე, საერთო მჭიდრო პრაქტიკას შეუძლია გამოიწვიოს სხვა კულტურის ტრანსფორმირება.

ყოველი შემთხვევისათვის, თარგმნის ცნება აიხსნება ლიტერატურული თარგმნის კონცეფციის მჭიდრო ჩარჩოდან გამომდინარე და უპირველეს ყოვლისა, უნდა გათავისუფლდეს ერთი ენის სხვა ენაზე მხოლოდ ლოგიკური ეკვივალენტის მნიშვნელობის გადატანის წარმოდგენისგან.

ეს ეხება იმას, რომ ზუსტად უნდა გადამოწმდეს, გადალახავს თუ არა თარგმნის ცნება შესაძლო პარადიგმის კლასიკური ალტერნატივის ბარიერს ახსნასა და გაგებას შორის. ექვემდებარებულია იყოს ნაყოფიერი და ამავდროულად სარისკოც. ნაყოფიერება უდავოდ მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეწყოს კულტურულ შედარებითი ოპერაციების შემეცნებით თეორიულ და მეთოდოლოგიურ დასაბუთებას, ასევე ინტერპრეტაციას უცხო კულტურულ კონტექსტში. თუმცა ჩისკი არის იმაში, რომ ნაჩეარევმა და ანალიზურად არასაკმარისად დამტკიცებულმა თარგმნის ცნების გაფართოებამ შეიძლება გამოიწვიოს სემანტიკური შედეგების მნიშვნელობის გაუფერულება.

ჰერმენევტიკულ გაგებაზე ხშირად დიდ გავლენას ახდენს გაგებინების ობიექტის (ანუ ის, ვინც იგებს) სუბიექტურობა. იშვიათად, რომ ჰერმენევტიკული მეთოდები იყოს ობიექტურნი. რაც უფრო ემოციური და რაციონალური/გათვიცნობიერებულია გაგებინების ობიექტი (ე. ი. რაც უფრო ინდივიდუალურია ის), მით უფრო უკეთესად ფუნქციონირებს თარგმნის მეთოდები და მით უფრო საბასუსმებლოა მთარგმნელისათვის თარგმნა.

ლიტერატურულ თარგმანთან მიმართებით, ვიწრო გაგებით, დიდი ხანია აღარ არის საიდუმლო, რომ თარგმნა ბევრ შემთხვევაში მეტ-ნაკლები ინტენსიურობით აღიმება როგორც ახალი „მხატვრული ნაწარმოები“ და არა როგორც უბრალოდ რაიმეს გადატანა ერთი ენიდან მეორე — მიზნობრივ ენაზე. მაგრამ რეკონსტრუქცია ნაკლებად სრულყოფილი თარგმნისა შორდება წარმომადგენას, რომ სხვადასხვა ენა, როგორც ნეიტრალური მედიუმი, სრულყოფილი მსგავსების პრეზენტირებას ახდენენ. აქედან გამომდინარე, შინაარსის გამოხატვის საშუალებათა ეკვივალენტები სხვადასხვა ენაში მრავალფეროვანია და ეს უკვე განპირობებულია, როგორც თვით ენის ბუნებით, ასევე საერთაშორისო კონვენციებითა და მთარგმნელთა პრაქტიკული გამოცდილებით.

შეიძლება ითქვას, რომ გაგება შეუცნობადი პროცესია და რომ საკომუნიკაციო პარტნიორმა ყოველთვის შეგნებულად უნდა მოახდინოს შესაბამისი ტექსტის ინტერპრეტირება. მთარგმნელი გაგების პროცესის დროს ყურადღებას ამახვილებს ამ მაღალ ავტორმატიზე-

ბულ ხარისხზე. ავტომატიზიბაში იგულისხმება წინაპირობა ჩვეული ქმედებისადმი, რაც ქმნის მთარგმნელობითი საქმიანობის დიდ ნაწილს, მეორე მხრივ, ჩვენს ყოველდღიურობაში არსებობს მზა სიტუაციები, რომელიც ჩვენ საკუთარ თავს ვუსვამთ შეკითხვას, თუ რას ნიშნავდა ესა თუ ის გამონათქვამი ან ზოგჯერ საქმე გვაქვს სერიოზულ გაუგებრობასთან. მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელი სიტუაციას ადეკვატურად აღიქვამს, ზოგჯერ ის მაინც აწყდება სირთულებს, რადგან ხდება ხოლმე, რომ ტექსტის რაღაც ნაწილი არაერთმნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი. ეს ხდება იმ დროს, როცა ტექსტის ზედაპირული გადახედვის დროს მთარგმნელს ის აბსოლუტურად გასაგებად ეჩვენება. შემდეგ, როცა საქმე თარგმანიდან აღწევს, ის აფიქსირებს, რომ აქ საქმე აქვს პოლისებიურობასთან და მის მიერ პირველად დაწერილი ეკვივალენტი კონტექსტიდან გამომდინარე ბუნდოვანი და გაუგებარია. გაგების პროცესი ასეთი სიტუაციის დროს ცნობიერებისაც კენ იღებს გეზს, რადგანაც თარგმნის პროცესში მთარგმნელი იძულებულია სწორ გაგებაზე დაყრდნობით და შესაბამისად, გამართული თარგმნის საშუალებით მოახდინოს ყოველივე ამის იმპლიციტური ინტერპრეტაცია.

ენისა და მნიშვნელობის ანალიზური თეორია ადასტურებს ფილოსოფიურ ჰერმენევტიკის იმ თეზისს, რომ გაგება ენობრივი წარმოდგენისა არის განმარტება საყოველთაოდ მიღებული ინტერპრეტაციისა, რომლისთვისაც წინარე სტრუქტურა ინტერპრეტაციისა ძირითად პირობას წარმოადგენს, რომელიც მნიშვნელობის ნეიტრალურ რეპრეზენტაციას გამორიცხავს. ეს წინასტრუქტურა გაზლავთ ჟულტურა, რომელშიც იგულისხმება პრაქტიკული კონვენციების ერთიანობა და რომელიც აკავშირებენ ჟულტურული ცხოვრების ფორმებს.

პრაგმატული ცოდნა — გამოცდილების ანალიზისას მთარგმნელმა უნდა განსაზღვროს უფრო შეტი ფუნქციურად ადეკვატური თარგმანის სახეები კულტურათა შორის განზომილებაში. ეს კი იქნება პატარა გადადგმული ნაბიჭი პრაგმატული ინტერკულტურული გაგების ანალიზისკენ.

თუ ინტერკულტურული გაგება კრეატიული თარგმნის მნიშვნელობით უნდა გაიგებოდეს, მაშინ შესაძლებელია კულტურათა შორის გაგებინების პროცესი ორივე მხარის, როგორც რეციპროკული გან-

სხვავების, ასევე გაფართოების პროცესად აღიქმებოდეს. „დომინირების“ ასიმეტრიის ჰორიზონტთან ახლოს დგას სავარაუდო გაგებინება, რომელიც გაიგება როგორც შედეგი ცალმხრივი ასიმილაციური აუკილებლობისა. ყოველივე ამის შემდეგ, მეთოდური ახსნა და გაგება აღიწერება როგორც კურსი ზოგადი ეპისტემოლოგიური (კლასიკური ლოგიკიდან გამომდინარე დამოკიდებულება ცოდნასა და რწმენას შორის) კონტექსტუალიზმისა, ისევე როგორც სპეციალურ თარგმაზე ორიენტირებული კრიტიკა და როგორც განსაკუთრებული კულტურული პრაქტიკა.

სოციალური და კულტურულ-მეცნიერული მეთოდები დიდი ხანია ახსნისა და გაგების მცდარი აღტერნატივის ფონზე განიხილება.

თომას ქუნი თავისი მეცნიერულ-ისტორიული ანალიზის დახმარებით ცდილობდა თეორიული ნიმუშების საფუძველზე ვაეზომა ან გარე მასტებაზე: თვით ბუნება, რომელიც ადეკვატურად წარმოდგენილი იქნებოდა, ან კიდევ შიდა მასტებაზე: Plausibilität (დამარტიმუნებელი, თავისთავადი, მისაღები) — ის ექსპლიციტური და რაციონალური კრიტერიუმები თეორიულ სისტემასთან და არადამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში, რომელიც სხვა მისაწვდომი და გასაგები ასპექტით შეიცვლებოდა. მეცნიერულ ცოდნასთან კვლავ ძალაში ჩეჩება სოციალური გაგება უცხო კულტურებისა, რომელიც წარმოგვიდგენს ახსნის, პირობების და სხვა მნიშვნელოვანი მომენტების თარგმნის პარადიგმას.

ანალიზთა მრავალფეროვნებას ყოველთვის მოჰყვება განსხვებული შედეგები, რომელიც გამოიყენება რადგან მეცნიერული კრიტიკის წინაპირობად. ხოლო კრიტიკული ასპექტი ყურადღებას ამავილებს კულტურათა შორის უთარგმნელობის ფენომენსა და სხვა სოციალურ ენობრივ კომბინაციებზე, რომლებსაც ასევე საფუძლად „Inkommensurabilität“-ი (უთარგმნელობა) უდევს. ეს შეიძლება იყოს საუბარი ან კიდევ ენობრივი მსოფლმხედველობა კულტურული ცხოვრების ფორმებისა, რომლებიც ჩაკეტილი და ექსპლიციტურია, ანუ ექსტენსიურად და ინტენსიურად გაუგებარია. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება თარგმნის ოპერაციას — უცხო ენობრივი გამონათვამების სამიზნე ენაში შესაბამისი გამოხატულებებით ასახვას. ეს ყველაფერი კი ხდება უმეტესწილად დაძაბულობისა და წინააღმდე-

გობების ფონზე გამონათქვამის ადეკვატურად გამოხატვასა და მეტა-ფორულად ახლად თხზვას შორის, რომლებიც ღინამიკურად უნდა იქნეს გადატანილი და გამოყენებული სამიზნე ენაში.

პარადიგმის ცნება ხსნის რაციონალური და მეცნიერული დისკურსის პრაგმატულ ჩართვა-ჩაქსოვის პერსპექტივას ისე, რომ კონტექსტუალური რელატივიზმი მის დასასრულს არ წარმოადგენს. მეცნიერების მოქმედებაზე ორიენტირებული რაციონალური დისკურსის ინტერკულტურული რაციონალური ახსნის პარადიგმა ემყარება „ექსპლანანდუმისა“ და „ექსპლანანსისა“ გაგებას, ისევე როგორც ცალკეულ შემთხვევებში — კომპეტენცია და მნიშვნელობა. ეს გაგება წინ უძლვის შიდა ანუ ენობრივი კულტურულ ჰორიზონტს. უცხო კულტურის გაგება შეიძლება აღვიჩვათ, როგორც თარგმა ამ კულტურათა ენობრივი და არაენობრივი პრაქტიკისა და ტრადიციებისა.

საბოლოოდ ირკვევა, რომ თარგმნის პრაგმატიკის მნიშვნელობა ახსნისა და გაგების ერთობლივ კომბინაციაში აყენებს პრეტენზიას სოციალურ-კულტურულ მეცნიერებათა პარამეტრების შეცნობასთან დაკავშირებით, რაც საკმაოდ შეზღუდულია და რისი აღიარებაც არ ხდება.

ამ თვალსაზრისით, არცთუ ისე იშვიითადაა წარმოდგენილი ურთიერთობა სოციალური და კულტურული მეცნიერებებისა თავიანთ ობიექტებთან მიმართებით, ისევე, როგორც არ ფასდება კომუნიკაციური ურთიერთობა თანაბარი უფლების მქონე დიალოგის პარტნიორთა შორის. მაშინ იქნებოდა თარგმნის პრაგმატიკა პარადიგმა, რომ აღტერნატივა ახსნასა და გაგებას შორის და მოჩვენებითი სხვაობა ცოდნასა და შეცნობას შორის დაიძლეოდეს.

უფრო სასარგებლო იქნებოდა თარგმნის ოთხ ფორმას შორის განსხავები დეტალურად რომ გამოეკვლიათ:

1) პირველი ფორმა იქნებოდა თარჯიმნობა (Dolmetschen) კომპეტენტურ ორენვან პერსონასთან ორ ენას შორის გაცვლასა და ადეკვატური აღტერნატიული გამოხატვის ძებნასთან მიმართებით.

2) სხვა ასევექტებია ძირითადი, ყოველდღიური თარგმნის მსგავსი განმარტებითი და აპლიკაციური შტრიხები ერთი ენისა და პრაქტიკული კონტექსტის ჩარჩოებში, რომელთა მიმართებაშიც განზოგადებული ტიპები და წესები შესაბამისი სიტუაციიდან გამომდინარე

„ითარგმნება“.

3) მათ შორის განსხვავებენ უცხო კულტურული სამყაროს პრაქტიკულ ახსნასა და პრაქტიკულ ფორმებს ნაწილობრივი შეთანხმების მეშვეობით, რაზეც დიდადა დამოკიდებული თარგმანის საბოლოო, სრულყოფილი სახე.

4) მეთოდური თარგმნის განსხვავებული ხასიათი განპირობებულია იმით, რომ ის არა მარტო უცხო კულტურულ სამყაროსა და პრაქტიკას ხსნის, არამედ უპირველესად ენის გადასვლას ეხება პრაგმატული განზომილებიდან მეცნიერულ, არგუმენტირებულ, თეორიულ და შედარებითი კომუნიკაციის ჭრილში.

#### ლიტერატურა

**ბუსმანი, 2002** — Bußmann, Hadumod „Lexikon der Sprachwissenschaft“ Stuttgart, 2002.

**თომე; გისლი, 2002** — Thome, Gisela; Giehl, Claudia: „Kultur und Übersetzung.“ Tübingen, 2002.

**კოლლერი, 1992** — Koller, Werner: „Einführung in die Übersetzungswissenschaft“. Heidelberg, 1992.

**მუნცერები, 2003** — Münzberg, Franziske: „Die Darstellungsfunktion der Übersetzung.“ Frankfurt am Mein, 2003

**რიტელმაიერი ბარჟენტირი, 2001** — Rittelmeyer/Parmentier „Einführung in die pädagogische hermeneutik“ 2001.

**საყვარელიძე, 2001** — ნ. საყვარელიძე, „თარგმნის თეორიის საკითხები“, თბ., 2001.

**ფანჯიკიძე, 1999** — დ. ფანჯიკიძე, „ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები“, თბ., 1999.

**შტოლცე, 1999** — Stolze, Radegudis: Die Fachübersetzung. Eine Einführung. Tübingen, 1999.

**ჰანსენი, 1995** — Hansen, Gyde: „Einführung in das Übersetzen,“ Copenhagen, 1995.

**ჰოსინგი; ჟუსმაული, 1982** — Hösing G. Hans / Paul Kußmaul (1982): ~Strategie der Üb. Ein Lehr – und Arbeitsbuch.~ Tübingen.

ARMAZ MELADZE

**The Position of the Translator and Translating from the Standpoint of  
the Classical Alternatives of Comprehension and Explanation**

**Summary**

The paper is devoted to the phenomenon of translation as a means of comprehension between the representatives of different cultures. The notions of comprehension and explanation are examined in reference to the process of translating. The paper also focuses on some difficulties that hinder the adequate perception of an original text.

არაზ გელაშვილი

გამოცემისა და ახსნის ძლასიძური ღიმენზია თარგმნისა და  
უთარებელობის ფენომენის მიზარებით

ლინგვისტიკის კომპეტენციის საზღვრები იძლევა საშუალებას  
წინ წამოვჭიოთ რიგი საკითხებისა, რომლებიც ეწინააღმდეგება თარ-  
გნის შესაძლებლობას. მთელი სიმრავლე არგუმენტებისა შეიძლება  
შემცირდეს სამ ძირითად ტიპამდე:

- 1) შეუძლებლობა მნიშვნელობის პირდაპირი გათავისება-  
აღჭმისა; ანუ შეუძლებლობა შიდა სუბიექტური-ობიექ-  
ტური სხვაობრივი კრიტერიუმებისა, რომლებიც მნიშ-  
ვნელობის განსაზღვრას გულისხმობს.
- 2) ფუნდამენტური სხვაობა ცალკეული ენის სემანტიკური  
სტრუქტურებისა

და აქედან გამომდინარე, შეუძლებლობა ზუსტი შინაარსობრივი  
ეკვივალენტის არსებობისა ორ ენას შორის.

სიტყვა ზუსტად არ შეესაბამება სხვა სიტყვას სხვა ენაზე. ფრან-  
გული დრო (tempus) არ შეესაბამება გერმანულს, გერმანული სუფიქ-  
სი, მაგალითად, *ung* არ აისახება ყოველთვის ფრანგულში შესაბამისი  
სუფაქსით და ა.შ.

- 3) კულტურული გარემოს სხვადასხვაობა, რომლის ფარ-  
გლებშიც შესაბამისი  
ენები წარმოადგენენ საკომუნიკაციო საშუალებას.  
როგორ უნდა ვთარგმნო, მაგალითად „Ich habe meine Augen auf zu  
den Bergen, von welchen mir Hilfe kommt“ — (ჩემი თვალები მიმართულია  
მთებისკენ, საიდანაც ველოდები დახმარებას), მაშინ, როცა იუკატანის  
(Yucatan) ნახევარკუნძულზე მცხოვრები ინდიელებისაგან მთები ასეული  
კილომეტრითაა დაშორებული. ამას ჩვენ ძივუართ იმ სამ თეზისამდე,  
რომლებიც თარგმნის შესაძლებლობას გაძორიცხავენ.
- პირველი თეზისი არგუმენტირებულია ჩვენთვის ცნობილი ცნებე-  
ბის მიერ:

ბიჰევიორიზმის (Behaviorismus), ანტიმენტალიზმისა (Antimentalismus) და დესკრიპტივიზმის მიერ (Deskriptivismus), რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ფსიქოლოგიისა და ენათმეცნიერების განვითარების ისტორიაში.

ენობრივი მნიშვნელობები ძირითადად წარმოდგენილია ცნობიერების ფორმით. ვისაც სურს ჩასწევდეს, გაიგოს მნიშვნელობა, ინტუიცია ან რაღაც მსგავსი, მაშინ მან უნდა ჩაიხედოს საკუთარ თავში, მაგრამ ეს არ ეხება მნიშვნელობის ფენომენის უარყოფას, არამედ მარტოლდე მეთოდოლოგიურ ასკეტიზმს: მნიშვნელობებს შეუძლიათ, ადამიანში წარმოიშვნენ, როგორც ინდივიდუალური ცნობიერების ადეკვატური შინაარსი და არა, როგორც მეცნიერული კვლევის საგანი.

საინტერესო ვითარებაა ახალ გერმანულ სათარგმნელ სიტყვებში, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ გაიგება როგორც ბიჰევიორიზმული, არამედ როგორც მცდელობა გავების პრობლემისა, რომელიც შეიცავს „ქცევის“ პრობლემასაც. მაგალითად: ვინემ საფუძვლიანად წაიკითხა და კომენტარები გაუკეთა რელიგიის გაკვეთილზე ათ ცნებას, რომლებიც მას ხელს არ უშლის ილანძლოს, თავის ახლობლებს, მშობლებს ცუდად მოექცეს, კიდევ ერთხელ ვინმე გამოასალმოს სიცოცხლეს, იმრეულს და ა.შ. იმიტომ რომ მას აქვს ამის ძლიერი სურვილი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენმა „ენერგიულმა“ ბიბლიის მკითხველმა ტექსტი ვერ გაიგო!?

ჩემის აზრით, აქ პრიბლემა დგას გავების პრიორიტეტისა ქვევასთან მიმართებით და არა პირიქით.

შემდეგი მაგალითი მიგვითითებს პრობლემაზე, რომელსაც ყოველთვის ყურადღებით უნდა მოვყიდოთ. „მნიშვნელობა“ თუ „აზრი“ ტექსტისა — ასე შეიძლება ითვას, — წარმოიქმნება ცნობიერებაში, რომლის ტექსტიც უნდა იქნეს აღქმული. ეს ეხება ხედვას, რომელიც ერთი შეხედვით საშიში და შეცდომაში შემყვანი არგუმენტია. მომდევნო ცატირებული გოეთეს ლექსი გვაძლევს სამუალებას განვითლოთ ზემოაღნიშნული პრობლემატიკა. ეს ეხება ბოლო ორ პწყარს ცნობილი ლექსისას *Wandrers Nachtlied*.

გოეთემ ეს ლექსი 1780 წლის 6 სექტემბერს 30 წლის ასაქში, ერთი დაძაბული დღის შემდეგ, თიურინგერის ტყეში მონადირეთა ქოხში რაფაზე-ფიცარნაკზე დაწერა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ორი პწყარი იმბლიციტურად შეიცავს იმ პირობების ან კიდევ სიტუაციის აღწერას, რა პირობებშიც ეს ლექსი დაიწერა. ეს არის გამოხა-

ტულება უპირველეს ყოვლისა იმისა, რომ ბუნებაში ყველაფერი ერთმანეთთან მიზეზშედევობრივადა დაკავშირებული, ანუ ერთი რაღაც განაპირობებს მეორეს, და ამავე დროს გამომდინარეობს მისგან. ზუსტად ეს დიდი ფილოსოფიურ-ფილოლოგიური მომენტია დაჭერილი და მოაზრებული ამ ლექსში. ჩემი აზრით, შეიძლება ვისაუბროთ კმაყოფილებისა და მშვიდი ღრმა ძილის მოლოდინზე გადატანითი მნიშვნელობით. „აზრი“, „მნიშვნელობა“ ამ ორი პწყარისა შეიძლება იყოს ის, რომ ავტორს ეს ყველაფერი სიტუაციაშ უკარნახა. ვიცით, რომ 51 წლის შემდეგ, როცა გოეთე ღრმად მოხუცებული ავიდა თიურინგენის ტყეში, მონადირეთა ქოხში იმავე ფიცარნაკზე წაიკითხა თავისი ლექსი და განსაკუთრებით ბოლო ორ პწყარს „Warte nur balde, / ruhest du auch.“ („მოიცა ცოტა დასცხრები შენაც“ (თარგ. კონსტანტინე გამსახურდიასი) ან კიდევ „სიმშვიდის განცდა გადმოვა შენშიც, ოლონდ მოიცა, სულ ერთი წამი“ (თარგ. ზურაბ არჩაგაძისა) ჩაუღრმავდა. ამ დროს ის უკვე საკმაოდ ხანში შესული იყო და ტექსტი ამ ხელახლი წაკითხვისას სულ სხვანაირად „დაღლილმა და კმაყოფილმა“ აღიქვა და არა ისე, როცა მას ის 30 წლის ასაქში ქოხში თავის საწოლთან ფიცარზე მიაწერა. ასე რომ, საკუთარი ტექსტიც კი ცხოვრების ახალ ეტაპზე მეტ-ნაკლებად განსხვავებულ და ახალ შინაარსობრივ ან კიდევ ემოციურ დატვირთვას იძენს. მაგრამ ამ ყველაფერს ავტორი მაინც ცხოვრების ყველა ეტაპზე მიზანშედევებრივ საქმეტრში ხედავს.

გაგებისა და ახსნის პარამეტრშია მოქცეული ის საკითხიც, თუ მოცემული ორი ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე რომლის აქცეპტირება უნდა გავაკეთოთ. მაგალითად: „Abendfriese auf Erwartung des erfrischenden Schlafes“ თუ „Todesahnung“, (ორვე ქართულად სიკვდილის წინათერმნობას ნიშანას), ერთ-ერთს ავირჩევთ, თუ რომე ახალს შევიმუშავებთ? არა, ამ შემთხვევაში უკვე გაუგებრობასთან გვექნება საქმე. ასე რომ, შეუძლებელია თარგმნის დროს ასხო კონკრეტული ან თუნდაც უნიკალური აქტი გაეგებისა. თარგმნა უმეტეს წილად ახალი ტექსტის შეთხვებას ნიშანას და ეს ახალი ტექსტი შეიძლება მკითხველის მიერ სრულიად განსხვავებულად იქნეს გაეგებული, თუ მას შესაბამისი გარე პირობები შეუწყობს ხელს, ანუ, თუ ტექსტში ჩაერთვება მთარგმნელის წარმოდგენები. ტექსტები — ბანალურად რომ ვთქვათ — საკომუნიკაციო თვალსაზრისით არასდროს არ არიან ნათლად წარმოდგენილნი, პირიქით, თითქმის ბუნდოვნად

გვეჩვენებიან. სხვადასხვა გარემოება თანამედროვე პერმენევტიკის მიხედვით აკონკრეტებს როგორც მთარგმნელის „გაგების ჰორიზონტს“, ასევე იმ გაგებინების საშუალება-სიგნალებს, რომლებსაც მთარგმნელი ტექსტში იყენებს. ასეთ შემთხვევებში მთარგმნელმა უნდა თარგმნოს ის, რაც ტექსტშია მოცემული, და არ უნდა გაუკეთოს აქცენტი იმას, რა კუთხითაც მან ტექსტის აზრი გაიგო. ეს ცოტათი მიამიტურად უღერს, მაგრამ ამავდროულად სერიოზულია. ეს არის პირდაპირი დახასიათება ენისა, რომ ენა იძლევა ძრითადი ასექტების (იმისა, რაც ტექსტში უნდა იყოს ნაგულისხმევი) საკუთარ ენაზე გადმოტანის საშუალებას. ეს ხდება მაშინაც კი, როცა არა ხარ დარწმუნებული, ჩასწვდი თუ არა ტექსტის არსს. ეს თვალსაზრისი უფრო ნათელი რომ გახდეს, მოვიყანოთ მეორე არგუმენტი, რომელიც ეწინააღმდეგება თარგმნის შესაძლებლობას:

2) ის, რაც ეწინააღმდეგება თარგმნის შესაძლებლობას, წარმოადგენს თთოველი ენის სემანტიკური სტრუქტურის ფუნდმეტურ სხვადასხვაობას. აქედან გამომდინარე, მე ვეყრდნობი ფილოსოფოს ფრიდრიხ შლაიერმახერს, რომელმაც ეს პრობლემა აღიარა და მას შემდეგი ფორმულირება მისცა:

„ასახვა ... იხტება ენის ირაციონალობისაკენ; ის აღიარებს: სიტყვა, როგორც ხელოვნების ნიმუში, არ გამოიხატება, არ აისახება სხვა ენაზე, რომელიც თავის ნებისმიერ ნაწილში ზუსტად შესაბამება თავის წინაარ სახე-სურათს, ისე როგორც ეს ორიგინალშია მოცუმული. არამედ, ის ენის სხვადასხვაობის ფენომენიდან გამომდინარე შესაბამისად ითარგმნება.“

თუ ჩვენ ძებნის მიმართულებას ენათა წყვილებში რამდენიმეჯერ დავუბრუნდებით, მივიღებთ შესაძლო ეკვივალენტების კომპლექსურ ქსელს. აქედან გამომდინარე, სიტყვა „Tasche“, რომელიც ქართულად ჯიბეს, ტომარას, ჩანთას ნიშნავს, გერმანულ ენაში შეიძლება განსაკუთრებით პროდუქტოული პროცესით მრავალგვარად მოღიფიცირდეს — განახლდეს სიტყვათაგაერთიანებისა და ნომინალური შედგენლობის საშუალებით, როგორც *Hosen-, Einkaufs-, Aktentasche*. ზოგჯერ მრავალჯერადი გამეორების თავიდან აცილების მიზნით, ტექსტში ზემოაღნიშნულ დაზუსტებებს არ გამოიყენებენ. მაგალითად; თუ წინარე საუბარი შეეხებოდა *Aktentasche*-ს ანუ პირტფელს, შემდგომში მას მარტივად მოიხსენიებენ. „Er stellte die Tasche hinter dem Sofa ab.“ — „მან ჩანთა გადადო დივნის უკან“: ე.ი. ამ შემთხვევაში, სამიზნე

ენის ტექსტში არჩევანი შესაფერისი ეკვივალენტისა მთარგმნელმა უნდა გააკეთოს წინაარე ტექსტიდან.

თუ საჭიროება დგება ორიგინალთან რაც შეიძლება მიახლოებული თარგმნისა, მაშინ, როგორც ამას შლაიერმახერი აღნიშნავს, უნდა მოხდეს სხვადასხვა ენაში იმის ასახვა, რაც ზუსტად შეესაბამება ორიგინალის ხატის თთოველი ცნების შესაბამის ასახვას მიზნობრივ ტექსტში ანუ თარგმანში, რომელიც წარმოუდგენელია და ეს შლაიერმახერსაც არ გაუკეთებია. თარგმნის დროს ჩვეულებისამებრ ეს არ ეხება იმას, რომ ინდივიდუალური ენობრივი მნიშვნელობები და სტრუქტურები სხვა ენის საშუალებით უნდა აისახოს, არამედ ეს ეხება იმას, რომ ენის სემანტიკურ გამოხატულებათა მეშვეობით რეპროდუცირდეს ასევე გამოხატვის საშუალებები სხვა ენისა და იყოს მსგავსი და ადეკვატური მიზნობრივი ანუ თარგმანის ენისა. ამით დაინდება, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ენაში შინაარსობრივ სხვადასხვაობათა გამოხატულების უარყოფა, რომელიც თარგმანის ენაში უნდა აისახოს და რომელიც ჩვენ უკვე „Tasche“-ს მაგალითის ფორმებით განვიხილეთ.

ახლა ჩვენი მესამე არგუმენტი, რომელიც ეწინააღმდეგება თარგმნის შესაძლებლობას.

მთარგმნელები ყურადღებას ამახვილებენ ბუნებრივ და კულტურულ სხვადასხვაობებზე ყველა ასპექტში, რომლებიც ენის გარე და მიღაენობრივ ფაქტორებს წარმოდგენენ. თუ ეს ასეთი, ლინგვისტიკის მნიშვნელობა მთარგმნელებისათვის რელატიური — ფარდობითია. კვლავ კიდევ ერთი მაგალითი:

„Du siehst also, sagte X, dass die Hauptverdächtigen zu der Zeit ganz woanders waren. Was verstehst du darunter, wollte Y wissen. Er war in gereizter Stimmung, da X ihn ohne Frühstück hier nach Z geschleppt hatte. Meinst Du damit, dass sie den Mordschauplatz nicht errichen konnten, ohne über 186 000 Meilen pro Sekunde zu fahren? Wenn nicht, so waren sie nicht ganz woanders, sondern nur relativ und scheinbar woanders.“

„ამრიგად თქვენ ხედავთ, ამბობს X, რომ მთავარი ეჭვმიტანილები იმ დროისათვის იყვენ საღმე სხვაგან. რას გულოსსმობთ, სურს Y გაიგოს? ის საკმაოდ გაღიზიანებული იყო, რადგან X-მა ის არც კი უსაუზმია, ისე წაათრია სხვა მესამე პიროვნებასთან. როგორ ფიქრობ, მათ 186 000 მილი წამში რომ არ ემგზავრათ, მიაღწევდნენ“

მკვლელობის ადგილს? თუ არა, ისინი მთლიად სადმე სხვაგან კი არ იყვნენ, არამედ ფარდობითად სადმე სხვაგან“.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ეს ცუდი თარგმანია და, სხვათა შორის, დენისგან დამოუკიდებლადაც კი არის ნათარგმნი. მთარგმნელმა აღნიშნული ციტატა ამერიკული ტექსტიდან თარგმნა გერმანულ ენაზე, მე კი ის გერმანულიდან ქართულად გადმოვთარგმნე და, შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ დედნისგან დამოუკიდებლად, მხოლოდ ამერიკულიდან გერმანულად ნათარგმნი ტექსტი გავიხადე დედნად, რის გამოც, ვერ შევძელი ზუსტად მეთარგმნა ის აზრი ტექსტისა, რომელიც დედანშია მოცემული. ასეთი შემთხვევის დროს ვერნერ კოლლერი საუბრობს „მოსავალი ტექსტის დამოუკიდებელი თარგმნის კრიტიკის შესახებ“, კატარინა რაისი კი საუბრობს „სამიზნე ტექსტზე დამოკიდებული თარგმნის კრიტიკის შესახებ“. აქ აღბათ უნდა გამოანგარიშებულიყო სიჩარე კმ/წმ-ში, ესე იგი, ევროპული სისტემით. ანუ აქ საუბარია ე. წ. ბუნებრივ მუდმივზე, სინათლის სიჩარეზე (300 000 კმ/წმ-ში) და ეს კავშირი მინიშნებს ფარდობითობისა თეორიაზე. გერმანელ მკითხველს უფრო ნაკლები ძალისხმევა სჭირდება ამის მისახვედრად, თუ მისთვის სიჩარე მითითებული იქნება მისთვის ნაცნობი საზომი ერთეულით და იგივე შეიძლება ითქვას ქართველ მკითხველზეც.

ჩემი აზრით, თარგმანში კულტურის სპეციფიკის პრობლემა უპროცედენტოდ დომინირებს. ეს ასხავებს ყოველთვის რეალიების, ობიექტებისა და ფაქტების სხვადასხვა ტიპს გარეენობრივ სინამდვილეში, რომლებიც თარგმნის დროს საკმაო სირთულეებს ქმნის. აღბრეხტი განასხვავებს რეალიების ანუ კულტურული სპეციფიკის ოთხტიპს.

ა) ბუნებრივი ობიექტები, აქ საუბარია: მცენარეებზე, ცხოველებზე, ლანდშაფტის ფორმებზე, რომლებსაც გარკვეულ ადგილებზე ვხვდებოთ.

აქ მთარგმნელს უჩნდება კითხვა, რამდენად გასაგებია თავის რეგიონში ესა თუ ის მოვლენა ან სუბიექტი. მაგალითად: ცხოველები ლომი, ვეფხვი, უირაფი და ა. შ ეჭვსგარეშე ცნობილია, მაგრამ საეჭვოა ისეთი სიტყვები, როგორიცაა *garrique*, *macchie*, *Tajga*, *Geest* და ა.შ. ზოგჯერ პრობლემა თავს იჩნეს ერთსა და იმავე ენობრივ მთლიანობაში — განზომილებაში. მაგალითად, ყველა სამხრეთ გერმანელმა არ იცის სიტყვები *Geest*, „*Brink*“.

ბ) არტეფაქტი — (ადამიანების მიერ შექმნილი პროდუქცია, რომელიც კულტურულ მახასიათებელს წარმოადგენს).

„*Spaghetti*, *Tortellini*, die *Bagnette*, *Roastbeef*“ და ა.შ. ფართოდ გვრცელებული სიტყვებია და ბუნებრივია, თავის უძველეს წარმომშობ რეგიონის ფარგლებს გასცდა. გლობალიზაციის ეპოქაში ნაწილი სპეციფიკური არტეფაქტებისა შემცირდა.

გ) ქვეყნის კულტურულ-სპეციფიკური ინსტიტუციები: კოლექტი, საჯარო სკოლა, ზაფხულის გამოცდების ვადა (*appello straordinario*) და ა. შ.

ზემოაღნიშნული სიტყვებით გამოხატული საგნებისა თუ მოვლენებისათვის სხვა ქვეყნებში შესაბამისი ეკვივალენტები არ არსებობს. მთარგმნელმა უნდა გადაწყვიტოს, მარტივად გამოხატოს თუ გამოყენების შემთხვევაში თავად მიუსადაგოს გონივრული ეკვივალენტი? მაგალითად: „*Ferienexamenstermin*“ არდადებების გამოცდების ვადას მოუნახოს ეკვივალენტი „*appello straordinario*“, თუ განმარტოს თავის ენაზე? გერმანულად მოკითხვას „*Wie geht's?*“ — როგორა ხარ? ყოველთვის არ მიესადაგება ინგლისური ეკვივალენტი „*How are you?*“, თუ საუბარია ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

(დ) კოლექტიური დამოკიდებულება საგნებსა და სიტუაციებზე.

იშვიათად, რომ ბატი ევროპულ ქვეყნებში არ აღნიშნავდეს სულელს. მაგალითად, ის არის სულელი „ბატი“ (სხვა ენებშიც ეს ასევე აღიქმება).

ეს ნიშნავს იმას, რომ კოლექტიური დამოკიდებულება ცხოველების, ინსტიტუციების ან რაღაც მსგავსი საკითხების მიმართ სხვადასხვა ენობრივ მთლიანობებში იგივე ან მეტად მსგავსია. თუმცა, ესპანურ მენტალიტეტში სიტყვა „*gaños*“ ან მდედრობითი სქესის „*gañas*“ სისულელესთან და ასევე გულგრილობასთანაც ასოცირდება.

მთარგმნელს შეუძლია უფრო მეტი მაგალითი მოიყვანოს. მას არა აქვს უფლება ამოსავალ ენაზე მოლაპარაკე ენობრივი ჯგუფისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები უბრალოდ მექანიკურად გადაიტანოს სამიზნე ტექსტში, რადგან ეს ამოსავალი ენის ქვეყნისთვის დამახასიათებელი კულტურული რეალიების გაუფასურება იქნებოდა. უმეტესი ლექსიკონები სწორედ ამ სახის სირთულეებს ითვალისწინებენ.

სანამ ამ პრობლემას კულტურის ფენომენიდან გამომდინარე ცნებებთან დაკავშირებით გავითვალისწინებდე, მანამ მინდა აღვნიშ-

ნო, რომ მთარგმნელის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და მიღომის სხვადასხვა ტიპი ამრავალფეროვნებს ტექსტის სახეებს, ტიპებსა და თარგმანის მიზნებს. როცა, მე აქ „სიტყვებით“ ვსაუბრობ, სიტყვებში კი არ ვგულისხმობ ლექსემებს, არამედ, ვგულისხმობ სიტყვებს მოცემულს კონტექსტში და ამის ილუსტრაცია საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაბამისი მაგალითებით.

საინტერესოა, როგორ გამოიყურება თარგმნა კულტურასთან დაკავშირებული სიტყვა-ცნებებით? და თარგმნის რომელი მეთოდები შეიძლება იქნას გამოყენებული? ნიუმარკი აძლევს მთარგმნელებს ხუთ რჩევას მეტ-ნაკლებად გამოხატული უთარგმნელობის ასპექტის გადასალახავად. ეს გახლავთ: ტრანსლაცია, ნასესხები თარგმანი, სუბსტიტუცია, განმარტებითი თარგმანი და დამკიდრებული თარგმანი.

როგორც ვიცით (და ამას ბევრი ამტკიცებს), არ არის შეუძლებელი კულტურული განსხვავებების თარგმნა. თარგმნის მეთოდებიდან გამომდინარე, მთარგმნელის ამოცანა არის ის (რაც ჩვენ უკვე არაერთხელ აღვნიშვნთ), რომ გაგებინების ბარიერი არ წარმოშვას. მთარგმნელმა, ენის შეგრძნებიდან გამომდინარე, ფაქიზი კომპეტენტური კონტაქტი უნდა დაამყაროს თარგმანის მკითხველთან ანუ ადრესატთან, რათა მოხდეს თავმოყრა ასე თუ ისე არსებული საშუალებებისა და ვგულტურად წარმოადგინოს სხვადასხვა თარგმნის სხვადასხვა სახის სტრატეგიები.

ნოიბერტი თარგმნის შესაძლებლობას ახარისხებს ტექსტის ტიპების მიხედვით. პირველი ტიპი ეს გახლავთ „რელატიური ან კიდევ აბსოლუტური უთარგმნელობა“, ტიპი მეორე „ნაწილობრივი თარგმანი ოპტიმალურ თარგმანამდე საკმარისია“ (ტიპი მესამე და მეოთხე). ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო მეორე ტიპი უნდა იყოს და, რაც ყველაზე მთავარია, „ნაწილობრივი თარგმანი“ უნდა განხორციელდეს, რადგანაც ამ ტიპებთან მკითხველი ნათარგმნი ტექსტისა და მკითხველი დედნისა ერთმნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმნეთისაგან. მთარგმნელი ყოველთვის ფიქრობს, რა გადმოიტანოს დედნიდან შეუცვლელი და თუ რაიმეს შეცვლის, როგორ შეუსაბამოს სამიზნე ტექსტის კულტურას, რათა გასაგები იყოს მკითხველისათვის, როგორც უცხო კულტურის წარმომადგენლისათვის.

ე.წ. პისტმოდერნისტულ ლიტერატურის თეორიასა და ფილოსოფიაში, რომლის წარმომადგენლებიც იყვნენ დერიდა (Jacques Derrida) და პაულ დე მანი (Paul De Man), რომლებმაც შემოიღეს ტერმინი

„დეკონსტრუქცია“, მათ ყურადღება გაამახვილეს უთარგმნელობის ასპექტზე. ამავე დროს დერიდამ და დე მანმა წინა პლანზე წამოსწიეს ტექსტში ე.წ. „უთარგმნელი ნარჩენები“ ანუ ტექსტის ის ნაწილები, რომელთა თარგმანც შეუძლებელია.

მიღებულია, რომ უპირველესად საჭიროა როგორმე გაიგო ტექსტი (რეცეფცია), როგორმე ჩასწევდე მის აზრს (პერცეპცია) და შემდგომ მისი თარგმნა (აპერცეფცია). აქ ჩვენი ენის ცოდნა და გამოცდილება ტრადიციების გადაცემისა ქმნის საფუძვლს, რომ ყოველთვის ენის ნიშნები ერთსა და იმავეს ნიშნავენ. ხატოვნად რომ ვთქვათ, გაგება შესაძლებელია, თუ არსებობს კეთილი ნება გაგებინებისა.

რეცეფცია არის აღმის პასიური შხარე. პერცეფცია არის უფრო ფიზიოლოგიური აღმა აზრობრივი გადამუშავების გარეშე და აპერცეფცია არის ყველაფერი ამის კომბინირება, ანუ ეს არის გათვიცნობიერებული აღმა და გადამუშავება ყველაფერ იმისა, რაც ჩვენს ცნობიერებაში აღწევს. განასხვავებენ ტრანსცენდენტალურ და ემპირიულ აპერცეფციას. ემპირიული არის უფრო გამოცდილებასთან დაკავშირებული, ანუ ინდივიდუალური-სუბიექტური. ხოლო ტრანსცენდენტალური არსებობს უფრო ინდივიდუებს შორის სხვა ინდივიდებიდან გამომდინარე და ამდენად, უფრო ობიექტური და ინტერსუბიექტური.

ამ შემთხვევაში თაგა იჩენს კიდევ ერთი პრობლემური და გადასაწყვეტი მხარე — დეკონსტრუქცია. უხეშად უნდა ითქვას, რომ დეკონსტრუქცია, უპირველეს ყოვლისა, წინააღმდეგია ენაში შეზღუდული ტერმინოლოგიის ლოგოცენტრისტული წარმოდგენების მიმართ. როგორც ვიცით, ნიცშე მიუთითებს ტექსტში სიტყვათა მნიშვნელების საფუძვლიან ამბივალენტურობაზე, რომლებიც არასოდეს აფიქსირებენ კონკრეტულ აზრს: აქ ყველაფერი ტრანსლებს წერილობითი ტექსტის იჩვენება, განსხვავდებით ზეპირსიტყველებისა, სადაც პირდაპირ წარმოდგენილია აზრი ნაფარალისა — თქმულისა და ერთმნიშვნელოვანია. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს წერილობითი ტექსტი, რომელიც უნდა იყოს მრგალმხრივი და არაერთმომარტინის გადასახვა სიტუაციაში ახლად და სხვაგვარად იკითხება და შესაბამისად გაიგება. კითხვის პროცესში კი ხდება რაღაცის გადატანა-გადაადგილება ჩვენს ცნობიერებაში. ამის გამოა, რომ ინტერპრეტაციულად „აზრი“ არ ფიქსირდება, რადგანაც ენობ-

რივი ნიშანი სხვაზე ახდენს აქცენტს და ყველა ავტორს შეუძლია მნიშვნელობებზე „დაუსრულებლად მიუთითოს“.

სიტყვები ისტორიულია და არასოდეს აღნიშნავენ არა მხოლოდ იმას, რასაც პირველად აღნიშნავდნენ, არამედ მათი მნიშვნელობა გადაუწყვეტელია და დროის ფაქტორზე მეტად არიან დამოკიდებული. ანუ ზუსტად ვერ ვიგებთ იმას, რისი თქმაც სურდა ავტორს. ლიტარატურათმცოდნებაში ტექსტის შინაარსზე საუბრისას, ყოველთვის მიუთითებენ ე.წ. „ავტორის განზრახვაზე“, რომლის კანისარტებით დეკონსტრუქტივისტებს ამხელენ იღუზიებისა და ცრუ რწმენების აკვიატებაში. არის ტექსტის შინაარსი — აზრი ნამდვილი? და აქ არ არსებობს რაიმე უზუსტობები?

განმმარტებლების ინტერესი რადიკალურად შეიცვალა და მეტი ყურადღება დაეთმო ნიშანთა სტრუქტურას. რამდენად ავტონომიურები არიან ისინი? შეუძლიათ სიტყვებს იყვნენ დამოკიდებლები და აზრებსა და გაგებას მისცენ სხვა მიმართულებები? და მაშინ სად არის წინარე მნიშვნელობა? და საინტერესოა, რომელი მნიშვნელობა უნდა ითარგმნოს? ან კიდევ, როგორ უნდა ვმოქმედო, რომ ჩემი თარგმანი კვლავ სხვაგვარად არ იქნეს გაგებული? ფიქრობს მთარგმნელი. აქ თავისუფლად შეიძლება მივუთითოთ სიტყვათა თამაშსა და ირონიაზე, როგორც წერის მოტივაციზე“.

ცნობიერება ენის პრინციპული დაუფლების შეუძლებლობისა, ნიშანთა განუსაზღვრელობისა, რომლებიც ჩვენ ერთმანეთში გვერება, ეწინააღმდეგება ავტორის ცნობიერად უწყვეტი ფორმულირების წარმოდგენას. პრობლემისადმი ამდაგვარი მიღონმა ვგიხსნის, თუ რატომ მიიჩნევდა დერიდა თარგმნას შეუძლებლად და რატომ თვლიდა მას ეიფორიად, მაშინ, როცა ის თარგმნის თეორეტიკოსი არ ყოფილა. დერიდა უერთდება ბენჯამინის წარმოდგენას და აკეთებს კომეტარს. მისი ენისა და თარგმნის თეორია ეფუძნება მოსაზრებებს, რომ მიმიკური ანუ ამსახველი პრინციპი არის პასუხისმგებელი ცალკეული ენის სპეციფიკური მახასითებლებისა.

ბენჯამინი გახლავთ მთარგმნელი, რომელიც საკუთარ ენაში იკვლევდა და აკეთებდა იმიტირებას, თითქოს საკუთარ ენაზე შექმნილი ტექსტი ყოფილიყო უცხო. აქ დერიდა ეყრდნობა და მიანიშნებს ბაბელის მითოსზე, რომ თარგმნა შეუძლებელია. სხვადასხვა ენის თავისებურებებიდან და განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, მთარგმნელს არ ძალუშ იგნორირება გაუკეთოს სხვადასხვა ენის გამოხატ-

ვის მრავალფეროვან ან კიდევ განსხვავებულ დონეებს და მოიქცეს ისე, თითქოს არსებობდეს შესაბამისი პირდაპირპორციული ურთიერთობა ენობრივ ნიშნებს შორის. განსაკუთრებით პოეზიის თარგმნის შეუძლებლობაზე მიუთითებს ის. დერიდა წერს: „მთარგმნელი კი არ მიისწრაფის იქითკენ, რომ ესა თუ ის უნდა თქვას, დააფიქსიროს, ესა თუ ის აზრი — შინაარსი უნდა გადაიტანოს ან რაიმე განსაზღვრული მნიშვნელობა უნდა გვაცნობოს, არამედ მას სურს აჩვენოს სახლოვე-მსუავსება ენებს შორის და ამასთან დაკავშირებით განსაზღვრობს მთარგმნელის შესაძლებლობები: ყოველთვის უცვლელი და გაუგებარი რჩება ის, თუ რა ხიბლავს მთარგმნელს და რა განსაზღვრავს მის ტაქტიკა-სტრატეგიას“.

ბენჯამინი ხსნის სიტყვას, როგორც ამოცანას, უარყოფას, კაპიტულაციას უთარგმნელობის წინაშე, რომელიც ეიფორიიდან გამომდინარეობს. ეს ეფუძნება იმას, რომ მოთხოვნა ორიგინალური ერთგულებისა ეწინააღმდეგება სამიზნე ენაში ენობრივი ერთეულების თავისუფალ ტრანსფორმაციას. „ეს არის ეიფორია თავისუფლებასა და ერთგულებას შორის ტექსტთან მიმართებით“.

ლიტერატურა

**ალბრეხტი, 2005** — Albrecht, Jörn: „Übersetzung und Linguistik,“ Tübingen, 2005

**ბენჯამინი, 1969** — Benjamin, Walter: „Die Aufgabe des Übersetzers.“ In: H.J. Störig: Das Problem des Übersetzens. Darmstadt, 1969.

**ბუსმანი, 2002** — Bußmann, Hadumod „Lexikon der Sprachwissenschaft“ Stuttgart, 2002

**თომე; გიილი, 1999** — Thome, Gisela; Giehl, Claudia: „Kultur und Übersetzung.“ Tübingen, 1999

**საყარელიძე, 2001** — ნ. საყარელიძე, „თარგმნის თეორიის საკითხები“, თბ., 2001.

**ფანჯიძე, 1999** — დ. ფანჯიძე, „ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები“, თბ., 1999.

**შტოლცე, 2005** — Stolze, Radegundis: „Übersetzungstheorien. Eine einführung.“ 4. Auflage. Tübingen, 2005.

## Classical Dimension of Comprehension and Explanation in Relation to the Phenomenon of Translatability - Non-translatability

### Summary

The paper discusses a number of issues devoted to the difficulties of translation viz.

#### a. non-equivalence of languages

As is well known, languages do not cover one another. The given fact is conditioned by specific cultural and mental patterns underlying different languages.

b. Lexical units with altered semantics that might hinder the adequate perception of a text.

c. Names of culturally specific artifacts that are not evidenced in the target culture and language.

შანანი რუსული

სარგაზმი როგორც გართობისა და „სახის“ რღვევის  
საშუალება

(სატელევიზიო ვიქტორინა-შოუ „სუსტი რგოლის“ მაგალითზე)

### 1. შესაფალი

სტატიის ძირითადი მიზანია სარკაზმის როგორც გართობის ელემენტის კულტურული თავისებურებების კვლევა სატელევიზიო ვიქტორინა-შოუ „სუსტი რგოლის“ ბრიტანული, ამერიკული და ქართული ვარიანტების ჩანაწერების შედარების საფუძველზე. საინტერესო ისიც, თუ რა მსგავსებაა, ერთი მხრივ, შოუს ორიგინალურ, ბრიტანულ და, მეორე მხრივ, მის ამერიკულ და ქართულ ვარიანტებს შორის და რმდენად აქტუალურია თითოეული მათგანისათვის შოუს ძირითადი პრინციპი — გამიზნული შეტევა მონაწილის (ზოგ შემთხვევაში კი წამყვანის) სახეზე და, შესაბამისად, მისი სახის გამიზნული რღვევა.

აღნიშული საკითხების გამოსაყვლევად ვსწავლობთ სარკაზმის როგორც არათავაზიანობის ერთ-ერთ გამოვლინების როლსა და მისი აქტუალიზაციის ვერბალურ და არავერბალურ თავისებურებებს შოუს თითოეულ ვარიანტში.

### 2. არათავაზიანობის თეორია და სარკაზმი

არათავაზიანობის კატეგორია, მისი საპირისპირო თავისიანობის პრაგმატიკული კატეგორიის მსგავსად, კვლავ რჩება კულტურათშორისი პრაგმატიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკვლევ პრობლემად. გოფმანი (გოფმანი, 1967, 14) არათავაზიანობას უკავშირებდა მსმენელის სახეზე შეტევისა და მისი სახის რღვევის მცდელობის მოტივს და ასკვნიდა, რომ ექსპლიციტურად არათავაზიანი რემარკი შეიძლება არც იყოს დაკავშირებული მოსაუბრის პიროვნული ღვარძლის ან შულლის გამოხატვისთან და ამდენად, მიზნად არ ისახავდეს მსმენელის დამცირებას ან შე-

ურაცხოფას. ამ ტიპის რემარკად გოფვანს მიაჩნდა მასწავლებლის მიერ მოწაფისათვის მიცემული კრიტიკული შენიშვნა და ე.წ. უნებლიერ არათავაზიანობის შემთხვევები, როდესაც მოსაუბრეს არა აქვს განზრახული მსმენელის სახის რღვევა. კულპაპერის განმარტებით, არათავაზიანობა არის კომუნიკაციური სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს მსმენელის სახეზე შეტევას, მის რღვევას და, ამგარად, იწვევს სოციალურ კონფლიქტსა და დისპარმონიას (კულპაპერი და სხვ. 2003, 1546). ერთეურთ შემდგომ ნაშრომში კულპაპერი თავადვე აყენებს ეჭვებულ ამ განმარტების ჰეშმარტებას იმ მოტივით, რომ იგი არ აზისტებს, თუ რა იგულისხმება სოციალურ კონფლიქტსა და დისპარმონიაში. ზემოთქმულის გათვალისწინებით, კულპაპერი გვთავაზობს არათავაზიანობის ახალ, მოდიფიცირებულ განმარტებას, რომლის მიხედვითაც მოსაუბრე ჰეშმარტად არათავაზიან საკომუნიკაციო აქტს ახორციელებს, როდესაც (1) იგი მსმენელი განზრახ აყენებს შეურაცხოფას, როდესაც (2) მსმენელი მას აღიქვამს როგორც გამიზნულად არათავაზიანს და (3) როდესაც ორივე მომენტი ((1) და (2)) აქტუალიზდება თანადროულად. (კულპაპერი, 2008). ცხადია, ძირითადი სიხსლე კულპაპერის ბოლო განმარტებაში, როგორც თვით ავტორიც აღნიშნავს, არის არა მარტო მოსაუბრის, არამედ მსმენელის პოზიციის გათვალისწინებაც. მართლაც, გამოთქმა შეიძლება არათავაზიანად ჟღერდეს, მაგრამ მსმენელმა ან არ აღიქვას იგი ასეთად, ან მისი დეკოდირების პროცესში იფიქროს, რომ მოსაუბრის მიზანს არ წარმოადგენდა არათავაზიანი ქმედება და, შესაბამისად, არ მიიჩნიოს იგი ასეთად. ორივე შემთხვევაში, პროპოზიციის რეალური განზრახვა და მისი ჰეშმარტი რეგისტრი დაზუსტდება კონტექსტში.

არათავაზიანობის ერთ-ერთი კატეგორია, სარკაზმი, განიხილება როგორც ირონიის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს მსმენელის გულისტკენას (მაკლონალდი და პირი, 1996) (ანუ სახის რღვევას, მ.რ.) და გულისხმობს მის იმპლიკიტურ კრიტიკას, ხოლო, უკიდურეს შემთხვევებში, ზიზლისა და ათვალწუნების ექსპლიციტურად გამოხატვას (უილსონი და სპერბერი, 1992).

სახის რღვევისა და სახეზე შეტევის სტრატეგიები შეიძლება დავუკავშიროთ მაღალი და დაბალი კონტექსტის (ან დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის) კულტურების მოდელებს, რომელთა მიხედვითაც მაღალი კონტექსტის (აზიური) კულტურების ყოფაში ინდივიდი ცხოვრიბს საკუთარი სოციალური ქვეჯუფის ცხოვრიბის წესებითა და აღათებით, იყენებს უპირატესად სახის არაპირდაპირ სტრატეგიებს და იმ-

დენად უფროთხის საკუთარ სახეზე პოტენციურ შეტევასაც კი, რომ ცდილობს საჭიროებანო შემთხვევებში იმოქმედოს თავისი ნდობით აღჭურვილი პირის, მედიატორის მეშვეობით, რომელიც უმტკივნეულოდ მოუგვარებს საქმეს. ამ ტიპის კულტურებში ურთიერთობის სიმძიმე გადატანილია ჰეტექსტსა და მეტყველების ირიბ აქტებზე. ამის საბირისპიროდ, დაბალი კონტექსტის (ცერკობული და ბრდილო-ამერიკული) კულტურები დიდ როლს ანიჭებან ექსპლიციტურ, ვებბალურ კომუნიკაციას და ინდივიდის თავისუფლებას (ჯნდტი, 2010, 72). ცხადია, ერთპიროვნულად მაღალი ან დაბალი კონტექსტის კულტურა თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში ძნელად იარსებებს, მაგრამ მაინც, სავარაუდოდ, ქართული მენტალიტეტის, ისტორიისა და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით იგი შეიძლება უპირატესად მაღალი კონტექსტის კულტურას მივაკუთხოთ. ამ თვალთახედვიდანაც შევცდებით მოვძებნოთ მიზეზი და მიზანი ჩვენ მიერ საანალიზოდ აღებული შოუს ვარიანტებს შორის შესაძლო განსხვავებისა, რადგანაც ორიგინალური (ბრიტანული) ვერსია და მისი ამერიკული და ქართული სახესხვაობები სხვადასხვა ტიპის კულტურაში რეალიზდება.

### 3. „სუსტი რგოლი“

ცნობილია, რომ „სუსტი რგოლი“ დიდ ბრიტანეთში დაიბადა 2000 წელს და დღესაც დიდი წარმატებით სარგებლობს, ყველაზე მნიშვნელოვან, შესაბამისად, უძირეს სატელევიზიო დროს გაღაიცემა და მეორდება არამდენიმე სატელევიზიო არხზე. ამ შოუს გამორჩეულ პოპულარობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მის ერთ-ერთ გადაცემაში ბრიტანეთს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი და ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუშიც კი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ასეთი სტატუსი, სხვა ფაქტორთა შორის, შოუს უცვლელი ბრიტანელი წამყვანის, ენ რობინსონის დამსახურებაცაა. ცნობილია, რომ შოუ, რომელიც თავდაპირებულად, ე.წ. ვიქტორინის (Quiz show) კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ენ რობინსონის პიროვნული თვისებების გამო გადაიზარდა „ჩეთშოუში“. მეორე მხრივ, სხვა მსგავსი ტიპის გადაცემებისაგან განსხვავებით, რომლებიც, უმრავლეს შემთხვევაში, მიზნად მონაწილის „სახის“ რღვევას კი არა, მის რეკლამირებას ისახავენ, ეს შოუ იმითაც არის გამორჩეული, რომ წამყვანის სარკაზმი გამიზნულად არის მიმართული მეტოქის (შოუს მონაწილის) სახის რღვევისაკენ. ენ რობინსონი ამ მიზანს

ბრიტანელებისათვის კარგად ცნობილი გამყინავი ხმით, სარკასტული გამომეტყველებით, სუსხიანი რემარკებითა და მოსწრებული (ხშირად გარითმული) გამონათქვამებით წარმატებით აღწევს.

იგულისხმება, რომ არც მოსწრებული გამონათქვამები და არც სარკაზმი არ უნდა გასცდეს შოუს (თამაშის) ფარგლებს და რეალურად არ უნდა დაამციროს არც ერთი მხარე (მონაზილე თუ წამყვანი). იმას, რომ შოუ თამაშის ფორმატში მიმდინარეობს, შოუს ყველა წამყვანი ხშირად იმეორებს. კერძოდ, სამივე კულტურაში წამყვანის ერთ-ერთი ძირითადი ფრაზაა „**ვითამაშოთ** სუსტი რგოლი“ (let's play the weakest link). მიუხედავად ყველაფრისა, როგორც მასალა გვარჩიშუნებს, სახეზე გამიზნული შეტევის მომენტი კვლავ აქტუალურია და თუმცა ის მხოლოდ თამაშის ნაწილია, იმის გამო, რომ შოუ სამივე შემთხვევაში პოპულარული სატელევიზიო არხით გადაიცემა, მოთამაშისათვის რთული ასატანი უნდა იყოს პოტენციური სარკაზმი და არათავაზიანობაც კი.

საინტერესოა, როგორ აქტუალიზდება ყველაფერი ეს „სუსტი რგოლის“ ქართულ ვერსიაში, რომელიც 2008 გამოჩნდა რუსთავი 2-ს ეთერში და მხოლოდ ერთ სეზონს გასტანა? ქართული ვერსია ემთხვევა ცნობილ ბრიტანულ ფორმატს, რაც ბუნებრივია, რადგანაც, ჩვეულებრივ, სატელევიზიო გადაცემის ერთი კულტურიდან მეორეში გადატანის დროს უცვლელი რჩება შოუს დარბაზის გაფორმება, ატმოსფერო, წამყვანის ტიპაჟი და ტანსაცმელიც კი, გარკვეული გამონაკლისების გარდა, მაქსიმალურად უახლოვდება ორიგინალური შოუს წამყვანისას. ამ მხრივ გამონაკლისი არც „სუსტი რგოლის“ ქართულ ვარიანტი გამოდგა. ქართველი წამყვანის, ჩვენთვის კარგად ცნობილი ნიჭიერი მსახიობის, ვარცხნილობა, ჩატვის სტილი, დგომის მანერა, ჟესტიკულაცია და გამომეტყველება საოცრად ჰგავს ენ რობინსონისას.

„სუსტი რგოლი“ რამდენიმე ძირითად ნაწილს შეიცავს: ა) რაუნდის მონაზილები წარმოადგენენ საკუთარ თავს; ბ) წამყვანი წარმართავს რაუნდს; გ) წამყვანი აფასებს რაუნდს და სთხოვს მონაზილებს გამოავლინონ „სუსტი რგოლი“; დ) მონაზილები ავლენენ სუსტ რგოლს; ე) წამყვანი სთხოვს თითოეულ მონაზილეს დაასაბუთოს საკუთარი არჩევანი; ვ) წარუმატებელი მონაზილე („სუსტი რგოლი“) აფასებს ყოფილი მოწინააღმდეგების შანსებსა და საკუთარ თამაშს.

როგორც მასალა გვიჩვენებს, ბრიტანულ და ამერიკულ ვარიანტებში წამყვანები სარკასტულ ან ორაზროვან კითხვებს უსვამენ მონაზილეს. მეორე მხრივ, ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირად მონაზილეებიც არ

იხევენ უკან და მაყურებელი ხშირად ხდება სარკასტული ბაექრობის მომწრე, რაც, ამ შემთხვევაში, გართობის ერთ-ერთი კომბონენტია და ივარაუდება, რომ არცერთმა მხარემ იგი სერიოზულად არ უნდა მიიღოს (ანუ, არათავაზიანად არ უნდა ჩათვალოს).

წარმოგიდგენ რამდენიმე ეპიზოდს:

### **ბრიტანული ვერსია:**

#### **ეპიზოდი 1**

1. Anne: Howard
2. Howard: Anne
3. Anne: Are you more interesting than you look? ( laughter ) What do you do?
4. Howard: I am a business development manager for a large bank in Seattle
5. Anne: ( looks bored) OK ( pause) tell me if there is anything interesting about your job..
6. Howard: Absolutely not , no, it's interesting for me but I am sure even if I talked to you about it , it would go over your head.. (laughter) .....

1. ენი: (მიმართავს მონაზილეს) ჰოვარდ!

2. ჰოვარდი: ენ!

3. ენი: უფრო საინტერესო ხარ, ვიდრე გამოიყურები? (სიცილის ხმა) რას საქმიანობა?

4. ჰოვარდი: ერთი დიდი ბანკის ბიზნესის განვითარების მენეჯერი ვარ სიეტლში

5. ენი (მობეზრებული გამომეტყველებით ამოიოხებს) კარგი, (პაუზა) მითხარი, სულ მცირე რამ მაინც არის საინტერესო შენს საქმიანობაში?

6. ჰოვარდი: არა, აბსოლუტურად. არა, საინტერესო ჩემთვის, მაგრამ შენ რომ გითხრა, მაინც ვერ გაიგებ (სიცილის ხმა) .....

## ეპიზოდი 2

1. Anne: You are always quick, aren't you, Howard?
2. Howard: In some things yes, but in other things I like to take my time
3. (winks at Anne), if you know what I mean, Anne

1. ენი: ყოველთვის ასეთი სწრაფი ხარ, ჰოვარდ?
2. ჰოვარდი: ზოგჯერ კი, ენ, ზოგჯერ კი დროის გატარება მიუვარს.
3. (თვალს უკრავს ენს) ხომ მიმიხვდი, ენ?

როგორც ვხედავთ, ამ ეპიზოდებში ენი რამდენჯერმე უტევს ჰოვარდის სახეს, რაც გამოიხატება როგორც ლინგვისტურ-ვერბალური, ისე არავერბალური საშუალებებით (მობეზრებული გამომეტყველება, ონგრა), ხოლო ჰოვარდი, რომელსაც, ფაქტობრივად, შეურაცხყოფა მიაყენეს ( უინტერესო აღამიანად ჩათვალეს, რომელიც ასეთივე უინტერესო საქმეს აყეთებს), ცდილობს ასეთივე კონტრშეტევით დაიცვას თავი, ალადვინის ბალანსი ან შეასუსტოს საკუთარ სახეზე შეტევა (ეპიზოდი 1, ხაზი 10-11). ამის გარდა, ჰოვარდი (ეპიზოდი 2, ხაზი 2-3) პირდაპირ აკეთებს მინიშნებას სექსზე, რაც, რასაკვირველია, საკმაოდ უხერხულად უღერს და წესით, წამყვანის სახეზე შეტევას ისახავს მიზნად.

კიდევ რამდენიმე ნაწყვეტი ამ შოუს ბრიტანული ვერსიიდან: ენ რობინსონი (მიმართავს ერთ-ერთ მონაწილეს, ცნობილ მსახიობს): შენ ფილმში გენიოსი იყო, ახლა კი ამის ნატამალსაც ვერ ვხედავ....( In the film you were supposed to be a genius, I cannot see any trace of it now)

მონაწილე: (აღწერს სატელევიზიო გმირს, რომელიც თავად ითამაშა): „მას ( გმირს) საშინელი მანერები ჰქონდა... შენსავით, ენ... თუმცა.... შენთან ვერ მოვიდოდა, რასაკვირველია ( He had terrible manners.....like you, Anne, you are much worse, of course)

## ამერიკული ვერსია:

შოუს ამერიკული ვერსიის წამყვანი მამაკაცია, რაც იმის დადასტურებად მიიჩნევა, რომ წამყვანის სქესს არა აქვს მნიშვნელობა. ამ შე-

მთხვევაშიც წამყვანის თმის ფერი და ჩაცმულობა (ზავი ფერის ტანსაც-მელი) ემთხვევა გადაცემის ბრიტანულ ფორმატს.

## ეპიზოდი 3

1. Host: How long have you been a fire fighter?
2. Jack: Five years
3. Do you like it?
4. I love it ( pause and laughter)
5. Host: Jack, you are one of those gung-ho guys running into burning buildings .. no
6. fear..
7. Jack: running into the burning buildings while guys like you are running
8. out screaming like little girls
9. Host : ( pause, looks slightly uncomfortable) So, cool!
10. Jack: We are cool, that was very accurate

1. წამყვანი: (მიმართავს მეხანძრეს) რამდენი წელია, რაც მეხანძრე ხარ?
2. ჯეკი: ხუთი
3. წამყვანი: მოვწონს?
4. ჯეკი: მიყვარს! ( სიცილის ხმა, პაუზა)
5. წამყვანი: ჯეკ, შეგ ერთ-ერთი იმ თავზე ხელაღებულთაგანი ხარ,
6. ალმოდებულ შენობაში რომ შერჩიან?
7. ჯეკი: ჩვენ შევრჩივართ ალმოდებულ შენობაში, მაშინ როცა შენნაირები
8. ბატარა გოგონებიგით კივილით გამორჩიან იქიდან
9. წამყვანი: ( ოდნავ ნირწამხდარი) რა მაგარია!
10. ჯეკი: ჩვენ მაგრები ვართ, ეს სწორია!!

ამ ეპიზოდიდან კირგად ჩანს, რომ მეხანძრე თავიდანვეა წინასწარგანწყობილი საკუთარი სახის დაცვისაკენ. ამას მოწმობს მისი მოკლე პასუხი წამყვანის პირველივე შეკითხვაზე (ხაზი 4), რომელიც ამ უკანასკნელს საშუალებას უსპობს გააგრძელოს ეს თემა. შესაბამისად, წამყვანი

იწყებს შეტევას ჯეკის სახეზე , რაც ვერბალურად გამოიხატება სიტყვით „თავზეხელაღებული“ (gung-ho). ჯეკი უკან არ იხევს და თავადაც უტევს წამყვანის სახეს, რასაც მოწმობს, გარდა აქტუალიზებული ლინგვისტური ხერხებისა (მაგალითად, დამამცირებელი შედარება- პატარა გოგონებივთ კივილი- screaming like little girls), ჯეკის ქედმაღლური დფომის მანერა, სახის დამცინავი გამომეტყველება და ასეთივე ღიმილი. ეს ეპიზოდი საინტერესოა იმითაც, რომ წამყვანის ნიღწამხდარ შენიშვნას „არა მაგარია“ (so cool), ჯეკი მოიხმარს საკუთარი სახის გასაძლიერებლად. კერძოდ, ქვეტექსტით არის დატვირთული მისი ტექსტის ბოლო წინადაღება: **That is accurate** ( ეს სწორია). არაემფატურ მეტყველებაში ჩვენებით ნაცვალსახელს, როგორც წესი, ძლიერი მახვილი არ მოუდის, ხოლო ჯეკი ამ სიტყვას ძლიერი ემფატური მახვილით წარმოთქვამს, რასაც მოკლე დაყოვნება მოსდევს და რაც ნაცვალსახელს ანიჭებს კონტექსტურ-პრაგ-მატიკულ დატვირთვას - თუ ეს სწორია, ესე იგი, მანამდე რაღაც არ იყო თქმული სწორად, რაც წამყვანის პოზიციას (და მის სახეს) კიდევ უფრო ასუსტებს.

## ქართული გარიანტი

### ეპიზოდი 4

1. წამყვანი: თქვენს დაფაზე ბილობილი წერია, რას უნდა ნიშნავდეს ეს?
2. გიორგი: გოჩამ ვერ გაიხსენა, როდის ჩატარდა ოლიმპიადა
3. წამყვანი: ანუ, თქვენ მიგაჩნიათ, რომ ოლიმპიადა წარუშლელი
4. შთაბეჭდილება უნდა იყოს აღამიანის ცხოვრებაში?

შოუს ქართული ვერსიისათვის ტიპური ეს ეპიზოდი ორი მომენტით არის საინტერესო: პირველი, წამყვანის მიერ მიმართვის დროს გამოყენებული „თქვენ“, რომელიც ცხადია, საუბარს ფორმალურ ხასიათს ანიჭებს და მეორე, კითხვის ირიბი ფორმა, რომელიც, ფაქტობრივად, პასუხს თავადვე შეიცავს და მოსაუბრისგან მხოლოდ დადასტურებას ან უარყოფას მოითხოვს. ეს, ჩვენი აზრით, მოსაუბრის სახეს არათუ აზიანებს ან არღვევს, არამედ, პირიქით, მის შენარჩუნებას ისახავს მიზნად.

### ეპიზოდი 5

1. წამყვანი: (მიმართავს მონაწილეს, უურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტს,
2. რომელიც აღნიშნავს, რომ უყვარს დეტექტივების კითხვა) წარმოიდგინეთ,
3. რომ უურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ რედაქტორმა
4. დაგავალათ უურნალისტური გამოძიების ჩატარება, ჩატარებთ?
5. ეკა: კი, ჩავატარებ
6. წამყვანი: თქვენ თვითონ არ მოგვლიათ თავში აზრად უურნალისტური გამოძიების ჩატარება?
7. ეკა: არა
8. წამყვანი: თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ მსგავსი მოქმედებით წარმატებას
9. მიაღწევთ?

ამ ეპიზოდში წამყვანი გარკვეულწილად ორმაგი მნიშვნელობის შეკითხვას უსვამს მონაწილეს, რომელიც შეიძლება ნიშნავდეს შემდეგს: (1) წამყვანს აინტერესებს მონაწილის აზრი, უურნალისტურ გამოძიების ჩატარება მოუტანს თუ არა წარმატებას, ან, (2) წამყვანს აინტერესებს, ამგვარი მიდგომით, ანუ, პასიურობითა თუ მიუხვდრელობით (ეკას თავშიც არ მოსვლია უურნალისტური გამოძიების ჩატარება), ეკა მოელის თუ არა უურნალისტის წარმატებულ კარიერას. მეორე შემთხვევაში, წამყვანი მცირედ, ირიბ შეტევას ახორციელებს მონაწილეზე, რომელიც, კულბაბერის განმარტების მიხედვით, მსმენელის მიერ შეიძლება არც იქნეს აღქმული როგორც სახეზე შეტევა. ჩანაწერიდან ჩანს, რომ მართლაც ეკამ წამყვანის სიტყვები არ ჩათვალა არათავზიან რეპლიკად.

მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ქართული ვარიანტის წამყვანის ძირითადი მიზანი მონაწილის სახის რღვევა არ არის; მისი და თამაშის მონაწილის დიალოგი დემოგრაფიული მონაცემების შეგროვებას ან ინტერვიუს უფრო წააგავს, ვიდრე დაპირისპირებას, ხოლო შეკითხვები, როგორც წესი, კეთილგანწყობისა და თავაზიანობის ფარ-

გლებს არ სცდება; უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში წამყვანი ცდილობს მონაწილე უხერხული მდგომარებიდან იხსნას ან შეარბილოს მონაწილის სახეზე შეტევა. რაც შეეხება თავად წამყვანის სახეზე შეტევას, შოუს ქართულ ვარიანტში იგი არც ფიქსირდება. ერთი მომენტი, რომელიც მეტ-ნაკლებად „ამძაფრებს“ შოუს, წამყვანის მიერ სუპრასეგმენტულ დონეზე გამოყენებული პროსოდიული საშუალებები და მისი ღმილია. კერძოდ, მას ნელი, მყაცრი ტონი აქვს და მისი მრავალმნაშვნელოვანი ღიმილი შეიძლება ირონიულ ღიმილადაც კი აღიქვას შეშფოთებულმა ან აღელვებულმა მონაწილემ. ამასთან ერთად, ერთმნიშვნელოვნად მყაცრი და მოსხებილია დაღმავალი ტონი, რომლითაც წამყვანი ამბობს: თქვენ სუსტი რგოლი ხართ, კარგად ბრძანდებოდეთ! ვერბალური არჩევანიც (ბრძანდებოდეთ და არა იყავით/ იყავი, ან, სულაც, კარგად!) გადაწყვეტილების სიმკაცრესა და საბოლოობაზე მეტყველებს. ბრიტანულ ვარიანტში ენ რობინსონი ამ ფრაზას (You are the weakest link! Good-bye!), როგორც წესი, თვალის ჩაკრით ასრულებს, რაც, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს შოუს სახუმარო ხასიათს).

#### **4. მოსწრებული გამონათქვამები**

ენ რობინსონის მოსწრებული გამონათქვამები დიდი ხანია გასცდა შოუს ფარგლებს და დღეს ბრიტანეთში ბევრმა ზეპირად იცის ბევრი მათგანი. გამონათქვამები, ისევე როგორც რემარკები, სახის რღვევისაკენ არის მიმართული და ირონიულ-სარკასტული ქლერადობით გამოირჩევა: Who is the least likely candidate for human cloning? (ვინ არის ყველაზე ნაკლებ შესაფერისი კანდიდატი კლონირებისათვის?); Who fell off the tree of knowledge? ( ვინ ჩამოვარდა ცოდნის ხიდან?) Who would Lassie not even bother to save? ( ვის გადასარჩენად არ შეიწუხებდა თავს ლესი?); ვინ დაიკავებდა მესამე ადგილს დუელში? (who would come third in a duel?); Who could be used as a measure of stupidity? (ვინ არის უტვინობის ეტალონი?).

როგორც ვხედავთ, ყველა გამონათქვამი ირონიის მეტნაკლებობით გამოირჩევა. ასევე, ისინი ინტერტექსტუალობის გარკვეული ხარისხით ხასიათდებიან და თითოული მათგანის დეკოდირებისათვის საჭიროა ზოგადკულტურული ფონური ცოდნის გარკვეული ხარისხი (მაგალითად, ალტიები ბიბლიისთან, ფილმებთან, და ა.შ.).

ამერიკული ვარიანტი ამ მხრივაც ზუსტად მიყვება ბრიტანულს.

ქართული ვერსიის მიერ გამოყენებული ნათქვამების ნაწილი ემთხვევა ენ რობინსონის ვარიანტებს, მაგალითად, ვის დაუცურდა ბანანის ქერქზე ფეხი? ვისი წუთებია დათვლილი? ვინ დახარჯა მელანი ფუჭად განცხადების შევსებაში? ვინც ვერ გადავა მეორე რაუნდში, შამპანურსაც ვერ დალევს. ამის საპირისპიროდ, გამონათქვამების მეორე ჯგუფი ეფუძნება კონკრეტულ, ქართული კულტურის ფონურ ცოდნას: ვის მიაქანებს უგზო-უკვლოდ თავისი მერანი?

#### **სარკაზმი შოუს სამივე ვერსიაში**

საანალიზო მასალამ დაადასტურა, რომ შოუს ქართული ვერსია არ ხსიათდება მკეთრი სარკასტულობით. საინტერესოა, რა უნდა იყოს მისი ასეთი ტრანსფორმაციისა და შოუს ძირითადი ფორმატიდან გადახვევის მიზეზი?

ჩვენი აზრით, საქმე ის არის, რომ შოუს სამივე ვერსიის მონაწილეები განსხვავებული რეაციით ხვდებიან წამყვანის რეპლიკებს, მაგრამ მათი ვერბალური თუ არავერბალური ქცევით ადვილად მისახვედრია, რომ ისინი მაინც საკუთარ სახეზე შეტევად მიიჩნევენ. მასალა ასევე ცხადყოფს, რომ საბასუხო რეაცია წამყვანის სარკაზმზე ზოგჯერ სიჩქმე და დაბნეული გამომეტყველებაა, ზოგჯერ ნერვული სიცილი, ზოგჯერ შორისდებულები თუ დისკურსის სტეციტიფური მარკერები, ხშირად კი — ისეთივე სარკასტული პასუხი. ზოგადად, ჩვენი გამოცდილება ეთანხმება კულპაპერის (კულპაპერი, 2008) დასკვნას, რომ მიუხედავად თამაშისა, შოუს ბრიტანული (ჩვენი დაკვირვებით, ამერიკული) მონაწილეც საკანო სერიოზულ სახის რღვევასა და სახეზე შეტევას განიცდის, რაც როგორც ვთქვით, დასტურდება მისი ვერბალურ-პროსოდიული და არავერბალური რეაციით (ენ რობინსონი, ‘დარტყმებს’ სარკაზმით ან გაყინული სახის გამომეტყველებით იგერიებს, ხოლო ამერიკელი წამყვანი-შეცდუნებული ღიმილით).

რაც შეეხება ქართულ კულტურას, მისთვის მიუღებელია სახეზე საჭარო შეტევა, თუნდაც „არასერიოზული“, სახუმარო ფორმატით. ისიც ცხადია, რომ, მონაწილის სახისათვის საფრთხეს წარმოადგენს ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებაც კი, როდესაც ადვილი შესაძლებელია სხვადასხვა დამაბნეველი ფაქტორის გამო (სტუდიის შეუჩვეველი ატმოსფერო, კამერები, შეკითხვის შიში, ღელვა, და სხვა) მონაწილემ ადვილად დაუშვას შეცდომა და ამით ზიანი მიაყენოს საკუთარ სახეს. შესაბამი-

სად, სავარაუდოდ, მონაწილისათვის სახის საფრთხის შემცველი აღნიშნული ფაქტორების გათვალიწინებით, ქართველი წამყვანის უზადო კორექტულობა გასაკვირი აღარ არის. ქართულ ვერსიაში წამყვანი ხშირად ახსენებს მონაწილეებს, რომ ისინი სატელევიზიო თამაშის მონაწილეები არიან, ზოგ შემთხვევაში კი თავადვე ცდილობს ხელი შეუშალოს მონაწილის სახის რღვევას, როდესაც ეს უკანასკნელი სხვა მონაწილისაგან თუნდაც მცირე შეტევას განიცდის, რაც ამ შოუსათვის უპრეცედენტო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. მეორე მხრივ, ქართული კულტურისათვის ეს არ არის მოულონდნელი არჩევანი, მით უფრო, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ შოუს ქართველ მონაწილეებს არ ემუქრებათ სახეზე მძაფრი შეტევა წამყვანისაგან, ისინი მაინც დაძაბულად და შებოჭილად გრძნობენ თავს, რაც მათი პროსოდიული და გარეუნული მახასიათებლებიდანაც კარგად ჩანს. ამასთან ერთად, საინტერესოა ისიც, რომ, წამყვანის მსაგავსად, ქართველი მონაწილეებიც ცდილობენ შეარბილონ გადაწყვეტილება რომელიმე მოთამაშის თამაშიდან გაგდების შესახებ. მაგალითად, მონაწილეების ჩანაწერებზე თამაშიდან „გასაგდები“ მონაწილის სახელის ქვეშ ამგვარი „შემარბილებელი“ ფრაზებია ქართულ და, ზოგჯერ, უცხო ენებზეც: გიორგი, nothing personal, only business (არაფრი პირადული, მხოლოდ ბიზნესი); ლევანი, აბა რა გქნა? Chiaoo; გიორგი, მეგობრობა უკვდავია, და ა.შ.

მეორე მხრივ, ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი აღწერილი პრობლემატიკა ნაკლებად აქტუალურია ბრიტანელი და ამერიკელი მონაწილეებისათვის, რომლებიც, როგორც ჩანს, უფრო ტოლერანტულები არიან სახეზე შეტევის მიმართ, მიიჩნევენ მას თამაშისა და გართობის ნაწილად, ხშირ შემთხვევაში, თავადაც არ იხევნ უკან და თამაბად გადადიან კონტრშეტევაზე. ასეთი მიდგომა, კენდტის განმარტების მიხედვით, ზოგადად დამახასიათებელია დაბალი კონტექსტის კულტურის წარმომადგენლებისათვის (ჯენდტი, 2010)

#### ლიტერატურა

- გოფმანი 1967** —Goffman, Erving, Interaction Ritual, Chicago: Aldine Publishing
- კულპერი და სხვ. 2003** — Culpaper, Jonathan, Derek Bousfield, and Anne Wichman. Impoliteness revisited: With special reference to dynamic and prosodic aspects. *Journal of Pragmatics* 35: 1545-1570

**კულპაპერი 2008** — Culpaper, Jonathan. (Im)politeness in drama. In *Studying Drama: From Text to Context*. Jonathan Culpaper, Mick Short and Peter VErdonk (eds) 83-95. London, Routledge

**მაკდონალდი და ბირსი, 1996** — McDonald, S., Pearce, S., 1996. Clinical insights into pragmatic theory: frontal lobe deficits and sarcasm. *Brain and Language* 53, 81–104.

**უილსონი და სპერბერი, 1992** — Deirdre Wilson and Dan Sperber, On verbal Irony. In *Lingua* 87 (1992) 53-76. North-Holland

**ჯენდტი, 2010** — Jendt, Fred Edmund, An introduction to Intercultural Communication: Identities in a Global Community. SAGE publications

#### MANANA RUSIESHVILI

**Sarcasm as a means of entertainment and ‘face attack’**  
(using the example of three cultural versions of the quiz-show  
‘The Weakest Link’)

#### Summary

One of the major reasons for the success of The Weakest Link is considered to be a deliberate attack on the participants' faces by the hostess of the show, Anne Robinson. This effect is achieved by her sarcastic remarks which are seen as one of the means of entertainment and which, in some cases, are reciprocated by the participants.

The aim of this article is to explore the functions, frequency, degree and parameters of the ‘face attack’ in three variants of this show: British, American and Georgian. The research was conducted in two stages. In the first stage the recordings of each variant of the show in all of the three cultures were analysed. In the second and final stage of the experiment major similarities and differences emerging in the process of comparison of these different variants of the show were singled out and analysed based on the above mentioned criteria. In addition to this, culturally specific features of all of the variants were also explored, analysed and compared.

ცილა საქართვი

**ლიტერატურული გმირის პორტრეტის ენობრივი  
გახასიათებლები ტექსტის  
ინტერპრეტაციის წარვლების პროცესში**

ლიტერატურული გმირის პორტრეტის ენობრივი მახასიათებლების შესწავლას მრავალმა მწერალმა, ლიტერატურის თეორეტიკოსმა და ენის სპეციალისტმა მიუძღვნა შრომები. ტექსტის ინტერპრეტაციის სწავლების პროცესში ორანაკლებ მნიშვნელოვანია სტუდენტი ფილოლოგების მიერ მწერლისეული კოდირებული პორტრეტის ექსპლიკაციისათვის საჭირო სწორი მეთოდიების დაუფლება.

დ. დელენების, ს. კორდისა და კ. ფიორინისა ავტორთა ჯგუფის შემდგენლობით გამოქვეყნებულ ნაშრომში განხილულია ლიტერატურათმცოდნების მთელი რიგი სკითხები, რომელთა შორის გმირის პორტრეტული მახასიათებლები მეტად საინტერესოდაა წარმოდგენილი (დელენე, 42-44) და წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ინტერპრეტაციის ასპექტის სწავლებისას.

ლიტერატურული პორტრეტის შექმნის გამოცდილებას უზიარებს მკითხველს ს. მოემი თავის წიგნში **Summing up**, სადაც იგი აღნიშნავს (მოემი, 1992, 30-100), რომ პორტრეტზე მუშაობისას მწერლის წარმატებას დიდად უწყობს ხელს ხელვინის უნარი ოსტატურად გამოავლინოს კანკრეტული გმირისათვის დამახასითებელი მოულოდნელი ან სხვა თვისებებთან შეუთავსებელი შტრიჩები იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ადამიანისათვის სწორედ არათანმიმდევრულობაა დამახასიათებელი. ს. მოემი აღნიშნავდა, რომ თავის გმირებს იგი მისთვის დამახასიათებელი პრიზმიდან უყურებდა და სწორედ ავტორის ასეთი ხედვა განაპირობებდა მკითხველის დიდ ინტერესს მისი ნაწარმოებების შემართ.

ვ. ვულფი თავის ესეებში (ვულფი, 1992, 422-436) სხვა საჭითხებთან ერთად მკითხველს ლიტერატურული გმირის პორტრეტის შექმნის თავისებურებებზე მეტად საინტერესო კონცეფციას სთაგა-

ზობს და, ამასთანავე, აღნიშნავს, რომ ლიტერატურული პორტრეტის შექმნის წინ მომავალი გმირის ეშმაკისეული მოჩვენება (**demon, phantom**) ავტორს აქვთებს და აგულიანებს მხატვრულ-ვერბალურ ჩარჩოებში მოაქციოს იგი და შემდეგი სიტყვებით იწვევს: „დამიჭირე, თუ შეგიძლია!“ ასეთი საინტერესო შეტაფორული გზა გამონახა ვ-ვულფმა იმ რთული შემოქმედებითი პროცესის გამოსახატავად, რაც ლიტერატურულ პორტრეტზე მუშაობისათვის არის დამახასიათებელი და აღნიშნავს, რომ პორტრეტის წარმატებითი მხატვრული რეალიზაცია ფურცელზე ყველა მწერალს არ ხელეწითება. ვ-ვულფი ამავე დროს ხაზს უსამს მწერლის მოვალეობას ახლოს მივიდეს მკითხველთან და ისე ასახოს სინამდვილე, რომ გმირის თვალით აღქმული სამყარო ჩვენთვის დამაჯერებლი, მისაღები, თავისი არსით და პრობლემებით მიმზიდველი და გონიერისმასაზრდებელი იყოს.

ლიტერატურული გმირის პორტრეტის შექმნის პრობლემის ანალიზისას ვ-ვულფი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ ფაქტს, რომ, თუ რეალურ სინამდვილეში ცოცხალი პიროვნების ინდივიდუალური თვისებების შემცირება რთული პროცესია, მწერლისათვის გაცილებით უფრო რთულია შემოქმედებითი პროცესის დროს გონიერაში არსებული — ვიზუალური გმირის ისე დახატვა, რომ იგი იყოს **true, real and convincing** (ვულფი, 1990, 421).

ვ. ვულფის მიერ პორტრეტის წარმოდგენისათვის საჭირო შემოთავაზებული აუცილებელი სამი პირობის სრული ინტერპრეტაციის მიზნით შევეცადეთ გაგვირკვია, თუ რა იგულისხმება ვ-ვულფის მიერ „სინამდვილის“ ქვეშ. „ჩემს თავს ვეკითხები: რა არის სინამდვილე? (reality). გმირი შეიძლება იყოს რეალური ბატონი ბენეტისათვის და არარეალური ჩემთვის. მაგალითისათვის, ბატონი ბენეტი ამბობს, რომ დოქტორი ვოტსონი არის რეალური გმირი, ჩემთვის კი იგი თივით გატენილი ტომარაა“ - წერს ვ-ვულფი (ვულფი, 1990, 426). ასეთ კვალიფიკაციას აღლეს ვ-ვულფი აღნიშნული გმირის „რეალობის“ განსაზღვრას (სქელტანიანი რომანის გმირების რეალობას ვ-ვულფი განსხვავებული კუთხით განიხილავს). ვ-ვულფის შრომაში შედარებით უფრო ობიექტური საფუძვლის არსებობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ გმირის „დამაჯერებლობის“ კატეგორიასთან კავშირში, მაგრამ არც ეს პარამეტრი არის სუბიექტურობას მოკლებული.

ლიტერატურული გმირის წარმოდგენის თავისებურებების კვლევას მიუძღვნა ნაშრომში **How Fiction Works** მწერალმა და ლიტერატუ-

რათმცოდნებმ ჯ.ვუდმა (ვუდი, 2009, 48-107). ნაშრომში ავტორი ხაზს უსვამს „დეტალი“-ს ფაქტორის მნიშვნელობას გმირის პორტრეტის პრეზენტაციის პროცესში. ჯ.ვუდი აღნიშნავს, რომ ცხოვრების ამორ-ფულობის გამო ლიტერატურაშ უნდა გვასწავლოს, როგორ შევამჩნიოთ, გამოვყოთ ჩვენ გარშემო არსებული სინამდვილის მნიშვნელოვანი დეტალები და, შესაბამისად, განვსაზღვროთ გმირის მახასიათებელი პარამეტრები; ზოგადად, უფრო უკეთესად შევისწავლოთ რეალობა, ჩვენი თავი და გარშემო მყოფნი. ვერ დავეთანხმებით ჯ.ვუდს, რომ ახალგაზრდებს ცხოვრებისეული და, შესაბამისად, ლიტერატურული დეტალის დაფიქსირების ნაკლები უნარი გააჩინათ.

ჯ. ვუდის ნაშრომში საინტერესოდაა განხილული მაკონკრეტიზირებელი დეტალის ფენომენი, რომელიც ავტორის მიერ წარმოდგენილია ტერმინით **thisness** (ვუდი, 2009, 4,54). ეს ისეთი კონტექსტუალური დეტალია, რომელიც ტექსტში აბსტრაქციის, განყენებულობის, ბუნდოვანების ექსპლიკაციას, დეკოდირებას ემსახურება და საგნის ან მოვლენის კონკრეტიზაციას განაპირობებს. აღნიშნული კონტექსტუალური ფენომენი აღრე ჩვენც შევისწავლეთ და მას კონტექსტუალური იმპლიკატორი ვუწოდეთ.

ლიტერატურული გმირის პრეზენტაციისას ან სინამდვილის ასახვისას საინტერესოა ჯ.ვუდის შეხედულება ტექსტში „ჭარბი დეტალის“ (**surplus detail**) ფაქტორზე (ვუდი, 2009, 64). ჩვენი აზრით, თუ დეტალის არსებობა განპირობებულია ავტორის გარეველი ინტენციით და მხატვრული ღირებულების მატარებელია, მას ტექსტში არსებობის უფლება აქვს.

ლიტერატურული გმირის პორტრეტის ვერბალიზაციისას მწერლის განკარგულებაშია პიროვნული თვისების წარმოჩნდების პირდაპირი (**telling**) და არაპირდაპირი (**showing**) კონტექსტუალური მაჩვენებლები (ვუდი, 2009, 97). პირდაპირი (**telling**) პრეზენტაცია ავტორისაგან ან სხვა მოქმედი პირისაგან მომდინარეობს, არაპირდაპირი კი გმირის მოქმედებითა და აქტივობითა იმპლიცირებული. ლიტერატურული პორტრეტის რეალიზების ორივე გზა სტუდენტ-ფილოლოგის მიერ ეფექტურად შეიძლება იქნეს გამოყენებული გმირთა ცალკეული პიროვნული თვისებების დადგენის მიზნით. ტექსტის დეტალების „ასოციაციურ-შეპირისპირებითი“ მეთოდი, რაც ტექსტში მოცემული დეტალების ურთიერთკავშირში სიღრმისეულ განხილვას გულისხმობს, ინტერპრეტაციის ასპექტის სწავლებისას ასევე ეფექტუ-

რად შეიძლება იქნეს გამოყენებული, როგორც გმირის პორტრეტის იმპლიციტური მახასიათებლები.

ჩვენი მიზანია, ინტერპრეტაციის სწავლებისას კონკრეტული ტექსტების ანალიზის საფუძველზე გამოვავლინოთ გმირების პორტრეტული მახასიათებლები ავტორის მიერ რეალიზიბული პირდაპირი (**telling**) და არაპირდაპირი (**showing**) პარამეტრების შესაბამისად.

ქალისა და მამაკაცის პორტრეტები საინტერესო კუთხით აქვს წარმოდგენილი ვ.ვულფის თავისი მოთხოვნაში „სამკვიდრო“ (**The Legacy**) (ვულფი, 38), სადაც აღწერილია ერთ დროს ბედნიერი ოჯახის ისტორია. შინაარსის ანალიზისას სტუდენტები კიდევ ერთხელ რწმუნდებიან, რომ სოციალური კეთილდღეობა ოჯახის ბედნიერების განმსაზღვრელი შეიძლება არც იყოს. ოჯახის ბედნიერებას დიდი პიროვნული თვისებები — ურთიერთგაგება და ინტერესთა გათვალისწინება, გრძნობათა სიფაქიზე სჭირდება. აღნიშნულის გარეშე, გმირთა სუსტი მხარეები წინ წამოწევს ხოლმე და ბედნიერება ადგილად იმსხვრევა.

ვ. ვულფის მოთხოვნის — „სამკვიდრო“ მოქმედი პირები სწორედ ასეთი გაუცხოების მსხვერპლი ხდებიან და პიროვნული თვისებების გამო ვერ ახერხებენ, რომ ოჯახური ბედნიერებისათვის აუცილებელი დამაკავშირებელი რგოლი გამონახონ.

მოთხოვნაში ოჯახის უფროსი — ვილბერტი უკიდურესად მოუცლელი პოლიტიკოსი ხდება და რომანტიკული ინტერესების მქონე ცოლის — ანჟელას სამყარო მისი უურადებების მიღმა რჩება; ეშმაკ-მაც არ დააყოვნა და ანჟელამ თავშეკავებული რომანი გააბა მდივანი ქალის მმასთან.

ტექსტში ანჟელას პორტრეტი იმპლიციტური — არაპირდაპირი ხერხებითაა რეალიზიბული. ქმრის მოგონებებში იგი წარმოგვიდგება, როგორც მეტად ემოციური, ინტერესებით სავსე, გრძნობებს აყოლონ ქალი, რომლის მუდმივი მცდელობაა, რომ ცხოვრება და საკუთარი პიროვნება უკეთესად შეიცნოს.

გმირის პორტრეტის არაპირდაპირი, იმპლიციტური რეალიზაციის დეკოდირების ტექნიკის ფლობა მხოლოდ ფილოლოგიურად განსწავლულ, ფაქტიზი ინტუიციის მკითხველს ხელეწიფება. ქვემოთ მოტანილ კონტექსტში ვ.ვულფი ქვეტექსტით, იმპლიციტურად (**showing**) გვაწვდის ანჟელას პორტრეტის მახასიათებელ პარამეტრებს:

(ოფიციალურ შეხვედრებზე) **she had been sitting on the plat-**

**form beside him. He could still see the glance she cast at him, (მოხვა-ბულე მეუღლე) and how she had tears in her eyes (გმოციური). And then? They had gone to Venice. He recalled that happy holiday after the election. “We had ices at Florian’s”. He smiled – she was, still such a child, she loved ices (სასიამოგნო თანამგზავრი). “Gilbert gave me a most interesting account of the history of Venice. He told me that the Doges... (ფართო ინტერესების მქონე) One of the delights of travelling with Angela had been that she was eager to ლეარნ (ცოდნის მა-ძიებელი) (5,41-42).**

ტექსტის ანალიზისას პორტრეტული მახასიათებლების პირდაპირი (telling) და არაპირდაპირი (showing) დადგენის გზით სტუდენტები რწმუნდებიან, რომ ანუელას ჰქონდა უნარი, არაჩვეულებრივად გულწრფელად გაეწია თანაგრძნობა სხვისთვის (**with her genius for sympathy**), სხვისი ჭირის თანამზიარე ყოფილიყო, ყურადღებით მოკიდებოდა გარშემო მყოფთ... თუნდაც საკუთარ თვითმკვლელობაზე მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ. ისმება კითხვა: ანუელას მოქმედება მას ახასიათებს როგორც სუსტ ქალს, თუ ქმრისადმი დანაშაულის გრძნობამ განაპირობა მისი თვითმკვლელობა? პასუხს ამ კითხვაზე ვკულფი მეტიხველს ანდობს — მეტიხველის გადასაწყვეტია ანუელას გონებაში მიმდინარე აზრთა ჭიდილის ხასიათი — თავის დღიურებში იყოს ქმრისადმი გულახდილი და ოჯახისადმი ჩადენილი დანაშაული აღიაროს, თუ მოულოდნელად გაჩენილი სიყარულის მსხვერპლის გზა გაიმეოროს და საკუთარი სიკვდილით დაამარცხოს სისუსტე, რამაც ოჯახის მოღალატე გახადა.

აი, ასე იკვეთება ანუელას წინააღმდეგობებით სავსე პორტრეტი. ქალის საბოლოო გადაწყვეტილება — თვითმკვლელობით გაერღვია გორდიას კვანძი — ტექსტის ინტერპრეტატორ სტუდენტს საშუალებას აძლევს დაადგინოს კიდევ ერთი გმირის — ანუელას ეგოიზმით აღსაგევ მეუღლის პორტრეტი.

თუ ვ. ვულფი ანუელას პირდაპირ და ირიბი ხასიათის პორტრეტულ მახასიათებლებს სიფაქიზით ეპყრობა და მისი სულიერი ტანკვის მოზიარედ წარმოჩინდება, გილბერტის — ანუელას მეუღლის მიმართ, იგი დაუნდობელია და იმპლიციტური ქვეტექსტით, ერთ წინადადებაში გვამცნობს, თუ რაოდენ ეგოისტურად აღიქვამს იგი ანუელას დაღუპვას — მისთვის უბედურება ის კი არაა, რომ ანუელა დაიღუპა, არამედ ის, რომ მას ანუელამ სხვა მამაკაცთან, იმქვეყნად

ყოფნა ამჯობინა.

ამრიგად, პირდაპირი და არაპირდაპირი ხასიათის პორტრეტული მახასიათებლები, ტექსტის ცალკეული დეტალები, მათი ურთიერთმიმართებისა და დაპირისპირების გზით, წარმატებით შეიძლება გამოვყენოთ ტექსტის ინტერპრეტაციის სწავლებისას ლიტერატურული გმირის პორტრეტის დადგენის პროცესში.

ლიტერატურული გმირის პორტრეტული მახასიათებლები ს. მოემს თავის მოთხრობაში „პირობა“ (მოემი, 1992, 406) ასევე საინტერესოდ აქვს რეალიზტული.

აღნიშვნული მოთხრობა პირობითად სამ შემადგენელ ეპიზოდად შეიძლება, დაიყოს: ა) მეუღლე, როგორც მიცემული პირობის დამრღვევი; ბ) ელისაბედის ცხოვრების „მხიარული“ პერიოდი; გ) ელისაბედი — პირობის შემსრულებელი და, შესაბამისად, „პატიოსანი ქალბატონი“.

ს. მოემი თავის მოთხრობაში ცდილობს, მკითხველი დაარწმუნოს, რომ ქალი, რომლის ცხოვრების განხსაზღვრელი მახასიათებელი მამაკაცებთან ურთიერთობის ზღვარზე გადის, შეიძლება აღვიქვათ როგორც „პატიოსანი“; განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მას პირობის გამტეს მეორე ქალბატონთან კონტექსტში დავახასიათებთ.

მოთხრობის შინაარსი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში აღწერილია მომხიბლავი ქალბატონის — ელისაბედ ვერმონის ცხოვრება მმაკაცებთან მიმართებით — ის ხომ მკაცრი საზოგადოების მიერ აღიარებულ სიწმინდეებს არაფრად დაგიდევდათ. ს. მოემი უხვისტურებულ ხაზს უსვამს მის მაღალ საზოგადოებრივ წარმომავლობას. მიუხედავად დადებითი თვისებებისა, ელისაბედს ავტორი მთელი რიგი უაღრესად უარყოფითი თვისებებით „ამკობს“ — „**Her name stank in the nostrils of decent people. She was a gambler, a spendthrift and wanton ... (she) started at once upon a career of astounding extravagance, lewdness and dissipation. She was too proud to be cautious, too reckless to think of consequences. Then followed a succession of lovers. She became notorious for her profligacy** (3,408).

მიუხედავად ასეთი უარყოფითი მახასიათებლებისა, ავტორს უძნელდება ელისაბედის მიმართ მკაცრი ვერდიქტი გამოიტანოს. ცალკეულ ეპიზოდებში რეალიზტული დეტალების ურთიერთმიმართებისა და დაპირისპირების გზით ავტორის პოზიცია ნათელი ხდება —

მწერლის მეუღლე მიცემულ პირობას ადგილად არღვევდა, ელისაბე-დისთვის კი პირობის აღსრულება, თუნდაც მტკიცნეული პირობისა, ავტორისათვის ღირსების საქმე იყო.

ინგლისური ენის ლექსიკური ერთეული **honest** რთული სემანტიკური ბუნებისაა. იგი კონტექსტის გავლენით შეიძლება რეალიზდეს როგორც ერთი ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტის შემადგენელი სემების ერთობლიობა ან — როგორც კონტექსტის გავლენით „სპეციალიზაციის“ პროცესს დაქვემდებარებული ერთეული, რომლის სემანტიკური სტრუქტურაც ერთი სემისგან — „პირობის შემსრულებელი“ — შედგება. ს.მოემის მოთხრობაში „პირობა“ მნიშვნელობის „სპეციალიზაციის“ ასეთ პროცესს აქვს ადგილი ლექსიკური ერთეულის **honest** რეალიზაციის დროს. ინტერპრეტაციის ასპექტში შეცადინებაზე სტუდენტის მიერ ენობრივი პროცესების სწორ ექსპლოკაციას დიდი მნიშვნელობა აქვთ.

აი, ასე ვანაპირობა ს.მოემის მიერ ტექსტში რეალიზებულმა ელისაბედ ვერმონის პორტრეტის კონტექსტუალურმა მახასიათებლებმა და მოთხოვთ ეპიზოდების შემადგენელი დეტალების ურთიერთმიმართებამ და დაპირისპირებამ ელისაბედ ვერმონის პატიოსან ქალად წარმოჩნება, რაც ტექსტში ლექსიკური ერთეულის **honest** შემადგენელი სემების ნეიტრალიზაცია—სპეციალიზაციის გზით გახდა შესაძლებელი.

მტრივად, ლიტერატურული პორტრეტის ძირითადი კონტექსტუალური მახასიათებლები შემდეგი ტექსტური კომპონენტებით შეიძლება რეალიზდეს: ავტორის პოზიციის ამსახველი ნარატივით, სხვა მოქმედ პირთა სუბიექტური პოზიციის ამსახველი ნარატივით, ტექსტური დეტალების გმირთან მიმართების ხასიათის ექსპლიკაციით, ტექსტში ასახული სინამდვილისადმი გმირის პოზიციის მარეალიზებელი პასაუებით. ინტერპრეტაციის სწავლებისას გმირის ლიტერატურული პორტრეტის სწორედ აღნიშნული ექსპლიკატური და იმპლიკატური პორტრეტული მახასიათებლები უნდა დაედოს საფუძვლად. ასეთი მახასიათებლების ინგლისურ ენაზე განხილვის პროცესი ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ ენის წარმატებით დაუფლებას.

#### ლიტერატურა

- დელენე, ვორდი, ფიორინა, 2005** — Delaney, D., Ward, C., Fiorina, C., *Fields of Vision*, Edinburgh, 2005.
- მოემი, 1991** — Maugham, S., *Summing up*, Penguin Classics, 1992.
- მოემი, 1991** — Maugham, S., *Collected Short Stories*, B.1., Promised, Powell's Books, New York, 1992.
- ვუდი, 2009** — Wood, J., *How Fiction Works*, London, 2009.
- ვულფი, 1990** — Woolf, V., *Essays*, V.3. London, 1990.
- ვულფი, 2003** — Short Stories - And All for Love, ed. by Mowat, G. Bassett; Woolf V. - "The Legacy", London, 2003.

#### TSIALA SAKARULI

#### Literary Portrait while Teaching Text-interpretation

##### Summary

While teaching text-interpretation literary portraits should be defined on the basis of explicit and implicit (telling and showing) text data in the process of which students effectively master the English linguistic means, so necessary for portrayal of a literary character.

## ცილა სახარული

**შინაარსისა და დეტალი-სიმბოლოს ურთიერთობის  
თავისებზრდაზე მოქამადის სწავლების სწავლებისას**

დასავლეთევროპული ფილოლოგის სტუდენთა სასწავლო პროგრამით ტექსტზე მუშაობას დიდი ყურადღება ექცევა და იგი მოიაზრება ორი სასწავლო ასპექტით-ანალიზური კითხვით და ტექსტის ინტერრაპრეტაციით.

ტექსტზე მუშაობისას ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული — კომპოზიციური და შინაარსობრივი მახასიათებლების დადგენა არის აუცილებელი, რაც, უპირველეს ყოვლისა, ელემენტარული ოდენობის — ღიტერატურული დეტალის ექსპლიკაციისა და ტექსტში მისი ფუნქციური რელევანტობის განსაზღვრა-დადგენას გულისხმობს.

ტექსტის ანალიზი ინფორმაციის განმსაზღვრელი ეპიზოდების გამოყოფით იწყება, სადაც დეტალები მწერლის ინტენციას დაქვემდებარებული ოდენობებია და წარმოადგენენ არა მარტო ობიექტური ხასიათის, მოქმედების ან განწყობის გამომხატველ ლექსიკურ იდენტებს, არამედ — აბსტრაქტული, არარეალური სინამდვილის ამსახველ ენობრივ საშუალებებსაც.

ინგლისელი ენათმეცნიერი ჯ.ვუდი თავის ნაშრომში **How Fiction Works** დეტალის თავისებურებების კვლევისას აღნიშნავს (ვუდი, 2008, 48-75), რომ შინაარსობრივი დეტალი შეიძლება იყოს ორი სახის — აქტიური (**on-duty**) და პასიური (**off-duty**). აქტიურია დეტალი, თუ ის თავისი ინფორმაციული ღირებულებით ტექსტის შინაარსის განმსაზღვრელ ფუნქციას ასრულებს. პასიური დეტალი ტექსტში აღწერილი სინამდვილის მიმართ მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას ახდენს. ჯ.ვუდის მიხედვით, პასიურმა დეტალმა შეიძლება აქტიურის ფუნქცია შეიძინოს. მაგალითად, ძალის ყელსაბამი, როგორც დეტალი, მ.შორესის მოთხოვნაში **The Dead Dog** (5,55) პასიურიდან აქტიურ დეტალად ტრანსფორმირდება.

ტექსტის ანალიზის პროცესში დეტალის შინაარსობრივი ფუნქციის გარკვევას დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ტექსტის მოდალობის, თემისა და იდეის დადგენის პროცესში. დეტალის რეალიზაციის ხასიათის გარკვევით სტუდენტი მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის თანამონაწილე შეიძლება გავხადოთ იმის გამო, რომ ტექსტის ავტორი ყოველ დეტალს გარკვეულ ფუნქციურ დატვირთვას ანიჭებს. მაგალითად, დეტალების ჭარბი რეალიზაციით ავტორი ცდილობს:

- ა) დახატული რეალობა სინამდვილეს უფრო მეტად დაუახლოოს;
- ბ) აღწერილი სინამდვილის მიმართ საკუთარი თავი თანამონაწილედ წარმოგვიდგინოს.

მიგვაჩინა, რომ ლიტერატურული ტექსტი ისევე მდიდარია თანამდევი დეტალებით, როგორც ჩვენ ირგვლივ არსებული რეალური სინამდვილე. სწორედ ამიტომ, მხატვრულ ტექსტში ისეთი სახის დეტალი შეიძლება იყოს რეალიზებული, რაც სტუდენტ-ბაკალავრის სილაბუსით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ მხატვრულ ტექსტში მსგავსი ხასიათის დეტალები ხშირად გამოიყენება ხოლმე. ასეთია, მაგალითად, მხატვრულ ტექსტში საკმაოდ ხშირად რეალიზებული დეტალი — **afterthought** („წარმდგვარი მოდუსით“), როგორც ნაწარმოების იდეის აქტიური მარტალიზებელი, რომლის უგულებელყოფაც დაუშებელია. ამიტომ, მხატვრული ტექსტის ანალიზისას სტუდენტებმა, პედაგოგის დახმარებით, უნდა შეიძლონ, მიაკვლიონ დეტალ-ინდიკატორებს, თუნდაც ისეთებს, სილაბუსით რომ არ არის გათვალისწინებული.

ნაწარმოების იდეის აქტიური მარტალიზებელია დეტალი-სიმბოლო თავისი გამორჩეული მუხტის გამო. ტექსტში სიმბოლოს მნიშვნელობაზე მიუთითებს ნ. ჯანელიძე თავის „სტატიაში „სიმბოლოს სემანტიკური სტრუქტურა“: იგი აღნიშნავს, რომ „ღრმის და შემკვერელი მხატვრული ნაწარმოებისა, მისი ეპიცენტრი არის სიმბოლო, სიმბოლოს დონეზე აყვანილი მისი გმირები, სიმბოლოდ ქცეული ენობრივი საშუალებები“ (ჯანელიძე, 1999, 293). სიმბოლო-დეტალზე სტუდენტებთან მუშაობის პროცესში სწორედ აღნიშნულ პარამეტრებს უნდა მივაქციოთ ყურადღება. ტექსტში რეალიზებული ტრადიციული და ტექსტური სიმბოლოების რელევანტობის ექსპლიკაციის გზით სტუდენტი ეუფლება ტექსტან შემდგომი ურთიერთობის აუცილებელ

ტექნიკას.

ლიტერატურულ ტექსტებში სიმბოლო-დეტალი სხვადასხვა და-ტვირთვას იძენს ხოლმე. ტრადიციული სიმბოლოების რეალიზაცია ნაწარმოებს გარკვეული ემოციური მუხტით ტვირთავს. მაგალითისათვის განვიხილავთ ჰ. ბეიტსის მოთხოვნას „*Go, Lovely Rose*“ (ბეიტსი, 119), სადაც გარდის, როგორც ტრადიციულად მშვენიერების, სილამაზის სიმბოლოს, ტექსტში რეალიზაციით ნაწარმოებს განსაკუთრებული რომანტიკული უღრადობა ემატება.

საინტერესოა ჰ. რენიერის „*She Knew Full Well*“ (რენიერი, 886-887) კერძო, ინდივიდუალური ხასიათის სიმბოლოს შესახებ. ავტორის აზრით, თუ შედარებისას ერთ-ერთი მხარე ნავარაუდევი და ამიტომაც, იმპლიციტურია, სიმბოლო, შესაბამისად, ინდივიდუალურია.

ს. მოქმის მოთხოვნაში „*Salvatore*“ ინდივიდუალური სიმბოლოს დონეზე აყვანილი გმირის ისტორია არის აღწერილი (მოქმი, 28). ავტორის მიერ სალვატორეს მხატვრული სახე მხოლოდ დადებითი თვისებების მატარებელია, რომელთა კონსტატაცია, ტექსტზე მუშაობისას, სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით ხდება. ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ სალვატორე ადამიანური დიდსულოვნების, სიკეთის, მაღალი ზნების ლიტერატურული გმირის სიმბოლოა: მიუხედვად მრავალგზის გადატანილი მწუხარებისა და უბედურებისა, იგი თავდაჭრილად და ღირსების გრძნობით იტანს ცხოვრებისეულ პრობლემებს. თქმულის საფუძველზე შეიძლება დაგასკვნათ, რომ ს.მოქმის მოთხოვნაში ხდება სალვატორეს ინდივიდუალური მხატვრული სახის სიმბოლიზაცია.

სიმბოლოს პრობლემის შესწავლას მიუძღვნა ა.ლოსევგმა თავისი ნაშრომი „**Проблема Символа**“, რომლის მიერ განხილული თემის გარშემო წიგნში ჩამოყალიბებული ნააზრევი მრავალმხრივი, ღრმა და მეტად საინტერესო (ლოსევი, 1976, 190).

ჩვენ გარშემო არსებულ აერობას ა.ლოსევი სიმბოლოების სამჭედლოდ განიხილავს და მიუთითებს ჩვენი შემეცნების უნარზე — ცალკეულ საგანში სიმბოლური ფუნქციის რეალიზაციის ძალა დავინახოთ, რომლის გარეშეც მთელი ემპირიული სინამდგილე ერთმანეთთან დაუკავშირებელ ერთეულებად დაიშლებოდა. ავტორი ამასთანავე აღნიშნავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ საგანი ნიშანთა ერთიანობაა, რაც საგნის გარე სამყაროსთან კავშირს განაპირობებს — ყოველი საგანი ჩვენი შემეცნებისათვის განპირობებულია სხვა სა-

გნებთან კავშირით, და — პირიქით. ავტორის აზრით, არ არსებობს ისეთი საგანი, რომელიც არ არის ადამიანთა ურთიერთობებით მოაზრებული, ანუ არ წარმოადგენს ამ ურთიერთობების სიმბოლოს მოცემულ დროსა და სივრცეში.

ზემოთ მულის საილუსტრაციოდ გვინდა მოვიშველიოთ სასწავლო სილაბუსით გათვალისწინებული ფ.დელის მოთხოვნაში „*The Blanket*“ (დელი, 64) ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოხმარების საგნის (საბნის აღმნიშვნელი ერთეულის — *blanket*), როგორც მშობლური სიყვარულის, დიდი ადამიანური სითბოსა და ერთგულების მარელიზირებელი დეტალი — სიმბოლო: ყმაწვილმა ხომ საბნის ორად გაჭრით მოხუცისადმი დიდი სიყვარული და ერთგულება გამოხატა; მისი მოქმედებით საბანი — ტექსტური დეტალი, როგორც უკიდეგანო სამყაროს დროით და სივრცით განპირობებული ყოფითი სიმბოლო, ისე მოიაზრება.

ტექსტში ყოფითი საგნების ასეთი სიმბოლური ფუნქციით ჩეალიზაცია-სიმბოლიზაცია მხატვრულ ლიტერატურაში ერთ-ერთი საინტერესო ემოციური ხერხია. ინგლისურ ენაზე სტუდენტებთან აღნიშნული სტილისტური ხერხის გარშემო წარმართული განხილვა ენის დაუფლებისა და სრულყოფის ეფექტურ გზად მიგვაჩნია.

ტექსტში ტრადიციული სიმბოლო-დეტალის დესემანტიზაციასაც შეიძლება პჭინდეს ადგილი. აღნიშნული პროცესის ნათელსაყოფად განვიხილავთ მ.როლინგის მოთხოვნას „*A Mother in Mannville*“ (როლინგი, 247), რომელშიც დედის ცნობილი, საყოველთაოდ აღიარებული სიმბოლო, როგორც შვილისადმი უსაზღვრო სიყვარულის, უყიდეგანო ერთგულების განსახიერება, ტრანსფორმაციას, დესიმბოლიზაციას განიკლის და გველინება როგორც შვილის უარმყოფელი დედის გრძნობებს მოკლებული ვინმე — არსება.

ლიტერატურული სიმბოლოს ტექსტში მოქმედების სრული სურათის ექსპლიკაციისათვის საჭიროდ ჩავთვალეთ, წარმოგვედრინა პ.სტიუარტის მოთხოვნაში „*The Abyss*“ (სტიუარტი, 23) სიმბოლო — დეტალის რელიზაციის მექნიზმი.

3. სტიუარტის გმირი ცოლისგან უარყოფილი ახალგაზრდა კაცია, რომლისთვისაც ცხოვრებამ მნიშვნელობა დაკარგა, მომავალი კი კარგს არაფერს უქადის. უბრალო გლეხის კაცი მას იმედით აღავსებს და არწმუნებს, რომ უფსერული ქვეყნის დასალიერი არ არის, ის ვირტუალური შეიძლება იყოს და, შესაბამისად, „წარმოსახვითი

უბედურებაც“ მხოლოდ დაუძლურებული გონების უბედურებისადმი მზადყოფნით იყოს განპირობებული. პ.სტიუარტის მოთხოვნაში არარსებული უფსკრულისა და საფუძველსმოკლებული შიშის ოსტატურად დაკავშირების გზით დეტალი-სიმბოლოს **abyss** (უფსკრული) ტრადიციით განპირობებული მნიშვნელობა — „უბედურება“ დასემანტიზირებულია.

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, ტექსტის ანალიზისა და ინტერპრეტაციის სწავლების პროცესში, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მომავალი ფილოლოგებისათვის დეტალისა და სიმბოლოს ტექსტში მოქმედების სწორი ანალიზის ტექნიკის დაუფლება. გარდა ამისა, მოცემულ სტატიაში წარმოდგენილი შინაარსისა და დეტალი-სიმბოლოს ურთიერთმიმართების საკითხის კონკრეტულ ტექსტებში განხილვის გზით სტუდენტები უფრო ეფექტურად უფლებინა ინგლისურ ენაზე პრობლემის ანალიზისა და წარმოდგენის პრაქტიკულად აქტიურ ენობრივ ფორმებს.

#### ლიტერატურა

**გუდი, 2008** — ჯ. Wood, James, “How Fiction Works”, Vintage Books, London, 2008.

**ლოსევი, 1976** — ლოსევ, ა. ფ. „Проблема Символа и реалистическое искусство“, Москва, 1976.

**განელიძე, 1999** — განელიძე ნ. „სიმბოლოს სემანტიკური სტრუქტურა“, უკრნალი „საუნჩე“, N3, 1999.

„Dictionary of Literary Terms and Literary Theory“, G. D. Cuddon, England, Penguin Books, 1999.

#### მათერიული ლიტერატურა

**გოლოვჩინსკაია, 1976** — Golovchinskaya L.S. „Speak Good English“, p. 2, Shorer, M. - „The Dead dog“, Moscow, 1976.

„A Book of Short Stories by English Authors“, book II, Bates, H. — „Go lovely Rose“, თბ., 1990.

**სირია და სხვანი, 2009** — „პრაქტიკული კურსი ინგლისურ ენაში“, ნ. 1, F. Dell — „The Blanket“, თსუ, 2009.

**სირია და სხვანი, 2010** — „პრაქტიკული კურსი ინგლისურ ენაში“, ნ. 2, Maugham, S., — „Salvatore“, თსუ, 2010;

**გოლოვჩინსკაია, 1980** — Golovchinskaya, L. S., „Speak good English“, p. 5., Rawlings, M., „A Mother in Mannville“, Moscow, 1980.

**სტიუარტი, 1997** — Stuart, P., „Lucky Luke and other Very Short Stories“, - „The Abyss“, Penguin Books, 1997.

TSIALA SAKARULI

#### Interrelation between detail as symbol and contents while teaching text-analysis

##### Summary

The paper deals with the problem of interrelation between the detail as a symbol and the contents while teaching the aspect of text-analysis. The mentioned type of interrelation is considered to be one of the important indicators for defining the modality of the text. Through the analysis of the above mentioned interrelation between the detail as a symbol and the contents in the texts students will more effectively master the linguistic ways of presenting the results of their discussion in English.

## მხდარი საღლიანი

სეპარი ენისათვის დამახასიათებელი საენციპიური  
იდიომები ანუ იდიომური ლაპუნები

ენაში არსებული სხვადასხვა სახის **გაქვავებული გამოთქმები**, ე.წ. ენობრივი ფორმულები შორეულ ისტორიულ წარსულში არიან წარმოქმნილი. ისნინ ასახავენ ამა თუ იმ ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, საზოგადოებრივ განვითარებას, მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს. აღნიშნულ გამოთქმებს შემოუნახავთ ბევრი არქაული მოვლენა და, ამდენად, მათი ენობრივი თვალსაზრისით შესწავლას სვანურში, ბუნებრივია, გარკვეული ინტერესი ახლავს. სვანურის ლექსიკური ფონდი კი ამ მხრივაც საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, იდიომები წარმოადგენენ ღრმა ინფორმაციულ ერთეულებს, რომლებშიც ასახულია ერის მორალური სახე, რწმენა, სული, რითაც განპირობებულია ნაციონალური კულტურისათვის დამახასიათებელი ე. წ. არაეკვივალენტური იდიომების ანუ იდიომური ლაპუნების არსებობა (შდრ. „ჩაილურის წყალი დალია“, „ქოქოლა დააყარა“ და ა. შ.). ამგვარი იდიომები, ძირითადად, აზრობრივად ითარგმნება, რადგან შეუძლებელია მათ მიესადაგოს სხვა ენაში არსებული ფრაზეოლოგიზმები (გრიშეთელიანი 2010, 63). ცხალია, მსგავსი (წმინდა კუთხური კოლორიტის) მასალა სვანურშიც ფიქსირდება [მაგ.: ბქ. გეშლაშრლეული<sup>1</sup> ნამტრუკუჭალ „ცელქი, მოუსვენარი („გეშლარ-“ს) ზემოთ ნაკუნტრუშები“, შდრ. ქართ. „მუტრუკ-ი“], ბქ. ათხევ უიცხილდ ზაგარჟიოლუშე<sup>2</sup> ქუქუდას „ისემც გიქნია, მოუსვლელშიმც წასულხარ („ახლაც ვიცხილდ ზაგარზემც ჩაცუცქულხარ“), ლნტ.

<sup>1</sup> გეშლარ ადგილია ბალსქვემი სვანეთში, კერძოდ, სოფელ ეცერში.

<sup>2</sup> უიცხილდ ზაგარ ადგილის სახელწოდება ზემო სვანეთში და მდებარეობს დასახლებული პუნქტებისგან ძალიან შორს. გამოთქმაც სწორედ აქედან არის მიღებული (ანუ მოიაზრება ისეთი შორეული და მიუვალი ადგილი, საიდანც დაბრუნება ძალზე რთულია).

დამპარდ ლიგენე<sup>3</sup> „თავის გაპობა („ლამპრ-ად და-დგ-მ-ა“)“, ბქ. ეშხუთე ლაფსუალდოთ ხულუა „ელამია (ერთი თვალ-ი ლაფსუალდ-ტი-კენ აქვს“)“ და მრავ. სხვ.]. იმისათვის, რომ ეს მასალა მეორე ენაზე მოლაპარაკე ადამიანისათვის ნათელი და გასაგები იყოს, შინაარსობრივი თვალსაზრისით, აუცილებელია სიტყვასიტყვითი (ანუ ბწყარედული თარგმანი). რა თქმა უნდა, ეს პრიბლემა მხოლოდ სვანურიდან ქართულ ენაზე თარგმნის დროს არ იქმნება.

გარდა ამისა, სვანურში გვხვდება ისეთი იდიომებიც, რომელთა წარმოშობა დღეს უკვე ნათელი არ არის. ამისი მიზეზი კი, ალ. ონიანის აზრით, უნდა ვეძიოთ იმაში, რომ სათანადო მოვლენა, რამაც იდიომის შექმნა განაპირობა, ისტორიაში არ არის ფიქსირებული. ვინაიდან მათი წარმოშობის საფუძველი არ ვიცით, ამიტომ მათი ეტიმოლოგიის გარკვევაც, ბუნებრივია, ჭირს (ონიანი 1954, 139).

ამჯერად ყურადღებას გავაძხვილებთ სვანურში არსებულ ისეთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე, რომელთაც ქართულში ეკვივალენტი არ ექვნებათ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ერთეულებში შემავალი ერთ-ერთი ელემენტი, კერძოდ, პირველი, ქართულიდანაა შეთვისებული. სვანურში სწორედ ამ ერთეულის მონაწილეობით იქმნება ესა თუ ის ფრაზეოლოგიური გამონათქვამი, რომელიც ენობრივი თვალსაზრისით სვანურისთვის აბსოლუტურად ბუნებრივი კონსტრუქციაა.

ის, რომ მთარგმნელობით პრატკიკაში ფრაზეოლოგია რჩება ერთ-ერთ რთულ უნდად, ამის შესახებ ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ წერდა ფრაზეოლოგიზმების ცნობილი მკვლევარი არლ. თაყაიშვილი. ცნობილია ისიც, თუ რა დაბრკოლებას აწყდებიან მთარგმნელები უცხო ენის ფრაზეოლოგიური მასალის, კერძოდ, იდიომატიკის გაღმოტანისას (თაყაიშვილი, 1961, 104).

სამეცნიერო ლიტერატურაში იდიომის განსაზღვრის სამი ძირითადი სახე არსებობს:

1. იდიომის განსაზღვრა სემანტიკური ნიშნის მიხედვით, რაც ყველაზე

<sup>3</sup> გამოთქმა უნდა უკავშირდებოდეს სვანურ დღესასწაულს ლამპრობა-ს. როგორც ცნობილია, ლამპრობამდე 2-3 კვირით აღრე ხდება არყის ხის ტოტების ერთ მხარეს წვრილად დაპობა და მეტე მათი გახმობა, რომ დღესასწაულზე ცეტლი კარგად წაეკიდოს.

მეტადაა გავრცელებული. ამ თვალსაზრისით იდიომი ისეთი ფრაზეოლოგი-ური ერთეულია, რომლის მნიშვნელობაც არ გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან; მასში სიტყვა-კომპონენტებს დაკარგული აქტ სემანტიკური თავისთავაღობა (ვ. ვ. ვინოგრაძოვი, ს. ი. აბაკუმოვი, ლ. ბინოვიჩი, ი. ვ. უსტინოვი, მ. ა. სოლონინო, ა. პ. როგაჩევი, ა. ნ. გვოზლევი და სხვ.).

2. იდიომის განსაზღვრა მისი დაუშლელობის, მყარობის მიხედვით (ი. ვულფიუსი, ა. ი. როგაჩევი, ნ. მ. საიკიევი და სხვ.), რაც ქართულსა და სვანურში, ძირითადად, იდიომის მუდმივ ლექსიკურ შედევნილობაში ვლინდება (ონიანი 1954, 241).

3. მკვლევართა გარკვეული ნაწილი კი, როგორც ცნობილია, იდიომის განსაზღვრის კრიტერიუმად მიიჩნევს მის სხვა ენაზე უთარგმნელობას. ამ თვალსაზრისის მიხედვით, იდიომი ისეთი გამოთქმაა, რომელიც სხვა ენაზე სიტყვასიტყვით არ ითარგმნება (ა. ა. რეფორმატსკი, ნ. სკორილიმოვა, დ. ნ. უმაკოვი, ს. ი. ოჯეგოვი, ლ. ა. ბულახოვსკი).

იდიომის არსებულ განსაზღვრათა ამგვარი კლასიფიკაცია, ალ. ონიანის აზრით, არ არის ზუსტი, „რადგანაც უმეტეს შემთხვევაში ერთ განმსაზღვრელ ნიშნეულობასთან ერთად მხედველობაშია მიღებული სხვა რომელიმე ნიშნეულობაც“... იდიომის განსაზღვრაში ზოგჯერ ისეთ ნიშნეულობაზეც არის უყრადღება გამახვილებული, როგორიცაა, მაგალითად, ლექსიკური ან გრამატიკული არქაიზმების არსებობა იდიომში, თუმცა, მეცნიერის აზრით, უმთავრესად მაინც ზემოაღნიშნული სამი ნიშნეულობიდან ერთ-ერთი მათგანი არის მიჩნეული იდიომის განსაზღვრის კრიტერიუმად (იქვე, 42-43) და საბოლოოდ დასკვნის, რომ „იდიომის სხვა ენაზე სიტყვასიტყვით თარგმნის შეუძლებლობა არაფერს გვეუბნება მისი შინაგანი ბუნების, მისი სპეციფიკის შესახებ“. ის არის იდიომის ზემოაღნიშნულ თავისებურებათა უშუალო შედევი. ამდენად თარგმნის შეუძლებლობის განსაზღვრის კრიტერიუმად მიჩნევა არ არის მართებული“ (იქვე, 241). ჩვენც ცნობილი ენათმეცნიერის ამ მოსაზრებას ვიზიარებთ და ქვემოთ წარმოვადგენთ იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომელთა ქართულ ენაზე სიტყვასიტყვითი თარგმნა უაზრობას ჭმნის, თუმცა სვანურისთვის სავსებით ბუნებრივი და გასაგებია. მაგ.:

**აბანო ლიყრინე** — დაბანა (ზედმიწ. „აბანო-ს“ დამართება“)

„**ალეს**“ აბანო ხაყერხ ი ფ’ანსოჩუებ (ლშ. სვან. ქრესტ., 1978, 68:31-32) — ეს („ამას“) დაბანეს („აბანო დამართეს“) და გამოაგნ-მრთელეს („ამოკარგეს“).

**თანახმას ლინგდ** — დათანხმება (ზედმიწ. „თანახმა-ს მოსვლა“).

... აშხენლო თანახმას კედანის 『**ალეშ**』 (ბქ., იქვე, 174:31) — რა-დაც დროის შემდეგ („ერთის მერე“) ესენი თანხმდებიან („თანახმა-ს მო-ლიან“).

**ლირსება/შშ მგკიდან** (ბქ.) — გვარის ან ოჯახის შემარტვენელი (ზედმიწ. „ლირს-ებ-ის ამღები“).

**ჰყინტ თანახმა ანგად** (ლნტ., იქვე, 339:10) — ბიჭი დათანხმდა („თანახმა-ს“ მოვიდა“).

**ლაშპარალდ ლიკედ** (ბქ.) — გამასხარავება, აბუჩად აგდება ვინქე-სი (ზედმიწ. „სა-შაირ-ო-დ აღება“).

**ლოცვაშ ლიჩუებ** — პირვერის გადასახვა (ზედმიწ. „ლოც-ვ-ის ქმა“).

**ეჩქანლუე ქორს მერდა მშგ ლოცს იჩოხ** (ბქ., იქვე, 174:24-25) — მერე („მაშინს მერე“) სახლში (შდრ. ძვ. ქართ. „ქორა, ქორ-ედ-ი“) მყოფი ყველანი პირველს გადაისახავენ ხოლმე („ლოც-ვ-ა-ს იქმან“).

**სამგროთაშლიშ ლაჩომ** — გასასამართლებელი (ზედმიწ. „სა-მართლ-ის საქმელი“).

**ლაშჩიულა თაურობ მოდე, სამგროთაშლიშ ლაჩომ დემეგ-იმეგ ი სერ ლალ შარ ხარა ხალხს** (ბქ., იქვე, 189:31-32) — საჩივლელი მთავ-რობა არსად („არა“), სასამართლო („სა-მართლ-ის საქმელი“) არსად და უკვე დაღლილი ყოფილი („მობეჭრებული ჰერნია“) ხალხს.

**ფრანგდ ლეგ** (ბქ.) — სწრაფია, მარჯვე (ზედმიწ. „ფრანგ-ად დგ-ა-ს“), შდრ. ქართ. (ქიზიყ.) ფრანგვა „კარგად, აღმასივით ჭრა“.

**ფაქერდ ლეგ** (ლშ.) — გამრჯეა, ძალიან სწრაფია, დაუზარებელია (ზედმიწ. „ფერქ-ად დგ-ა-ს“), შდრ. ქართ. ფეიქარი.

**ფინდიხდ ლეგ** (ბქ.), **ფინთიხდ ლეგ** (ბქ., ლნტ., ლშ.) — სწრაფია, დაუდევარია, მარჯვე (ზედმიწ. „ფინდიხ-ად დგ-ა-ს“), შდრ. ქართ. ფინდი-ხი „მსხვილი სასროლი ტყვია“ (< სპ.-თურქ. პუნდუქ).

**გეგი ფინდიხდ ლეგ** (ბქ.) — 1. გეგი ძალზე სწრაფია, 2. „გეგი ფინ-დიხ-ად დგ-ა-ს“; **ცოკ ფინთიხ მარე ლი** (ლშ.) — 1. ცოკი დაუდევარი

კაცია, 2. „ციონი ფინდის-ი კაცია“.

საანალიზო ლექსიკური ერთეული ფინდის „სწრაფი, ჩქარი, გაბე-ღული“ მეგრულშიც დასტურდება გადატანითი მნიშვნელობით.

**არაბდ ლიფშუდე** — მაცნის გაგზავნა, გაშვება, ვინმესთვის ამბის შეტყობინება (ზედმიწ. „არაბ-ად გაშვება“), შდრ. ქართ. (მთიულ.) არაბ-ი, „ბერიკების წინამძლოლი, შემურღული, მურით გაშავებული“.

**სუინდდ ლიფშუდე** — დანამუსება, ე. ი. მის სინდისზე იყოს (ზედმიწ. „სინდის-ად გაშვება“).

... ნამ ... მიჩა სუინდდ ოფიშუდდ ყაზჲყ (ბზ., იქვე, 80:2) — ჩვენ ყაზაყი თავის ნებაზე მივუშვით, ანუ დავანამუსეთ („მის სინდის-ად გა-ვუშვით“).

მართალია, სინდისის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები ქართულში არცთუ იშვიათია (მაგ.: სინდისიგარეცხილი, სინდისიგალვიძე-ბული, სინდისზე ხელის აღება, სინდისი გაუსუნდა, სინდისის შეშვება, სინდისიც კაი საქონელია და სხვ.), მაგრამ სინდისზე გაშვება ვერ დავა-ფიქსირეთ.

**შპრი-ბამბადლ ლიგნე** (ბზ.), შპრი-ბამბადლ||შუპრი-ბამბა/ად||შპრ-ბამბად ლიგნე (ბქ.) — მძიმე საქმის მოგვარება<sup>1</sup> (ზედმიწ. „შალ-ბამბ-ად და-დგ-მ-ა“), შდრ. ქართ. შალი და ბამბა.

გოშპრ შპრ-ბამბად ოთვენ (ბქ.) — საქმეები კარგად მოვაგვარე („სა-ქმები შალ-ბამბ-ად და-ვ-დგ-ი“); ბესპრიონს მჩა დი შპრი-ბამბადლ სგა ხოჭონა (ბზ.) — ბესარიონს დედა დიდ ფუფუნებაში ჰყავს („შალ-ბამბ-ად უხვევია“).

შანთი ლიკედ — (ლშხ.) — მტკიცე ფიცი, მტკიცედ დაფიცება (ზედმიწ. „შანთ-ის ალება“), შდრ. ქართ. შანთი.

ამ ბედუ შანთი ლიკედ მახმედა (ლშხ.) — ამ საქმეში ალალმართალი ვარ („ამ ბედ-ზე შანთ-ი-ს ალება შემიძლია“).

**ძალა ლიყრინე** — დაძალება (ზედმიწ. „ძალ-ის დამართება“).

დემ იჩმედა ალ ჭყინტოლ, მარა ძალა ხაყერ (ლშხ., იქვე, 276:6) — ეს ბიჭი არ შვრებოდა („იქმოდა“), მაგრამ დააძალა („ძალა დამართა“).

<sup>1</sup> ბქ. მალამო, დამაშვიდებული წამალი. გადატ. ფუფუნება.

**წასაგებაშ ლიჩუემ** — წესის აგება „მიცვალებულისთვის“ (ზედმიწ. „წეს-ი-ს-ა-გ-ებ-ის ქმნა“).

ბაპ ხეჩო წასაგებას (ბქ., იქვე, 182:23-24) — მღვდელი წესს უგებს „მიცვალებულს“ („უქმს წეს-ი-ს-ა-გ-ებ-ა-ს“).

**ხარჯი ლიკედ** — ჭამა (ზედმიწ. „ხარჯ-ი-ს აღება“).

ნამ ხარჯ ჰატუიდდ (ბზ., იქვე, 148:25) — ჩვენ საჭმელი ვჭამეთ („ხარჯ-ი ავიღეთ“).

**ხატიშ ლიჩუემ** — დაფიცება (ზედმიწ. „ხატ-ის ქმნა“)

... დინაშ ნათხარ ... ამჟი ხატს ქა ხეჩმუდას, ეჩქას მინ დემის იგხორიდას უი (ბქ., იქვე, 175:25-27) — გოგოს ნათესავები რომ ასე ხატზე დაიფიცებდნენ („ხატ-ს გაიმას უქმნიდნენ“), მერე უკვე („მაშინ“) თვითონ არ იბუტებოდნენ (\*იწყენდნენ“).

**ყაბულს ახვედა** — დათანხმება (ზედმიწ. „ყაბულ-ს მოსვლია“)

მპნკუშუნი ყაბულს ახვედა ჭაფრანს ჭარებ (ბზ., იქვე, 61:29-30) — პირველად დაეთანხმა თურმე („ყაბულ-ს მოსვლია“) ჭაფრანების თა-ვადი (შდრ. ქვ. ქართ. „გარგ-ი“).

**ყაბულს ლიზედ** — დათანხმება (ზედმიწ. „ყაბულ-ს მოსვლა“).

ალდარ ყაბულს ოხებდს დაშუს (ბზ., იქვე, 155:21-22) — ესენი დასთანხმდნენ („ყაბულ-ს მოუციდნენ“) დევს და ა. შ.

ზემოთ წარმოდგენილი სიტყვასიტყვითი თარგმანები („აბანო-ი-ს დამართება“, „თანახმა-ს მოსვლა“, „ღირს-ებ-ის ამღები“, „სა-შაირ-ო-დ აღება“, „ხატ-ის ქმნა“, „ხარჯ-ი ავიღეთ“, „ძალ-ის დამართება“, „ფრანგ-ად დგ-ა-ს“, „ფეიქრ-ად დგ-ა-ს“ და ა. შ.) თითქოს გამორიცხავს ამ ერთეულთა ქართულიდან სესხების შესაძლებლობას (მიუხედავად იმისა, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულის პირველი შემადგენელი ელე-მენტი ქართულიდანა ნასესხები), რადგანაც იქ, სადაც სვანურში ფრა-ზეოლოგიზმია, ქართულში მას მარტივი ზმნა შეესატყვისება.

**შენიშვნა:** სვანურში გეხვდება, აგრეთვე, არამონათესავე ენიდან ნა-სესხები ისეთი ლექსიკური ერთეულებიც, რომლებიც დროთა განმავ-ლობაში ფრაზეოლოგიურ ერთეულთა წარმოქმნაში იღებენ მონაწილე-ობას. ჩვენ ბალსქვემოური დიალექტის ცხუმარულ კილოკავში დაგაფიქ-სირეთ ერთი ძალზე საინტერესო ფრაზეოლოგიური გამონათქვამი, რო-

მელსაც თან სარკაზმი გასდევს: **უფდანათშერხენქა ნაჯედ** — მდიდარი, შეძლებული ოჯახიდან გამოსული [სი მადე ხია უფდანათშერხენქა ნაჯედ?! — ერთი შენა ხარ („შენ არ ხარ?!“) მდიდარი ოჯახიდან („უფდანათ-ის-ან-იდან“) გამოსული?!]. აღნიშნული გამოთქმის სახელადი ნაწილი (**უფდანათ-**) ნასესხები ჩანს აღმოსავლური ენებიდან, კერძოდ, თურქული **უფდრეთ** „ძალა, შეძლება“ ფორმიდან, რომელიც თავის მხრივ ნასესხები უნდა იყოს არაბულიდან (შდრ. არაბ. ყედრეტ, — იხ. შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993). შტო-გვარის აღმიშვნელი უფელესი საანალიზო ლექსიკური ერთეული **უფდანათ-შერ** დღესდღობით მხოლოდ ზემოაღნიშნულ იდიომატურ გამოთქმაშია შემორჩენილი.

გამოდის, რომ აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეულები უნდა განვიხილოთ როგორც საკუთრივ სვანური, რომელთაც არა აქვთ ადეკვატური პარალელები ქართულში. მათი გამომსახველობითი ეკვივალენტის ვარირება კი, ძირითადად, შესაძლებელია კონტექსტის მიხედვით.

შეიძლება ისიც ითქვას, რომ ამგვარ სვანურ გამოთქმებშია დაცული ქართულის გზით შემოსული ისეთი ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმებიც, რომლებიც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში აღარ გვხვდება და სვანურშიც ფრაზეოლოგიური გამონათქვამების გარდა დამოუკიდებლად არსად არ გამოიყენება (მაგ.: **ფრანგ, არაბ, ყაბულ** და ა. შ.).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ გამონათქმებში ფიქსირებული ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმები არ უნდა იყოს მიზეზი მათი იდიომატურობისა, რადგანაც საანალიზო ერთეულთა უმრავლესობა არ განიხილება როგორც არქაიზმი. ვიზიარებთ ალ. ონიანის თვალსაზრისს, რომ „არქაიზმი არ შეიძლება ჩაითვალოს იდიომის განმსაზღვრელად“ (1954, 241).

ფრაზეოლოგიზმის განმსაზღვრელი ნიშანი, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, ისაა, რომ შემადგენელი ელემენტების ფორმალური დამოუკიდებლობის ფონზე ახასიათებს შინაგანი მთლიანობა. სწორედ ამ შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირისა და მთლიანად ლექსიკასთან მიმართების მიხედვით გამოყო-

ფენ ითხ ძირითად ჯგუფს (სტეპანვი, 1975, 56). ჩვენ აქ მხოლოდ პირველ ჯგუფს შევხებით. ეს არის ფრაზეოლოგიური მთლიანობა, როცა შემადგენელი ნაწილების კავშირი მაქსიმალურია და ვერ ხერხდება მათი სემანტიკის მიხედვით ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის მოტივაციის დადგენა, ამ შემთხვევაშიც ფრაზეოლოგიზმის ერთი ან ორივე შემადგენელი ელემენტი გაუგებარია (შდრ. ქართ.: **იხტიბარს არ იტეხს, აბრუს არ იტეხს, ბაიბურში არაა და ა. შ.** — **იხტიბარი, აბრუ, ბაიბური** თანამედროვე ქართველისათვის გაუგებარია). რასაკირველია, სვანური ენის ფრაზეოლოგიზმებშიც ფიქსირდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელთა ეტიმოლოგის დადგენა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ისინი შემონახულია გატეგებულ გამონათქმებში და დიდია მათი მნიშვნელობა ენის ისტორიის კვლევა-ძიებისას. ნიმუშისთვის დავასახელებთ რამდენიმეს: **ლაშტენდ ლეგნე** „ყოჩალი, სწრაფი“, **კიკბერ**<sup>1</sup> „ახბეგ“, „ჩაცივდა, ჩაცინდა (ზედმიწ.“ „ხის მოჩი მიბჯინა“), ხოს ხოსიპ „ცემუტაგს, მოუსვენრობს, საკუთარ ტყავში ვერ ეტევა“, ქაბაბშე გიკუშარდ ეთსიბდა „არ მოიხარშა, დიდი დრო დასკირდა“, გელა ლახუ ენცხაბ „ბევრი იარა, ცხრა მთა გადაიარა“, **სერი-გაგას უი** ხაგ „აწრიალებულია, ვერ ისვენებს, სულ დადის“, **სეუჭად ლიგნე** „ამოწყვეტა, ამოულეტა“, **ბოლეკად ლიკედ** „ამოწყვეტა, ამოულეტა“, **მეკუშმად ლიგნე** „გაფრთხილება (ზედმიწ.“ „დაკვირვებულად, ფრთხილად დგ-ომ-ა“), **ჟავდოდეუშს ლიგნე** „ხმაური, აურზაური, ჩხუბი“, წინალდ ი წირკამჭლდ ლიბლოკე „სრულიად მოსპობა, განადგურება“, **ინდირკის ოსგემ!** — უხვი სუფრა არ გაუშალო! („უხვ სუფრას და-ც-უ-დგ-ამ!“)! ფიქსეგარგასისგოლეუშ ხარ ლაქუნ! „ჯოჯოხეთი იყოს მისი სამკვიდრო (ზედმიწ.“ „მდუღარე ფის-ში-მც აქვს სასულეთი!“!), თრითნ-კორიონს ხაკიდ „გაფანტა“, **სინტი-პინტის აჩადს** „გაიფანტნენ“, **სადას-კუდას ჭაჭაპლექუშა ხაკიდ** „გალანძღა, გათათხა“ და მრავ. სხვ.

ზემოთ წარმოდგენილ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში მონაწილე სიტყვათა მეტი ნაწილი არქსულია და საერთო სიტყვათხმარებილან

<sup>1</sup> შესაძლოა, სვანური კიკბერ ქართულიდან იყოს ნასესხები, შდრ. ქართ. (ლეჩხ.) კაკიბერი „სამზარეულო სახლში შუაცცლის პირდაპირ ზევთ გადებული დირე, რომელზედაც საქვაბე კიდია.

გამოსული. ისინი გვხვდება, ძირითადად, მყარ შესიტყვებებში, — სხვა სიტყვებთან მჭიდრო კავშირში. შესაძლოა, ამ არქაულ ფორმათაგან ზოგი უცხოური წარმოშობისაც აღმოჩნდეს, მსგავსად არლ. თაყაიშვილის მიერ „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხებში“ დასახელებული იხტიბარი, ბაიბური, აბრუ (1961, 53) და ა. შ. სიტყვებისა. რა თქმა უნდა, მსგავსი ვითარებაა სხვა ენებშიც, თუმცა აქ ამაზე აღარ შევჩერდებით<sup>1</sup>.

ის, რომ ბევრი სვანური იდიომის ახსნა დღეს უკვე თითქმის შეუძლებელია, ამისი მიზეზი, ალ. ონიანის აზრით, უნდა ვეძიოთ იმაში, რომ სათანადო მოვლენა, არმელიც რაიმე ისტორიულ ფაქტთან არის დაკავშირებული, ისტორიაში არ არის ფიქსირებული. ვინაიდან მათი წარმოშობის საფუძველი არ ვიცით, ამიტომ მათი ეტიმოლოგიის გარკვევაც, რასაკირველია, ჭირს (ონიანი 1954, 139).

ამრიგად, ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი ფრაზეოლოგიური ერთეულები სვანურში უნდა განვიხილოთ როგორც საკუთრივ სვანური (მოუხდავად იმისა, რომ ამ ერთეულებში შემავალი ერთ-ერთი ელემენტი, კერძოდ, პირველი, ქართულიდანა შეთვისებული), ვინაიდან მათ არ მოეპოვებათ ადეკვატური პარალელები ქართულში. სწორედ ამგვარ სვანურ გამოთქმებშია დაცული ქართულის გზით შემოსული ისეთი ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმებიც, რომლებიც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში აღარ გვხვდება და სვანურშიც ფრაზეოლოგიური გამონათქვამების გარდა დამოუკიდებლად არსად არ გამოიყენება.

#### ლიტერატურა

**გოშეთელიანი 2010** — ი. გოშეთელიანი, იდიომები კულტურა-თაშორის დისკურსში, I საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, ბათუმი, 2010.

**თაყაიშვილი 1961** — ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი, 1961.

**ონიანი 1954** — ალ. ონიანი, ქართულ-სვანური იდიომატიკა, საკან-

დიდატო დისერტაცია, თბილისი, 1954.

სტეფანოვი 1975 — . . . ,  
. 1975.

MEDEA SAGHLIANI

#### Specifically Svan Idioms

#### Summary

The paper focuses on certain Svan phraseological units one component of which (viz. the first one) is of Georgian origin, though as phraseological units they have no equivalents in Georgian. The Svan phraseological units with the Georgian components *abano*, *tanaxma*, *locva* correspond to simple verbs in Georgian.

<sup>1</sup> აღნიშნულ საკითხზე მუშაობა გრძელდება.

## თმა ზაგლაშვილი

მუსიკობრული ეპიტაფიების სტილური შარგა  
(ე. მასტერსის „სცუნ რივერის ანთოლოგიის“ მასალაზე)

„ეპიტაფიები, თავიანთი წარმომავლობის მიხედვით, ორგარია: ფოლკლორული და ლიტერატურული“, — წერს ფოლკლორისტი, ფოლკლორიურ მეცნიერებათა დოქტორი ამირან არაბული (არაბული, 2006, 111). თუმცა იმავე ავტორთან სხვაგან ვკითხულობთ: „ვინაიდან ხალხური შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად ნიშნად კოლექტიურობაა მიჩნეული, გამომდინარე ზემოთქმულიდან, ეპიტაფიის ფოლკლორულობა ეჭვევეშ შეიძლება დადგეს... ეპიტაფია ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფია, რაც ერთი შეხედვით, თავისთავად გამორიცხავს მის ფოლკლორულობას“ (არაბული, 2006, 105).

გამოდის, რომ ეპიტაფიებს ინდივიდი ავტორი ჰყავს: ზოგი ეპიტაფიის ავტორი ინდივიდი არაპროფესიონალი ავტორია, იგივე ხალხური მელექსა, ხოლო ზოგჯერ ეპიტაფიის ავტორად პროფესიონალი ავტორები გვევლინებიან, რომლებიც ე. წ. „მწიგნობრულ ეპიტაფიებს“ ქმნიან.

რ. იაკობსონისა და პ. ბოგატირიოვის თანახმად, ინდივიდუალური ხალხური ავტორის შემოქმედება მთლიანად განსაზღვრულია „კოლექტივის წინასწარი ცენტურით“, გამოხატავს კოლექტივის ნებას, გამსცვალულია კოლექტივის ფსიქიკით, განწყობილებით, მსოფლმხედველობით, ეყრდნობა ტრადიციულად შემუშავებულ ტრაფარეტს.

რაც შეეხება ინდივიდუალურ პროფესიონალ ავტორებს, ცხადია, ისინიც უწევენ ანგარიშს დროის მოთხოვნილებასა და მაჯისცემას, ეპოქის ინტერესსა და სულისკვეთებას, ტრადიციებს, სარგებლობენ წინამორბედთა შემოქმედებითი გამოცდილებით, მაგრამ მათი თვითგამოხატვის მასშტაბი და ნებელობითი თავისუფლება გაცილებით მეტია, ვიდრე ინდივიდუალური ხალხური ავტორისა (ვ. კოტეტიშვილი).

ეპიტაფიურ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი უკიდურესი ლაკონუ-

რობით გამოირჩევა. თუმცა გვხდება ისეთი ნიმუშებიც, სადაც შეიმჩნევა ავტორის ლტოლვა სათქმელის განგრცობისაკენ. სწორედ ასეთი სიუჟეტური გაშლა-განვითარებით, ამბის ვრცლად გადმოცემით და დეტალიზაციით გიმოირჩევა ამერიკელი პოეტის ედგარ ლი მასტერსის (1868-1950) „სფუნ რივერის ანთოლოგიაში“ გაერთიანებული მწიგნობრული, თეთრი ლექსის ფორმის მქონე ეპიტაფიები.

ეპიტაფიაში „ლუსინდა მეტლოკი“ პოეტი ცდილობს გააცოცხლოს და აალაპარაკოს გარდაცვლილი, ერთგვარი მედიუმის ფუნქცია შეასრულოს გარდაცვლილის სულსა და მკითხველს შორის.

I went to the dances at Chandlerville,  
And played snap – out at Winchester.  
One time we changed partners,  
Driving home in the moonlight of middle June,  
And then I found Davis.  
We were married and lived together for 70 years,  
Enjoying, working, raising the twelve children.  
Eight of whom we lost  
Ere I had reached the age of sixty.  
I spun, I wore, I kept the house, I nursed the sick,  
I made the garden, and for holiday  
Rambled over the fields where sang the larks,  
And many a flower and medical weed –  
Shouting to the wooded hills, singing to the green valleys.  
At ninety-six I had lived enough, that is all,  
And passed to a sweet repose .  
What is this I hear of sorrow and weariness,  
Anger, discontent, and drooping hopes?  
Degenerate sons and daughters,  
Life is too strong for you –  
It takes life to love Life.

საილუსტრაციოდ წარმოდგენელი ეს ლიტერატურული ეპიტაფია ფორმის თვალსაზრისით საკმაოდ დიდია, რაც ძირითადად განასხვავებს მას ფოლკლორული, მცირე ზომის ეპიტაფიებისაგან, თუმცადა ამ ეპიტაფიას ბევრი საერთო აქვს ფოლკლორულ ეპიტაფიასთან.

უპირველეს ყოვლისა, იგი ავტობიოგრაფიულია, თხრობა მიმდინარე-ობს პირველ პირში. პოეტი სტილისტური ხერხის ჩამონათვალის სა-შუალებით დაწვრილებით მოგვითხრობს გარდაცვლილის ისტორიას მოწიფულობის ასაკიდან ლრმად მოხუცებულობამდე. ერთი მხრივ, მოთხრობილია იმ ბედნიერებაზე, რომელიც ამ ჭალბატონშა ცხოვრებაში განიცადა, მეორე მხრივ კი იმ ტრაგედიაზე, რაც მას ცხოვრებაში გადახდა თავს. ლექსიკა მარტივია და მოიცავს იმ ყოველდღიურ ლექსიკურ ერთეულებს, რომელიც ქალის საქმიანობას ახსიათებს (to work, to raise children, to spin, to wave, to keep the house, to nurse the sick, to gather flowers and medical weed). ზემოთ ჩამოთვლილი ლექსიკური ერთეულები მიუთითებენ, ერთი მხრივ, გარდაცვლილის შრომის-მოყვარეობაზე, მეორე მხრივ, მის ერთფეროვან ცხოვრებაზე. წინადაღებაში „At 96 I had lived enough, that is all, and passed to a sweet repose“ – yuradRebas iqcevs evfemizmi ‘to pass to a sweet repose’ (სიმშვიდეში გადასახლება), რომელშიაც ნათლად ჩანს გარდაცვლილის მიმართება სიკვდილის მიმართ. ეპიტაფის დასასრულს ლუსინდა მეტლოკი უკა-მაყფილებას გამოთვემს იმ გადაგვარებული შთამომავლობის მი-მართ, რომელიც ჯეროვნად ვერ აფასებენ სიცოცხლეს, მუდან წუხან სიცოცხლის ხანძრკლებაზე, უკმაყოფილონი და იმედგაცრუებულნი მიდიან ამ ქვეყნიდან. ეპიტაფის დასასრული დიდაქტიკურია, რო-მელშიც ლუსინდა მეტლოკი მოუწოდებს ახალგაზრდებს შეიყვარონ ცხოვრება და დააფასონ იგი. დასასრულს წარმოდგენილი ორიოდე ხაზიც რომ ყოფილიყო საფლავის ქვაზე მიწერილი (Life is too strong for you — It takes life to love Life), ესეც საყმარისი იქნებოდა საეპიტა-ფიოდ.

მომდევნო ეპიტაფიაც სახელწოდებით „დორა უილიამსი“ ახლო-საა ზემოთ წარმოდგენილ ლიტერატურულ ეპიტაფიასთან.

When Reuben Panter ran away and threw me  
I went to Springfield – There I met a lush,  
Whose father just deceased left him a fortune.  
He married me when drunk.  
My life was wretched.  
A year passed and one day they found him dead.  
That made me rich. I moved on to Chicago.  
After a time Tyler Rountree, villain.

I moved on to New York. A gray – haired magnate  
Went mad about me – so another fortune.  
He died one night right in my arms, you know.  
There was almost a scandal.  
I moved on, This time to Paris. I was now a woman,  
Insidious, subtle, versed in the world and rich.  
My sweet apartment near the Champs Elysees  
Became a center for all sorts of people,  
Musicians, poets, dandies, artists, nobles,  
Where we spoke French and German, Italian, English.  
I wed Count Navigato, native of Genoa.  
We went to Rome. He poisoned me, I think.  
Now in the Campo Santo overlooking  
The sea where young Columbus dreamed new worlds,  
See what they chiseled: “Contessa Navigato  
Implora eterna quiete“.

წინა ეპიტაფის მსგავსად ეს ეპიტაფიაც თეთრ ლექსს წარმოადგენს და მასში დეტალურადაა აღწერილი დორა უილიამსის ცხოვრება. მას ბევრი უხერიალია, არა ერთ ჭალაქში უცხოვრია, არა ერთი მამაკაცის გული მოუგია, უბედურიც ყოფილა მათთან, მაგრამ გამოსაყალი მათი იმქვეყნად გასტუმრებით უწოდა. თუმცა, როგორც ეპიტაფია იტყობინება, უკანასკნელი მეუღლე დორაზე გონიერი აღმოჩენილა და მოუწამლავს იგი. ვფიქრობ, ეპიტაფიად გამოდგებოდა: “He poisoned me, I think“. ეპიტაფის ფორმა აქვს ასევე უკანასკნელ წინადაღებას: “Contessa Navigato Implora eterna quiete“. (გრაფინია ნავიგატომ მარადიული სიმშვიდე იპოვა).

როგორც ჩანს, „სფუნ რივერის ანთოლეგიაში“ წარმოდგენილი ეპიტაფიები სიუჟეტური მრავალფეროვნებით გამოირჩევა, საოცრად ყოფითა და ზედმეტად დაწვრილმანებულიც.

კვლევამ დაგვანახა, რომ მწიგნობრულ ეპიტაფიებს, ფოლკლორულთან შედარებით, პროფესიონალი ავტორის პოეტური გამოცდილების მკაფიო ბეჭედი აზის. სტილი მწიგნობრული ეპიტაფიისა გაცილებით რთული და, ამასთან დახვეწილია. მათ აკლიათ ის უბრალოება, რაც ხალხურ ეპიტაფიებს ახასიათებს. ამასთანავე განსხვავებაა ფორმებშიც. მწიგნობრული ეპიტაფიები ვრცელია, რომელშიაც

ვრცლადაა მოთხრობილი გარდაცვლილის ამქვეყნიური ცხოვრების შესახებ. მწიგნობრული ეპიტაფიებიდან შესაძლებელია რამდენიმე ლაკონური ეპიტაფიაც გამოიკვეთოს. მსგავსებები ფოლკლორულ და მწიგნობრულ ეპიტაფიებს შორის შემდეგშია: ავტობიოგრაფიულობა, დოკუმენტური სიზუსტე, მიმართვითი ფორმა, პირველ პირში საუბარი, დიდაქტიკური დასასრულო.

ლიტერატურა

**არაბული, 2006** — ა. არაბული „სამგლოვიარო პოეზია“, თბ., 2006.

**ანდერსონი, 1993** — R. Anderson “Elements of Literature”, U. S.A., 1993.

TEA SHAVLADZE

### Stylistic Patterns in Bookish Epitaphs

(on the material of E.Masters’ “Spoon River Anthology”)

#### Summary

The paper is devoted to the linguistic peculiarities of bookish epitaphs. The empirical data comprises Edgar Lee Masters’ literary epitaphs from “Spoon River Anthology” as well as folk epitaphs. The study has revealed that in comparison to folk epitaphs, bookish epitaphs are poetically idiosyncratic, their style being more complex and sophisticated. They also lack the plainness of folk epitaphs. Moreover, there are formal differences as well: bookish epitaphs are much longer, lives of the deceased are presented in detail. However, a few laconic epitaphs have also been encountered. The following similarities between bookish and folk epitaphs have been stated: autobiographic nature, preciseness, mode of address, the first person narrative, didactic ending.

ნათო ზავრეშიანი

#### ერთი ეშპრესიული ნაწილაგისათვის შვემოსვანურში

სვანური, ისევე როგორც სხვა ქართველური ენები, მდიდარია ნაწილაკებითა და მათგან წარმოებული სიტყვებით. სვანურში ნაწილაკთა სიმრავლეს დიალექტური ნაირსახეობებიც განაპირობებს.

გამოიყოფა ნაწილაკთა გარკვეული ჯგუფები, ხოლო ამ ჯგუფებში შემავალ ნაწილაკთა გავრცელების არე და მნიშვნელობა მრავალფეროვანი და სხვადასხვაგვარია სვანურის დიალექტების მიხედვით.

სვანურის ნაწილაკთა ჯგუფები და წარმომავლობა არაერთგზის იქნა განხილული, თუმცა, როგორც ვ. ოოფურია შენიშნავს „ზოგის მნიშვნელობა ნათელი არაა: ღენ, ენგი, გომნი, მირ, ჭურ...“ (თოფურია, 208, 2002).

ვ. ოოფურიას მიერ ჩამოთვლილ გაურკვეველი მნიშვნელობის ნაწილაკთაგან ერთ-ერთის, კერძოდ, **-ღენ** ნაწილაკის საინტერესო სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი წარმოადგინა მედეა საღლიანმა (იხ. მ. საღლიანი, **-ღე/ -ღენ/ -ღენა/ -ღენა/ -ღენა/ -ღენი** ნაწილაკის შესახებ სვანურში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXI, თბ. 2010).

სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი **გინ** ნაწილაკის შესახებ, რომელიც საყმაოდ ხშირად დასტურდება სვანურ მეტყველებაში, კერძოდ, ლაშენურსა და ჩოლურულში.

**გინ** ნაწილაკი შეიძლება მივაკუთვნოთ ემოციურ-გამომსახველობით (ექსპრესიული) იერის გამომხატველ ნაწილაკთა ჯგუფს (ამ ჯგუფს მიაკუთვნებენ აგრეთვე განცვიფრებით ნაწილაკებს), ვინაიდან, სარკაზმით გახაზავს და მეტ ექსპრესიულობას მატებს მთელ წინადაღებას, აგრეთვე რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი უშუალოდ წინადაღების იმ წევრსაც ანიჭებს გარკვეულ ნიუანს (კერძოდ, სარკაზმს, დაცინვას უსგამს ხაზს), რომელსაც ახლავს.

**გინ** ნაწილაკის ადგილი წინადადებაში არ არის მყარი, შეიძლება წინ უსწორებდეს სიტყვას ან მოსდევდეს მას. აღნიშნული ნაწილაკი წინადადების ნებისმიერ წევრს შეიძლება დაერთოს:

**უ'ნთიშე ლაგურათე ლექტერმდ წგრიალ გინ (ლშხ.)** — წითლები აირჩია გასვენებაში ჩასაცმელად.

ხოჯრალა მიჩა დიეშდ გინ (ლშხ.) — უხვეწნია დედამისისთვის.

ბოფშემ გინ ხურდა ლახტის ქალალთი თეთრი მაგიორ (ლშხ.) — ბაგშვმა ხურდა დაუბრუნა ქალალდის ფულის მაგიერ.

ხატულდა დედეს ლგმწრად გინ (ჩოლ.) — ეძახდა დედას გამწარებული.

მეზუბელარე დინოლ გინ იშგმინ (ჩოლ) — მეზობლების გოგო ითხოვა.

ხენათ ეჭდარს გინ (ჩოლ.) — იმათ ენათესავება.

ხსენებული ნაწილაკი შეიძლება წინ უსწორებდეს შემასმენელს, მოსდევდეს ან თიშავდეს ზმა-შემასმენელსა და ზმინსწინს ერთმანეთისან:

კაბარ გინ ოხყიდა ლეზობორნ მგქაფ — კაბები უყიდია საჭმელების მაგივრად.

**ლგრდა გინ** შტაშტატარილ ლაკუნარიელთე — მიდიოდა მარტოდ-მარტო საწანწალოდ.

**ჩუ გინ ოხტისა** მართენ (ლშხ.) — ჩამოუწევია ტოტი.

**ქა გინ ოთქუთა** კალათ (ჩოლ.) — მოუპარია კალათა.

ხშირია შემთხვევები, როცა გინ ნაწილაკი უარყოფით ნაწილაკებსაც ახლავს:

იშგნა ლასგდიდ გინ დემ იბნა ლიგუნის (ლშხ.) — სხვის დასანახად არ იწყებდა ტირილს.

ტითომ დეშ გინ აბდატი ლიფეგნლს (ჩოლ.) — ვითომ ვერ ბედავს თავის მართლებას.

შტაშტუ ლოშტ ლიზი მამ გინ ხოცხან (ჩოლ.) — მარტოდმარტო უკან წასვლა არ უნდობა.

ტითომ გინ დეთახ თეს ხედა ლასგიდ (ჩოლ.) — ვითომ არც თვალს ჰქონდა ჩინი.

განსახილველი ნაწილაკი ახლავს შერწყმული წინადადების ერ-

თგვარ წევრებს და ბოლო ადგილზე მყოფ წევრს დაერთვის:

ხექქანშლდა ქათლარს ი ხამარს გინ (ჩოლ.) — ქაქანით დევნიდა ქათმებს და ლორებს.

ხოჩა მუზიკანტშლ აჩად ლალრალთე ი ლაშუშპართე გინ (ლშხ.) — კარგი მუსიკოსივით წავიდა სამღერად და საცეკვაოდ.

**აფთხენე ი იხურიელე გინ** იშგნა გაკარს (ლშხ.) — ფერთხავს და აგრძელებს სხვის კაკლებს.

აღნიშნული ნაწილაკი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შეიძლება ახლდეს მიმართებით ნაცვალსახელებსა და მიმართებით ზმინზედებს.

უ'ახფერბენახ ეჭიარ, ხედიარდი გინ ხაყულინნა (ჩოლ.) — მოფერებიან ისინი, ვისიც ეშინოდა.

ხოტენტალაც ალიარს, იარსი გინ მა ხადა ქუნე ლაკად (ლშხ.) — თავში დაუშენიათ ხელები ამათ, ვისაც არ ჰქონდა ხმა ამოსაღები.

ხოკამანდრლა, იმაშვ გინ ხაკუნ მიჩ, ეჩხატ (ჩოლ.) — მბრძანებლობდა, საითაც თვითონ უნდობა, იქით.

ქვეწყობილ წინადადებაში გინ ნაწილაკის ადგილი სრულიად თავი-სუფალია და იგი შეიძლება დამოკიდებულ წინადადებასთან ერთად მთავარსაც დაერთოს.

**სკა გინ** მეკრლ ლაშგმანალდ, შომად გინ ლეხშყელნოლ (ჩოლ.) — მომაღებოდა სამათხოებოდ, როცა გაახსენდებოდა.

ეჭი გინ დეამ ლგმყიდინ ქუნინს, ეშამ გინ ლგმარ ფაყუ (ჩოლ.) — ის არ ილებდა ხმას, ვისიც ყოფილა ქუდი.

დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა გინ ნაწილაკი დაერთვის, წინ უსწორებს ან მოსდევს დო „არ, არც“ უარყოფით ნაწილაკაც, რომელიც ჰიპოტაქსულ წინადადებაში საკავშირებელ წევრ-კავშირს ახლავს:

ჩიგარ იხურუნა იშგნა ხილარს, შომად დო გინ ლეხშყელნოლ (ჩოლ.) — ყოველთვის კრეთდა სხვის ხეხილს, როცა არ უნდა გახსენებოდა.

ჩითე ეჭდარს ინჯერნა, იმთემ გინ დო ესლერნან (ლშხ.) — ყველგან იმათ იახლებდა, სადაც არ უნდა წასულიყო.

პარატაქსულ წინადადებაში ზოგჯერ შეიძლება კავშირის ფუნქციითაც მოგვევლინოს და ამ შემთხვევაში გინ-ს მაპირისპირებელი კი კავშირის სემანტიკა აქვს, თუმცა, ამავე დროს ინარჩუნებს სარკზმის მნიშ-

ვნელობას და რთულ თანწყობილ წინადაღებას მეტ ექსპრესიულობას მატებს.

ეჯიარ აჩაღს ცხეკთე, ჯედ **გინ** აგის ასად — ისინი წავიღნენ ტყეში, თვითონ კი სახლში დარჩა.

ჭაშ კუმაში ლაპატათე ემზედ, დეხუ **გინ** აგის ოთცური — ქმარი საქონლის მოსაყვანად წასულა, ცოლი კი სახლში დაუტოვებია.

მი მიჩა გუნდა ხურიერიელის, ჯედ **გინ** ეჯარს ახწადა (ლშხ.) — მე მისი გულისათვის ვჩხუბობდი, თვითონ კი იმათ დაუდგა გვერდში.

გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც **გინ** ნაწილაკის დართვით წინადაღება მოქმედების შეუსრულებლობას, უკუთქმითობას გამოხატავს, ანუ, ზმან-შემასმენლით გამოხატული მოქმედება რეალურად არ სრულდება, და **გინ**-ს ამ შემთხვევაში დაახლოებით **ვითომ** ნაწილაკის მნიშვნელობა აქვს, დაახლოებით, იმიტომ რომ, **ვითომ** ნაწილაკისაგან განსხვავებით კატეგორიულ უარყოფას გამოხატავს და ამავე დროს ძირითადი სარკასტული სემანტიკური ნიუანსი შენარჩუნებული აქვს:

ლირტუელარეზი **გინ** გიღურინე (ლშხ. ავთ) — ტყუილებზე გიფიცებ თუ? (ანუ არ გიფიცებ ტყუილებზე).

ლალრალთე ოდე **გინ** (ლშხ.) — სათამაშოდ (არ) წავედი.

ლაშტრალთე **გინ** ოსლური — სათამაშოდ (არ) მივდივარ.

მასისკდ **გინ** — (არ) მძლოხართ.

ეჩა მგჯაგარ **გინ** ხუი (ლშხ.) — მისი მოჯამაგირე (არ) ვარ.

ისგრუ ლელროსტალნე ლათა ბოფშილ **გინ** ლოქ ხუი — შენი მოსატყუებელი გუშინდელი ბავშვი (არ) ვარ.

მსგავსი ტიპის ილუსტრაციებში წარმოთქმის ინტონაციას თუ გავითვალისწინებთ, ბოლოში შეიძლება ძახილის ნიშანი დაისვას.

გარკვეულწილად სემანტიკური მსგავსება შეინიშნება ქართულის **განა** კითხვა-გაკვირვებას ნაწილაკთანაც, რომელიც ნიშნისმოგებით სემანტიკასაც ატარებს, თუმცა **განა**-სგან განსხვავებით **გინ** ნაწილაკი კითხვა-გაკვირვებას არ გამოხატავს.

როგორც ცნობილია, ქვემოსვანურ მეტყველებაში ჭარბად გვხვდება ქართულიდან შესული ლექსიკა, შესაძლოა **გინ** ნაწილაკიც ქართული-დან შესულიყო ლაშტურსა და ჩოლურულში, თუ ეს ასეა, მაშინ სესხება, სავარაუდოდ, ახალი მომხდარი უნდა იყოს, ვინაიდან, სცანურის სხვა დია-

ლექტებში აღნიშნული ნაწილაკი არ დასტურდება. საკითხი საკვლევია.

#### ლიტერატურა

თოფურია, 2002 — ვ. თოფურია, შრომები, II, თბ, 2002.

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ, 1973.

NATO SHAVRESHIANI

#### Towards One Expressive Particle in Lower Svan

##### Summary

The particle *gan* is quite common in Svan speech, viz. in Lashkh and Cholurian dialects. It can be considered an expressive particle as it makes an utterance sound sarcastic.. The distribution of the given particle in a sentence is not fixed: it can either precede or follow any part of a sentence.

፭፻፲፷፯፻፷፯

პოსტმოდერნისტული რეალიათის თავისებურებანი

აქედან გაიომდინარე, საინტერესოა რეკლამის, როგორც მულტი-  
მედიური ფენომენის, ფუნქციონირების დადგენა პოსტმოდერნისტუ-  
ლი რეკლამების განხილვის სათუმჯოლოზე.

პოსტმოდერნისტული ძირითადი დეტულებების რეკლამასთან დაკავშირების შედეგად აღმოჩნდა, რომ ამგვარი რეკლამისათვის ყველაზე დამახასიათებელია თამაშის პრინციპი, საზღვრის წაშლა, რასაც უ. ეკო უწოდებს ლია სტრუქტურას, აზრის ინვენტირებას, რაც მდგომარეობს კალამბურებსა და სიტყვათა თამაშში. პოსტმოდერნისტული რეკლამა უკვე არსებული ფორმების ხელახლა გამოყენებაზეა ორიენტირებული. ამ ფორმების, ციტირებებისა თუ სტილისტური დეტალების გადამუშავება შეიძლება, იყოს როგორც სერიოზული, ასევე ირონიულიც. კონტრასტისა და დისტანციის ეფექტის მისაღწევად პოსტმოდერნისტული რეკლამა ხშირად წარმოდგენილია, როგორც ჰეტეროკლინიური ელემენტების კოლაჟი. პოსტმოდერნიზმი შლის იქრარქიას ელიტარულ და პოპულარულ კულტურას შორის, რისი ერთ-ერთი მაგალითია ხელოვნებისა და რეკლამის შერწყმა. აქედან გამომდინარე, პოსტმოდერნისტული რეკლამა ძალიან ხშირად იქცევა მხატვრულ ნაწარმოებად; ხოლო როდესაც რეკლამას განვიხილავთ, არა პროდუქტის თვალთახედვიდან, არამედ როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, ის მოგვაგონებს მოკლემეტრაჟიან ფილმს ან ფერწერულ ტილოს.

აღნიშვნული ფაქტის თვალსაჩინო მაგალითია შემდეგი სარეკლა-  
მო ბანერები, რომლებიც შეიძლება, მიიჩნიოთ, როგორც სიურრეა-  
ლისტი მხატვრის რენე მაგრიტის ნახატის „**Les Valeurs Personnelles**“  
ერთგვარ ინტერტექსტულურ ვარიაციებად :



ზემოთ წარმოდგენილ გამოსახულებებში მსგავსი დარიშნულების საგნები უჩვეულო ზომებით მათთვის შეუფერებელ აღგილის გვევლინება.



პოსტმოდერნისტული რეკლამების მიზიდულობა და შთამბეჭდავი ასპექტი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ფუნქციონირებენ ორ გზავნილს შორის: ტექსტსა და ქვეტექსტს შორის, გასაყიდ საგანძა და წარმოსახვით საგანძა შორის. პოსტმოდერნიზმს სარეკლამო გზავნილები გადაჰყავს ირონიულ განზომილებაში. ირონია კი სემანტიკური ინვერსიის წყალობით მიიღწევა. პოსტმოდერნისტულ რეკლამაში კი ყველაზე ხშირად შეინიშნება ირონია და ტრომპლოი. რეპრეზენტაცი-

ის ამგვარი ფორმის ქვეტექსტი იმპიციტურად აღნიშნავს, რომ რეკლამა მხოლოდ ფიქციაა და ყველანი ვიმყოფებით წარმოსახვით განზომილებაში.

სწორედ ირონიული ელფერისა და იმავე ქვეტექსტის მატარებელია წინამდებარე მაგალითები, რომლებშიც ნაჩვენებია, რომ მაღალი და დაბალი ხარსიხის ტექნოლოგიები სრულებითაც არ განსხვადება ერთმანეთისაგან :



აღნიშნული მაგალითების მსგავსად, უამრავმა ბრენდმა საკუთარ რეკლამებში, ირონიული ატმოსფეროს შესაქმნელად, სავიზიტო ხარათდ აქცია ცნობილი ამერიკელი მხატვრის, პოპარტისტული ხელოვნების მიმდევრის, მერ რამოსის ე.წ. „Pin-up“-ები. იგი პასტიშირებას უკეთებს ისეთი ცნობილი ფერმწერების პერსონაჟებისა და მხატვრების „ოდალისკებს“, როგორებიცაა : ედუარდ მანე, დიეგო ველასკესი, ფრანსუა ბუშე თუ ენგრი. ხოლო თუ პოსტმოდერნიზმი ხასიათდება უკვე არსებული ფორმებისა და კონცეპტების ტრანსფორმაციითა და გადამუშავებით, მაშინ „pin-up“-ი ყველაზე პოსტმოდერნისტულ ფურად უნდა ჩაითვალოს.



ამრიგად, პოსტმოდერნისტულ რეკლამებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ იგი იმდენადაა დახუნძლული სიმბოლოებით, რომ, თითქმის, საერთოდ აღარ საჭიროებს ტექსტს.

პოსტმოდერნისტული რეკლამის თავისებურებების განხილვისას აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელისათვის დამხასიათებელია სარეკლამო საგანთა სიმბოლური რეპრეზენტაცია. თავისი არაპეტეროგენული ხასიათის გამო აღნიშნული რეკლამა პასუხობს პოსტმოდერნისტული ესთეტიკის პრინციპებს: ციტატურობას, კოლაჟს, პაროდიასა და პასტრიშს. პოსტმოდერნისტული რეკლამის მახასიათებლები-თამაშის პრინციპი, უანრებს შორის საზღვრის წაშლა და აზრის ინვენტირება განაპირობებს მაყურებლის თანაზიარიბას მოქმედებაში, რითაც რეკლამა უახლოვდება მხატვრულ ნაწარმოებს.

#### ლიტერატურა

Cornu Geneviève. *Sémiologie de l'image dans la publicité*. 1e éd. Paris : les éditions d'Organisation, 1990.

Courtés Joseph. *Analyse sémiotique du discours : de l'énoncé à l'énonciation*. 1e éd. Paris : Hachette Supérieur, 1991, 314.

Dayan Armand. Publicité. – 3e éd. Moscou : Progrès, 1993, 175p.

Edeline Francis, Klinkenberg Jean-Marie, Minguet Philippe (Groupe Mu). *Traité du signe visuel, pour une rhétorique de l'image*. 1e éd. Paris : Seuil, 1992, 703 p.

C. Guibet-Lafaye *Esthétique de la postmodernité*, Centre NORMES, SOCIETE, PHILOSOPHIES <http://nosophi.univ-paris1.fr>

J.Boulard *Pensée, Expression, Communication*, manuel scolaire, Ed. Actualquarto, 1982.

<http://www.repubblica.it/2006/08/gallerie/spettacoliecultura/effetto-pubblicita/1.html>

[http://www.amorosart.com/oeuvre-magritte-les\\_valeurs\\_personnelles\\_1952-5262-fr.html](http://www.amorosart.com/oeuvre-magritte-les_valeurs_personnelles_1952-5262-fr.html)

[http://fr.wikipedia.org/wiki/Fichier:Ingré,\\_Grande\\_Odalisque.jpg](http://fr.wikipedia.org/wiki/Fichier:Ingré,_Grande_Odalisque.jpg)

[http://fr.wikipedia.org/wiki/La\\_Naissance\\_de\\_Vénus\\_\(Botticelli\)](http://fr.wikipedia.org/wiki/La_Naissance_de_Vénus_(Botticelli))

KHATIA TSIRGAIA

### Peculiarities of Postmodernist Advertisements

#### Summary

The postmodernist advertisement is characterized by the symbolic representation of objects. Due to its non-heterogeneous nature the advertisement in question meets the demands of postmodernist aesthetic principles: i.e. the use of quotes, collage, parody and pastiche. Such peculiarities of the postmodernist advertisement as game principle, vague genre boundaries and sense inversion create the artistic value of the advertisement in question and serve as a means for the involvement strategy.

გაია ჩიზობიძე

### მშობლიური მნის გამოყენება უცხოური მნის სტაციონარული მნის გამოყენების პროცესში

თარგმანი, უცხოური ენის შესწავლისას, დიდხანს მოიაზრებოდა საკონტროლო სამუშაოს საშუალებად და ლექსიკურ-გრამატიკული სტრუქტურების სწავლების ურთადერთ საშუალებად. პირდაპირი და აუდიო-ვიზუალური მეთოდების შემოსვლამ, ენათმეცნიერებაში პრაგ-მატიკისა და ფსიქოლინგვისტიკის, როგორც ცალკეული დისციპლინების დამკაიდრებამ, მათი თეორიების, განსაკუთრებით ხომსკის (ხომსკი, 1971) თეორიების, გავრცელებამ, ხელი შეუწყო თარგმანის შემცველი სავარგიშოებისა და მშობლიური ენის უცხოური ენის გაკვეთილიდან განდევნას.

ვერც ამ სიახლეებმა და ვერც პედაგოგიურმა რეალობამ გვერდი ვერ აუქცია იმ ფაქტს, რომ უცხოური ენის სწავლების პროცესი მშობლიურ ენაზე დაყრდნობით მიმდინარეობს. ის გავლენას ახდენს სწავლების ყველა საფეხურზე — ფონეტიკურ, სემანტიკურ, სინტაქ-სურ და მათ შორის, პრაგმატულ დონეზეც. ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ დღის წესრიგში დადგა პედაგოგიური თარგმნის როლისა და მნიშვნელობის შესწავლა, მეცანიერობის ეფექტურობის გააზრდელად.

უცხოური ენების დიდაქტიკაში თარგმანი ძველად ლათინური ენის სწავლების ერთ-ერთი გადმონაშთია. მაგრამ მაშინ, როდესაც მკვდარი ენის შესწავლა, რომელიც ვერ იქნებოდა კომუნიკაციის საგანი, კონტრასტული ანალიზის გამოყენებით, მიზნად ისახავდა ლინგვისტური ანალიზისა და მშობლიურ ენაზე გმირობატვის უნარის გაძლიერებას, დღეს უცხოური ენის გაკვეთილზე თარგმანის გამოყენება არ არის ნაძღვილი დიდაქტიკური დაკვირვების საგანი. იგი მიიჩნევა „დროის მოგების“ ხერხად, რომელიმე სიტყვის ან გრამატიკული სტრუქტურის მნიშვნელობის ახსნისას. უნდა ითქვას, რომ კომუნიკაციური მეთოდების შემდეგ იმ მეთოდებში, რომლებიც

დაფუძნებულია მეტყველებაზე, მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, რომ მოცემულ კომუნიკაციურ სიტუაციაში შემსწავლელი მიხვედრილიყ შინაარსის ძირითად აზრს. თარგმანის შემცველი სავარჩიშოები, რომლებიც დაკავშირებულია მხოლოდ სიტყვების მნიშვნელობასთან, უნდა ყოფილიყ თავიდან აცილებული. პედაგოგები აკრიტიკულებინ „ტრანსკოდირებას“ (transcodage) ანუ სიტყვასიტყვით თარგმანს, ვინაიდან, მათი აზრით, ეს ხელს უშლიდა გაეგებასა და საუბრის წარმართვას. მსგავსი სავარჩიშოების კეთებისას, შემსწავლელებს, ენის სემანტიკური სიღრმეების არცოდნით, შეეძლოდ ეფიქტურად, რომ ენა სიტყვების ერთობაა, რომელთა ეკვივალენტიც მოიძებნება სხვა ენაში.

მიუხედავად ამისა, თარგმანი შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება უცხოური ენის შესწავლის პროცესში, იმპლიციტური (მეტა) ლინგვისტური ცოდნის გამომჟღავნებით, რომელსაც შემსწავლელი აგებს მშობლიურ ენაზე. ენის ახალბედა შემსწავლელს, რომელიც ცდილობს გამოხატოს საკუთარი აზრი სამიზნე ენაზე, აქვს „ტრანსკოდირებას“ რეფლექსი. ის შეეცდება, რაც შეიძლება ზუსტად გადაიტანოს სამიზნე ენაში ის (მეტა) ლინგვისტური ცოდნა, რომელიც მას მშობლიურ ენაში გააჩნია. თარგმანი იძლევა იმის საშუალებას, რომ აღმოვაჩინოთ ორ ენას შორის არსებული მსგავსებები და განსხვავებები, რომელთა გაცნობიერება პოზიტიურ გავლენას ახდენს შესწავლების პროცესზე.

მაშასადამე, უცხო ენის შესწავლება მოიცავს არა მარტო ენობრივი მოდელების დამახსოვრება-ათვისებას, არამედ ფართო შემეცნებით პროცესს. ჩვენი მიზანია ამ პროცესის მნიშვნელობის გამოკვეთა, რადგან ეს, ჩვენი აზრით, თანამედროვე მეთოდურ სახელმძღვანელოებშიც უნდა აისახოს. შესაბამისად, განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს მშობლიური ენის როლის განსაზღვრა უცხოური ენის სწავლებისას.

უცხოური ენების დიდაქტიკაში მშობლიური ენისა და თარგმნის როლი საკამათო მეთოდოლოგიურ პრობლემას წარმაოდგენს. კამათი თარგმნის იზგვლივ გასული საუკუნიდან დღემდე გრძელდება. უცხოური ენის გაკვეთილზე პირველი ანუ მშობლიური ენა (L 1) დიდი ხნის განმავლობაში არ „დაიშვებოდა“. მისი გამოყენება „აკრძალული“ უნდა ყოფილიყ, რათა უცხოური ენის შემსწავლელებს უკეთესი შედეგებისთვის მიეღწიათ.

ამჟამად არსებული მეთოდები, რომელიც უცხოური ენების სწავ-

ლებას ეხება, გვთავაზობს სწავლების პირდაპირი მეთოდის გამოყენებას, რაც მეცადინეობის ერთენოვნებას გულისხმობს, ხოლო მშობლიური ენის გამოყენება რეკომენდებულია მხოლოდ უკიდურესად ათულ სიტუაციებში. საუბარია ე.წ. პრაგმატულ ერთენოვნებაზე (მონოლინგვიზმზე), რომელიც უშვებს გამონაკლის შემთხვევებს, მაგრამ არ ცნობს სწავლების ორენოვან (ბილინგვურ) ფორმას.

გასული საუკუნის სამოციანი წლების მიწურულს გამოჩნდნენ თეორეტიკოსები, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვდნენ აბსოლუტურ და უკომპრომისო მონოლინგვიზმს უცხოური ენების სწავლებისას. სწორედ ამ დროს გამოვიდა სასკოლო სახელმძღვანელოები, რომელთა ავტორები მასწავლებლისგან მოითხოვდნენ მკაცრ მონოლინგვიზმს. ამგარად არსებობდა არა მხოლოდ რამდენიმე თეორეტიკოსის გადაჭარბებული მოსაზრება, არამედ საგანგებო სტრატეგია, რომლის მიხედვით მშობლიური ენა მოიაზრებოდა ხელისშეშლელ ფაქტორად. სხვათა შორის, ეს წარმოდგენა ფართოდ არის გავრცელებული საზოგადოებაშიც, მშობლიურთა, როგორც „სამუშაოს დამკეთთა“, ჭარბი უმრავლესობაც მოითხოვს სწორედ რომ ერთენოვან გაკვეთილს. ამ წესისგან მასწავლებლების მხრიდან ყოველი გადახვევა აღიმება, როგორც არაკომპეტურობა, რაც შედეგად იწვევს ახალი მასწავლებლის თუ ახალი სახელმძღვანელოს ძიებას.

ეს ვითარება ნელ-ნელა იცვლება. მშობლიურ ენას უფრო მოქნილად და ნაკლებად დოგმატურად გამოყენებას რამდენიმე მიზეზი აქვს:

ა) პრაქტიკაში არსებული დაკვირვებები კვლავ ურთიერთსაწინაღმდეგოა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანია, რაც პროგრესულად მიჩნეული მონოლინგვიზმის ტენდენცია დამკვიდრებულია სასწავლო სივრცეში, მისი რეალური გამოყენება სრულად ვერ ხერხდება. თითოეულმა პრაქტიკოსმა პედაგოგმა იცის, რომ მკაცრად ერთენოვან გაკვეთილზე თითქმის ყველა მისწავლე მაინც იყენებს მშობლიურ ენას. მაგალითად, ტექსტის სტრუქტურებს შორის წერს სიტყვათა ან წინადადებების მნიშვნელობებს, და ამით ქმნის ერთგვარ ორენოვან ლექსიკონს. ამას ემატება აბსოლუტურად ერთენოვანი სასკოლო სახელმძღვანელოების დანერგვის უარყოფითი გამოცდილება, რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს აუდიო-ვიზუალურ გაკვეთილებზე (Voix et images de France, La France en direct, De vive voix). დეტალური და სერიოზული ურთიერთობა, რომელიც ამა თუ იმ სასკოლო სა-

ხელმძღვანელოსთან მუშაობას შეეხება, ყოველთვის ხაზს უსვამს სირთულეებს, რომლებიც გამოწვეულია ავტორების მიერ მოთხოვნილი ერთონოვნების სემანტიზაციით. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტური მონოლინგვიზმი არაეფექტურია, მიუხედავად მრავალი ისეთი თანამედროვე საშუალებებისა, როგორიცაა აუდიო-ვიზუალური, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, და ა.შ.

ბ) ბუკამის ნაშრომშიც (ბუკამი, 1973) მოყვანილია თარგმანისა და მშობლიური ენის გაკვეთილიდან განდევნის საჭინაომდევო არგუმენტები. მისი პზრით, ბევრს ამტკიცებდნენ და საკამარისად არ იკვლევდნენ. ამტკიცებდნენ კროსს მოდო და არ იყენებდნენ საცდელი ექსპერიმენტის შედეგებს. სამაგიეროდ, პედაგოგიური ექსპერიმენტების დროს, ბილინგვური და მონოლინგვური ტექნიკის შედარებისას, უმრავლეს შემთხვევებში, ორენვანი მეთოდის უპირატესობა ვლინდება. ბუკამის ნაშრომი გვიჩვენებს, თუ რამდენად გაუმართლებელია ცალკეული მეთოდოლოგიური ტენდენციის დანერგვა, ცდების შედეგებისა და მისი თეორიული საფუძვლების გადამოწმების გარეშე. ამრიგად, ყველაფერი ის, რაც დიდი ხანია ცნობილი გვეგონა, ისევ კითხვის ნიშის ქვეშ მოქუცა. გამოკვლევების მთელი რიგი აჩვენებს, რომ ბილინგვური მუშაობის ფორმების გამოყენება – ლექსიკური მარაგის ათვისებისა და განმტკიცების საშუალებით – სწავლებას უფრო ეფექტურს ხდის.

გ) დაბოლოს, ახალი ტენდენციები, რომლებიც შეიძლება დაუკავშიროთ ისეთ ტიპურ სიტყვებს, როგორიცაა „კომუნიკაციური კომპეტენცია“, „აგუფში მუშაობა“ და სწავლების „ინდივიდუალიზაცია“, გავლენას ახდენს ერთენოვან მეთოდებზე. უცხოური ენების დიდაქტიკა უფრო მოქნილი გახდა ბაზების ინდივინდუალური მოთხოვნების მიმართ, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა წარმომავლობას, სოციალურ მდგომარეობას და ა.შ. დიდაქტიკურ ლიტერატურაში ჩანს, თუ რამდენად უშლის ხელს მეცნიერებული განვითარებული მუშაობისა და მოსწავლეების კომუნიკაციას, თუ რამდენად ვნებს პედაგოგიურ – ნიღბასა და სითბოზე დამყარებულ – ატმოსფეროს, ეპვენებში იყენებს სწავლების წარმატებას (შდრ. ბუკამი, 1976, 227-235). დღეს, მასწავლებლები – ნებისით თუ უნებლიერ – იყენებენ მშობლიურ ენას ჯგუფებში მუშაობისას. მაგალითად, როლური თამაშების მომზადებისას მოსწავლეები თამაშის სიტუაციას განიხილავენ მშობლიურ ენაზე, შემდგომი კი მისი გათამაშება მიმდი-

ნარეობს უცხოურ ენაზე.

პრაქტიკის დაპირისპირება მეცადინეობის მონოლინგვიზმთან, სწავლების მეთოდების თეორიული საფუძვლების სიმყიფე, ახალი მეთოდოლოგიური კონცეფციის წარმოშობა, რომლის მიხედვითაც მშობლიური ენა ზომიერად, მაგრამ რეგულარულად, უნდა გამოიყენებოდეს მეცადინეობის პროცესში, მოსწავლის ინტერესებისა და საჟიროების გათვალისწინება, სწავლების ინდივიდუალური პირობები, ყველაფერი ეს გვიჩვენებს მკაცრი მონოლინგვიზმის პოზიციის მარცხს. ვიმედოვნებ, რომ პრაგმატული ერთენოვნება გარდაიქმნება „გაცნობიერებულ ერთენოვნებად“, სადაც მშობლიური ენა არ იქნება მხოლოდ „ასატანი“, არამედ ბილინგვური მუშაობის ტექნიკის გამოყენება იქნება აღიარებული და მიღებული მთელი თავისი ღირებულებით. ბუკამის გააზრებით, „გაცნობიერებული ერთენოვნება“ აღნიშვნას მეცადინეობის ისეთ პროცესს, რომლის დროსაც მასწავლებელი მიზნის შესაბამისად იყენებს მშობლიურ ენას და მას სრულად აქვს გაცნობიერებული, ერთენოვანი და ორენვანი გაკვეთილის დაცებითი და უარყოფითი მხარეები.

ჩვენ თავი უნდა დავაღწიოთ იმ ვიწრო ხედვას, რომლის მიხედვითაც მშობლიური ენა მიჩნეულია ხელის შემშელ ფაქტორად და ვიფიქროთ იმაზე, თუ როდის არის მეთოდურად გამართლებული მშობლიური ენის გამოყენება. საკითხავი ის კი არ არის, თუ რატომ ართულებს სწავლებას მშობლიურ და უცხოურ ენებს შორის არსებული სხვაობა, არამედ მოსახებია ის საერთო, რაც აიოლებს უცხოური ენის ათვისებას. შეიძლება ითქვას, რომ ეს სწავლების ვექტორის შეცვლას ნიშანას. იმის ნაცვლად, რომ უცხოური ენის გაკვეთილიდან განვდევნოთ მშობლიური ენა, როგორც მრავალი შეცდომის წყარო, ჩვენ უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ უცხოური ენის გაკვეთილზე მშობლიური ენის „სარგებელი“ შეიძლება აღემატებოდეს მის მიერ მოყენებულ ზიანს.

მოსწავლეების მიერ დაშვებული შეცდომების მიმართ დამტკიცებულება დროსთან ერთად იცვლება. თავიდან მიუღებლად მიჩნეულმა შეცდომამ ახალი სტატუსი მოიპოვა, უცხოური ენის სწავლებისას მშობლიური ენის მნიშვნელოვანი როლის აღიარების წყალბით. მრავალი წლის განმავლობაში შეცდომას ხან გარდაუვალ ფენომენად მოიაზრებდნენ, ხან კი არააღკვატური პედაგოგიკის დამადასტურებელ საბუთად. მრავალმა თეორიამ დამტკიცა, რომ ბავშვის

ენის შესწავლისადმი მიღრეკილება აქვს. ყველა ადამიანს ბუნებით გააჩნია ენის ათვისების უნარი. კორდერის (Corder) აზრით, უცხოურ ენაზე მიღებული სტრატეგიები პირდაპირ მომდინარეობს მშობლიურ ენაში გმოყენებული სტრატეგიებიდან. ამ თეორიის თანხმად შეცდომა განსხვავდულ სტატუსს იძენს. ასეთი გააზრებით, მშობლიური ენა აღიქმება, როგორც დამარტინება, და არა როგორც დაბრკოლება. კორდერის მოსაზრება მშობლიური ენის ათვისების იმ თეორიებს ეყრდნობა, სადაც შეცდომა არა მარტო არ არის პრობლემად მაჩნეული, არამედ ცოდნის შექნისა და განვითარების პროცესის ნიშანია. კორდერის აზრით, შეცდომების ორი ტიპი არსებობს. სისტემური და არასისტემური შეცდომები. ზოგიერთი შეცდომის მიზეზი შეიძლება იყოს მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები ან განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მდგომარეობა (დაღლილობა, გაბრაზება, შიში...). ასეთი შეცდომები არ არის ენის ცუდი ცოდნის შედეგი. ხშირია, როდესაც ასეთ შეცდომებს ენის მატარებელი უშვებს და ეს არ ნიშავს, რომ მან არ იცის ეს ენა. სხვა შეცდომები კი, პირიქით ასახავს მოსწავლის „ჩავარდნას“, ეს კომპეტენციის შეცდომება, რომლებიც აგრეთვე სისტემურ შეცდომებს მიეკუთვნება. კორდერი ამტკაცებს, რომ ამ შეცდომებს სამაგი ახსნა აქვს. პირველი მასწავლებლის პოზიციიდან შეიძლება აიხსნას. მოსწავლეების შეცდომების ანალიზი მას იმის დანახვის საშუალებას აძლევს, თუ რა არის პრობლემა. მეორე — მკვლევრებს ეხება: შეცდომების ანალიზი მათვის სწავლების ხერხის განსაზღვრის საშუალებას იძლევა. და ბოლოს მესამე, რომელიც მოსწავლეს ეხება. შეცდომების დაშვება აუცილებელია, ვინაიდან ეს სწავლის შემადგენელი ნაწილია. ეს ჰიპოთეზა ეხმარება ჯიაკობეს (Giacobbe) თეორიას, რომლის მიხედვითაც შეცდომები ენის ათვისების პროცესის მაჩვენებელია და რომ კამათში დადასტურებული ან უარყოფილი ჰაბოთზების ფორმულირება პროგრესის მომტანია. „შეცდომებზე გაწავლიაბთ“. ვფიქრობ, შესაცვლელია დამოკიდებულება შეცდომების მიმართ, უნდა გავიაზროთ და გამოვიყენოთ ისინი, რათა შევძლოთ შემდგომი პროგრესის მიღწევა.

აშკარა მეთოდური ნაკლი ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზეც იჩენს თავს. სავსებით შესაძლებელია, რომ უცხოური ენის თითოეული გაკვეთილი გაცნობიერებულად იყენებდეს მშობლიურ ენაზე შექნილ სამყაროს ცოდნას.

ენების შესწავლა მხოლოდ მათი გმოყენების პროცესშია შესაძ

ლებელი, ამიტომ უცხოური ენა თავისთავად არის მისი შესწავლის პირველხარისხოვანი საშუალება და შესაბამისად გაკვეთილზე იგი სამუშაო ენის ფუნქციას უნდა ასრულებდეს. მიუხედავად ამისა, უცხოური ენის შესწავლა ყველაზე შედეგიანია მშობლიურ ენაზე სისტემატური დაყრდნობით, ანუ მშობლიური ენა უცხოური ენის შესწავლისას დამხმარე საშუალებად უნდა იქცეს. სწავლების პირველ ეტაპზე მოსწავლე აუცილებლად ახდენს მშობლიური ენის უნარ-ჩვევების ფარულ გაქტიურებას.

ბუცკამი მშობლიური ენის გაუაზრებლად და უსისტემოდ გამოყენების წინააღმდეგია, იგი დარწმუნებულია, რომ უცხოური ენის სწავლებისას უნდა გამოვიყენოთ მშობლიური ენა, როგორც მნიშვნელოვანი რესურსი. ბავშვები ხომ მშობლიურ ენასთან მუდმივ კონტაქტში იზრდებიან, შესაბამისად მათ ისწავლეს:

- 1) ენის სიმბოლური ფუნქციის ათვისებით სამყაროს ცნებებით აღწერა.
- 2) ხალხთან ურთიერთობა.
- 3) მუდრი იოგების გამოყენებით, ბევრათა არტიკულაცია.
- 4) გრამატიკული ორგანიზაციისა და ენის მრავალი ნიუანსის ინტუიციური აღქმა.
- 5) კითხვა, წერა.

ჩამოთვლილი მიზეზების გამო მშობლიური ენა მნიშვნელოვანი დამხმარე უცხოური ენის შესწავლისას. მოსწავლეები ეყრდნობიან, ერთი მხრივ, უკვე ათვისებულ ლინგვისტურ ბაზას და, მეორე მხრივ, სამყაროს ცოდნას. როგორც წესი, მათ უწევთ გადაწყვიბა რეალური აღქმის ახალ ენასთან მიმართებით. შესაბამისად, უცხოური ენის ათვისება გულსიხმობს სამყაროს ნაცნობი სურათის შეცვლას (Humboldt). მოსწავლეებს გადააქვთ თავიანთი ცოდნა სამიზნე ენის სისტემაში. მაგალითად, მათვის არ არის საჭირო იმის ახსნა, რომ თხოვნა, სურვილები და გაფრთხილება შეიძლება შენიღბული იყოს ჩვეულებრივი გამონათქვამებად. ყველა ენაში არსებობს აბსტრაქტული იდეების გამოხატვის საშუალებები, მაგალითად ისეთის, როგორიცაა რიცხვი, უარყოფა, მიზეზი, პირობა, ვალდებულება და ა.შ. **ერთ ენას შეუძლია სხვა ენების გრამატიკის „კარი გაგიხსნას“, გონა-**

**იდან უველა ენა შექმნილია ერთი და იმავე კონცეპტუალური გასალისგან და გარკვეულ წილად ჩვენ მხოლოდ ერთხელ გეუც-ლებით ენას.**

ბუცკიძის აზრით, ერთენოვანი დოქტრინა არავითარ შემთხვევაში არის გამართლებული. კრედო „მხოლოდ სამიზნე ენა“ უნდა იყოს დავიწყებული, რათა უცხოური ენის შესწავლის მეთოდოლოგიამ შექმლის აღორძინება. ამ აზრის მიუხედავად „გაცნობიერებული ერთენოვნების“ თეორია არ მოუწოდებს არცერთი არსებული ერთენოვანი სწავლების უარყოფისკენ. ორენოვანი მეთოდების მიზანი არა ჩანაცვლებაა, არამედ სწავლების ფორმების გამდიდრებაა. მასწავლებლებმა თავად უნდა აირჩიონ ის მეთოდი, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევას გამოადგება.

მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ უცხოური ენის სწავლებისას განსაკუთრებული როლი მშობლიურ ენას ენაჭება. სოციოკულ-ტურული ოთვორის თანახმად ენა კონიტიური საშუალებაა ინტრა-პერსონალურისა და ინტერპერსონალური თვალსაზრისით და წეუფური სამუშაოს შესრულებისას თანამშრომლობის საშუალებას აძლევს მოსწავლებს.

ის კვლევები, რომლებზეც ზემოთ იყო საუბარი, გვიჩვენებს, რომ უცხოური ენის გაკვეთილზე მშობლიურ ენას საკუთარი ადგილი აქვს. ვფიქრობ, რომ მისი უარყოფის ნაცვლად, აქობებდა მშობლიური ენის გამოყენების მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება, მშობლიური ენის გაცნობიერებული გამოყენება უცხოური ენის შესწავლის ეფექტურობის გასაზრდელად. მაშასადამე, სასურველია პედაგოგიურ მაქსიმად დაინერგოს პრინციპი: გასწავლოთ უცხოური ენა, უცხოური და მშობლიური ენების დახმარებით.

#### ლიტერატურა

**ბუცკაძი, 1973** — Butzkamm W. Aufgeklärte Einsprachigkeit, Heidelberg, Quelle & Meyer, 1973.

**ბუცკაძი, 1976** — Butzkamm W. Methodenstreit und kein Ende. Zehn Thesen zur Konzeption und Rezeption der Aufgeklärten Einsprachigkeit, in: Praxis des neusprachlichen Unterrichts, 1976.

**ხომსკი, 1971** — Chomsky Noam. Aspect de la théorie syntaxique, Seuil, 1971.

**კორდერი, 1981** — Corder S.P. Error Analysis and Interlanguage. Oxford University Press, 1981.

**ჯიაკობე, 1990** — Giacobbe J. Le recours à la langue première: une approche cognitive, dans GAONAC'H,D. (éd.), Le Français dans le monde, recherches et applications «Acquisition et utilisation d'une langue étrangère. L'approche cognitive», 1990.

**ჰუმბოლდტი, 1880** — Humboldt W. Über die Verschiedenheit des menschlichen Sprachbaus und ihren Einfluss auf die geistige Entwicklung des Menschengeschlechts, Berlin, 1880.

MAYA CHIGOGIDZE

#### On Using One's Native Tongue When Teaching a Foreign Language

##### Summary

The use of L1 and the method of translation when teaching a foreign language was considered a controversial methodological issue. For a long period of time, for the purpose of achieving desirable results the use of L1 in a foreign language class was unacceptable and even forbidden. However, the recent studies have proved that the bilingual method of teaching is far more efficient. On the one hand, the use of translation helps the teacher to demonstrate to the learner similarities and differences between L1 and the target language.. On the other hand, the given method helps the learner easily get the command of a foreign language.

ლელა გიგლემიანი, გერვა სალლიანი

საგრანტო თემაზე – „ნახევარი საუკუნის ჭინ ქალაქ ზუგდიდში ჩასახლებული სევანების მეოცენების  
ნიმუშების“ მუზეუმის ანგარიში<sup>1</sup>

2009 წელს საქართველოს რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ერთწლიანი პროექტის — „ნახევარი საუკუნის წინ ქალაქ ზუგდიდში ჩასახლებული სკანების მეტყველების ნიმუშები“ გეგმით გათვალისწინებული იყო ექსპედიცია სამეცნიელოს რეგიონში, კერძოდ, ქალაქ ზუგდიდის სხვადასხვა სოფლებში (რუხი, ზედაეწერი, ჭყადუაში, ოდიში, ნაწულუკუ, ნარაზენი, რიყე, ჯვარი...), რაც ითვალისწინებდა ჭერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ზემო სკანერიდან და, ასევე, კრასნოდარის ოლქიდან, ჩასახლებულ სვანთა მეტყველების ნიმუშების ჩატერას, არმდენადაც იქ სრულიად განსაკუთრებული ვითარებაა. აյ ჩასახლებულ სვანთა მეტყველებით, როგორც ცნობილია, არც ერთი ენათმეცნიერი არ დაინტერესებულა და, შესაბამისად, ტექსტებიც არა-ვის ჩატერია.

ჩვენი აზრით, ზუგდიდის არეკონის სვანური მეტყველება აუცილებლად შესასწავლია, რაღაც მისი ინტერფერენციულობა საკმაოდ თვალში საცემია, რაც, აშკარაა, განაპირობა წლების განძავლობაში მეგრულენოვანი მოსახლეობის გვერდით თანაცხოვრებამ. აღნიშნული საკითხის უკეთ გააზრებისთვის კი მეტად მნიშვნელოვანია ტექსტების ჩაწერა, რომელიც მომავალში საშუალებას მისცემს სვანური ენის სპეციალისტებს დაკვირდნენ სამეცნიეროს სვანურ მეტყველებას, როგორც ინტერფერენციულ მეტყველებას.

უმცენობო ქართველობის ენათა, კურძოდ კი, სვანური მასალების

<sup>1</sup> პროექტი 2009 წელს დააფინანსა ქართველობის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფლონდა — რესთაველმა.

ფიქსირება, როგორც ეს მრავალგზის აღნიშვნულა, განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა. თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი ინტენსიური კონტაქტები განსაზღვრავენ ნებისმიერი ენის, განსაკუთრებით კი უმჯეროლობო ენების, სწრაფი ტემპით ცვლას. სწორედ ამიტომ ამგვარი ენების მასალის ფიქსირება არის არა მხოლოდ სადღეისო ამოცანა, არამედ ახლო და შორეული მომავალი თაობებისათვის ზრუნვის გამოვლენაც (ალექსანდრე ონიანი).

„სვანური ენა, ისევე, როგორც მეგრულ-ჭანური, მართალია, პერგა-  
მენტზე არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ეს არც მას და არც მეგრულ-  
ჭანურს არ უშლის ხელს, შეინარჩუნოს უძველესი თვისებები, რომლე-  
ბიც, შესაძლოა, ოდესალაც საერთო იყო ქართველურ ენათა ჯგუფის ყვე-  
ლა წარმომადგენლისათვის, მაგრამ სრულიადაც არ ასახულა წერილო-  
ბითს ძეგლებში“ (კარტეზ დონცეუ).

მეცნიერთა თვალსაზრისით, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ უმდიდრესი ლექსიკისა და გრამატიკული წყობის მქონე სვანური ენითა და სვანების ქველთამგელი წეს-ჩვეულებებით ჯერ კიდევ XVIII საუკუნი-დან დაინტერესდნენ მკვლევრები ლინგვიკულტუროლოგიური, ანუ ინ-ტერდისციპლინარული თვალსაზრისით არა მხოლოდ ჩვენში, არამედ უცხოეთშიც.

საქუთრივ სვანური ლექსიკა ფიქსირდება ი. გოლდენშტედტის (1787-1791 წ.), პ. ბალასის (1786-1789 წ.), ჭ. ედვარსის (1788 წ.), ი. კლაპრონის (1807-1808 წ.), გ. როზენის (1845-1847), ფ. ბოპის (1846-1847 წ.), ი. ბართლომეს (1855-1876 წ.), პ. უსლარის (1863-1887 წ.), ფრ. მიულერის (1864 წ.), ალ. ცაგარლის (1872-1880 წ.), დ. პიკოვის (1887 წ.), ჭ. შუხარდტის (1895 წ.), რ. ერკერტის (1895 წ.), მ. ჯანშვილის (1895-1925 წ.), ა. სტოანოვის, მ. ზავადსკის, ა. გრენის (1890-1902 წ.), ო. უორდროპის (1911 წ.), ბ.ნიუარაძის (1913 წ.), ა. დირის (1928 წ.) და სხვათა ნაშრომებში.

ქართული ენის სტრუქტურისა თუ ისტორიის კვლევისათვის თხოვთმეტსაუკუნოვანი წერილობით ძეგლებთან და თანამედროვე ცოცხალ მეტყველებასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიშება უმწერლობო ქართველურ ენათა მნიშვნელობას, რამეთუ „სვანური ტიპოლოგიურად ყველაზე ახლოს დგას საერთო-ქართველურ ფუძე ენასთან... სვა-

ნურ ენას ქართველურ ენათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით... სვანური მდიდარია სიახლეებით, მაგრამ ამავე დროს იყი ინარჩუნებს არქაულ სტრუქტურულ ელფერს, დამახასიათებელს საერთო-ქართველური ენობრივი მდგომარეობისათვის“ (თ. გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი).

რა თქმა უნდა, სწორედ ყოველივე ამან განაპირობა ჩვენი დაინტერესება სამეცნიეროს რეგიონის იმ სვანურენოვანი მოსახლეობის მეტყველებით, რომლებიც, როგორც უკვე ითქვა, ჯრ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ჩასახლებულან ქალაქ ზუგდიდში. მნიშვნელოვნად გვესახება ის ფაქტი, რომ აქ ცხოვრობენ არამარტო ზემო სვანეთიდან ჩასახლებული, არამედ კრასნოდარის ოლქიდან გადმოსახლებული ის სვანებიც, რომლებიც 1951 წელს ლაგრენტი ბერიას ჩაუსახლებია კრასნოდარის ოლქში, კერძოდ, ყარაჩაეთში, საზღვრების გამაგრების მიზნით, სადაც დახასლოებით ექვის-შვილი წელი უცხოვრიათ და შემდევ ნიკიტა ხრუშჩინის მმართველობის პერიოდში, იმ პერიოდის პოლიტიკური ვითარების გამო, ისინი სამეცნიეროში გადმოუსახლებიათ.

აღნიშვნილი ფაქტის შესახებ საგანგებოდ ვასაუბრეთ 78 წლის მცოვანი, სოფელ ჭყადუაშის მკვიდრი, წარმოშობით ბალშემოელი, კერძოდ, მულახელი ბაჯუ გუჯეჭიანი<sup>1</sup>, რომელმაც დაწვრილებით აღწერა 1944 წელს მისი მშობლების ყარაჩაეთში (სოფ. უშველანში) გადასახლებისა და შემდგომ (1958 წ.) სოფელ ჭყადუაში ჩასახლების ეპიზოდები.

ქალაქ ზუგდიდში, ძირითადად, ცხოვრობენ ენგურის ხეობის სოფლებიდან (წვირმიდან, ელიდან, იჯარიდან, კალადან, მულახიდან, აღიშიდან, ლატალიდან, ცხუმარიდან, ბერიდან, ეცერიდან, ფარიდან...) ჩამოსახლებული ბალშემოელები და ბალსქვემოელები. ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, ზუგდიდში დაფიქსირდა ლენტეხის რაიონიდან დიდი ხნის წინ გადმოსახლებული მეშველიანთა ერთი ოჯახიც, რომელთანაც მისვლა, სამწუხაროდ, ვერ შევძელით.

გეოგრაფიული გარემოცვიდან გომომინარე, აუცილებლად მიგვაჩ-

<sup>1</sup> ყარაჩაეთში ნაცხოვრები აღმოჩნდნენ, იგრეთვე, ჩვენი უხუცესი ინფორმატორები, ბალსქემოელი — ივლითე და სოზარ გიგანები.

ნია სვანური ტექსტების პუბლიკაცია, რამაც განსაზღვრა სრულიად ახალი ტექსტების ჩაწერა, ზუგდიდის სხვადასხვა სოფელში ჩასახლებულ სვანთა (ბალსზემოელთა და ბალსქვემოელთა) მეტყველების მიხედვით, თანამედროვე ტექნიკის (ფიდეო და აუდიოაპარატურის) გამოყენებით.

ჩაწერილ იქნა აქური მოსახლეობის მიერ უძველესი ეპოქებიდან დღემდე მცვეთრად შემორჩენილი ტრადიციები: წარმართული თუ ქრისტიანული დღესასწაულები, ლვთისმსახურება, სამართალი — მედიატორობა, ნიშნობა — ქორწინება, თემისა და სოფლების ურთიერთმიმართება, საქონლის მოვლა, სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა დარგები, სამონადირეო რიტუალები, ლეგენდები, ზღაპრები, ისტორიული ამბები, სვანური სამზარეულო, სახუმარო ამბები, ტოპონიმები და ა. შ.

ინფორმატორებად შევარჩიეთ სხვადასხვა სქესისა და ასაკის ადამიანები, რომელთაგანაც განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს ასაკოვნმა მთქმელებმა (87 წლის ნადია ფანგანმა, 80 წლის თინა გიბლანმა, 78 წლის ბიძინა გიგლემიანმა, 78 წლის ბაჭუ გუჯეჭიანმა, 78 წლის ლოლა ხვისტანმა...). მიუხედავად ჩვენი გულმოლენე ცდისა, ვერ შევძლით შედარებით ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებთან მუშაობა. მათ რატომღაც არ ისურვეს სვანურად საუბარი, როგორც ჩანს, გაუმართავი სვანური მეტყველების გამო<sup>2</sup>.

ჩვენი დაკავირვებით, ნახევარი საუკუნის წინ ზემო სვანეთიდან ქალაქ ზუგდიდში ჩასახლებულ სვანთა მეტყველებაში შევნიშნეთ როგორც სვანურ-მეცნიერული, ასევე სვანურ-ქართულ-მეგრული და სვანურ-ქართულ-რუსული ინტერფერენციის რამდენიმე საინტერესო შემთხვევა.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა სოფელ რუხში მცხოვრები, წარმოშობით ბალსზემოელი, 78 წლის ლოლა ხვისტანის მეტყველების ნიმუშები, რომლის მეტყველებაშიც დაგაფიქსირეთ ქართველურ ენათა ურთიერთშერევის ანუ ინტერფერენციის შედეგად მიღებული ასეთი

<sup>2</sup> უნდა შევნიშნოთ, რომ რამდენიმე ჩვენი მეგრელი მასპინძელი აქეთ გვთავაზობდა მათგან მეგრული ტექსტების ჩაწერას, რაც სამწუხაროდ, ჩვენს კომპეტენციაში არ შედიოდა.

წინადაღებები:

„ზანპრეს“ ბეჭიდ ხოხას უშესტარე დახმარება ი მიდგომურ ეკწეხა, აფერისტობად მანგარო უჩქუნან, მარა იშენ-იშენ მუთა უჭირთ მარგალებს — მეგრელებმა („ზან-ებ-ს“) ძალიან („მაგრად“) იციან ერთმანეთის დახმარება და თანადგომა („მიდგომა“), რომ დაგჭირდეს („დაგჭირდება“), აფერისტობაც მაგრად იციან, მაგრამ მაინცდამაინც („სხვა-სხვა“) არაუშავთ („არა უჭირთ“) მეგრელებს.

მთქმელს, წესით, წინადაღება ასე უნდა გაემართა:

„ზანპრეს“ ბეჭიდ ხოხას უშესტარე დახმარება ი თანადგომურ ეკწეხა, აფერისტობა მანგარო უჩქუნა, მარა მარე იშენით მუთა უჭირა მარგალემს||მარგალეფს — მეგრელებმა („ზან-ებ-ს“) ძალიან („მაგრად“) იციან ერთმანეთის დახმარება და თანადგომა („მიდგომა“), რომ დაგჭირდეს („დაგჭირდება“), აფერისტობაც მაგრად იციან, მაგრამ მაინცდამაინც („სხვა-სხვა“) არაუშავთ („არა უჭირთ“) მეგრელებს.

როგორც ვხედავთ, მთელი წინადაღება ინტერფერენცირებული. აქ დასტურდება არამხოლოდ სვანურ-მეგრული ინტერფერენცია, არამედ სვანურ-მეგრულ-ქართულიც.

არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა იმავე მთქმელის მიერ სახუმარო ტექსტიდან ამოღებული შემდეგი დიალოგი:

მი ი მიშგუდ-ლინტრიდ სოხუმხნ ი ეშჩუ, ე, საჯურაოე, ოხეშხდ ი ამხან იზგა მიშგული, ა, შუანდე მხარეთე ი ლეჟ-ოხსიპედ ამელეუა ი ჩ'პლჩარუებნ ამჩუნ ხოშა მანქანა ... ი ეჩხან ხარ, ე, შუანდე მხარეთე, თხუმი ი ათხე ჩ'აღჩარუე აღ-ს, — მიშგუდი სგუებინ გიღშალ, — ი:

— სესტრა, სესტრა, გდე ხობსყი პაგაროტ? ხობში წასვლა მინდაო, — რუსულდ ხატუ ალას ხობთე ლიზი. დედაჩემმა ქე გაიგო, ალბათ, ალა უი მერეს პამერე, იმლა ხად, ი ჩ'აღგებნ ამჩუ ი ხოქეშუნე ტუეტს:

— ხობსყი დაროგა ტამ, ტამ, ნალევო ი ღო ნახუ!

ათხე ალა ჩ'პლქიზნ, ა, შოფერ, ლალხოშ მარე ლასურ, ი:

— სპასიბა, სესტრა! სპასიბას ხატული ალა.

ეჩეჩუ, ლატაშნდებისგა, არდას ახალგაზრდა ჭყენტბრ, მიშგუდი ხოჩმდ ხოთრონდას ი ალდებრ ხატულის ეჭას: ცაცუ დეიდა, არ გაიგო, კიდო უთხარი!

ალა ხატულიდ აჯალ: ტამ, ტამ, ნალევო ი ღო ნახუ!

მე და დედაჩემი მოვდიოდით („მოვდივართ“) სოხუმიდან და იქ, ე, საჯვაროზე, ჩამოვედით მანქანიდან და აქეთ ცხოვრობდა დედაჩემი, აი, სვანეთის მხარეს და აქეთ ამოვტხევით („ზემოთ მოვტრიალდით ამ-ის“ ზემოთ“) და აქ გაჩერდა დიდი მანქანა და იქით აქვს, ე, სვანეთის მხარეს, თავი და ახდა გააჩერა ეს, აი, — დედაჩემი წინ 『დგის“ გიდივით, — და:

დაო, დაო, სად არის ხობის მოსახვევი? ხობში წასვლა მინდაო, — რუსულად უთხრა ამას ხობში წასვლა. დედაჩემმა ქე გაიგო, ალბათ, ეს ალბათ გაიგო, რას გულისხმობდა („რისთვის ჰქონდა“), და გაჩერდა აქ და უქნევს ხელს:

— ხობის გზა იქ, იქ, მარცხნივ და მერე მოუხვიე!

ახლა ამას („ეს“) გაეცინა, აი, მძლოლს, შუახნის კაცი იყო, და:

— მაღლობა, დაო! მაღლობას უუბნება ეს.

იქ, სალავაშეში, იყვნენ ახალგაზრდა ბიჭები, დედაჩემს კარგად იცნობდნენ და ესენი ეუბნებიან ამას: ცაცუ დეიდა, ვერ გაიგო, კიდევ უთხარი!

ეს ისევ ეუბნება: იქ, იქ, მარცხნივ და მერე მოუხვიე!

ზემომოყვანილი საანალიზო მასალა საინტერესო აღმოჩნდა იმ მხრივ, რომ აქ ინტერფერენციის შემთხვევა კიდევ უარი შორსაა წასული, კერძოდ, აქ საქმე გვაქს მეგრულ-ქართულ-სვანურ-რუსულ ინტერფერენციასთან.

უნდა ითქვას ისიც, რომ ზუგდიდელ ბალსზემოელთა უმრავლესობა ხსნ „დან“ თანდებულის ნაცვლად ხმარობს ბალსქვემოური დიალექტის-თვის დამახასიათებელ ხენ-ს. როგორც სენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, თანდებულის ამგვარი სახე ბალსზემოურისთვის არ არის დამახასიათებელი. აქ საქმაოდ რთული იქნება ვისაუბროთ ზემო სვანურ დიალექტთა ურთიერთშერევის პროცესზე, რადგანაც ენგურის ხეობის (ბალსზემოურ და ბალსქვემოურ) დიალექტთა წარმომადგენლები კომპაქტურად არ არიან დასახლებული სამეგრელოს ტერიტორიაზე. ისინი უმეტესად მეგრელთა გარემოცვაში ცხოვრობენ. გავლენაც, ალბათ, მეგრულია.

საინტერესოა, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ ზუგდიდელი სვანები საუ-

ბარში იშვიათად, მაგრამ მაინც ურევენ მეგრულ სიტყვებს. წარმოშობით ბალსზემოელი, 83 წლის ირა შუკვანის მეტყველებაში, რომელიც 40 წელია, რაც სამეგრელოში ცხოვრობს, დავაფიქსირეთ ინტერფერენცირებული მეგრული ფორმა წკანტილდ. მაგ.:

**ნახ ექ ლადედ მას ესამა, მაგალითად, სამარხულ ღია, ჩის სტოლ-თექა ლგბდედ ი ქა ლოფანედ სანთელშუ ხოჩმდ, სუფთად, წკანტილდ — ჩვენ იმ დღეს რაც კი რამ არის, მაგალითად, სამარხო, ყველა-ფერს („ყველას“) სუფრაზე გამოვიტანთ ხოლმე („მოვიტანთ“) და სანთლით კარგად წაუდგამთ ხოლმე საკურთხს მიცვალებულებს („გა-ვ-უ-ჟენ-თ“), სუფთად, სუფთად.**

მთქმელმა გააკეთა მეგრულ-სვანური ინტერფერენცია, მეგრული ვთარებითი ბრუნვის -ოს ნაცვლად გამოიყენა მისი მეტყველებისთვის ბუნებრივი -ად ნიშანი.

20 წლის წინ სოფელ ოდიშში ჩასახლებული, წარმოშობით ბალსკვემოელი, 83 წლის ვანო საღლიანი თითქმის ყველა წინადადებას მეგრული გეთუ „დამთავრდა“ ფორმით ამთავრუბდა, რომელსაც რატომ-ღაც, ჩვენდა გასაკირად, გრძლად წარმოოქმდა. მაგ.:

**იუსალოუ ხსრი, ბუბალო, აშირ ზაულოუ მირი ისგუ თხჭიმ; დი-დი მაღლობა, პატონ! გეთუ! — დიდი მაღლობა („ევა-ს-მცა ხარ“), ბი-ძია გენაცვალოს, ას წელს მიმყოფოს ღმერთმა შენი თავი („ას წელს მცა მიგის შენი თავი“); დიდი მაღლობა, ბატონო! დამთავრდა!**

სამეგრელოს რეგიონში მცხოვრობ სვანთა მეტყველებაზე დაკვირვება, რასაკვირველია, კვლავაც გაგრძელდება ჩვენ მიერ მოპოვებული მრავალფეროვანი კილოკაური მასალების საფუძველზე. აუცილებლად მიგაჩნია აღნიშნული მასალის შედარება როგორც ზემოსვანურ (**ბალსზემოურ-ბალსქვემოურ**) დიალექტურ, ასევე მოძმე მეგრული ენის მონაცემებთანაც და მხოლოდ ამის შემდგომ უნდა იქნეს გამოტანილი საბოლოო დასკვნები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი პროექტი პირველ კვარტალში ითვალისწინებდა მიელინებას სამეგრელოს რეგიონში, კერძოდ, ქალაქ ზუგდიდს რამდენიმე სოფელში (**რუხი, ზედაეწერი, ჭკადუაში, ოდიში, ნაწულუკუ, ნარაზენი, რიყე, ჭვარი...**) და ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული მასალის გაშიფრვას, რაც განხორციელდა კიდეც,

კერძოდ:

1. 2010 წლის 18 მარტიდან 6 აპრილის ჩათვლით მივლინებაში ვიმყოფებოდით ქალაქ ზუგდიდში, საღაც მოვიარეთ ზემოთ აღნიშნული სოფლები და თანამედროვე ტექნიკის (ვიდეო და აუდიოაპარატურის) გამოყენებით ჩავიწერეთ ზუგდიდელ სვანთა მეტყველების ნიმუშები (სულ 14 სათი).

2. პირველივე კვარტალში დავიწყეთ ჩაწერილი ტექსტების მოსმენა და კომპიუტერში შეტანა.

**მეორე კვარტალის** გეგმის შესაბამისად, ვავაგრძელეთ და დავისრულეთ ჩაწერილი ტექსტების მოსმენა და კომპიუტერში შეტანა.

**მესამე კვარტალში** გათვალისწინებული იყო აღნიშნული ტექსტების ქართულ ენაზე თარგმნის დაწყება, რაც დროულად შესრულდა.

**მეოთხე კვარტალი** ითვალისწინებდა აღნიშნული ტექსტების ქართულ ენაზე თარგმნის დამთავრებას და ქართულ-სვანური ვარიანტის რედაქტირება-კორექტირებას. ეს სამუშაოც დროულად შესრულდა და გამოსაცემად მომზადდა ერთომეული — „**ნახევარი საუკუნის წინ ქალაქ ზუგდიდში ჩასახლებული სვანების მეტყველების ნიმუშები**“.

ჩვენ მიერ ქალაქ ზუგდიდში საველე პირობებში მოპოვებული გასაღალობა (**წარმართული თუ ქრისტიანული დღესასწაულები, ღვთისმასტურება, სამართალი — მედიატორობა, ნიშნობა — ქორწინება, თემისა და სოფლების ურთიერთმიმართება, საქონლის მოვლა, სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა დარგები, სამონადირეო რიტუალები, ლეგენდები, ზღაპრები, ისტორიული ამბები, სვანური სამზარეულო, სახუმარო ამბები, ტოპონიმები და ა. შ.) მეტად მინშვნელოვნად გვესახება მეცნიერული თვალსაზრისით, რადგანაც, როგორც უკვე ითქვა, დღემდე არ არსებობდა არც ერთი სტამბურად გამოცემული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩასახლებულ სვანთა მეტყველების ნიმუშები, ანუ პროზაული ტექსტები, რაც ქართველოლოგის, კერძოდ, ქართველური ენათმეცნიერების, სერიოზულ ხარვეზად მიგვაჩნია. ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ, რომ პროექტის შესაძლო შედეგი სწორედ ამ ტექსტების ბეჭდურად გამოცემაა. ამგვარი შედეგის პოტენციური მომხმარებლები იქნებიან: სპეციალური განყოფილების სტუდენტები, ქართველი და უცხოელი ქართველოლოგები, აგრეთვე, ამ საკითხებით დაინტერესებული სხვა**

მკლებრები.

საველე პირობებში ჩვენ მიერ მოპოვებული მრავალფეროვანი მასალა მოძაგლში ენათმეცნიერებს საშუალებას მისცემს დააკვირდნენ სამეგრელოს სვანურ მეტყველებას, როგორც ინტერფერენცირებულ მეტყველებას.

დასასრულ გვინდა უღრმესი მაღლიერების გრძნობით მოვიხსენოთ ყველა ის ადამიანი, რომელმაც ექსპედიციაში ყოფნის პერიოდში გულთბილად გვიმასპინძლა და დახმარება გაგვიწია ჩვენს სამეცნიერო საქმიანობაში.

## მიზანმიზნობრივი გამოძღვავა

მას შემდეგ, რაც ე. წ. აგვისტოს ომა საქართველოს ცხინვალის ჩეგიონი მოსწყვიტა და ჩვენის ერთ დროს აყვავებული მხარე მუდმივი ომის მდგომარეობაში ჩააყენა, აფხაზეთში გაცილებით ადრე, 1993 წელს დაწყებულმა (და ჯერაც დაუმთავრებელმა) ომა შიდა ქართლის მოსახლეობისათვის ფატალური მნიშვნელობა შეიძინა. ჩვენთვის ცხადი გახდა სამხედრო კონფლიქტის შესანიღბად ამოქმედებული ეთნოკონფლიქტური „ეფექტები“ და ინსპირატორთა მიერ გამოყენებული პოლიტიკური ტექნოლოგიების უნივერსალური ხასიათი.

მიუხედავად ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი დიდი მოთმინებისა და ოპტიმიზმისა, უნდა ვალიაროთ, რომ აფხაზეთის ტრაგედია გაჭირებულია, დევნილობა გახანგრძლივდა, მხარეებს შორის დაპირისპირება კვლავაც დაიხასულია და მწვევ. საკუთარ სამოსახლოებაში დაბურუნება აღარ ეღირსა მრავალ აღამიანს, თაობები უაფხაზეთო საქართველოში იზრდებიან... ასევე ხომ არ განვითარდება მოვლენები ცხინვალშიც? რა მოხდა აფხაზეთში 1993 წლის შემდეგ, როგორ აფასებენ აფხაზები ომის შედეგებს? რა უნდა გავითვალისწინოთ ცხინვალის ტრაგედიის მონაწილე მხარეებმა აფხაზური გამოცდილებიდან?

ამ და მრავალ ამგვარ კითხვაზე გვპასუხობს 2010 წელს გამოცემული ღირშესანიშნავი წიგნის „აფხაზეთის (გალის რაიონის) ხოცოლინგვისტურია დახასიათება. 1993-2010 წლები“ ავტორები, პროფესორები: მერაბ ნაჟუებია და მანანა ტაბიძე (წიგნი დაიბეჭდა აფხაზეთის ა. რ. განათლებისა და კულტურის სამინისტროს „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული გრანტის საფუძველზე).

საკითხი უაღრესად აქტუალურია, რამდენადაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზაზე აფხაზეთის საკითხი (ცხინვალის რეგიონის საკითხთან ერთად) უმთავრესია; როგორც თავად ავტორები მიუთითებენ: „საკითხის შესწავლა არასოდესაა ნააღრევი, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთი თითქმის ორასი წელი მოთმინებით ამზადებდა იმ შედეგს, რომელიც 1993 წელს მიიღო“.

ნაშრომში საკვლევი სივრცე და პრობლემატიკა დაყოფილია ძი-

რითად ნაწილებად: ენობრივი სიტუაცია თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე;

აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია და მოსახლეობა; მოსახლეობა დაყოფილია ძირითად ენობრივ ჯგუფებად და დახასიათებულია 1993-2010 წლების ვითარების მიხედვით: დახასიათებულია შემდეგი ჯგუფები:

- ა) ქართველები და ქართული ენა აფხაზეთში;
- ბ) აფხაზები და აფხაზური ენა აფხაზეთში;
- გ) რუსები და რუსული ენა აფხაზეთში;
- დ) სომხები და სომხური ენა აფხაზეთში.

წიგნში დეტალურადაა შესწავლილი აფხაზეთში თვითგამოცხადებული მმართველობის პერიოდის მედია-ინფორმაციები, უცხოელ ექსპერტთა თუ ფსევდოექსპერტთა დასკვნები და ანალიტიკური სტატიები, შეჯერებულია ერთმანეთთან ოფიციალურ გვერდებზე დეკლარირებული იდეოლოგიისა და ფაქტობრივი ინფორმაციების წინააღმდეგობრივი მონაცემები; ავტორები განსაკუთრებულ ადგილს უთმბენ გაზეთ „გალსა“ და გალის რაიონის ქართული მოსახლეობის ენობრივი კომპეტენციის, ორიენტაციისა და მმართველი რეჟიმის ენობრივი პოლიტიკის საკითხებს.

წიგნში ცხადად ჩანს რუსული ენობრივი პოლიტიკის დემაგოგიური ხსიათი, რომელიც საფრთხის შემცველია ქართველთათვის და დამდუბელია აფხაზთათვის. ის გზა, რომელიც ამ რეგიონის მოსალეობაშ გაიარა ომამდე (და ომის შემდგომ), აფრთხილებს შიდა ქართლის მკვიდრთ და სახელმწიფოსაც მთლიანად, რომ ეთნიკური ურთიერთობებისა და ენობრივი კონტაქტების დარეგულირება უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს სახელმწიფო ერთიანობისა და მშვიდობს შენების გზაზე.

დიდი მადლობა ამ მნიშვნელოვანი წიგნის ავტორებს მათი კომპეტენტურობის, დამაჯერებელი მსჯელობისა და იმ ზომიერების გამო, რომელსაც ისინი ამჟღავნებენ ამ უაღრესად მნიშვნელოვან და მტკიცეულ საკითხებზე მსჯელობის დროს.

#### ნ. ოთინაშვილი

#### სარჩევი

ა) აფ ა ჭი ძე — სტუმარმასპინძლობის ეტიკეტი სამეტყველო აქტების თეორიასთან მიმართებით.....	3
ც. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ნ. რ უ ხ ა ძ ე — ფრანგულ სამედიცინო ტერმინ-ფრაზეოლოგიზმთა სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი .....	13
თ. ბ ე ლ ი ა შ ვ ი ლ ი — სიგლები და აქრონიმები თანამედროვე ფრანგულ ენაში.....	18
მ. ბ ე ნ ი ძ ე — აბელისა და კაენის ბიბლიური მითის სიმბოლიკა მ. ტურნიეს რომანში „ტყის მეფე“ .....	34
ს. გ ე ლ ა ძ ე — ფრანგულიდან ქართულად თარგმნის ზოგიერთი პრობლემა .....	40
ს. გ ე ლ ა ძ ე — ეთოსი, პათოსი და ლოგოსი ფრანგულ და ქართულ მედიადისკურსში (მოხსენება ექტრდნობა ფრანგულ და ქართულენვან საგაზეთო და ტელედისკურსების ანალიზს) .....	51
ე. გ ო ტ ი ა შ ვ ი ლ ი — კომპიუტერული სლენგის როლი კომპიუტერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების საქმეში .....	60
ი. დ ე მ ე ტ რ ა ძ ე — საუბარი ამინდის შესახებ — სოციალური ურთიერთობების მდლავრი ინსტრუმენტი (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე) .....	67
ლ. თ ა ბ უ ა შ ვ ი ლ ი — ფრანგულ სიტყვა „ღვინოსთან“ (ვინ) დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და მათი ქართული შესატყვისები .....	74
თ. თ ა თ ე შ ვ ი ლ ი — ბაბილონის გოდოლის ბიბლიური ეპიზოდი და ჭ. დერიდას დეკონსტრუქციის თეორია (ანუ ბაბილონის გოდოლის დერიდასეული ინტერპრეტაცია) .....	79
თ. თვალაძე — კონტაციის კონსტრუქციულ-სამეტყველო ხასიათი.....	86

ა. თოიძე — თანამედროვე ინგლისურენოვანი სარეკლამო სლოვანების ზოგიერთი ენობრივი თავისებურებების შესახებ.....	95
ე. თოფურია — ენა, დეიქსისი და კულტურული კოდი.....	104
რ. კავთიაშვილი, ა. ჭიჭონაია — აკრონიმებისა და აბრევია- ტურების რამდენიმე თავისებურების შესახებ ინგლისურ ენაში.....	109
მ. კინწურაშვილი — კუნძული, მარტობა, „სხვა“.....	115
დ. კირთაძე — ისტორიული წარსული და დღევანდელობა პირის სახელთა გავრცელების თვალსაზრისით V-X სს-ის ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული ძეგლებისა და საისტორიო წყაროების მიხედვით.....	122
ჩ. კობერიძე — უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადებისა- თვის ფრონეს ხეობის ქართლურში.....	132
მ. კობერიძე — ზმანათა, მასდართა და მიმღების საკითხისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში .....	139
ბ. ლაბარტყავა — გეოგრაფიულ ობიექტთა აღმნიშვნელი სახელები კომპოზიტებსა და შესიტყვებებში .....	146
ე. მაჟარიანი — მხატვრული ტექსტის ნარატოლოგიური ასპექტები (ჟ. ქარჩხაძის „განზომილების“ მიხედვით) .....	153
ლ. მახვილაძე — ხალხური ეტიმოლოგია — ენობრივი ცვლილების სპეციფიკური ფენომენი (გერმანული ენის მასალაზე) .....	161
ა. მელაძე — მთარგმნელისა და თარგმნის პოზიცია ახსნისა და გაგების კლასიკური ალტერნატივის ჭრილში .....	171
ა. მელაძე — გაგებისა და ახსნის კლასიკური დიმენზია თარგმნისა და უთარგმნელობის ფენომენთან მიმართებით .....	179
ბ. რუსიეშვილი — სარკაზმი როგორც გართობისა და „სახის“ რღვევის საშუალება (სატელევიზიო ვიქტორინა-შოუ „სუსტი რგოლის“ მაგალითზე) .....	191
ც. საკარული — ლიტერატურული გმირის პორტრეტის ენობ-რივი მახასიათებლები ტექსტის ინტერპრეტაციის სწავლების პროცესში.....	204

ც. საკარული — შინაარსისა და დეტალი-სიმბოლოს ურთიერთმიმართების თავისებურებები ტექსტზე მუშაობის სწავლებისას .....	212
ძ. საღლიანი — სცნური ენისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური იდიომები ანუ იდიომური ლაქუნები.....	218
თ. შავლაძე — მწიგნობრული ეპიტაფიების სტილური ქარგა (ე. მასტერსის „სფუნ რივერის ანთოლოგიის“ მასალაზე) ....	228
ნ. შავრეშიანი — ერთი ექსპრესიული ნაწილაკისათვის ქვემოსვანურში .....	233
ხ. ცირგაია — პოსტმოდერნისტული რეკლამის თავისე- ბურებანი.....	238
ჩ. ჩიგოძე — მშობლიური ენის გამოყენება უცხოური ენის სწავლების პროცესში.....	243
ლ. გიგლემიანი, მ. საღლიანი — საგრანტო თემაზე — „ნახევარი საუკუნის წინ ქალაქ ზუგდიდში ჩასახლებული სცნების მეტყველების ნიმუშების“ — მუშაობის ანგარიში... .	252
ნ. ოთინაშვილი — მნიშვნელოვანი გამოკვლევა.....	261

## CONTENT

I. A p a k i d z e — Hospitality Etiquette in Relation to Speech Act Theory Principles .....	12
T. A k h v e d i a n i , N. R u k h a d z e — Structural and Semantic Peculiarities of French Phraseological Terms.....	17
T. B e l i a s h v i l i — “Sigles” and Acronyms in Current French.....	33
M. B e n i d z e — Symbolism of the Biblical Myth of Abel and Cain in M.Tournier’s Novel “The Erl-King” .....	39
S. G u e l a d z e — Some Issues When Translating from French into Georgian .....	49
S. G u e l a d z e — Ethos, Pathos and Logos in French and Georgian Media Discourse .....	59
E. G o t i a s h v i l i — The Role of Computer Slang in the Formation of Computer Terminology .....	66
I. D e m e t r a d z e — Weather Talk as a Powerful Tool of Social Interaction.....	73
L. T a b u a s h v i l i — French Phraseological Units with the Word vin (wine) and their Georgian Equivalents.....	78
T. T a t e s h v i l i — The Biblical Episode of the Babel Tower and J.Derrida’s Deconstruction Theory .....	85
T. T v a l a d z e — Speech Constructive Character of Connotation .....	94
A. T o i d z e — Some Linguistic Peculiarities of Advertisement Slogans in Current English.....	103
E. T o p u r i a — Language, Deixis and Cultural Code .....	108
R. K a v t i a s h v i l i , A. J i c h o n a i a — Some Features of Abbreviations and Acronyms in the English Language.....	114
M. K i n t u r a s h v i l i — Island, Loneliness, the Other .....	121
D. K i r t a d z e — Historical Past and Present of Personal Pronouns on the Basis of their Distribution in the 5-10 Century Original Hagiographic Works and Historical Sources .....	131

M. K o b e r i d z e — Asyndetic Complex Subordinate Sentences in the Prone Valley Kartlian .....	138
M. K o b e r i d z e — Verb and Adverb Forms in the Prone Valley Kartlian Dialect of Georgian.....	145
M. L a b a r t k a v a — Nouns Denoting Geographical Objects in Compounds and Idioms.....	152
Kh. M a c h a v a r i a n i — Narratological Aspects of a Literary Text (on the material of J.Karchkhadze’s novel “Dimension”) .....	160
L. M a k h v i l a d z e — Folk Etymology – A Specific Phenomenon of Language Change.....	170
A. M e l a d z e — The Position of the Translator and Translating from the Standpoint of the Classical Alternatives of Comprehension and Explanation .....	178
A. M e l a d z e — Classical Dimension of Comprehension and Explanation in Relation to the Phenomenon of Translatability – Non-translatability .....	190
M. R u s i e s h v i l i —Sarcasm as a means of entertainment and ‘face attack’ (using the example of three cultural versions of the quiz-show ‘The Weakest Link’) .....	203
Ts. S a k a r u l i — Literary Portrait while Teaching Text-interpretation ..	211
Ts. S a k a r u l i —Interrelation between detail as symbol and contents while teaching text-analysis .....	217
M. S a g h l i a n i — Specifically Svan Idioms.....	227
T. S h a v l a d z e — Stylistic Patterns in Bookish Epitaphs (on the material of E.Masters’ “Spoon River Anthology”) .....	232
N. S h a v r e s h i a n i — Towards One Expressive Particle in Lower Svan .....	237
Kh. T s i r g a i a — Peculiarities of Postmodernist Advertisements .....	242
M. C h i g o g i d z e — On Using One’s Native Tongue When Teaching a Foreign Language .....	252
L. G i g l e m i a n i , M. S a g h l i a n i — Grant Topic “Speech Samples of the Svan Population Housed in Zugdidi Half a Century Ago” .....	252
N. O t i n a s h v i l i — book review “Sociolinguistic Characterization of Abkhazia (Gali region) in 1993-2010” .....	261